ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

Empowering People for Change

სამოქალაქო საზოგადოების როლი

საუნივერსიტეტო კურსის საკითხავი მასალა სტუდენტებისთვის

თამარ კობერიძე

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

Empowering People for Change

აღნიშნული სასწავლო მასალა შექმნილია ევროკავშირისა და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს მხარდაჭერით პროექტის **„სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“** ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია „კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი“ და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირისა და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს შეხედულებებს.

პროექტს „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით, ტრენინგის და კონსულტაციის ცენტრთან (CTC), სამოქალაქო საზოგადოების ინსიტუტთან (CSI), საქართველოს სტრატეგიული კვლევის და განვითარების ცენტრთან (CSRDG) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) თანამშრომლობით.

KONRAD ADENAUER STIFTUNG
CSI CSI
Civil Society Institute
CSRDG
EDEC

სარჩევი

1. **თემა პირველი: სამოქალაქო საზოგადოების მიმოხილვა, მაგალითები და ტერმინები** 5
1.1. შესავალი 5
1.2. სამოქალაქო საზოგადოება - დეფინიციები და როლი 8
2. **თემა მეორე: სამოქალაქო საზოგადოების თეორიები** 11
2.1. სამოქალაქო საზოგადოება: სოციალური ცხოვრების ეთიკური ხედვა 11
2.2. სამოქალაქო საზოგადოება და სოციალური კაპიტალი 13
2.2.1. სოციალური კაპიტალის თეორიები 13
2.2.2. სოციალური კაპიტალისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთ დამოკიდებულება 16
2.3. სამოქალაქო საზოგადოება და ასოციაციური ცხოვრება 17
2.4. სამოქალაქო საზოგადოება, როგორც საჯარო სივრცე 19
2.5. სამოქალაქო საზოგადოების ეკონომიკური თეორია 21
2.6. სამოქალაქო საზოგადოების თეორიების კრიტიკა 23
3. **თემა მესამე: სამოქალაქო საზოგადოების ფორმები და შემადგენლობა** 27
3.1. სამოქალაქო საზოგადოების ფორმები, ინსტიტუტები და აქტორები 27
3.1.1. არა-მომგებიანი სექტორი და არასამთავრობო ორგანიზაციები 31
3.1.2. სათემო ორგანიზაციები 33
3.1.3. გრასრუტ ჯგუფები 34
3.1.4. სათემო განვითარების (ორგანიზების ან მობილიზების) ორგანიზაციები 36
3.1.5. სოციალური ცვლილების ორგანიზაცია (Social Change Organization, SCO) 36
3.1.6. სამოქალაქო აქტივიზმი და სოციალური მოძრაობა 37
3.1.7. სოციალური მეწარმეობა და სოციალური საწარმო 39
3.2. ასოციაციური ფორმები და ჯგუფები, რომელიც ვერ ჩაითვლება სამოქალაქო საზოგადოებად 40
3.2.1. „არაცივილური ასოციაციები“ 40
4. **თემა მეოთხე: სამოქალაქო საზოგადოების ზეგავლენა და წვლილი** 42
4.1. სამოქალაქო საზოგადოება და დემოკრატია 42
4.2. სამოქალაქო საზოგადოება და სიღარიბე 45
4.3. სამოქალაქო საზოგადოება და მშვიდობა 46
4.4. სამოქალაქო საზოგადოების ზეგავლენის ბერკეტები 49
4.4.1. ადვოკატირება სტრუქტურული და სოციალური ცვლილებისთვის 49
4.4.2. ღარიბთა დასახმარებლად რეფორმების (პოლიტიკის) ლობირება 50
4.4.3. საბაზისო საჭიროებების უზრუნველყოფა (მომსახურება) 52
5. **თემა მეხუთე: სამოქალაქო საზოგადოების ისტორია** 54
5.1. სამოქალაქო საზოგადოების სოციალური წარმოშობის თეორია 54
5.2. სამოქალაქო საზოგადოება ამერიკის შეერთებულ შტატებში 54
5.3. სამოქალაქო საზოგადოება დასავლეთ ევროპასა და პოსტ-საბჭოთა სივრცეში 58
6. **თემა მეექვსე: სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში** 65
6.1. სამოქალაქო საზოგადოებისა და ქველმოქმედების ისტორიული ექსკურსი 65
6.2. სოციალური კაპიტალი და ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების ფენომენი 68
6.3. სოციალური მოძრაობები და სხვა სამოქალაქო აქტივიზმი საქართველოში 72
6.4. ფილანტროპია და მოხალისეობა დღეს 74
7. **თემა მეშვიდე: სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო** 77
7.1. სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ურთიერთობების ფორმები 77
7.2. ურთიერთგავლენა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საარსებო გარემო 79
7.2.1. ორგანიზაციის ფორმირება 81
7.2.2. ორგანიზაციის საქმიანობის კონტროლი 81
7.2.3. რესურსების ხელმისაწვდომობა და კონტროლი 81
7.2.4. გამოხატვის თავისუფლება 82

7.2.5. სამოქალაქო სივრცის შეზღუდვა 82
8. **თემა მერვე: სამოქალაქო საზოგადოება და ბიზნესი**....86
8.1. დაპირისპირება-ოპონირებიდან თანამშრომლობისკენ....86
8.1.1. სამოქალაქო რეგულირება....86
8.2. ბიზნესისა და სამოქალაქო სექტორის თანამშრომლობის ფორმები....88
8.2.1. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა....88
8.3. სტრატეგიული თანამშრომლობა და პარტნიორობა....92
9. **თემა მეცხრე: სამოქალაქო საზოგადოება და რელიგიური ინსტიტუტები**....94
9.1. სამოქალაქო საზოგადოებისა და რელიგიის ურთიერთდამოკიდებულება....94
9.2. რელიგიის სოციალური როლი და განვითარების ხელშეწყობა....96
9.2.1. რელიგია და განვითარება....98
10. **თემა მეათე: გლობალიზაცია და სამოქალაქო საზოგადოება**....101
10.1. გლობალიზაციის იდეა....101
10.2. გლობალური მმართველობა და გლობალური სამოქალაქო საზოგადოება....105
11. **თემა თერთმეტი: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციული ასპექტები**....108
11.1. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის დაფუძნების წინაპირობა და მართვა....108
11.2. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსი და შეღავათები....110
11.3. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის დაფინანსების წყაროები....111
11.3.1. საჩუქრის ეკონომიკა....112
11.3.2. ბაზარი....113
11.3.3. ხახელმწიფო....113
12. **ტერმინთა განმარტება**....116
თვალსაჩინო მასალა, რომელიც გამოყენებულ იქნა ტექსტში....121

1. თემა პირველი: სამოქალაქო საზოგადოების მიმოხილვა, მაგალითები და ტერმინები

1.1. შესავალი

პოლიტიკურ და სოციალურ მეცნიერებებში ალექსის თოქვილის[1] ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კონტრიბუციაა განაცხადი, რომ წარმომადგენლობით დემოკრატიამ შეიძლება წარმოშოს უმრავლესობის მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენება და დამოუკიდებელი ასოციაციების კონტროლის გარეშე დემოკრატია შეიძლება გადაიზარდოს „უმრავლესობის ტირანიაში". ხელისუფლების ყველა შტოს სავარაუდო დემოკრატიულობის შემთხვევაშიც კი სამოქალაქო საზოგადოების როლი და ფუნქცია მნიშვნელოვანია ქვეყანაში ბალანსის ხელის შესაწყობად (Seligman 1995, ციტ. კობერიძე 2017ა).

21-ე საუკუნეში უკვე აღარავინ დავობს, რომ ხელისუფლებასა და მოქალაქეთა შორის ტრადიციული დისტანციური დამოკიდებულება არაადექვატურ შედეგებს იძლევა ხალხის პრობლემების გადასაჭრელად. აღიარებულია, რომ გადაწყვეტილების მიღების ტრადიციული ფორმების გამოყენების შედეგად ხშირად არამართებულად იხარჯება საჯარო რესურსები, იქმნება არაპროდუქტიული კონფლიქტი და არ ხდება ხალხის პოტენციალის გამოყენება (კობერიძე 2017ა). დემოკრატია არ ნიშნავს არჩევნებზე ხმის მიცემის შედეგად, პოლიტიკური პროდუქტის „შესყიდვას", არამედ გულისხმობს პოლიტიკურ დისკუსიაში ჩაბმას, რა თქმა უნდა, ისეთი გზებითა და ფორმებით, რაც დამახასიათებელია და შესაძლებელია კომპლექსურ საზოგადოებაში (Ferrara n.d, ციტ. კობერიძე 2017ა). ეს პოლიტიკური დისკუსია შეიძლება მოიცავდეს საჯარო პოლიტიკას, ინიციატივებს, პოლიტიკურ განზომილებებსა და ყველაფერ იმას, რაც უკეთ ასახავს საზოგადოების საერთო ინტერესს ან სიკეთეს. შესაბამისად, დამოუკიდებელი ასოციაციების (სამოქალაქო საზოგადოების) არსებობა გადამწყვეტია უმრავლესობის ტირანიის შესაკავებლად (Edwards 2004, ციტ. კობერიძე 2017).

სამოქალაქო საზოგადოების განმარტებას არ აქვს ერთიანი, საბოლოოდ ჩამოყალიბებული უნიფიცირებული სახე. ასევე აქტიური მსჯელობის საგნად რჩება თუ რა ტიპისა და ფორმის ორგანიზაციები ან/და გაერთიანებები შეადგენენ სამოქალაქო საზოგადოებას. სამოქალაქო საზოგადოების კონცეფცია ფუნდამენტურია, რადგან განსაზღვრავს და ხსნის ადამიანთა ურთიერთობას, ინტერაქციას და, რაც მთავარია, ცალკეულ ინდივიდთა ჯგუფებში გაერთიანებას და ჯგუფურად მოქმედებას- ე.წ. „კოლექტიურ ქმედებას". ამ „ჯგუფური ქმედების" და ინტერაქციის მაგალითები მნიშვნელოვნად

[1] ალექსის შარლ ანრი კლერელ, ვისკუნტ დე ტოკვილი (ფრანგ. Alexis-Henri-Charles Clérel, comte de Tocqueville;, 1805- 1859) — ფრანგი დიპლომატი, პოლიტოლოგი და ისტორიკოსი. ცნობილია თავისი ნამუშევრებით, როგორიცაა „დემოკრატია ამერიკაში"(1835, 1840) და „ძველი რეჟიმები და რევოლუცია" (1856). ორივე ნაშრომში, მან გაანალიზა ინდივიდუალური პირების გაუმჯობესებული ცხოვრების სტანდარტები და სოციალური პირობები, ასევე მათი ურთიერთობა ბაზართან და სახელმწიფოსთან, დასავლურ საზოგადოებაში.

განაპირობებენ საზოგადოებისა და თავად ქვეყნის უფლებამოსილებათა გადანაწილებას, კუთვნილებას, მოქალაქეობასა და სხვა. (Edward 2011). ამასთან, სხვადასხვა ტიპის და სხვადასხვა ქვეყნებისა და კულტურების ამსახველ ლიტერატურაში გვხვდება სამოქალაქო საზოგადოების კონცეფციის მრავალრიცხოვანი განმარტება და დეფინიცია.

კონცეფციის მართებული გააზრებისთვის, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან გავმიჯნოთ „სამოქალაქო საზოგადოებისა“ და „საზოგადოების“ ცნებები. სიმარტივისთვის, „საზოგადოება“ შესაძლებელია მოვიაზროთ (და გავაიგივოთ კიდეც) მოცემულ ქვეყანაში, ან გეოგრაფიულ არეალში მცხოვრებ ადამიანთა ერთობასთან, ანუ ყველა ადამიანთან. ამისგან განსხვავებით, „სამოქალაქო საზოგადოება“ გულისხმობს საზოგადოების აქტიურ წევრებს. თუკი ქვეყანაში მოქმედი ადამიანთა უფლებები ვრცელდება როგორც სრულიად საზოგადოების, ასევე სამოქალაქო საზოგადოების წევრებზე, სამოქალაქო საზოგადოების წევრები ნებაყოფლობით (და ხშირად, მოხალისეობრივ საწყისებზე) კისრულობენ და საკუთარ თავზე იღებენ მოქალაქეობრივ მოვალეობებს, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს.

ცხადია, რომ რომელიმე მოცემული ერთი ქვეყნის ისტორიული და კულტურული განვითარების შედეგად ჩამოყალიბებული სამოქალაქო საზოგადოების არსი და მოქმედება ვერ აღიწერება ან შეფასდება ისევე, როგორც სხვა- განსხვავებული ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მქონე ქვეყანაში არსებული სამოქალაქო საზოგადოება.

„აქტიურ მოქალაქეთა“ გაერთიანებების მოხალისეობრივი კულტურა და თვით დაკისრებული პასუხისმგებლობა, რომ წვლილი შეიტანოს ქვეყნის საზოგადო ცხოვრებაში მნიშვნელოვნადაა განპირობებული მოცემული ქვეყნის ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობით. დემოკრატიულ ქვეყნებში ეს კულტურა (და მოქმედება) საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა და, შესაბამისად, ეროვნული ტრადიციებისა და სამოქალაქო კულტურის ნაწილია. მრავალ ქვეყანაში კი როგორც თავად სამოქალაქო საზოგადოება, ასევე მისი მოქმედება წახალისდა პოსტ-საბჭოთა ან/და დემოკრატიზაციის დანერგვა-განვითარების კონტექსტში, დასავლური ლიბერალური მოდელის განვითარების პროცესში, სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერისა და ეკონომიკის ლიბერალიზაციის მეშვეობით.

სამოქალაქო საზოგადოების კონცეფციის გააზრებისას, ავტორთა ნაწილი ამტკიცებს, რომ იგი „აფართოებს ინდივიდუალურ თავისუფლებებსა და თავისუფალ ბაზარს და ამით ფუნდამენტურად ამცირებს პოლიტიკას“ (The Cato Institute n/d, ციტ. Edwards 2004), ნაწილი კი სამოქალაქო საზოგადოებას განიხილავს, როგორც „ავტორიტარული სახელმწიფოსა და ტირანული ბაზრის ერთადერთ სიცოცხლისუნარიან ალტერნატივად” (The World Social Forum, Brazil n/d, Edwards n.d, infed.org n/d). ანალიტიკოსთა ნაწილი სამოქალაქო საზოგადოებას მოიხსენიებს საზოგადოების მესამე სექტორად (სახელმწიფოსა და ბაზართან ერთად), სხვები კი სახელმწიფოსა და ბაზართან ურთიერთდაკავშირებულ და ურთიერთ-გამსჭვალულ ერთეულად. სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების საქმიანობათა სფერო ზოგიერთისთვის იმთავითვე

დემოკრატიულია, თანამედროვე და „ცივილური“, ზოგიერთისთვის კი იგი აერთიანებს ყველა ტიპის ასოციაციას, „არა-ცივილური[2]“ საზოგადოების ჩათვლით (მაგ. ექსტრემისტული ჯგუფები და სხვ.)

მიუხედავად ზემოთქმულისა, ავტორთა უმეტესობისთვის სამოქალაქო საზოგადოება, როგორც სეგმენტი - პოლიტიკის შუალედურ (დამაკავშირებელ) ადგილზეა და მასში შემავალი ერთეულების, როლისა და გავლენის მრავალფეროვნების მიუხედავად, საზოგადოების ეს თვით-ორგანიზებული სექტორი წარმოადგენს დემოკრატიის (Seligman 1992, ციტ. კობერიძე 2017ა), კარგი მმართველობისა და სიღარიბის შემცირების (United Nations n/d, World Bank n/d, ციტ. კობერიძე 2017ა) აუცილებელ პირობას და საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტის პანაცეასაც კი.

სამოქალაქო საზოგადოების წარმოშობასთან მიმართებაში ავტორთა ნაწილი ამტკიცებს, რომ იგი ერი-სახელმწიფოს სპეციფიკური პროდუქტია, სხვები კი მას აღიქვამენ ცალკეული ადამიანების კოლექტიური ცხოვრების უნივერსალურ გამოხატულებად ქვეყნის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე, რასაც განაპირობებს მოცემული ქვეყნის ისტორია და კონტექსტი.

მსოფლიო სამოქალაქო საზოგადოება მოიცავს ორგანიზაციების, ასოციაციებისა და ქსელების ფართო და მრავალფეროვან სპექტრს. სექტორი მოიცავს როგორც ასობით თანამშრომლისგან შემდგარ დიდ მასშტაბიან საქველმოქმედო ორგანიზაციებს[3], ასევე მოხალისეობრივ საწყისებზე მართულ ტრანს-ნაციონალურ ქსელებს, რომელთაც არ ყავთ მუდმივი თანამშრომლები; მოცემული ქვეყნის შიგნით და მის გარეთ მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებს, „ვირტუალურ“ ასოციაციებს, რომელთაც არ აქვთ იურიდიული მისამართი; საჭირბოროტო საკითხის გადასაჭრელად ერთჯერადად გაერთიანებული კამპანიის წევრებს, პროფესიული მომსახურების მიმწოდებლებს, ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს; უფლებების დამცველ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს, პროფესიულ კავშირებს, განათლების გამავრცელებელ საზოგადოებებს, სათემო კავშირებსა და სკოლისა თუ სოფლის თვითმმართველობებსა და ამხანაგობებს და წიგნის მოყვარულთა საზოგადოებებსაც კი. შესაბამისად, მრავალფეროვანია ამ ორგანიზაციების სტრუქტურა, მმართველობა, ფორმალურობა, საქმიანობის მასშტაბი და შინაარსი, ასევე შემოსავალი.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, მრავალი ლიტერატურული წყარო სამოქალაქო საზოგადოების ნაწილად მოიაზრებს „საზოგადოებრივ ორგანიზაციებს“, „არასამთავრობო ორგანიზაციებს“, „სოციალურ მოძრაობებს“, „საინიციატივო ჯგუფებს“ და სხვა, ხოლო ნაწილი ჩამონათვალში მოიხსენიებს ასევე რელიგიურ ორგანიზაციებს, პოლიტიკურ პარტიებს, აკადემიურ ინსტიტუციებს და მედიას.

ნათელია, რომ სამოქალაქო საზოგადოება გულისხმობს სამოქალაქო აქტიურობის გაცილებით დიდ სპექტრსა და ფორმებს, ვიდრე ნაგულისხმებია ტერმინით „არასამთავრობო ორგანიზაცია“ (Anheier &

---

[2] დამატებითი ინფორმაცია არა-ცივილური სამოქალაქო საზოგადოების შესახებ იხ. თავში 3

[3] მიუხედავად საქველმოქმედო შინაარსისა, მრავალი ასოციაცია იმართება ანაზღაურებულ პროფესიონალთა მიერ

Themudo 2002, ციტ. კობერიძე 2017ა). შესაბამისად, არასამთავრობო ორგანიზაცია სამოქალაქო საზოგადოების მხოლოდ ერთერთი სეგმენტია და ტერმინების გაიგივებამ შესაძლებელია შეცდომაში შეგვიყვანოს.

ცხადია, რომ არ არსებობს სამოქალაქო საზოგადობის („კოლექტიური ქმედების") უნივერსალური ფორმულა ან ნიმუში, თუმცა კონცეფცია გვთავაზობს ჩარჩოს და სივრცეს, სადაც ადამიანები მოქმედებენ ერთობლივად საერთო და საზოგადო ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

1.2. სამოქალაქო საზოგადოება - დეფინიციები და როლი

ქვემოთ მოყვანილი რამდენიმე დეფინიცია გვაძლევს საშუალებას ვიმსჯელოთ სამოქალაქო საზოგადოებების განმარტებების მრავალფეროვნებაზე:

- სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს ხელისუფლებისგან და ბაზრისგან (შედარებით) დამოუკიდებელი ნებაყოფლობითი კავშირების სფეროს ადამიანსა და სახელმწიფოს შორის, სადაც ადამიანები ერთობლივად მოქმედებენ ნორმატიული და არსებითად მნიშვნელოვანი საკითხების მოსაგვარებლად. მოცემული ქვეყნის პირობებში როგორც „ნებაყოფლობითობის" ან ხელისუფლებისაგან და ბაზრისგან „დამოუკიდებლობის" ხარისხი, ასევე „ნორმები", „მიზეზები", „მიზნები" და, შესაბამისად, „მექანიზმები" განსხვავებული შეიძლება იყოს (Walzer 1998, ციტ. Edwards 2011).
- სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს ნებაყოფლობითი „კოლექტიური ქმედების" პლატფორმას საერთო ინტერესების, მიზეზებისა და ფასეულობების გარშემო. თეორიულად სამოქალაქო საზოგადოების ფორმები განსხვავდებიან სახელმწიფოს, ოჯახისა და ბაზრისგან, თუმცა პრაქტიკაში საზღვრები მათ შორის ხშირად კომპლექსური და არა მკაფიოა. სამოქალაქო საზოგადოება ხშირად მოიცავს მრავალ სფეროს, აქტიორებსა და ინსტიტუციურ ფორმებს, რომელნიც განსხვავდებიან თავისი ავტონომიით, ძალაუფლებითა და ფორმით (LSE n/d)
- სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს იმ ინსტიტუციებისა და ორგანიზაციების სპექტრს, რომელებიც აკავშირებენ ხალხს მთავრობასა და კერძო სექტორთან. ამასთან, ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება ნიშნავს დინამიური და მომგებიანი ურთიერთობის უზრუნველყოფას მთავრობას, ბიზნესსა და არამომგებიან სექტორებს შორის, რაც ხელს შეუწყობს ინდივიდუალური მოქალაქის კეთილდღეობას (ORS n/d)

ზემო დეფინიციები მოიცავენ, ერთის მხრივ, აქტიურ ადამიანთა გაერთიანებებს (ასოციაციებს) და, მეორეს მხრივ, ხელისუფლებასა და ბიზნესთან ურთიერთ დამოკიდებულებას, დამოუკიდებლობის განსხვავებული ხარისხებით. გამომდინარე რომელიმე მოცემული ქვეყნის კანონმდებლობიდან (რაც ასევე განაპირობებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სამართლებრივ და საგადასახადო ვალდებულებებს), ამ საზოგადოების ორგანიზაციების მრავალფეროვნებას მოიხსენიებენ სხვადასხვა

ტერმინებით, როგორებიცაა, მაგალითად „საზოგადოებრივი ორგანიზაცია“, „არა-მომგებიანი ორგანიზაცია“, „არასამთავრობო ორგანიზაცია“ და სხვა, კერძოდ:

საზოგადოებრივი ორგანიზაციები (civil organizations). მათი შექმნის ან/და გაერთიანების უპირველესი მიზანი საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველყოფაა. საზოგადოებრივი კეთილდღეობა მოიცავს მრავალ მიმართულებას განათლებისა და ქველმოქმედების ჩათვლით. ამ ტიპის ორგანიზაციებს არ ეკრძალებათ შემოსავლის გენერირება, თუმცა იგი ექსკლუზიურად უნდა მოხმარდეს ქველმოქმედებას, განათლებას, რეკრეაციულ ან სხვა სოციალურ მიზნებს. საზოგადოებრივი ორგანიზაციების სამუშაო ძალა, ხშირ შემთხვევაში, მოხალისეობრივია, თუმცა ეს არ გამორიცხავს ანაზღაურებადი თანამშრომლების არსებობას. საზოგადოებრივი ორგანიზაციები მოიცავენ *არა-მოგებიან ორგანიზაციებს* და *არასამთავრობო ორგანიზაციებს,* ასევე (რიგ შემთხვევაში) *კოოპერატივებსა* და შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოებს (შპს)[4].

არა-მოგებიანი ორგანიზაციები (non-for-profit organizations) - განიხილებიან საზოგადოებრივ ორგანიზაციებად, რადგან მათი შექმნის მიზანია საზოგადოებრივი ან საერთო სარგებელი, რაც საპირისპიროა პირადი სარგებლისა ან მოგებისა. ქვეყნის საკანონმდებლო სპეციფიკიდან გამომდინარე, არა-მოგებიანი ორგანიზაციები შესაძლებელია ფუნქციონირებდნენ ასოციაციების, ფონდების, სოციალური კეთილდღეობისა და ადვოკატირების ჯგუფების, ასევე პროფესიული ასოციაციებისა და რელიგიური ორგანიზაციების ფორმით ან/და სტატუსით. ზოგიერთ ქვეყანაში არა-მოგებიან ორგანიზაციად შესაძლებელია განხილული იქნას ასევე შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო (შპს), თუკი ეს უკანასკნელი შექმნილია საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად და მოგება მიზნად ისახავს საზოგადოებისთვის სარგებლის მოტანას.

არასამთავრობო ორგანიზაცია (non-governmental organization) – წარმოადგენს (საზოგადოებრივ) არა-მოგებიან ორგანიზაციას, რომელიც ავტონომიურია და მოქმედებს დამოუკიდებლად სახელმწიფოსა და ბიზნესისგან როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ ან/და საერთაშორისო დონეებზე. ამ ტიპის ორგანიზაციები ემსახურებიან სპეციფიკურ სოციალურ ან პოლიტიკურ მიზნებს. სახელმწიფოსა და ბიზნესისგან დამოუკიდებლობა (ავტონომია) არ გამორიცხავს დაფინანსებას, არამედ მხოლოდ კონტროლს სახელმწიფოსა და ბიზნესის მიერ (კობერიძე, CSRDG 2017).

სამოქალაქო საზოგადოების როლი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების საქმეში შესაძლებელია შეჯამდეს და დაჯგუფდეს სამ ურთიერთდაკავშირებულ სფეროდ, როგორებიცაა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური სფეროები (Edwards 2004, ციტ. კობერიძე 2017ა), კერძოდ:

- სამოქალაქო საზოგადოების ეკონომიკური როლი გამოიხატება საარსებო წყაროსა და მომსახურების უზრუნველყოფაში იქ, სადაც ბაზარი და სახელმწიფო სუსტია. აქვე მოიაზრება სოციალური

[4] მაგ. გერმანიაში

ფასეულობების, ქსელებისა და ინსტიტუციების კულტივირება, რაც საფუძვლად დაედება (ნდობაზე და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ) წარმატებულ საბაზრო ეკონომიკას.

- სამოქალაქო საზოგადოების სოციალური როლი განისაზღვრება როგორც მზრუნველობის, კულტურული ცხოვრებისა და ინტელექტუალური ინოვაციებისა და სწავლების წყარო. ამ ნეო-თოქვილისეული როლის მიხედვით, სამოქალაქო საზოგადოება ანვითარებს მოქალაქეობის უნარ-ჩვევებს, რაც ხელს უწყობს სტაბილურობას და ანვითარებს სოციალურ კაპიტალს. სოციალური კაპიტალი კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს საერთო სიკეთისთვის კოლექტიურ ქმედებას, ქმნის და ინარჩუნებს სოციალურ კავშირებს რაც მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდისათვის.
- სამოქალაქო საზოგადოების პოლიტიკური როლი დანახულია, როგორც სახელმწიფოსა და კორპორატიული ძალაუფლების მნიშვნელოვანი საპირწონე და საზოგადოებაში არსებული ძირითადი საყრდენი, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას და „კარგი მმართველობის[5]“ სხვა ასპექტებს (Edwards 2004, Howard 2003, Anheier & Toepler eds. 2010).

შეკითხვები მასალის გასააზრებლად:

- რას წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოება?
- რითაა განპირობებული სამოქალაქო საზოგადოების ცნების მრავალფეროვნება?
- რა როლს ანიჭებენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს სხვადასხვა ანალიტიკოსები?

[5] “good governance”,დონორთა მიერ გამოყენებული ტერმინი ქვეყნის მმართველობის ყველა ასპექტის დადებით კონტექსტში განსასაზღვრად

2. თემა მეორე: სამოქალაქო საზოგადოების თეორიები

2.1. სამოქალაქო საზოგადოება: სოციალური ცხოვრების ეთიკური ხედვა

პოლიტიკური აზროვნების კუთხით სამოქალაქო საზოგადოების ისტორია სოკრატეს, პლატონის, არისტოტელესა და სხვა ბერძენ და რომაელ ფილოსოფოსების აზრებში იღებს სათავეს კლასიკურ პერიოდში, ჩ.წ. 5-4 საუკუნეში, სადაც დიდი ყურადღება ეთმობოდა ადამიანს და მის საზოგადოების წევრობის განმარტებას. ამ პერიოდში ფილოსოფოსები სამოქალაქო საზოგადოებას უკავშირებდნენ პოლიტიკურ ასოციაციას, რომელიც სოციალური კონფლიქტის სამართავად იღებდა კანონებს, „რაც აკავებდა მოქალაქეებს ერთმანეთის მიმართ ბოროტების ჩადენისგან“ (International Encyclopedia… 2010, ციტ. კობერიძე 2017ა). ტერმინი გამოიყენებოდა „კარგი საზოგადოების“ სინონიმად, რაც განუყოფელი იყო სახელმწოფოსგან. მაგალითად, სოკრატე ასწავლიდა, რომ სიმართლის დასადგენად, საზოგადოებაში არსებული კონფლიქტის გადაწყვეტა უნდა მომხდარიყო საჯარო არგუმენტაციის (დიალექტიკის) გზით და ეს აუცილებელი იყო სახელმწიფოში „ცივილურობისა“ და ხალხის „კარგი ცხოვრების“ უზრუნველსაყოფად. ამავდროულად, პლატონისთვის, თავად სახელმწიფო იყო ბრძენი, მამაცი, სამართლიანი და თავშეკავებული საზოგადოება, რომელშიც ხალხი თავს უძღვნიდა საერთო სიკეთეს და აკეთებდა საქმეს, რომელიც ყველაზე კარგად გამოსდიოდა. არისტოტელესთვის კი, სახელმწიფო წარმოადგენდა „ასოციაციების ასოციაციას“, რაც საშუალებას აძლევდა მოქალაქეებს ყოფილიყვნენ მართულნი და ამავდროულად ერთად ეზრუნათ საერთო კეთილდღეობაზე (Britannica.com n.d, ციტ. კობერიძე 2017).

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, „კარგი საზოგადოება“ უზრუნველყოფდა ხალხთა შორის მშვიდობასა და წესრიგს. სახელმწიფო იყო იგივე, რაც საზოგადოება- სახელმწიფო წარმოადგენდა საზოგადოებას. ცივილურობა კი იყო კარგი მოქალაქის მოთხოვნა. კლასიკოსები ამტკიცებდნენ, რომ ადამიანი იმთავითვე რაციონალურია. შესაბამისად, ადამიანებს კოლექტიურად აქვთ უნარი დახვეწონ საზოგადოება, რომელსაც მიეკუთვნებიან და უსასყიდლოდ გაერთიანდნენ საერთო იდეის გარშემო საზოგადოებაში მშვიდობის შესანარჩუნებლად. ამ შეხედულებების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ კლასიკური პოლიტიკური მოაზროვნეები აღწერდნენ სამოქალაქო საზოგადოების წარმოშობის პირველად შინაარსს. ოდნავ მოგვიანებით, ციცერონის Societas civilis (ცივილური საზოგადოების) კონცეფციის გაჟღერებასთან ერთად (ჩ.წ. 1 საუკუნე), გაჩნდა მოსაზრება ადამიანების უნარზე გაერთიანდნენ, რათა უსასყიდლოდ იმოქმედონ საერთო სიკეთის შესაქმნელად. ციცერონისთვის ეს გაერთინება ეფუძნებოდა „სამართლისა და საერთო ინტერესების შეთანხმებას“, შესაბამისად მოქალაქეთა თანამშრომლობა (societas) და კანონი წარმოადგენდნენ „სამოქალაქო საზოგადოების შეთანხმებას“ (Zetzel 1999, ციტ. კობერიძე 2017ა).

ზემო კონცეფციები შინაარსობრივად ეხმიანებიან დღევანდელი დღის სამოქალაქო საზოგადოების ან მისი შემადგენელი ნაწილების აღქმას. თანამედროვე ტერმინი „სამოქალაქო საზოგადოება“ სწორედ ციცერონის

societas civilis -დან შემოვიდა მოხმარებაში. მიუხედავად ამისა, არსებობს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რაც მკვეთრად მიჯნავს ძველ societas civilis- თანამდეროვე სამოქალაქო საზოგადოებისგან. კერძოდ, თუკი კლასიკური societas civilis აიგივებს სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოების თანამედროვე დეფინიცია სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფოს გამიჯვნას გულისხმობს. არისტოტელესა და ციცერონის განმარტება, რომ სამოქალაქო საზოგადოება არა სახელმწიფოს „ოპოზიციას", არამედ მის ერთერთ ასპექტს წარმოადგენდა გამოწვეული იყო ისტორიული მოცემულობით. არისტოტელე პოლიტიკურ საზოგადოებას მოიხსენიებდა უმაღლესს საზოგადოებად, რომელიც მოიცავდა ყველაფერს, იმ ჯგუფების ჩათვლით, ვინც გარიცხული იყო პოლიტიკური მონაწილეობიდან. შესაბამისად, მრავალფეროვანი სოციალური ორგანიზაციები (არა-მოქალაქეების-ქალების, ახალგაზრდების, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მონების ჩათვლით) ეკუთვნოდნენ პოლიტიკურ საზოგადოებას.

სამოქალაქო საზოგადოების თანამედროვე კლასიკურ განმარტებას, ჩვეულებრივ, უკავშირებენ მე-17-19 საუკუნეებს. ამ პერიოდის ავტორთათვის, როგორიცაა Hobbs, Locke, Fergusson, Rousseau, de Tocqueville ტერმინი „სამოქალაქო საზოგადოება" მოიცავდა აქტიურ დამოუკიდებელ და თავისუფალ ადამიანს და ასევე სახელმწიფოსთან გარკვეულ ურთიერთობაში მყოფ მოქალაქეებს. ავტორებს აერთიანებთ იმ პრობლემების დანახვა, რაც არსებობდა და არსებობს „კერძოსა და საჯაროს, პირადსა და სოციალურს, საჯარო ეთიკასა და ინდივიდუალურ ინტერესებს, ასევე პირად სურვილებსა და საჯარო საჭიროებებს შორის" (Seligman 1992, ციტ. კობერიძე 2017). მათ ეჭვქვეშ დააყენეს სახელმწიფოს *აბსოლუტური ბუნება* და საფუძველი ჩაუყარეს ლიბერალურ ტრადიციებს. შესაბამისად, თანამედროვე სამყაროში, სამოქალაქო საზოგადოების, როგორც ლიბერალური დემოკრატიის განუყოფელი, მაგრამ დამოუკიდებელი სეგმენტის განხილვა მნიშვნელოვნადაა განპირობებული ამ ავტორების მიერ განვითარებულ *სოციალური კონტრაქტის* თეორიით. თეორიის თანახმად, ადამიანის მორალური და/ან პოლიტიკური ვალდებულებები დამოკიდებულია ურთიერთშეთანხმებაზე (კონტრაქტზე) ჩამოაყალიბონ ის საზოგადოება, რომელშიც ცხოვრობენ. ამასთან, განმანათლებლების მიერ ხაზი ესმევა გარემოებას, რომ მძლავრი შეზღუდვების გარეშე, კონსოლიდირებული პოლიტიკური ძალაუფლება შეიძლება იქცეს ავტოკრატიად.

ზემო განმარტებები ილუსტრაციას ახდენენ ყველა დროში ნებისმიერი საზოგადოებისთვის აქტუალურ გარემოებას: როგორ დალაგდება ვერტიკალური (ხალხი-სახელმწიფო) და ჰორიზონტალური (სამოქალაქო საზოგადოება) ურთიერთობების თანაარსებობა (Seligman 1992, ციტ. კობერიძე 2017ა). მე-19 საუკუნის ბოლოს, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში კაპიტალისტური ეკონომიკის ზრდის, მარქსის ნაშრომებისა[6] და სოციალისტური მოძრაობების გაძლიერების შედეგად, ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ურთიერთობებში შემოვიდა ასევე მოქალაქეობ*ის* ცნება. მოქალაქეობა და მისი ფასეულობები, როგორიცაა

[6] კრალ მარქსი (Karl Marx 1818 – 1883), გერმანელი ფილოსოფოსი, ეკონომისტი, ისტორიკოსი, სოციოლოგი და პოლიტიკის თეორეტიკოსი. მარქსის თეორიებს კოლექტიურად უწოდებენ მარქსიზმს, რაც გულისხმობს, რომ საზოგადოება ვითარდება კლასების შორის ბრძოლის შედეგად.

ორგანიზაციის წევრობა და კოლექტიურ ცხოვრებაში მონაწილეობა გახდა სამოქალაქო საზოგადოების ახალი ფასეულობა. ამ პერიოდიდან დღემდე ვითარდება მოდელი: მოქალაქეობა უდრის სამოქალაქო საზოგადოებაში მონაწილეობას (Seligman 1992, ციტ. კობერიძე 2017ა), ხოლო სოციალური კონტრაქტი მოიცავს არა მარტო ადამიანისა და სახელმწიფოს, არამედ სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოებისა და ბაზრის კოორდინირებულ მოქმედებას.

2.2. სამოქალაქო საზოგადოება და სოციალური კაპიტალი

2.2.1. სოციალური კაპიტალის თეორიები

სოციალური კაპიტალის კონცეფცია მჭიდროდაა დაკავშირებული სამოქალაქო საზოგადოების კონცეფციასთან. მიუხედავად იმისა, რომ „საერთო ფასეულობებისა და იდეის გარშემო გაერთიანება“ ახასიათებს ორივე კონცეფციას, რაც ხშირად იწვევს ამ კონცეფციების ურთიერთ ჩანაცვლებით გამოყენებას, დემოკრატიული განვითარების კონტექსტში არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები, რაც გვაძლევს ამ კონცეფციების მეტი სიზუსტით გამოყენების საშუალებას.

მიუხედავად იმისა, რომ თავად ტერმინი „სოციალური კაპიტალი“ თითქმის საუკუნეა გამოიყენება, Putnam სოციალური კაპიტალის „აღმოჩენას“ უკავშირებს L. J. Hanifan-ს 1916 წლის ნაშრომს „The Rural School Community Center“, სადაც ავტორის მიხედვით სოციალური კაპიტალი „ის ქონებაა, რაც ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში ყველაზე მეტად ფასობს, კერძოდ: კეთილი ნება, მეგობრობა და თანადგომა და მოცემული სოციალური ერთეულის წევრ ადამიანებსა და ოჯახებს შორის სოციალური ურთიერთობა (2000, ციტ. კობერიძე 2017ა). აკადემიურ წრეებში კი სოციალური კაპიტალის არსებობის, მიზნებისა და ფასეულობების გარშემო ფართო დისკუსიები პოპულარული გახდა მე-20 საუკუნის 90-ანი წლებიდან. მაგალითად:

Pierre Bourdieu7 ანსხვავებს სამი ტიპის კაპიტალს: ა) მარქსის „რეალურ“ კაპიტალს, ბ) კულტურულ კაპიტალს და გ) სოციალურ კაპიტალს. Bourdieu განსაზღვრავს სოციალურ კაპიტალს, როგორც ‘‘არსებული და პოტენციური რესურსების ერთობლიობას, სადაც ხანგრძლივ მოქმედი ინსტიტუციონალიზებული ქსელები ცნობენ, აღიარებენ და ურთიერთობენ ერთმანეთთან“ (1986). Bourdieu-ს სოციალური კაპიტალი პირველ რიგში შედგება სოციალური ქსელებისგან, ოჯახისგან და ურთიერთობებისგან და საზოგადოებაში სასურველი ადგილის დასამკვიდრებლად მეტად მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევს კონტაქტებსა და კავშირებს, ვიდრე ეკონომიკურსა და კულტურულ კაპიტალს (1986, ციტ. კობერიძე 2017ა).

ამერიკელი სოციოლოგი James Coleman8 აღწერს სოციალურ კაპიტალს, როგორც ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობებსა და კოლექტიური ქმედების ფენომენს. მისი თეორიის მიხედვით, სოციალური კაპიტალი

---

[7] Pierre Bourdieu (1930-2002)- ფრანგი სოციოლოგი, ანთროპოლოგი და ფილოსოფოსი
[8] James Coleman (1926-1995), ამერიკელი სოციოლოგი, მკვლევარი, ჩიკაგოს უნივერსიტეტის პროფესორი და ამერიკის სოციოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი

წარმოადგენს სიკეთეს, რომელიც ექვემდებარება საერთო ეკონომიკური ურთიერთობების თეორიას და აიხსნება რაციონალური გადაწყვეტილების მოდელების ფორმატში. შესაბამისად, სოციალური კაპიტალი არის ნაცვალგებითი ურთიერთობების როგორც შედეგი, ასევე რესურსი და წარმოადგენს ინდივიდუალურ თვისებას და სიკეთეს, რომელიც იცვლება სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე (1988, ციტ. კობერიძე 2017ა).

21-ე საუკუნეში სოციალური კაპიტალის აღსაწერად ყველაზე ხშირად გამოიყენება Robert Putnam -ის ვერსია, როგორც ანალიტიკოსების, ასევე პრაქტიკოსების მიერ. Putnam -ის განმარტებით, სოციალური კაპიტალი წარმოადგენს „სოციალური ორგანიზაციის თვისებებს, როგორიცაა ნდობა, ნორმები და ქსელები, რომელსაც შეუძლიათ გამოასწორონ საზოგადოების ეფექტურობა კოორდინირებული ქმედების ხელის შეწყობით“ (1993). Bourdieu-სგან განსხვავებით, Putnam საუბრობს თანამშრომლობაზე ნაცვალგებითობის უზრუნველსაყოფად. თუკი Bourdieu სოციალურ კაპიტალს უკავშირებს ადამიანს (ან ოჯახს), Putnam- ს იგი „გადააქვს“ საჯარო სივრცეში და ისტორიული, კულტურული და ინსტიტუციური კვლევის გამოყენებით განმარტავს, რომ სოციალური კაპიტალი განაპირობებს სამოქალაქო ჩართულობის ხარისხს, ხოლო „ნაცვალგებითობისა და სამოქალაქო სოლიდარობის ორგანიზებული ქსელები“ (aka ჩართულობა სოციალური კაპიტალიდან გამომდინარე) წარმოადგენენ საზოგადოების სოციო-ეკონომიკური მოდერნიზების არა შედეგს, არამედ მის წინაპირობას (1995; The Blackwell Encyclopedia 1991, ციტ. კობერიძე 2017ა).

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ „ჩართულობის ხარისხზე“ ზემოქმედი სოციალური კაპიტალი და მისი ფორმები, ლიბერალური დემოკრატიის კონტექსტში. კერძოდ:

მიუხედავად იმ დადებითი გარემოებებისა და ფაქტორებისა, რაც დაკავშირებულია საზოგადოებაში პატნამისეული სოციალური კაპიტალის არსებობასთან, საყურადღებოა მოსაზრებები საზოგადოების დემოკრატიული განვითარების ჭრილში მოცემული სოციალური კაპიტალის პოტენციური ნეგატიური ზეგავლენის შესახებ. კერძოდ, საზოგადოება ნაკლებად მიდრეკილია განვითარებაზე თუკი მოცემული სოციალური კაპიტალის ნაწილია „ვიწრო“ (ჯგუფის შიგნით) ურთიერთობები, რაც უთანაბრდება დახურული ჯგუფის ნდობას. ამასთან, თუკი ამ ტიპის საზოგადოებისთვის დამახასიათებელია ძალადობრივი ან კრიმინალური საქმიანობა, ეს საქმიანობა მეტად ძლიერდება ისევ და ისევ ვიწრო-შიდა ჯგუფური ურთიერთობების მეშვეობით, რაც ასევე მიუღებელია დემოკრატიული განვითარებისთვის. შესაბამისად, სოციალური კაპიტალის დადებითი და უარყოფითი მახასიათებლების განსასაზღვრად წარმოიშვა თეორიები „დამაკავშირებელი“ და „შემაკავებელი“ სოციალური კაპიტალის შესახებ (bonding vis-à-vis bridging social capital) (Kapucu 2011, Dowley & Silver 2002, Foley & Edwards 1997, ციტ. კობერიძე 2017ა).

როცა საქმე ეხება არა მოკლევადიანი ამოცანების გადაჭრას, არამედ გრძელვადიანი პრობლემების აღმოფხვრას, დამაკავშირებელი სოციალური კაპიტალი (bridging social capital) ხელს უწყობს საერთო მიზნის ან/და ინტერესის ირგვლივ ადამიანთა გაერთიანებას ასოციაციაში, რადგანაც მასშტაბური მიზნის

მისაღწევად აუცილებელი ხდება ინსტიტუციონალიზაცია, რაც განპირობებულია რესურსების გაერთიანებისა და შენარჩუნების აუცილებლობით. ამასთან, დამაკავშირებელი სოციალურ კაპიტალი აერთიანებს განსხვავებულ ჯგუფებს/ასოციაციებს, რომელნიც შედიან ინტერაქციაში ერთმანეთთან და ზრდიან საერთო სოციალურ კაპიტალს.

ზემოხსენებულის საპირისპიროდ, შემაკავებელი სოციალური კაპიტალის (bonding social capital) პირობებში საზოგადოების გარკვეული („ვიწრო“) ჯგუფები იზოლაციაში იმყოფებიან ერთმანეთისგან ან საზოგადოებისგან. ასეთია, მაგალითად ქალაქის გარე უბნებში, ან ურბანული ცენტრებიდან მოშორებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის პოტენციური იზოლაცია, რადგან შემაკავებელი სოციალური კაპიტალის შემთხვევაში ეს ხალხი ბევრ დროს ატარებს იმ ადგილებისგან მოშორებით, სადაც შესაძლებელია დამაკავშირებელი სოციალური კაპიტალის განვითარება. ამ შემთხვევაში, შემაკავებელ სოციალურ კაპიტალს შეუძლია დაამკვიდროს გარკვეული „ვიწრო“ ჯგუფის ნორმები და განწყობები და საზოგადოების წევრებს უბიძგოს გაერთიანდნენ ლიბერალური დემოკრატიისთვის დამანგრეველი რადიკალური იდეის გარშემო. „ვიწრო“ ჯგუფების კავშირების გაძლიერების ნეგატიური ეფექტია, მაგალითად, ეთნიკური მარგინალიზაცია ან სოციალური იზოლაცია. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუკი სხვადასხვა ჯგუფებს შორის ურთიერთობები უკიდურესად ნეგატიურია, „ვიწრო“ ჯგუფის რადიკალიზმის გაძლიერების შედეგად დამდგარ სოციალურ იზოლაციას შესაძლებელია მოჰყვეს ეთნიკური წმენდა (Miedema 2010, ციტ. კობერიძე 2017ა).

სოციალური კაპიტალის შემსწავლელი მეცნიერები აღნიშნავენ, რომ შემაკავებელი სოციალური კაპიტალი დამაკავშირებელი სოციალური კაპიტალის „წინაპარია“. ამასთან, თუკი საზოგადოებისთვის მეტადაა დამახასიათებელი მძლავრი ჰომოგენური (შემაკავებელი) ჯგუფების არსებობა, საზოგადოების დამაკავშირებელი სოციალური კაპიტალი (ასეთის არსებობის შეთხვევაში) სუსტდება, ხოლო საზოგადოებაში შემაკავებელი და დამაკავშირებელი სოციალურ კაპიტალებს შორის არსებული ბალანსი საკმაოდ პროდუქტიულია ქვეყნის განვითარების კონტექსტში (Bollier 2001, ციტ. კობერიძე 2017ა).

ელეონორ ოსტრომმა[9] შეაჯამა ის მსგავსებები და განსხვავებები, რაც ახასიათებს სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალური კაპიტალის კონცეფციებს (Ostrom 2000; CRRC 2011, ციტ. კობერიძე 2017ა). კერძოდ:

- სოციალური კაპიტალი უფრო ფართო ცნებაა ვიდრე სამოქალაქო საზოგადოება და მოიცავს ადამიანებს შორის ურთიერთობის ფორმებს
- ‘წევრობა’ და ‘მონაწილეობა’ მოხალისეობრივ ორგანიზაციაში დამახასიათებელია ორივე კონცეფციისთვის,

[9] Eleonor Ostrom (1933-1912), ამერიკელი პოლიტიკური ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკურ მეცნიერებებში (2009) ნაშრომისთვის, სადაც გაანალიზა ეკონომიკური მმართველობა ადგილობრივ თემებში

- პირადი კონტაქტები და ურთიერთობები ახლო მეგობრებსა და ოჯახის წევრთა შორის არ წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების ნაწილს, თუმცა კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს სოციალური კაპიტალის შემთხვევაში,
- სამოქალაქო საზოგადოება განიხილება, როგორც ქცევითი და ინსტიტუციური ფენომენი, ხოლო სოციალური კაპიტალი ხაზს უსვამს "ნორმებსა" და "ფასეულობებს". ამასთან, დემოკრატიზაციის კონტექსტში, სამოქალაქო საზოგადოებად შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ და მხოლოდ „ჯგუფები, რომელნიც აღიარებენ სხვა ჯგუფების ლეგიტიმურობას, ურთიერთ-აღიარებულ საჯარო სივრცეში" .

2.2.2. სოციალური კაპიტალისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთ დამოკიდებულება

ფართოდაა აღიარებული სოციალური კაპიტალისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთმანეთზე დამოკიდებულება. თუკი სამოქალაქო საზოგადოება განიმარტება, როგორც „ნებაყოფლობითი კოლექტიური ქმედების პლათფორმა საერთო ინტერესების, მიზეზებისა და ფასეულობების გარშემო" (LSE n.d, ციტ. კობერიძე 2017) და შედგება „ფორმალურად დაფუძნებული, სამართლებრივად დაცული, ავტონომიურად მართული, მოხალისე მოქალაქეებით დაკომპლექტებული ორგანიზაციებისგან, ჯგუფებისგან და ასოციაციებისგან" (Howard 2003; CRRC 2011; კობერიძე 2017ა), ამ ტიპის ინსტიტუციების ფუნქციონირება პირდაპირაა დამოკიდებული თანამშრომლობაზე „უცხოებთან", საერთო სიკეთის შესაქმნელად (სოციალურ კაპიტალზე). შესაბამისად, ცხადია, რომ სოციალური კაპიტალი წარმოშობს სამოქალაქო ჩართულობას, ხელს უწყობს ნდობისა და თანამშრომლობის მაგალითების დამკვიდრებას, კოოპერირებას და ნაცვალგებით ურთიერთობებს. იგი ასევე ხელს უწყობს ინფორმაციის მიმოქცევას საზოგადოებაში და, შესაბამისად, აუმჯობესებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რაც ხელს უწყობს სოციალური ქსელის გაფართოებას და ანვითარებს სამოქალაქო საზოგადოებას.

განვითარების თეორიებში ასევე ფართოდ აღინიშნება სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელობა და დადებითი ზეგავლენა სოციალურ კაპიტალზე. ითვლება, რომ მოხალისეობრივი ორგანიზაციების, ჯგუფებისა და ასოციაციების არსებობა და ფუნქციონირება ანვითარებს თანამშრომლობით ჩვევებს და ქმნიან პოზიტიურ მაგალითებს. ამასთან მიმართებაში, სამოქალაქო საზოგადოების საერთაშორისო ენციკლოპედია (2010) აჯამებს და აყალიბებს ოთხ სტრუქტურულ მახასიათებელს, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს სამოქალაქო საზოგადობის ორგანიზაცია (არაფორმალური ჯგუფი, ფორმალური ორგანიზაცია ან ქსელი), იმისთვის რომ დადებითი ზეგავლენა მოახდინოს ადგილობრივ სოციალურ კაპიტალზე

და ამავდროულად იყოს მიმზიდველი და საინტერესო ინდივიდუალური ადამიანისთვის:

- ორგანიზაციის ჰეტეროგენობა და მრავალფეროვნება, რაც გულისხმობს ორგანიზაციაში და მისი საქმიანობის პროცესში განსხვავებული სოციალური ჯგუფების არსებობას. ორგანიზაციის ჰომოგენურობის შემთხვევაში ნაკლებადაა უზრუნველყოფილი ფართო საზოგადოებრივი კონტაქტები, რაც, შესაბამისად, იწვევს თემისა და საზოგადოების მიერ ნაკლებ აღიარებას.

ჰეტეროგენობის არსებობის შემთხვევაში იქმნება „დამაკავშირებელი“, ხოლო არ არსებობის შემთხვევაში „შემაკავებელი“ სოციალური კაპიტალი.

- ორგანიზაციის წევრობის ალტერნატივების მრავალფეროვნება (ორგანიზაციების დიდი არჩევანი) მნიშვნელოვანია, რადგან თუკი არ არსებობს არჩევანი სხვადასხვა ტიპის ჩართულობის შესაძლებლობებს შორის - ჯგუფის წევრობა „სავალდებულო“ ხდება. ამასთან, სოციალურ კაპიტალზე დადებითი შედეგის მოხდენაზე საუბარი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ორგანიზაციის ხელმისაწვდომობა არაა ექსკლუზიური, მას არ ყავს მხოლოდ მუდმივი წევრები, არაა სანქციები წასული წევრების მიმართ და სხვა.
- ორგანიზაციის წევრობიდან მიღებული პოტენციური სტატუსის არსებობა მნიშვნელოვანია, რადგან სოციალური კაპიტალი არ იქმნება საზოგადოების მიერ მოხალისეობრივი საქმიანობის აღიარების გარეშე. მოხალისეობრივი საქმის ინტენსიურობამ უნდა გამოიწვიოს ადამიანის სტატუსის გაძლიერება საზოგადოებაში. ამ ტიპის „სარგებელი“ წარმოადგენს სოციალური კაპიტალის ინდივიდუალურ ფასეულობას, რომელიც ვერ ჩანაცვლდება ხელფასით ან სხვა მატერიალური სარგებლით. თუკი არა-მომგებიანი საქმიანობა კომპენსირებულია ხელფასის მსგავსი დაბალი ანაზღაურებით, ამან შეიძლება ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს სტატუსზე და სოციალურ კაპიტალზე.
- ორგანიზაციის გამჭვირვალობა მნიშვნელოვანია, რადგან ის ჯგუფები ან არა-მომგებიანი ორგანიზაციები, რომელნიც ნაკლებად ურთიერთობენ საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან, როცა ფართო საზოგადოებისთვის საკმარისად ნათელი არაა მათი პოლიტიკა, იურისდიქცია თუ შემოსავლის წარმოშობა და განაწილება- ასეთი ჯგუფები თუ ორგანიზაციები ნაკლებად იღებენ დემოკრატიზაციის ეფექტს და ვერ წარმოშობენ სოციალურ კაპიტალს. ის საქმიანობა, რომელიც შეესაბამება სოციალური კაპიტალის განვითარებას პრინციპულად მოითხოვს საქმიანობის ყველა ეტაპზე გამჭვირვალობას (მაფიის კონსპირაციის, საიდუმლო საზოგადოებებისა და საგამოძიებო სამსახურების საწინააღმდეგოდ).

2.3. სამოქალაქო საზოგადოება და ასოციაციური ცხოვრება

სამოქალაქო საზოგადოების დეფინიცია შინაარსობრივად მჭიდროდაა დაკავშირებული ასოციაციურ ცხოვრებასთან, რადგან სამოქალაქო საზოგადოებისთვის ცენტრალურია მოხალისეობრივი ჯგუფების, ორგანიზაციებისა და სხვა ინსტიტუციების ერთობა, რასაც ხელს უწყობს ასოციაციური ცხოვრების კულტურა. ასოციაციების კულტურა გაიგივებულია დამაკავშირებელი სოციალური კაპიტალის არსებობასთან, მის ნორმებსა და ფორმებთან, რაც საზოგადოებას აძლევს სამართლიანობის განცდას და აღვივებს ნდობას, როგორც ხელისუფლების, ასევე ერთმანეთის მიმართ.

არისტოტელედან მოყოლებული, ფილოსოფოსები და ადამიანის ბუნების შემსწავლელი მეცნიერები თვლიან, რომ ადამიანთა უმრავლესობა, ბუნებით, *სოციალური ცხოველია* და ილტვის სხვა, მსგავსი ადამიანებისკენ. შესაბამისად, მოხალისეობრივი ასოციაციების წევრობა კაცობრიობის ბუნებრივი

მდგომარეობაა. მიუხედავად ამისა, ასოციაციების შექმნა არაა „სპონტანური“ და ისევეა ინსტიტუციური მშენებლობის ნაწილი, როგორც სახელმწიფოს ან კომპანიის მშენებლობა (Edwards 2004, ციტ. კობერიძე 2017ა). საყოველთაოდაა აღიარებული, რომ ადამიანი ერთიანდება სხვა ადამიანებთან ან ჯგუფებთან, საერთო იდეით ან საერთო პრობლემის გადასაჭრელად. ამასთან, კონსერვატორებისთვის ასოციაციები ტრადიციული მორალური ფასეულობების დამცავი საშუალებაა, ხოლო პროგრესულთათვის საზოგადოებისა და მთელი მსოფლიოს მამოძრავებელი ძალა (International Encyclopedia .. 2010, ციტ. კობერიძე 2017ა). ამის პარალელურად, სოციალური მეცნიერები შეშფოთებით აფასებენ მოცემულ საზოგადოებაში ასოციაციებსა და სოციალურ ქსელებში არაფორმალური ჩართულობის ნაკლოვანებას ან დაღმავლობას.

ფრანგი სოციოლოგი და პოლიტიკური თეორეტიკოსი ალექსი დე თოქვილის (1805-1859) მე-19 საუკუნის ერთერთი ყველაზე გავლენიანი წიგნის „დემოკრატია ამერიკაში“ (1835) მიხედვით, „თუკი ადმიანებს სურთ შეინარჩუნონ ცივილურობა, ან გახდნენ ასეთნი აუცილებელია გაუმჯობესდეს ადამიანთა ასოციაციებში გაერთიანების ხელოვნება, რაც უნდა გაუმჯობესდეს წევრთა თანასწორობის გაზრდის პროპორციულად“ (1830, 1945). მიუხედავად იმისა, რომ ასოციაციურ ცხოვრებაზე დამყარებული სამოქალაქო საზოგადოების ამგვარი აღწერა და პროპაგანდა მოხდა მე-18-მე-19 საუკუნის ევროპელი(თოქვილი და სხვა) განმანათლებლების მიერ, თავად კონცეფციამ თავი უკეთ დაიმკვიდრა შეერთებულ შტატებში. ცნობილია ამერიკელების რაციონალიზმით გამოწვეული „მუდმივი ტენდენცია შექმნან ასოციაციები“ (Tocqueville 1830, 1945), რაც მათი იდეოლოგიის ნაწილად ჩამოყალიბდა. მკვლევარების განმარტავენ იდეოლოგიის მიზეზებს და უკავშირებენ მას ასკეტურ ან სექტურ პროტესტანტულ იდეოლოგიას, რაც გულისხმობს : ა) ფასეულობებსა და რწმენაზე დამყარებული საზოგადოების წევრობას, ბ) ინდივიდუალურ ავტონომიაზე აგებულ სოციალურ სოლიდარობას, გ) ადამიანის მიერ მაღალი ხარისხის მოვალეობის გრძნობას და საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში საზოგადოების ყველა წევრის მონაწილეობის უფლებას და მონაწილეობას (Seligman 1992, International Encyclopedia ..2010, ციტ. კობერიძე 2017ა).

საინტერესოა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ირგვლივ ანალიზსა და დებატებში დღესაც დომინირებს ნეო-ტოქვილიანელების[10] მიდგომა, რაც გულისხმობს, რომ “პლურალისტული დემოკრატიის მოდელის ეფექტურობისთვის მნიშვნელოვანია მოქალაქეთა დიდი ნაწილის სხვადასხვა ასოციაციის წევრობა, რადგან ეს უკანასკნელები ნიადაგს უქმნიან პოლიტიკურ გარემოს” (International Encyclopedia.. 2010). Putnam-ის მიხედვით, „სამოქალაქო ასოციაციებს წვლილი შეაქვთ დემოკრატიული მმართველობის ეფექტურობასა და სტაბილურობაში“, რაც განპირობებულია, ერთის მხრივ, ასოციაციის „შიდა“ - ინდივიდუალურ წევრებზე ზემოქმედებითა და, მეორეს მხრივ, ასოციაციის „გარე“ ზემოქმედებით ფართო საზოგადოებაზე. “შიდა“ ზემოქმედება მოიცავს ასოციაციის წევრებს შორის კოოპერირების,

[10] ალექსის ტოქვილის მიმდევრები, მაგ. ამერიკელი პოლიტიკური მეცნიერები Rober Putnam (დ. 1941), ამერიკელი ფილოსოფოსი და პოლიტოლოგი Francis Fukuyama (დ. 1952), ამერიკელი პოლიტიკური თეორეტიკოსი Benjamin Barber (1939-1917) და სხვ,

სოლიდარობის, საერთო-მოქალაქეობრივი ჩვევების გაღვივებას („მე“ იქცევა „ჩვენ“-ად). ხოლო „გარე“ ზემოქმედება - ინტერესების აკუმულირებას და არტიკულირებას, რაც აფართოებს სამოქალაქო ჩართულობის ქსელების და ხელს უწყობს სოციალური ნდობის გაზრდას და სოციალური თანამშრომლობის ეფექტურობას (1995). ამასთან, ითვლება, რომ „დამოუკიდებელი და ხშირად კონკურენციაში მყოფი ასოციაციების მრავალსახეობის გარეშე ადამიანებს არ აქვთ რესურსი შეზღუდონ როგორც საკუთარი, ასევე სხვისი საქციელი; სოციალური გაფანტვა ქმნის გაუცხოვებისა და მღელვარების საფრთხეებს და, შესაბამისად, იწვევს ექსტრემისტულ საქციელში ჩართულობის მიდრეკილებას“ (Kornhauser 1982, ციტ. Bernan 1997). მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული დადებითი როლის შესასრულებლად აუცილებელია არაა ასოციაცია დეკლარირებულად ატარებდეს პოლიტიკურ ფუნქციას. ისეთ ასოციაციებშიც კი, როგორებიცაა, მაგ. მუსიკის, ან ფრინველთა მოყვარულთა საზოგადოება ადამიანები სწავლობენ თვით დისციპლინას, თანამშრომლობას და იზიარებენ საერთო საქმიდან მიღებულ კმაყოფილებას (Putnam 1995).

ზემოხსენებულზე დაყრდნობით, ასოციაციური ცხოვრების კულტურა ხელს უწყობს ადამიანების გაერთიანებას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში. სამოქალაქო საზოგადოება კი, თავის მხრივ, „წარმოადგენს პოლიტიკური ვირუსების ანტი დოტს. სამოქალაქო ორგანიზაციის წევრობა არა მარტო აერთიანებს ადამიანებსა და საზოგადოების დანაწევრებულ ერთეულებს და ხელს უწყობს დემოკრატიული მმართველობის უნარების განვითარებას, არამედ აკმაყოფილებს ადამიანთა საჭიროებას მიეკუთვნონ რაიმე „დაჯგუფებას“ (Bernan 1997, ციტ. კობერიძე 2017ა).

2.4. სამოქალაქო საზოგადოება, როგორც საჯარო სივრცე

„საჯარო სივრცე“ განისაზღვრება, როგორც მრავალფეროვნებისა და განსხვავებულობისთვის სასიკეთო გარემო (სივრცე). ამ სივრცეში ადამიანებს აქვთ შესაძლებლობა შეიკრიბონ და განიხილონ საკითხები, თანასწორობის პრინციპების გათვალისწინებით, და წარმოშვან ხალხის ნება ან ზეგავლენა მოახდინონ მასზე“ (Habermas 1989, ციტ. International Encyclopedia 2010). მეტად მარტივად რომ განვმარტოთ, საჯარო სივრცე ის გარემოა, სადაც საზოგადოების წევრები განიხილავენ საერთო ინტერესის საკითხებს და ქმნიან საზოგადოებრივ აზრს მოცემულ საკითხებთან მიმართებაში.

ოჯახური, ან რაიმე “ვიწყო (კერძო)” ჯგუფური სივრცისგან განსხვავებით, საჯარო სივრცე ის გარემოა, სადაც მნიშვნელობას კარგავს სოციალური და კულტურული განსხვავებები, ასევე მატერიალური მიღწევები. გამომდინარე იქიდან, რომ საჯარო სივრცის განმაპირობებელი კრიტერიუმი სწორედ განსხვავებული იდენტობის მატარებელთა ადამიანთა თანასწორობაა - იგი განიხილება სივრცედ, რაც ასტიმულირებს და კვებავს დემოკრატიისთვის აუცილებელ ინკლუზიურობას (Mohanty 2006, ციტ. International Encyclopedia 2010).

თანამედროვე დასავლურ დემოკრატიებში საჯარო სივრცის არსებობა ლეგიტიმურს ხდის ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ წესრიგს. იგი იძლევა საშულებას მოქალაქეებმა თვით-ორგანიზებულად

გამოხატონ „ხალხის აზრი“ და ამით, გარკვეულ წილად, ზეგავლენა მოახდინონ პოლიტიკაზე (Fossum et al 2007). საჯარო სივრცე მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი კეთილდღეობის საჭირბოროტო საკითხების გამოსავლენად და მათი მოგვარების როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სტრატეგიების დასახვეწად (Calhoun , ed. Edwards 2011).

საჯარო სივრცის გამომხატველი საშუალებას წარმოადგენს საჯარო კომუნიკაცია. ამ უკანასკნელის წარმართვა შესაძლებელია როგორც სხვადასხვა მედია (მაგ. გაზეთი, წიგნი, ტელევიზია, ინტერნეტი და სხვა), ასევე პირისპირ საშუალებებით: არაფორმალური საუბრები საჯარო ადგილებში (კაფეები, ქუჩები, პარკები და სხვ.), ან მოხალისეობრივი ასოციაციების (სოციალური მოძრაობები, პოლიტიკური პარტიები, ინტერესთა ჯგუფები, მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფები და სხვ) მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე. მონაწილეები ახმოვანებენ და განმარტავენ საკუთარ ინტერესებსა და მიზნებს, აწყობენ მოლაპარაკებებს, აყენებენ სოციალურ მოთხოვნებს და, პოტენციურად, გადაწყვეტილებას იღებენ საერთო ქმედებაზე. ისინი ცვლიან არგუმენტებს და ცდილობენ დაარწმუნონ როგორც ერთმანეთი, ასევე „გარე“ საზოგადოება (Fossum et al 2007).

დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში, სადაც მოხალისეობრივი ასოციაციები საზოგადოების ისტორიულ -კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია- საჯარო სივრცის საშუალებით გამართული საჯარო კომუნიკაცია ზეგავლენას ახდენს სამოქალაქო საზოგადოებაზე. საჯარო კომუნიკაციის შედეგია თუ რა ტიპის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია შეიქმნება (მაგ. ჯანდაცვის კლინიკა, გოგონების სკაუტების ჯგუფი, სხვ) და რომელი საკითხის გადაწყვეტას ეცდებიან (სიღარიბე, გარემოს დაცვა თუ სხვა). ამასთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის თავად ფორმა და სტრატეგიები ფართოდაა გაზიარებული საზოგადოებასთან სხვადასხვა ელექტრონული და ბეჭდური საშულებების დახმარებით. საჯარო დისკუსია ასევე მნიშვნელოვანია იმის გასაანალიზებლად თუ რამდენად ესა თუ ის სამოქალაქო ორგანიზაცია ან სოციალური მოძრაობა ემსახურება საზოგადოებრივ სიკეთეს.

სამოქალაქო საზოგადოება, თავის მხრივ, გვთავაზობს სოციალური ცხოვრების თვით-ორგანიზებულობას (სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციებისა და ჯგუფების საშუალებით) როგორც მცირე ზომის, ასევე კომპლექსურ და ფართო მასშტაბიან საზოგადოებებში. სამოქალაქო საზოგადოება, როგორც მამოძრავებელი ძალა „ქმნის და აფართოებს საჯარო სივრცეს ცოდნისა და თვითმყოფადობის წარმოსაჩენად, ასევე მარგინალიზებული ადამიანების/ჯგუფების ხმების გასაგონად (Mohanty 2006, ციტ. International Encyclopedia 2010).

სამოქალაქო საზოგადოებაზე დაფუძნებული საჯარო სივრცის მნიშვნელობა ეყრდნობა სამ ძირითად მტკიცებას: ა) არის საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვანია ყველა მოქალაქისთვის და ზეგავლენას ახდენს მათ ერთობლივ ცხოვრებაზე, ბ) დიალოგის, დებატებისა და კულტურული კრეატიულობის საშუალებით მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა გამოავლინონ ეფექტური მიდგომები საერთო პრობლემების გადასაჭრელად, გ) სახელმწიფოსა და მასში შემავალი უფლებამოსილი ორგანიზაციების მოწყობა შესაძლებელია ისე, რომ მათ ემსახურონ უბრალო ადამიანთა კოლექტიურ ინტერესებს (ხალხს) და არა

სახელმწიფო ძალაუფლებას, წმინდა ტრადიციულ ფასეულობებს ან მმართველთა და ელიტების პირად ინტერესებს (Calhoun , ed. Edwards 2011).

ზემოხსენებულთან მიმართებაში, ე.წ. „რევოლუციური“ სამოქალაქო საზოგადოება საჯარო სივრცეს გარდაქმნის დავის ადგილად და უპირისპირდება სახელმწიფო ძალაუფლებას მისი შეცვლის ან რეფორმირებისთვის. ამასთან, საქველმოქმედო ორგანიზაციები და მოწყვლადი ჯგუფების მხარდამჭერი მოხალისეთა ასოციაციები, არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციები, სოციალური მოძრაობები და სხვა-ქმნიან და აფართოებენ საჯარო სივრცეს საჭირბოროტო საკითხების გასახმოვანებლად და განსახილველად. საჯარო მოსმენები, ადვოკატირების კამპანიები, სადისკუსიო ფორუმები და სხვა წარმოადგენენ საჯარო სივრცის ფორმებს. ამ შემთხვევაში საჯარო სივრცე ქმნის სხვა - დამატებით სივრცეებს, სადაც შესაძლებელია ხალხის მობილიზება საკუთარი უფლებების დასაცავად და სახელმწიფოს ანგარიშვალდებულების მოსათხოვად და ასევე მედიატორის ადგილის დაკავებით, მარგინალიზებული „ხმების“ დაკავშირება გადაწყვეტილების მიმღებთან

2.5. სამოქალაქო საზოგადოების ეკონომიკური თეორია

სამოქალაქო საზოგადოების ეკონომიკური თეორია გულისხმობს, რომ სამოქალაქო საზოგადოების მრავალფეროვნება და საქმიანობა აძლიერებს ეკონომიკას. ამ კონცეფციის მიმართულებების გააზრება 1970-ანი წლებიდან დაიწყო, როცა ეკონომისტებმა ჩამოაყალიბეს რამდენიმე კონცეპტუალური განმარტება, რამაც მნიშვნელოვნად გააფართოვა სამოქალაქო საზოგადოების აღქმის არეალი.

პირველ როგში, სამოქალაქო საზოგადოების ეკონომიკური როლი მჭიდროდაა დაკავშირებული სოციალურ კაპიტალთან, სადაც ფართო სოციალური ქსელების არსებობას (დამაკავშირებელი სოციალური კაპიტალი) მოაქვთ დადებითი ეკონომიკური ეფექტი (Seligman 1995, ციტ. კობერიძე 2017ა). აქ საზოგადოებაში არსებული ურთიერთობების ფორმები და ნდობა განიხილება საზოგადოებრივ რესურსად, რომელიც უნდა იყოს დემოკრატიული და იდგეს ეკონომიკური განვითარების გარანტად. არსებობს მზარდი მტკიცებულებები იმისა, რომ სოციალური ერთობა გადამწყვეტი ფაქტორია სიღარიბის დაძლევისა და მდგრადი ადამიანური და ეკონომიკური განვითარების საქმეში“(1998; CRRC 2011, ციტ. კობერიძე 2017ა).

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკისა და სოციალური კაპიტალის პოზიტიურ კონტექსტში ბმა დაკავშირებულია 2009 წლის ეკონომიკურ მეცნიერებებში ნობელის პრემიის მფლობელის Elionor Ostrom -ის ნაშრომთან. ოსტრომის კვლევამ გამოავლინა, რომ რიგით მოსახლეობას ძალუძს შექმნას კანონები და ინსტიტუციები, რომელიც იძლევა გაზიარებული რესურსების მდგრადი და სამართლიანი მართვის შესაძლებლობას. ოსტრომის კვლევამ დაამარცხა საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტება იმის შესახებ, რომ მხოლოდ კერძო საკუთრება უზრუნველყოფს ნგრევისა და გამოფიტვისგან ამოწურვადი რესურსების დაცვას. ამის საპირისპიროდ ოსტრომმა დაამტკიცა, რომ ეს ასევე შესაძლებელია ხალხის მიერ შექმნილი

ინსტიტუციებისა (ასოციაციების) და ადგილობრივი ნორმების საშუალებით (Ostrom 2000; CRRC 2011, ციტ. კობერიძე 2017ა).

ნიშანდობლივია, რომ 21-ე საუკუნეში, სოციალურ კაპიტალზე, როგორც ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ რესურსზე ხშირად აპელირებენ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუციები და დონორები. მაგალითად, „მსოფლიო ბანკის" აზრით, პოზიტიური ფორმით გაზრდის შემთხვევაში, სოციალურ კაპიტალს შეუძლია გააუმჯობესოს დაფინანსებული პროექტის ეფექტურობა და მდგრადობა. კერძოდ, თუკი თემს შეეძლება ერთობლივი მუშაობა საერთო პრობლემის მოსაგვარებლად, ხელი შეეწყობა ადამიანების ჩართულობასა და ერთობას და გაუმჯობესდება გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება. ამასთან, „მსოფლიო ბანკის" განმარტებით, „სოციალური კაპიტალი წარმოადგენს ურთიერთობებსა და ნორმებს, ასევე (ქმნის) ინსტიტუციებს, რაც აყალიბებს საზოგადოების ინტერაქციების ხარისხსა და სიხშირეს (World Bank n.d, ციტ. კობერიძე 2017ა).

თანამედროვე სამყაროში, სამოქალაქო საზოგადოების ეკონომიკური როლის გააზრება მნიშვნელოვნადაა ბმაში შოტლანდიელი განმანათლებლის ადამ სმიტის[11] „ბუნებრივი თავისუფლების" (''natural liberty'') თეორიასთან, რაც მოიცავს თავისუფალ ბაზარს და პირადი ინტერესების პოზიტიურ ეფექტს. სმიტი ბაზარს უკავშირებდა „ბუნებრივი თავისუფლების" სისტემას და ამტკიცებდა, რომ „ნებაყოფლობითი კოლექტიური ქმედების"[12] სფერო ძალიან ფართოა და სამოქალაქო საზოგადოება შესაძლებელია იყოს გაიგივებული ბაზართან. სმიტის მიხედვით , თუკი ადამიანის ქცევა არ იქნება განპირობებული სოციალური მექანიზმებითა და ინსტიტუციური შეზღუდვებით, სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობების ბუნებრივი და სპონტანური სისტემა ჰარმონიულად იფუნქციონირებს. სმიტი უარყოფს სოციალური კონტრაქტის, ცივილიზაციისა და სხვა თეორიებს და ამტკიცებს, რომ რაციონალურობასა და მიზანმიმართულ დაგეგმვას მხოლოდ მცირე ადგილი უკავია ადამიანის ისტორიაში. ამის საპირისპიროდ, ადამიანს ამოძრავებს მყარი სოციალური წესრიგი (წყობა), რისიც უპირველესი მამოძრავებელია საკუთარი ინტერესი (International Encyclopedia… 2010). საზოგადოებისა და ეკონომიკის თვით-ორგანიზებული ბუნებიდან გამომდინარე, ორგანიზებული სახელმწიფო განიხილება სოციალური ბალანსისა და ეკონომიკური განვითარების დაბრკოლებად და პირიქით- თავისუფალი ბაზრის გაფართოვება განიხილება სამოქალაქო საზოგადოების მთავარ „დამცველად", ხელისუფლების ძალაუფლების წინააღმდეგ საქმეში.

---

[11] Adam Smith (1723–1790) შოტლანდიური განმანათლებლობის წამყვანი ფიგურა, გლაზგოს უნივერსიტეტის მორალური ფილოსოფიის ფაკულტეტის ხელმძღვანელი. ითვლება პოლიტიკური ეკონომიკის დამაარსებლად. ამასთან, მისი ნაშრომის „ერების კეთილდღეობის ბუნებისა და მიზეზების ძიება" (An Inquiry into the Nature and Causes of the Wealth of Nations (1776) წყალობით, აღიარებულია თანამედროვე ეკონომიკის „მამად" (International Encyclopedia… 2010).

[12] სამოქალაქო საზოგადობის კონცეფციის ერთერთი დეფინიცია

თანამედროვე სოციალური მეცნიერი ფრანსის ფუკუიამა[13] იზიარებს შოტლანდიელი განმანათლებლის ხედვებს და სამოქალაქო საზოგადოებად განიხილავს, როგორც ფართო სპექტრის ინსტიტუციებს, როგორებიცაა სოციალური დახმარებისა და შუამავალი ინსტიტუციები, ბიზნესის ჩათვლით, მოხალისეთა ასოციაციები, საგანმანათლებლო ასოციაციები, კლუბები, კავშირები, მედია, საქველმოქმედო ორგანიზაციები და ეკლესია. ასამთან, ამ შემთხვევაში სამოქალაქო საზოგადოება განხილულია, როგორც ადამიანთა ჩვევებზე, წესებზე და ეთიკაზე დამოკიდებული საზოგადოება (ის თვისებები, რომელთა დახვეწა შესაძლებელია მხოლოდ არა პირდაპირ, ფრთხილი პოლიტიკური მოქმედებით). ამ კონტექსტში, სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს მთავრობის მიღმა არსებულ სრულად კერძო სექტორს (ბიზნესის ჩათვლით), სადაც ადამიანების ეკონომიკური საქმიანობა წარმოადგენს „მათი ფართო სოციალური ცხოვრების მორალურ ფასეულობას". ამ შემთხვევაში სამოქალაქო საზოგადოება და კერძო ეკონომიკა ერთია და კაპიტალისტური სისტემა ანვითარებს სამოქალაქო საზოგადოებას.

მოცემული კონცეფციის აპოლოგეტებისა და მიმდევრების თეორიები საფუძვლად ჩაედო როგროც კორპორატიული ფილანტროპიის, ასევე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების კომერციონალიზაციას.[14]

2.6. სამოქალაქო საზოგადოების თეორიების კრიტიკა

თანამედროვე სამყაროში, პოლიტიკის კურსის, დემოკრატიის, სოციალური ურთიერთობებისა და სოციალური ცვლილების გაანალიზება შეუძლებელია მოქალაქეების თვით-ორგანიზების გზების, საშუალებებისა და მექანიზმების შესწავლის გარეშე. მნიშვნელოვანია რა ნორმებს აყალიბებენ მოქალაქეთა ასოციაციები, როგორ ახმოვანებენ და დაობენ იდეების ირგვლივ, აყალიბებენ ხედვასა და მიმართულებას მათი საზოგადოების/თემების მომავლისთვის (Edwards 2011).

სამოქალაქო საზოგადოების კონცეფციების სიმრავლე და განსხვავებულობა იწვევს გარკვეულ ბუნდოვანებას მისი როლისა და ფუნქციების, ასევე თავად კონცეფციაში შემავალი ერთეულების განსაზღვრებისას. ეს ბუნდოვანება, ნაწილობრივ, გამომდინარეობს სამოქალაქო საზოგადოების რომელიმე ერთი ინტერპრეტაციისადმი მიჯაჭვულობას.

ყველაზე ხშირად სამოქალაქო საზოგადოებას განმარტავენ, თოქვილისეული განმარტებით- როგორც საზოგადოების ნაწილს - მოხალისეობრივი ასოციაციების ერთობლიობას. ამ თეორიის მიხედვით, მოხალისეობრივი ასოციაციები წარმოადგენენ „კარგი საზოგადოების" „გენის გადამტანებს" (Edwards 2004, ციტ. კობერიძე 2017ა) და იმ გარემოს, სადაც ხელი ეწყობა ტოლერანტულობასა და კოოპერირებას, ასევე დემოკრატიული ცხოვრებისთვის აუცილებელი ჩვევების განვითარებას. ხსენებულთან ერთად, მოცემული

[13] Francis Fukuyama (1952) იაპონური წარმოშობის ამერიკელი ფილოსოფოსი, პოლიტოლოგი, პოლიტეკონომისტი და მწერალი. მოღვაწეობს ჯორჯ მეისონის, ჯონს ჰოფკინსისა და სტენფორდის უნივერსიტეტებში.

[14] დამატებითი ინფორმაცია იხილეთ: ფილანტროპიის შესახებ თემა 8 „სამოქალაქო საზოგადოება და ბიზნესი"; კომერციონალიზაციის შესახებ თემა 1 „სამოქალაქო საზოგადოების მიმოხილვა".

თეორია ამტკიცებს, რომ დემოკრატიული მმართველობა ძლიერდება, როცა მას უპირისპირდება მძლავრი სამოქალაქო საზოგადოება. მოცემული თეორიის ფარგლებში განმარტებული სამოქალაქო საზოგადოება წარმოშობს ორ პრობლემას, რომელიც John Keane[15]-მა შეაფასა, როგორც „საშიში, რადგან თანაბარ თავისუფლებას აძლევს დესპოტებსა და დემოკრატებს“ (ციტ. Infed.org. n/d). კერძოდ:

- მოცემული ქვეყნის რეალური ასოციაციური ცხოვრება მოიცავს ყველა ტიპის - განსხვავებული და კონკურენციაში მყოფი ფასეულობებისა და რწმენის ადამიანთა გაერთიანებებს (სპეციფიკური რწმენისა და ფასეულობებიდან გამომდინარე, პოტენციურად, ექსტრემისტულის ჩათვლით);
- არისტოტელედან ჰობსამდე სამოქალაქო საზოგადოება გაიგივებული იყო გარკვეულ იდეალებთან. ამასთან, ჩვენი რწმენები და ფასეულობების ჩამოყალიბება ხდება ყველგან, სადაც ვსწავლობთ და ვიზრდებით და სადაც ხდება აზრების გაცვლა. ეს კი მეტი სიხშირით, ვიდრე ასოციაციაში- ხდება ოჯახებში, სკოლებსა და სხვა სასწავლებლებში, სამუშაო ადგილებზე თუ პოლიტიკურ ინსტიტუციებში (Edwards 2004), რაც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ადამიანთა „იდეალებზე“. აზრების განსხვავებულობა და მრავალფეროვნება, ხშირად, ხელს უშლის არასამთავრობო სექტორსა და მოხალისეობრივ ასოციაციებს პოლიტიკური თანხმობის მიღწევაში ფართო მასშტაბიანი სოციალური რეფორმების უზრუნველსაყოფად;

ასოციაციონალიზმის მაღალ დონეს შესაძლებელია ქონდეს ნეგატიური ეფექტი ქვეყნებში, სადაც არასაკმარისად ძლიერია დემოკრატია და შესაბამისი პოლიტიკური ინსტიტუციები. ამ შემთხვევაში მეტად აქტიურ და მობილიზებულ ასოციაციებს შეუძლიათ პოლიტიკური ინსტიტუციების დათრგუნვა, რაც შესაძლებელია გადაიზარდოს ქვეყნის დესტაბილიზაციაში, ქაოსსა და ძალადობაშიც კი (Berman 1997)[16] .

თანამედროვე საზოგადოებებში იდეალებზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების არსებობასა და თავად იდეალების განხორციელებას (პოლიტიკური თანასწორობა, მშვიდობიანი თანაარსებობა და სხვა) ესაჭიროება არა მარტო მოხალისეობრივი ასოციაციების, არამედ მრავალი განსხვავებული ინსტიტუციების ძალისხმევა. ამასთან, სამოქალაქო ასოციაციების განვითარებასთან ერთად, მნიშვნელოვანია ქვეყნის პოლიტიკური ინსტიტუტების სიძლიერე და მდგრადობა.

სამოქალაქო საზოგადოება, როგორც „კარგი საზოგადოების“ თეორია მნიშვნელოვანია, რადგან იგი „ავსებს“ ზემოხსენებული პრობლემებით გამოწვეულ ნაპრალებს სამოქალაქო საზოგადოების იდეალებთან გაიგივებასთან მიმართებაში. თეორია განმარტავს მოხალისეობრივი ასოციაციების წვლილს მართებულ

---

[15] John Keane, ავსტრალიელი პოლიტიკის მეცნიერი, University of Sydney და Wissenschaftszentrum Berlin (WZB) პროფესორი და ორგანიზაციის Sydney Democracy Network (SDN) დამაარსებელი.

[16] ამის მაგალითია მე-19 საუკუნის ბოლოს, მე-20 საუკუნის დასაწყისში გერმანიის ვაიმარის რესპუბლიკის დამარცხების შემთხვევა, როცა „ქვეყნის ძირითადი პრობლემა მეტად იყო სუსტი პოლიტიკური ინსტიტუციები, ვიდრე სუსტი სამოქალაქო საზოგადოება (ასოციაციები). პოლიტიკური ინსტიტუციების სისუსტის გამო ხალხი მიენდო სხვა სტრუქტურებს. გერმანელები მიეშურნენ კლუბებში, მოხალისეთა ასოციაციებში და პროფესიულ ორგანიზაციებში, იმ იმედგაცრუებისგან თავშესაფრად, რაც ნაციონალური მთავრობისა და პოლიტიკური პარტიების წარუმატებლობამ გამოიწვია. ამით ხალხმა ხელი შეუწყო ვაიმარის რესპუბლიკის საყრდენის გამოცლას და ძალაუფლებაში ჰიტლერის მოსვლას“(Berman 1997).

კონტექსტში და წინ აღუდგება იდეოლოგიური ნიშნით საზოგადოების ერთი ნაწილის მეორეზე უპირატესად დადგომის ტენდენციას. ეს ეხება როგორც, მაგალითად მოხალისეობრივი ასოციაციების სახელმწიფოზე უპირატესობას, ასევე მაგალითად, ბიზნესის - როგროც სახელმწიფოზე, ასევე მოხალისეობრივი ასოციაციებზე უპირატესობას. თეორია თანასწორ უფლებებს ანიჭებს საზოგადოების სამივე სეგმენტს და იგულისხმება, რომ „კარგი საზოგადოების" მიზნების აღსრულებაში წარმატება დამოკიდებულია (შეთანხმებულ) სოციალურ კონტრაქტზე ხელისუფლებას, ბიზნესსა და მოქალაქეთა შორის (Edwards 2004; Edwards 2011; infed.org n/d). მიუხედავად ამისა, გამომდინარე იქიდან, რომ თეორია მოითხოვს სახვადასხვა ინსტიტუციების/სეგმენტების ერთსა და იმავე მიმართულებით კოორდინირებულ ქმედებას ჩნდება კითხვები:

- როგორ იღებს საზოგადოება გადაწყვეტილებას რომელი მიმართულებით წავიდეს და გახდება თუ არა საჭირო ამ მიმართულების შეცვლა გარკვეული პერიოდის შემდეგ, ობიექტური პირობების შეცვლასთან ერთად;
- რა პროცესი ახლავს თან კოლექტიური გადაწყვეტილების მიღებას, როგორც ხდება მოლაპარაკება და არის თუ არა იგი სამართლიანი და ეფექტური.

სამოქალაქო საზოგადოების ანალიზის პროცესში ცენტრალურია „ხალხის", როგორც სრულიად საზოგადოების კონცეფცია. ხალხის, რომელიც ზრუნავს საერთო სიკეთეზე და აქვს შესაძლებლობა მიიღოს გადაწყვეტილებები ამ სიკეთის შესაქმნელად, დემოკრატიული პროცესის მეშვეობით. საერთო ინტერესების გამოკვეთა, სხვებისთვის სივრცის დათმობა, განსხვავებულ ადამიანებთან საერთოს მოძებნა და, შედეგად, პროდუქტიულად მოქმედება წარმოადგენენ ეფექტური მმართველობის, პრობლემების პრაქტიკული გადაწყვეტისა და განსხვავებული შეხედულებების მშვიდობიანი გადაწყვეტის მნიშვნელოვან ატრიბუტებს (infed.org n/d). სამოქალაქო საზოგადოება, როგორც საჯარო სივრცე წარმოადგენს ადგილს, სადაც ადამიანები კამათობენ საჭირბოროტო საკითხებზე და არგუმენტებისა და გააზრების საშუალებით, ჯერდებიან „საჯარო ინტერესების" საკითხებზე, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ინსტიტუციურ თანამშრომლობაზე.

არსებული თეორია გულისხმობს, რომ ხალხის ინტერესები კნინდება, თუკი ისმის მხოლოდ ცალმხრივი სიმართლე, თუკი ალტერნატიული შეხედულებები მიჩქმალულია გაძევებით ან ჩახშობით, თუკი ზოგიერთი ხმა ისმის მეტად ხმამაღლა ვიდრე სხვა. შესაბამისად, მსგავსი სივრცის წარმატებულობის ხარისხზეა დამოკიდებული დემოკრატიის ხარისხი (Edwards 2004; Edwards 2011; infed.org n/d). თანამედროვე სამყაროში, როცა საჯარო პოლიტიკა სრულად (ამ მნიშვნელოვნად) პოლარიზებულია, მოცემული თეორიის სრულფასოვანი აღსრულება პრობლემური ხდება. არსებობს მოსაზრება, რომ ციფრული მედიისა და სხვა საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, საზოგადოების წევრების (მათ შორის, პოლიტიკოსების) მიერ გამოყენებული დახვეწილი მეტყველების მძლავრი ტექნიკა, რომელიც ნასესხებია თანამედროვე სარეკლამო ბიზნესისგან და შემეცნებითი მეცნიერებისგან, ეჭვის ქვეშ აყენებს თანასწორობასა და მართებულ დისკუსიას. ამერიკელი ინვესტორი და მემარცხენე პოლიტიკური

აქტივისტი George Soros ამას ხსნის ერთის მხრივ ამომრჩევლის აღქმის მანიპულირების სიმარტივით და მეორეს მხრივ კი დემოკრატიულ პოლიტიკურ დისკურსში რეალური მდგომარეობის ნაკლებად ასახვით (Soros 2007, ციტ. კობერიძე 2017ა).

შეკითხვები მასალის გასააზრებლად: მასალის გასამეორებლად:

- რას წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების კლასიკური იდეა?
- როგორ ეხმიანება სამოქალაქო საზოგადოების კლასიკური იდეა თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოების იდეას?
- რას წარმოადგენს სოციალური კაპიტალი და რა კავშირი აქვს მას სამოქალაქო საზოგადოებასთან?
- რა კავშირი აქვს სამოქალაქო საზოგადოებასა და ეკონომიკას?
- რა ხარვეზებია სამოქალაქო საზოგადოების თეორიებში, რაც იწვევს მათ კრიტიკას?

3. თემა მესამე: სამოქალაქო საზოგადოების ფორმები და შემადგენლობა

3.1. სამოქალაქო საზოგადოების ფორმები, ინსტიტუტები და აქტორები

სამოქალაქო საზოგადოების ადგილისა და როლის გასააზრებლად, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია გააზრებულ იქნას ნებისმიერი მოცემული დემოკრატიული ან დემოკრატიზაციის პროცესში მყოფი ქვეყნის სოციალური ურთიერთობების ფართო სურათი. Linz & Stepan (1996), ასევე Howard (2003) ქვეყნის სოციალური ურთიერთობების სურათს აფუძნებენ ხუთ ინტერაქტიულ და ურთიერთ დამოკიდებულ „სფეროზე“: (1) სამოქალაქო საზოგადოება, (2) პოლიტიკური საზოგადოება, (3) ეკონომიკური საზოგადოება, (4) სამართლის უზენაესობა და (5) სახელმწიფო ბიუროკრატია. სურათი 1 გვთავაზობს ხსენებული სფეროების ურთიერთ დამოკიდებულების (ინტერაქციის) ილუსტრაციას.

სურათი 1: საზოგადოების სოციალური სფერო და სექტორთა ინტერქცია.



სურათი 1 ხაზს უსვამს რამდენიმე მნიშვნელოვან გარემოებას:

- არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება პირადსა და საჯარო სივრცეებს შორის, რაც ილუსტრაციაში ნაჩვენებია მსუყე ერთგვაროვანი ხაზით, რაც აცალკევებს ოჯახურსა და სამეგობრო ქსელებს, როგორც სამოქალაქო საზოგადოებისგან, ასევე ყველა დანარჩენი ოთხი სფეროსგან. განცალკევება ხაზს უსვამს მნიშვნელოვან სხვაობას ოჯახურ და ნდობით აღჭურვილ წრეებს შიგნით სოციალურ აქტივობებსა და ამ წრის მიღმა არსებულ ორგანიზაციებთან/წრეებთან აქტივობებს შორის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არსებობს მნიშვნელოვანი ხარისხობრივი განსხვავება ოჯახისა და მეგობრების შეკრებებსა და ერთობლივ საქმიანობასა და სხვადასხვა ტიპის ადამიანთა ჩართულობით აქტივობებს შორის. მეორე შემთხვევაში, განსხვავებული და ხშირად „უცხო“ ადამიანები ერთიანდებიან საერთო მიზეზის, ნიჭის, იდეის, ინტერესისა და სხვ. ნიშნით;
- უნდა განვასხვავოთ წყვეტილი ხაზით გაყოფილი სივრცეები, სადაც ზედა მხარეს მდებარეობს ორი (სახელმწიფო ბიუროკრატია და სამართლებრივ-რაციონალური ინსტიტუციები და ორგანიზაციული პრინციპები) და ქვედა მხარეს სამი (პოლიტიკური საზოგადოება, ეკონომიკური საზოგადოება და სამოქალაქო საზოგადოება) სფერო. ნებისმიერი მოცემული დემოკრატიული ქვეყნის სახელმწიფო ბიუროკრატია და სამართლის უზენაესობა დამოკიდებულია სამართლებრივ-რაციონალურ ინსტიტუციებსა და ორგანიზაციულ (სახელმწიფო მოწყობის) პრინციპებზე. ამისგან განსხვავებით, პოლიტიკური საზოგადოება, ეკონომიკური საზოგადოება და სამოქალაქო საზოგადოება შედგება კონკრეტული ორგანიზაციებისგან და ადამიანთა ჯგუფებისგან, რომლებიც ძერწავენ და განაპირობებენ ზემო დემოკრატიული სისტემის სპეციფიკურ ხასიათს. ორმხრივი მსუყე ისარი ასახავს ამ ორი კატეგორიის ერთმანეთზე დამოკიდებულებას: სახელმწიფო ბიუროკრატია და სამართლებრივი სისტემა რაც მეტად ესადაგება სამართლებრივ-რაციონალურ პრინციპებს - მეტია ეკონომიკური, პოლიტიკური და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შექმნის თავისუფლებები და შესაძლებლობები. შესაბამისად, ამ ორგანიზაციებისა და ჯგუფების გაძლიერებასა და გავლენიანობის მატებასთან ერთად იზრდება შანსები სახელმწიფო ბიუროკრატია და სამართალი მეტად მიესადაგოს სამართლებრივ-რაციონალურ პრინციპებს.

წყვეტილი ხაზის ქვემოთ მდებარე სამი სფერო ასახავს პოლიტიკურ საზოგადოებას, ეკონომიკურ საზოგადოებას და სამოქალაქო საზოგადოებას, კერძოდ:

- პოლიტიკური საზოგადოება წარმოადგენს ე.წ. ელიტარულ პოლიტიკას, პოლიტიკურ ლიდერებსა და იმ ჯგუფებს (პოლიტიკურ პარტიებს), ვინც იბრძვის პოლიტიკური ძალაუფლებისთვის და პოლიტიკური თანამდებობებისთვის;
- ეკონომიკური საზოგადოება წარმოადგენს ბიზნეს ორგანიზაციების მრავალფეროვნებას, რომლებიც მიზნად ისახავენ ეკონომიკურ მოგებას კაპიტალისტურ სისტემაში;

- სამოქალაქო საზოგადოება გულისხმობს ორგანიზაციებს, ადამიანთა ჯგუფებსა და ასოციაციებს, რომლებიც არიან ოფიციალურად ჩამოყალიბებულნი, დაცულნი არიან კანონით, იმართებიან ავტონომიურად და სადაც ადამიანები ერთიანდებიან მოხალისეობრივ საწყისებზე[17].

ურთიერთობა ამ სექტორებს შორის მეტად კომპლექსურია. სამოქალაქო საზოგადოების ინდივიდუალურ წევრებს აქვთ შესაძლებლობა იმოქმედონ მათი ორგანიზაციის სახელით და მოხდინონ ან წინ აღუდგნენ ცვლილებას საჯარო პოლიტიკის დონეზე. როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური საზოგადოების წევრებს აქვთ შესაძლებლობა ასევე აკონტროლონ პოლიტიკა. მიუხედავად ამისა, თუკი პოლიტიკური და ეკონომიკური საზოგადოების წევრები მიზნად ისახავენ ძალაუფლებას და მოგებას, სამოქალაქო საზოგადოების წევრების „კოლექტიური ქმედება“ განპირობებულია ინდივიდუალური წევრების („ჩვეულებრივი მოქალაქეების“) ყოველდღიური ინტერესებით, საჭიროებებითა და სურვილებით (Howard 2003). მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადობის წევრები, ხშირად ცდილობენ პოლიტიკურ ზეგავლენის მოხვეჭას და მათ მუდმივად ესაჭიროებათ ფინანსური მხარდაჭერა- პოლიტიკური და ეკონომიკური საზოგადოებებისგან განსხვავებით, სამოქალაქო საზოგადოების პირველადი ამოცანა ან მიზანია არაა ძალაუფლება ან ფინანსური მოგება.

მიუხედავად ზემოხსენებული საზოგადოებების ერთმანეთთან განსხვავებისა და ერთმანეთისგან დამოუკიდებლობისა, რეალურ ცხოვრებაში ხაზები ამ სფეროებს შორის (როგორც კონცეპტუალური, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით) მეტად ბუნდოვანია. სურათი 2 ასახავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამოქალაქო საზოგადოებებს შორის ურთიერთობებსა და გადაკვეთებს, რაც ქმნის მოცემული ქვეყნის სოციალური სფეროს შიგნით მოქმედი ელემენტების მეტად ნათელ სურათს. ბუნებრივია, რომ როგორც ორგანიზაციათა ტიპები, გადაფარვების მასშტაბი ან/და თანამშრომლობა, ასევე სექტორის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩო მნიშვნელოვნადაა განპირობებული მოცემული ქვეყნის როგორც ისტორიულ-კულტურული, ასევე არსებული ეკონომიკურ-პოლიტიკური ფაქტორებით, როგორც პოზიტიურ, ასევე ნეგატიურ კონტექსტში (კობერიძე, CSRDG 2017).

ქვეყნებში, რომლებიც იზიარებენ პოსტსაბჭოთა წარსულს (მაგ. უნგრეთი, პოლონეთი, საქართველო, სლოვაკეთი და სხვ.) არსებობდა და ხშირად დღესაც არსებობს ზოგადი შეხედულება, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სრული მომსახურება ისე, როგორც ეს ხდებოდა სოციალიზმის დროს. შესაბამისად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (საზოგადოებრივი ორგანიზაციების) ჩამოყალიბების/აღდგენის/დახმარების საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ და, ხშირ შემთხვევაში, დღემდე უკავიათ საერთაშორისო დონორებსა და განვითარების სააგენტოებს.

[17] ცნობილია, რომ მრავალი ასოციაცია როგორც დასავლეთში, ასევე პოსტ-საბჭოთა სივრცეში იმართება აწაზღაურებულ პროფესიონალთა მიერ. აქვე დასაზუსტებელია, რომ ამ შემთხვევაში „მოხალისეობის“ მთავარი კრიტერიუმია „ასოციაციის წევრობის თავისუფლება“ (არ მოითხოვება კანონით) და „ასოციაციიდან გამოსვლის შესაძლებლობა სტატუსის ან საჯარო უფლებებისა და სარგებლის შეზღუდვის გარეშე (Edwards 2004)

სურათი 2: პოლიტიკური საზოგადოების, ეკონომიკური საზოგადოების და სამოქალაქო საზოგადოების ტიპები, საქმიანობის სფეროები და გადაკვეთები



ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში (საქართველოს ჩათვლით) მეტადაა გავრცელებული გარემოს დაცვის, განვითარების, ადვოკატირების, ადამიანთა უფლებების დაცვისა და მსგავსი მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, ხოლო ნაკლებად - საჯარო მომსახურების მიმწოდებლები. ამათგან განსხვავებით, დასავლეთ ევროპაში არამომგებიანი ორგანიზაციების დასაქმებაში დომინირებს სოციალური კეთილდღეობის მომსახურების გაწევა. შესაბამისად, არა-მომგებიანი ორგანიზაციების თანამშრომელთა საშუალოდ სამი მეოთხედი მუშაობს განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების ორგანიზაციებში. გვხვდება კულტურის, რეკრეაციის, გარემოს დაცვის, ადვოკატირების, ასევე ბიზნესის მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები, თუმცა მათი წილი არა-მოგებიანი ორგანიზაციების დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში გაცილებით ნაკლებია. შესაბამისად, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მოქმედებს კერძო ინიციატივების მძლავრი ტრადიცია და სამოქალაქო საზოგადოების

ორგანიზაციები იმდენად ბუნებრივად და მარტივადაა აღქმული საზოგადოების მიერ, რომ ხშირად მათი სხვა ორგანიზაციებისგან გამიჯვნა რთულდება[18].

3.1.1. არა-მომგებიანი სექტორი და არასამთავრობო ორგანიზაციები

არა-მომგებიანი ორგანიზაციები მთელს მსოფლიოში აღიარებულნი არიან მნიშვნელოვან მოთამაშეებად განვითარების, ადამიანის უფლებების, ჰუმანიტარული დახმარების, გარემოს დაცვისა და მრავალი სხვა მიმართულებებით. ეს ორგანიზაციები მეტად ცნობილნი არიან ორი განსხვავებული, თუმცა ხშირად ურთიერთ დაკავშირებული საქმიანობების ტიპებით: (ა) შეჭირვებულ ადამიანთა მომსახურება, (ბ) პოლიტიკის ადვოკატირება და (გ) სოციალური ტრანსფორმაციისთვის საჯარო კამპანიების ორგანიზება (International Encyclopedia, 2010). არა-მომგებიანი ორგანიზაციების საქმიანობა ასევე მოიცავს დემოკრატიის მშენებლობას, კონფლიქტების მოგვარებას, ადამიანის უფლებების დაცვას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, გარემოს დაცვას, პოლიტიკის ანალიზს, კვლევას, ინფორმაცის უზრუნველყოფას და სხვა.

დემოკრატიული ქვეყნებისთვის მეტადაა დამახასიათებელი არა-მომგებიანი ორგანიზაციების ჩართვა სოციალურ მომსახურებაში, ჯანდაცვაში, განათლებასა და ხელოვნებაში, ხოლო დემოკრატიზაციის პროცესში მყოფი ქვეყნებისთვის კი - სიღარიბის აღმოფხვრაში, ადამიანის უფლებების დაცვაში, ეფექტიანი მმართველობის ჩამოყალიბებაში, არჩევნების სამართლიანობაში, სამართლის უზენაესობაში, თემის განვითარებაში, კონფლიქტების მოგვარებაში და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ არა-მომგებიანი ორგანიზაციების ფუნქცია, როგორც ასეთი, არ უნდა იქნას გაიგივებული იმ სფეროებთან, რომლებშიც ორგანიზაციები საქმიანობენ. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, მიუხედავად იმისა თუ რა დარგში ან რა მიმართულებით საქმიანობს არა-მომგებიანი ორგანიზაცია, ეს უკანასკნელი ასრულებს დამაბალანსებელ ფუნქციას საზოგადოების ჯანსაღი ფუნქციონირებისთვის, სადაც მოთამაშეებად განიხილებიან როგორც სამოქალაქო საზოგადოება, ასევე ხელისუფლება და ბიზნესი.

არა-მომგებიანი ორგანიზაციები საუკუნეების მანძილზე სხვა და სხვა ფორმით არსებობდნენ, თუმცა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინეს 1980-ან და 1990-ან წლებში, საერთაშორისო განვითარების გაფართოებასთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად არასამთავრობო ორგანიზაციები მხოლოდ საერთაშორისო კონტექსტში განიხილებოდნენ და უკავშირდებოდნენ გაეროს ფორმირებას და ფუნქციონირებას, ბენეფიციარ ქვეყნებში წახალისებული და მხარდაჭერილი სამოქალაქო ორგანიზაციების (არასამთავრობო ორგანიზაციები) განვითარებასთან ერთად, დღეს ტერმინი აღარ

[18] სხვასთან ერთად, ამის მიზეზებად ექსპერტები ასახელებენ სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ იმ მომსახურების გაწევას, რასაც მანამდე სახელმწიფო კისრულობდა, ასევე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მზარდ კომერციონალიზაციას

ასოცირდება მხოლოდ საერთაშორისო დონეზე მოღვაწე ორგანიზაციებთან და მიმღებ ქვეყნებში მათი გავრცელების ტემპი დღითი დღე მზარდია[19].

არა-მომგებიანი ორგანიზაციის ორგანიზაციული სტრუქტურა შესაძლებელია იყოს დიდი და კომპლექსური და ასევე კომპაქტური და მოქნილი, მეტად ან ნაკლებად ბიუროკრატიული.

არ არსებობს ზუსტი სტატისტიკა საერთაშორისო დონეზე მოქმედი არა-მომგებიანი ორგანიზაციების რაოდენობაზე. მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემით, 2000 წელს არსებობდა დაახლოვებით 35,000 დიდი არა-მომგებიანი ორგანიზაცია[20], ხოლო სხვა დაანგარიშებით ეს ციფრი მილიონამდე ადის (International Encyclopedia, 2010). ასევე არა ზუსტია ამგვარი ორგანიზაციების დაფინანსების სტატისტიკა, რადგან არა-მომგებიანი ორგანიზაცია შესაძლებელია ფინანსდებოდეს როგორც გარედან (სახელმწიფოსგან, დონორებისგან, შემომწირველებისგან და სხვა), ასევე შიგნიდან - რესურსების შიდა მობილიზების გზით (აქტივები, საწევრო, დამხმარე ეკონომიკური საქმიანობა და სხვა). მაგ., ერთერთი წყაროს მიხედვით, 2004 წელს არა-მომგებიან ორგანიზაციებს საერთო ჯამში განვითარების დახმარებისთვის გამოეყოთ 23 მილიარდი აშშ დოლარი, ხოლო მეორე წყარო იგივე პერიოდზე ასახავს 78 მილიარდ აშშ დოლარს (International Encyclopedia, 2010).

ზუსტი სტატისტიკის არსებობას მრავალი ფაქტორი უშლის ხელს. ამის მიზეზებად შესაძლებელია აღინიშნოს როგორც მოცემული ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული ანგარიშვალდებულების სტანდარტები, დაფინანსების განსხვავებული წყაროები და გამჭვირვალების მოთხოვნები, ისევე როგორც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განსხვავებული მოხსენიება[21], რაც განპირობებულია მოცემული ქვეყნის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობითა და მოქმედი კანონმდებლობით. ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ სექტორის შიგნით არსებულ სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციების ჩამონათვალზე, არამედ სექტორის ცალკეულ ელემენტებზე, როგორიცაა, მაგალითად არა-მომგებიანი ორგანიზაცია. მაგალითისთვის, ტერმინი „არა-მომგებიანი ორგანიზაცია“ ხშირად გამოიყენება ამერიკის შეერთებულ შტატებში, რადგან ქვეყანაში ბაზრის დომინირების პირობებში, საზოგადოებრივი ორგანიზაციები სარგებლობენ ფინანსური შეღავათებით, თუკი აჩვენებენ, რომ წარმოადგენენ არა კომერციულ და მოგებაზე ორიენტირებულ, არამედ საზოგადოებრივ კეთილდღეობაზე მიზანმიმართულ ორგანიზაციას. ამავდროულად დიდ ბრიტანეთში მეტად გამოიყენება ტერმინი „მოხალისეობრივი ორგანიზაცია“ ან „ქველმოქმედება“, რაც განპირობებულია ქრისტიანულ ფასეულობებზე დამყარებული ქველმოქმედებისა და მოხალისეობის ხანგრძლივი ტრადიციით და ქველმოქმედების შესახებ კანონის შემუშავებით. ამასთან, დიდი ბრიტანეთში საქველმოქმედო სტატუსი

---

[19] მაგ. საქართველოში, შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მონაცემით 2013 წლის დეკემბერში საქართველოში რეგისტრირებული იყო 18,733 არამომგებიანი არაკომერციული იურიდიული პირი (ა(ა)იპ), ხოლო საჯარო რეესტრის 2015 წლის ივნისის მონაცემით ეს რაოდენობა 21,097-მე გაიზარდა

[20] იგულისხმება მხოლოდ დიდი ზომის საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო დახმარების პროგრამებში, მაგ. CARE International, Mercy Corps International, East West Management Institute და სხვა.

[21] დამატებითი ინფორმაცია იხ. თავში 1

მოითხოვს არასამთავრობო ორგანიზაციის აპოლიტიკურობას (პოლიტიკისგან გამიჯვნას). შესაბამისად, მაგალითად ორგანიზაცია Oxfam ფლობს საქველმოქმედო სტატუსს (შესაბამისი საგადასახადო შეღავათების ჩათვლით) ჰუმანიტარული ფოკუსიდან გამომდინარე, ხოლო Amnesty International არა, რადგან საქველმოქმედო კომისიამ ორგანიზაციის საქმიანობა ჩათვალა პოლიტიკურად (International Encyclopedia, 2010).

განვითარების პროგრამების[22] ბიუჯეტი გამოიყოფა ქვეყნებს შორის ორმხრივი და მრავალმხრივი დახმარების ფარგლებში დონორებისა და გაერთიანებული ერების სისტემის მიერ და მიზნად ისახავს მოცემული ქვეყნის (ან ქვეყნების/რეგიონების) საჭირბოროტო საკითხების მრავალი სპექტრისა და მიმართულებების მოგვარების ხელშეწყობას. ამ პროგრამების როგორც დამფინანსებლები, ასევე განმახორციელებლები არასამთავრობო ორგანიზაციები თანხმდებიან ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებზე, რაც არა მხოლოდ სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და გახორციელებაში მონაწილეობას გულისხმობს, არამედ ყველა იმ ინიციატივაში აქტიურ ჩართვას, რაც სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ პოლიტიკაზე ახდენს ზეგავლენას.

საერთაშორისო დახმარების ფარგლებში განვითარების პროგრამების განხორციელება, ჩვეულებრივ, რამდენიმე საფეხურიანია. პროგრამის განხორციელება შესაძლებელია როგორც ე.წ. „შუამავალი“ უცხოური, ასევე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის მეშვეობით, როგორც გრანტების, ასევე ტექნიკური დახმარების ფორმით. სურათი 3. წარმოადგენს განვითარების პროგრამების ფარგლებში განხორცილებული პროექტების ზოგად იერარქიას.

3.1.2. სათემო ორგანიზაციები

სამოქალაქო საზოგადოების (არა-მომგებიანი სექტორის) ერთერთ ძირეულ და მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოადგენს სათემო ორგანიზაცია. ტერმინი „თემი“ გულისხმობს ადამიანთა ჯგუფს, რომლის წევრებს აერთიანებთ იდენტობა, გეოგრაფია, ან პირადი ქსელები და სოციალური ურთიერთობები. სათემო ორგანიზაცია კი გულისხმობს ერთი ან რამდენიმე ნიშნით გაერთიანებული ადამიანების მოხალისეობრივ (წევრობაზე დაფუძნებულ) ასოციაციას. საერთო ნიშნების/კავშირების არსებობა, ხშირად, აისახება ჯგუფისთვის დამახასიათებელ საერთო ნორმებში, პრაქტიკაში, რესურსების არსებობაში და ასევე რესურსების დეფიციტში (International Encyclopedia, 2010).

[22] ”development assistance”: ქვეყნის განვითარებაზე ორიენტირებულ პროგრამები.

სურათი 3. განვითარების პროგრამების ფარგლებში განხორციელებული პროექტების ზოგადი იერარქია



დღევანდელ დღეს სათემო ორგანიზაციების უმრავლესობის საქმიანობა ეფუძნება ორ ძირითად პრინციპს: (1) საერთო საჭირბოროტო საკითხის იდენტიფიცირება და ადამიანთა ხელშეწყობა, რათა *ერთობლივად* მიმართონ საკითხის გადაწყვეტისთვის აუცილებელ ძალისხმევას და (2) ადამიანებისა და მათი კერძო ინტერესების წარმართვა საერთო იდენტობისა და ერთიანი პლატფორმისკენ, საიდანაც ისინი შეძლებენ კოლექტიურ ქმედებას (Chetkovich and Kunreuther 2006, ციტ. Edwards 2011). სათემო ორგანიზაციებად შესაძლებელია განვიხილოთ როგორც ე.წ. გრასრუტ ჯგუფები (Grassroot Groups) და სათემო განვითარების (ან მობილიზების) ორგანიზაციები (Community Development Organizations, CDOs).

3.1.3. გრასრუტ ჯგუფები

ტერმინი „გრასრუთ ასოციაცია“ შედარებით გვიან შემოვიდა მოხმარებაში, ხოლო, შინაარსობრივად იგი წარმოადგენს რომელიმე გეოგრაფიულ არეალში მცხოვრები ადამიანების წევრობაზე დაფუძნებულ ასოციაციას. Smith (2000)-ის მიხედვით, გრასრუტ ასოციაციები წარმოადგენენ „ადგილობრივად (ლოკალურად) დაფუძნებულ, მნიშვნელოვნად ავტონომიურ, მოხალისეობრივ საწყისებზე მართულ არა-მომგებიან ჯგუფებს, რომელნიც ჯგუფურად ავლენენ მნიშვნელოვან მოხალისეობრივ ალტრუიზმს და ორგანიზაციულ ფორმად ირჩევენ ასოციაციას. შესაბამისად, ყავთ მოხალისე წევრები, რომელნიც ანხორციელებენ ორგანიზაციის საქმიანობას“ (ციტ.International Encyclopedia .. 2010).

გრასრუტ ჯგუფებში გაერთიანებული ადამიანები ნებაყოფლობით, მოხალისეობრივ საწყისებზე ზრუნავენ ლოკალური პრობლემების მოგვარებასა და საერთო ინტერესების დაცვაზე. ასეთ ასოციაციებს ახასიათებთ მართვისა და ანგარიშვალდებულების უფრო დემოკრატიული და ნაკლებად იერარქიული სტრუქტურა, ვიდრე ანაზღაურებად თანამშრომლებით დაკომპლექტებულ არა-მომგებიან ორგანიზაციებს.

ამ ჯგუფებს, პრაქტიკულად არ აქვთ გარე დაფინანსება, მათთვის დამახასიათებელია ნაკლები პროფესიონალიზმი, მეტად არა ფორმალური რეკრუტირება, მეტად არაფორმალური სოციალიზაცია და ახალი წევრების ჩართვა. მიუხედავად ამისა, გრასრუტ ასოციაციებს გააჩნიათ მათთვის დამახასიათებელი როგორც სტრუქტურა, ასევე სამოქმედო პროცესის სპეციფიკური დამახასიათებელი თვისებები. ორგანიზაციები გამოირჩევიან თვითკმარობით, მართვა დამოკიდებულია მოხალისეებზე, თუმცა ყავთ არჩეული ლიდერები. წევრები თავიდანვე თანხმდებიან მიზნებზე, აქტივობებზე, პასუხისმგებლობასა და შედეგებზე. ის ორგანიზაციები, რომლებიც ერთ წელზე მეტს არსებობენ აქვთ ასევე შიდა სახელმძღვანელო განაწესი/სისტემები, რაც სხვა „ქცევის წესებთან“ ერთად მოიცავს ჯგუფის იდეოლოგიას და წევრობისთვისა და მონაწილეობის წამახალისებელ ფაქტორებს. ეს უკანასკნელი, ჩვეულებრივ, ხაზს უსვამს სოლიდარობას (სოციალური ინტერაქცია, მეგობრობა, სოციალური მხარდაჭერა), მიზნობრივ სტიმულებს (იდეოლოგიური კმაყოფილება და სპეციფიკური მიზნის მიღწევა). ამასთან, წამახალისებელი ფაქტორები არ, ან მხოლოდ მცირე დოზით მოიცავენ ეკონომიურ სტიმულებს წევრებსა და მონაწილეებისთვის (International Encyclopedia .. 2010). დასახული მიზნების მისაღწევად ამგვარი ჯგუფები ნაკლებად იყენებენ ეკონომიკურ რესურსებს და მეტად მოხალისეობრივ დროსა და მიზანდასახულობას. მიზნების მისაღწევად ჯგუფური აქტივობები, მეტ წილად, სამუშაო დროის შემდეგ - საღამოობით ან უქმე დღეებში იგეგმება.

ასეთი ტიპის ასოციაციებს ადარებენ, მაგალითად, ანონიმი ალკოჰოლიკების კლუბს აშშ-ში, მშობლების მიერ ორგანიზებულ „კლას-გარეშე“ პროგრამას და აქტივობებს, სამეზობლო სასადილოს, საგუნდო საზოგადოებას, ბინათამხანაგობის ასოციაციას და სხვ. გრასრუტ ჯგუფების შედეგიანობისა და სარგებლიანობის შესწავლა ადასტურებს, რომ მათი მეშვეობით იქმნება სივრცეები, სადაც მოქალაქეებს შეუძლიათ საკუთარ ინტერესებზე, საჭიროებებსა და პრობლემებზე ღიად ისაუბრონ და უშუალო წვლილი შეიტანონ მათ მიღწევა-გადაწყვეტაში.

საერთო ჯამში, იქნება ეს ადგილობრივი პარკის გაშენება, ტერიტორიის დასუფთავება, ასოციაციის წევრის (ან წევრთა) ინდივიდუალური პრობლემის მოგვარებაში დახმარება, გასართობი თუ სპორტული ღონისძიება-გრასრუტ ასოციაციები უზრუნველყოფენ სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობას დემოკრატიაში, ხელს უწყობენ პოზიტიურ ცვლილებას, მომსახურებას უწევენ როგორც ორგანიზაციის, ასევე თემის სხვა წევრებსაც, რითიც წვლილი შეაქვთ ეკონომიკურ სისტემაში.

3.1.4. სათემო განვითარების (ორგანიზების ან მობილიზების) ორგანიზაციები

სათემო განვითარების ორგანიზაციები წარმოადგენენ ორგანიზაციებს, რომელნიც უკეთებენ ადგილობრივი (ლოკალური) ცოდნისა და რესურსების მობილიზებას საკუთარი თემის წევრების ცხოვრების გასაუმჯობესებლად. ამ მიზნის მისაღწევად, და საჭიროების შემთხვევაში, სათემო განვითარების ჯგუფები, ადგილობრივი მატერიალური და არა-მატერიალური რესურსების მობილიზებასთან ერთად, იზიდავენ გარე რესურსებს.

სხვა მოხალისე ასოციაციების მსგავსად, სათემო ორგანიზაციები ფორმალური ორგანიზაციაა, რომელშიც ადამიანები საქმიანობენ მოხალისეობრივ საწყისებზე და გადაწყვეტილება მიიღება დემოკრატიული გზით. სათემო ორგანიზაციებს არ გააჩნიათ მკვეთრად გამოკვეთილი რაიმე იდეოლოგია ან იდეოლოგიური მიზანი. უმეტეს შემთხვევაში, სათემო ორგანიზაციებად მოიხსენიებენ ორგანიზაციებს, რომლებიც ჩართულნი არიან ე.წ. „სამეზობლოს“ ფიზიკურ განვითარებაში, თუმცა გვხვდება სათემო ორგანიზაციები, რომლებიც ზრუნავენ ზოგადად „სამეზობლოს“ სოციალური გარემოს გაუმჯობესებაზე. ასეთი მიზნებია, მაგალითად, დანაშაულის შემცირების მიზნით, ალკოჰოლური სასმელების სავაჭრო ობიექტების შემცირება/შეზღუდვა, ბავშვთა უსაფრთხოების მიზნით შუქნიშნის კონკრეტულ გზაჯვარედინზე განთავსება, სკოლებში მშობლების მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა და სხვა.

3.1.5. სოციალური ცვლილების ორგანიზაცია (Social Change Organization, SCO)

სოციალური ცვლილების ორგანიზაცია წარმოადგენს ასოციაციას, რომელიც მიზნად ისახავს, ერთის მხრივ, სოციალური (პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური) უთანასწორობების აღმოფხვრას და მეორეს მხრივ კი ამ უთანასწორობების გამომწვევ მიზეზებზე (სისტემური პრობლემები და პირობები) დადებითი ზეგავლენის მოხდენას. აღნიშნული განასხვავებს სოციალური ცვლილების ორგანიზაციებს არასამთავრობო სექტორის იმ წარმომადგენლებისგან, რომლებიც თავისი პროგრამებისა და პროექტების ფარგლებში მიზნად ისახავენ ბენეფიციარების შესაძლებლობების ზრდას, ასევე რესურსების ან/და მომსახურების უზრუნველყოფას და მიზნად არ ისახავენ იმ მიზეზების აღმოფხვრას, რაც საფუძველში უდევს შესაძლებლობების, რესურსებისა და სხვ. ნაკლებობას (International Encyclopedia .. 2010). სიმარტივისთვის, ამ ტიპის ორგანიზაციები არ გულისხმობენ საჯარო პოლიტიკის რაიმე ცვლილებას, არამედ თავად ეხმარებიან იმათ, ვიზეც ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს მოცემული პოლიტიკა.

წარმატებული სოციალური ცვლილება ზეგავლენას ახდენს საზოგადოების ძირეულ ინსტიტუციებზე, ცვლის მათ მნიშვნელობას, ასვე მმართველობისა და დაფინანსების პრინციპებს. ცნობილია, რომ სოციალური ცვლილება მეტად ესაჭიროება ისტორიულად მარგინალიზებულ ჯგუფებს. ასეთები შეიძლება იყოს ჯგუფები, რომელთა სოციალური პრობლემები არ გვარდება ხელისუფლების მიერ, რომლებზეც არ გამოიყოფა ეკონომიკური რესურსები, მოკლებულნი არიან საზოგადოების მხრიდან აღიარებისა და პატივისცემის კულტურულ ფორმებს და სხვა. შესაბამისად, სოციალური ცვლილების

ორგანიზაციების „თემები“ მოიცავს დაბალი შემოსავლის მქონე მოსახლეობას, ფერად კანიან ადამიანებს, ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებს, ქალებს, ლგბტ საზოგადოებას და სხვა.

სოციალური ცვლილების ორგანიზაცია შესაძლებელია საქმიანობდეს როგორც ერთი- რაიმე კონკრეტული საკითხის(ების) მოგვარებაზე ორიენტირებული არასამთავრობო ორგანიზაციის, ასევე სოციალური მოძრაობის ფორმით.

3.1.6. სამოქალაქო აქტივიზმი და სოციალური მოძრაობა

21 -ე საუკუნემ მკაფიოდ დაადგინა, რომ ქვეყანაში პოლიტიკური, სოციალური ან ფასეულობითი ცვლილების მიღწევა შეუძლებელია მხოლოდ ინსტიტუციურად ორგანიზებული სამოქალაქო სექტორის დახმარებით, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად დახვეწილი ან სრულყოფილია იგი და მისი საქმიანობა. ტრადიციულ თათბირობით, მაკონტროლებელ ან ლობისტურ მექანიზმებთან ერთად, დღევანდელ დღეს დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო ჩართულობას, საჯარო პოლიტიკაზე, სოციალურ ცვლილებაზე და სოციალურ ნორმათა ცვლილებაზე დადებითი ზეგავლენის მოსახდენად. სამოქალაქო ჩართულობის ერთერთ მძლავრ მექანიზმად სამოქალაქო აქტივიზმს განიხილავენ.

მე-20 საუკუნის 60-ან წლებში სამოქალაქო აქტივიზმს ხშირად აიგივებდნენ დემონსტრაციებსა და ბარიკადებზე დგომასთან, უწოდებდნენ ირაციონალურს, განიხილავდნენ ნეგატიურ კონტექსტში და, მეტ წილად, უკავშირებდნენ „იზოლაციაში მყოფი ადამიანების სურვილს გარეოდნენ მასებს, საკუთარი სოციალური მარგინალიზაციის ჩასანაცვლებლად“ (Della Porta, Diani, 1999, 2006, ციტ. კობერიძე 2017ა).

ანალიტიკოსების მიხედვით, სოციალური აქტივიზმი გამიზნულია საჭირბოროტო საკითხისადმი ყურადღების მიქცევაზე და ითვლება, რომ მსგავსი აქტიურობა, ხშირ შემთხვევაში, არაა განპირობებული კონსესუსის მიღწევის სურვილით. ამასთან ითვლება, რომ სამოქალაქო აქტივიზმი მიზნად ისახავს დაარწმუნოს და ინფორმაცია მიაწოდოს ადამიანებს, ან წამოაყენოს საჭირბოროტო საკითხი განსახილველად (Della Porta, Diani, 1999, 2006, ციტ. კობერიძე 2017ა). ამ კუთხით აქტივიზმი განიხილება, როგორც ლობირებისა და/ან დიალოგის საპირისპირო მექანიზმი. 1970-ანი წლების ამერიკელმა სოციოლოგებმა შეისწავლეს ის პროცესები, რომლის მეშვეობით ხდებოდა კოლექტიური ქმედებისთვის რესურსების მობილიზება და დაადგინეს, რომ კოლექტიური მოძრაობები წარმოადგენენ პოლიტიკური მოქმედების სტანდარტულ გაგრძელებას. ამასთან, ზემოხსენებული ნეგატიური ვარაუდები კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ევროპის ქვეყნებში სოლიდარობის მრავალი ქსელების არსებობამ (Della Porta & Diani, 1999, 2006, ციტ. კობერიძე 2017ა). აღსანიშნავია, რომ ამ მოძრაობების აქტორები პროცესში ერთვებიან საკუთარი რაციონალური ინტერესების გათვალისწინებით და, შესაბამისად, სამოქალაქო აქტივიზმის ინიციატორ ორგანიზაციებსა და მოძრაობებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ მოქმედებისთვის საჭირო კოლექტიური რესურსების მობილიზაციის კონტექსტში. „კოლექტიური მოძრაობა“ კი განისაზღვრა, როგორც მნიშვნელოვანი აქტი, რომელიც ხშირად ხელს უწყობს „აუცილებელს და სარგებლის მომტან სოციალურ ცვლილებას“ (Della Porta & Diani, 1999, 2006, ციტ. კობერიძე 2017ა). შესაბამისად, დღევანდელ

დღეს, კოლექტიური ქმედება სამოქალაქო აქტივიზმის ფორმით წარმოადგენს პოლიტიკური პროცესის ჩვეული ნაწილია.

სოციალური მოძრაობა, თავის მხრივ, სამოქალაქო აქტივიზმის ერთერთ მნიშვნელოვანი ფორმაა. Zald & McCarthy-ს (1987) განმართებით, სოციალური მოძრაობა „კომპლექსური ან ფორმალური ორგანიზაციაა, რომელიც თავის მიზნებს აღწევს სოციალური მოძრაობის ან ანტი-მოძრაობის ფორმით" (ციტ. კობერიძე 2017ა). სოციალური მოძრაობის გულისხმობს ხალხის დიდ მასშტაბიან მობილიზებას, რაც, ჩვეულებრივ, ხდება ფორმალური პოლიტიკური პროცესის მიღმა. მიუხედავად ამისა, სოციალური მოძრაობების საქმიანობას აქვს უნარი დახვეწოს პოლიტიკური პროცესი და მისგან გამომდინარე საჯარო პოლიტიკა.

სოციალურმა მოძრაობებმა თავი იჩინეს მე-19 საუკუნის ბოლოს- მე-20 საუკუნის დასაწყისში, როცა დასავლეთ ევროპის მუშათა კლასი სახვადასხვა დოზითა და ფორმით გაირიყა საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. იმ პერიოდის სოციალური მოძრაობები განპირობებული იყო არა ეკონომიკური სიდუხჭირით, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინდივიდუალური უფლების (ასოციაციის შექმნის, პროფკავშირის შექმნის, გადაადგილების, სიტყვის თავისუფლების, პოლიტიკური პარტიის შექმნის, არჩევნებში მონაწილეობისა და სხვ. უფლებების) მოპოვების სურვილით (Seligman 1992, ციტ. კობერიძე 2017ა). ისტორია იცნობს ასევე ისეთი ტიპების სოციალურ მოძრაობებს, როგორებიცაა, მაგალითად. მონობის საწინააღმდეგო მოძრაობა, ქალთა სუფრაჟისტული მოძრაობა, ნაციონალისტური მოძრაობა, გარემოს დამცველთა მოძრაობა და სხვა.

სოციალური მოძრაობა წარმოადგენს კოლექტიური ქმედების მრავალ სახეობას, რაც შესაძლებელია განსხვავდებოდეს თავისი ფორმალიზებულების ხარისხით, მობილიზაციის მასშტაბით და გამოხატვის ფორმებით. მხოლოდ ერთ საკითხზე ფოკუსირების შემთხვევაშიც კი სოციალური მოძრაობა ხშირად შეიცავს არსებული საზოგადოების ფილოსოფიურ ალტერნატივას, რადგან ცვლილების მოთხოვნა სახელმწიფოს მისამართით კეთდება. თავისი შინაარსიდან გამომდინარე, სოციალური მოძრაობებისთვის არაა უცხო სწრაფი გაფართოვება ან პირიქით- შემცირება ან გაქრობა. ასევე მობილურია მათი სტრუქტურა და სტრატეგია (International Encyclopedia .. 2010, ციტ. კობერიძე 2017ა).

ჩვეულებრივ, სოციალური მოძრაობა გულისხმობს გარკვეული ტიპის ჯგუფს (ადამიანთა ქსელი, ორგანიზაციები, სხვა), რომელიც კოლექტიური იდენტობის საფუძველზე მიზნად ისახავს საზოგადოების შეცვლას (ან ეწინააღმდეგება ასეთ ცვლილებას), ძირითადად საჯარო და კოლექტიური პროტესტის გზით (della Porta & Diani 1999, Rucht & Neidhardtm 2002, ციტ. კობერიძე 2017ა). ეს უკანასკნელი შესაძლებელია იყოს რეფორმატორული-პროგრესული, რევოლუციური - რეაქციული, თანამედროვე ან რეტროგრადული, მემარცხენე, ან მემარჯვენე, ცივილური ან არა და სხვა. თავად საპროტესტო აქციის სპექტრი ასევე ფართოა - „მეგობრული"-დან დაწყებული (მაგ. ხელმოწერების შეგროვება) და კონფრონტაციულია (მაგ. ბლოკადა) და ძალადობრივით (ფიზიკური აგრესია) დამთავრებული (International Encyclopedia, 2010, Diani 1997, Diani 1999, ციტ. კობერიძე 2017ა).

თავისი სტრუქტურით სოციალური მოძრაობა წარმოადგენს განსხვავებული ორგანიზაციების, ფიზიკური პირების, მოძრაობებისა და კავშირების კონგლომერატს, რომელიც ჰორიზონტალურად და არაფორმალურად კოორდინირებული ქსელია. აქ არ არსებობს ერთი ძირითადი ერთეული, რომელიც დომინირებს ან აკონტროლებს მთლიან მოძრაობას. ადამიანების ჩართულობის ხარისხის მხრივ, სოციალური მოძრაობა შეიძლება აერთიანებდეს როგორც მეტად თავდადებულ მონაწილეებს, ასევე „პირობით მხარდამჭერებს". ამასთან, სოციალური მოძრაობა დამოკიდებულია კოლექტიური იდენტობის შეგრძნებაზე (გაზიარებული ფასეულობები, სურვილები და პრაქტიკა) (International Encycloedia.. 2010, ციტ. კობერიძე 2017ა) და მის შემადგენელ პირებსა და ერთეულებზე, რომელნიც დროდადრო მობილიზდებიან სოციალურ ცვლილებაზე ზეგავლენის მოსახდენად. ზეგავლენის მოხდენის მცდელობა ხდება როგორც პირდაპირი (საპროტესტო საქმიანობა), ასევე არა პირდაპირი (ხალხის ინფორმირება, ლობირება, დარწმუნება, მოლაპარაკება და სხვ.) საშუალებებით (Diani 1997, ციტ. კობერიძე 2017ა).

3.1.7. სოციალური მეწარმეობა და სოციალური საწარმო

სოციალური მეწარმეობა წარმოადგენს თანამედროვე გლობალური სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის ერთერთ ინოვაციურ ფორმას (Dees 1998, ციტ. Edwards 2011). ოქსფორდის Said Business School (SBS) სოციალურ მეწარმეობას განსაზღვრავს, როგორც „პრაქტიკას, რაც აერთიანებს ინოვაციურობას, გამომგონებლობასა და შესაძლებლობას სოციალური და გარემოს დაცვის კრიტიკული საკითხების მოსაგვარებლად" (Oxford n/d). სოციალური მეწარმეობა არაა ფილანტროპია ან აქტივიზმი. სოციალური მეწარმეები „ფოკუსირებას ახდენენ იმ სისტემებსა და პრაქტიკაზე, რაც დადებითად გარდაქმნის სიღარიბის, მარგინალიზაციის, გარემოს დეგრადაციისა და ასევე თანმხლები ადამიანის ღირსების შელახვის მიზეზებს. ამ მიზნით მათ შესაძლებელია დააფუძნონ მომგებიანი ან არა-მომგებიანი ორგანიზაციები და ორივე შემთხვევაში პირველად ამოცანას წარმოადგენს მდგრადი სისტემური ცვლილების უზრუნველყოფა" (Oxford n/d).

სოციალური მეწარმეობის კონცეფცია შლის საზღვრებს საზოგადოების სოციალური ურთიერთობების აგენტებს შორის, რადგან, ხშირად მოიცავს თანამშრომლობასა და პარტნიორობას არა-მომგებიან ორგანიზაციებს, ხელისუფლებისა და ბიზნესს შორის.

Social Enterprise UK -ს მიერ სოციალური მეწარმეობის განმახორციელებელი ორგანიზაცია - სოციალური საწარმო – განისაზღვრება, როგორც „ბიზნესი, რომელიც კომერციულ საქმიანობას ეწევა სოციალური პრობლემის მოსაგვარებლად, თემების, ხალხის ცხოვრებისა და გარემოს გასაუმჯობესებლად." (Oxford n/d). შესაბამისად, სოციალური საწარმო სოციალური ეკონომიკის ოპერატორია, რომლის ძირითადი ამოცანაა სოციალური ზეგავლენა და არა მფლობელებისთვის ან მეწილეებისთვის მოგების გენერირება. სოციალური საწარმო უზრუნველყოფს გასაყიდ ეკონომიკურ პროდუქტს (საქონელსა და მომსახურებას) სამეწარმეო და ინოვაციური მიდგომით და მოგებას, უპირველესად, იყენებს სოციალური მიზნების მისაღწევად (კობერიძე 2017 ბ). უფრო მარტივად რომ განვმარტოთ, არა-მომგებიანი ორგანიზაცია ეწევა

მოგებაზე ორიენტირებულ (ეკონომიკურ) საქმიანობას, რომლიდან მიღებული შემოსავალი (მოგება) გამოიყენება არა-მომგებიანი ორგანიზაციის სოციალური მიზნებისთვის. იგივეა მომგებიანი ორგანიზაციის შემთხვევაში[23]: სრული მოგება გამოიყენება სოციალური მიზნებისთვის. ორივე შემთხვევაში მიზნის მიღწევა და შედეგი იზომება არა ფულადი სარგებლით, არამედ სოციალურ მდგომარეობაზე დადებითი ზეგავლენით.

სოციალური საწარმოს ინოვაციურობა გულისხმობს „ახალ იდეას, რაც კარგად მუშაობს სოციალური მიზნების მისაღწევად“ (Oxfrod n/d) ან „სოციალური საჭიროების რადიკალური გადაწყვეტის ახალ საშუალებას“ (British Council n/d).

სოციალური საწარმო გამოირჩევა მმართველობისა და საქმიანობის გამჭვირვალობით და საქმიანობაში აბამს ყველა იმ დაინტერესებულ პირს (თანამშრომლები, მომხმარებლები, ბენეფიციარები), რომლებზეც ახდენს ზეგავლენას კომერციული საქმიანობის მეშვეობით.

სოციალური საწარმო შესაძლებელია იყოს რაიმე საკვები ობიექტი, სადაც დასაქმებულნი არიან დაბალი შემოსავლის მქონე ან სხვა მოწყვლადი/მარგინალიზებული ჯგუფების წარმომადგენლები; პროდუქტების მაღაზია, რომელსაც საქონელს უსასყიდლოდ (ან ძალიან დაბალ ფასად) აწვდიან საქონლის მიმწოდებლები, რაც გათვლილია დაბალი შემოსავლის მომხმარებელზე და სხვა.

3.2. ასოციაციური ფორმები და ჯგუფები, რომელიც ვერ ჩაითვლება სამოქალაქო საზოგადოებად

3.2.1. „არაცივილური ასოციაციები“

ასოციაციური ფორმის ორგანიზაციებსა და ჯგუფებს, რომელნიც ვერ ჩაითვლებიან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებად, სიმარტივისთვის, უწოდებენ არა-სამოქალაქო საზოგადოებას (Uncivil Society). ტერმინი საკმაოდ ლოგიკურად ჟღერს ინგლისურ ენაზე, თუმცა დავების საგნად რჩება სამოქალაქო საზოგადოების ანალიტიკოსთა და ექპერტთა შორის. ქართული ენის სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ ტიპის ორგანიზაციებს ვუწოდებთ არაცივილურ ასოციაციებად. Rumford (2001)-ის მიხედვით, არა-ცივილური ასოციაციები „ის დამანგრეველი, არა სასურველი და საშიში ელემენტებია, რომელნიც აღმოცენდნენ ინდივიდისა და სახელმწიფოს შორის სივრცეში“ (ციტ. International Encyclopedia… 2010). ტერმინის ან/და მცნების შემოღება განაპირობა საზოგადოებაში ისეთი ასოციაციური ჯგუფების არსებობამ, რომელნიც თავისი ფორმით ესადაგებიან სამოქალაქო საზოგადოების დეფინიციას (საერთო მიზნის მისაღწევად გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფების პლატფორმა), თუმცა ვერ

[23] ევროპის ქვეყნებში გავრცელებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს (შპს) ან კოოპერატივის (და არა არა-მომგებიანი ორგანიზაციის) სტატუსით მოქმედი სოციალური საწარმოები. მიუხედავად სტატუსისა, მოგება გათვალისწინებულია სოციალური მიზნების მისაღწევად.

ჩაითვლებიან კლასიკური გაგებით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებად თავისი „არა-ცივილურობიდან“ გამომდინარე .

არა-ცივილური ასოციაციების დამახასიათებელ თვისებად ყველაზე ხშირად მოიხსენიებენ ძალადობას, ასევე ე.წ. „ექსკლუზივიზმს“ და ფუნდამენტალიზმს. „ექსკლუზივიზმი“ გულისხმობს სხვა (მეტ წილად, ეთნიკური ან რელიგიური) ჯგუფების ლეგიტიმურობის არ აღიარებას, ხოლო ფუნდამენტალიზმი კი მცდელობას „ფართო ჯგუფებს ძალდატანებით თავზე მოახვიონ საკუთარი ხისტი დოქტრინა“ (Kaldor & Muro 2003, ციტ. International Encyclopedia… 2010). მოხსენიებული დეფინიციები შესაძლებელია იგივე წარმატებით შეეხოს როგორც ნაციონალიზმის, ასევე რადიკალურ სეკულარიზმისა და ნეო-ლიბერალიზმის ჯგუფურ გამოვლენებს.

გამომდინარე იქიდან, რომ ფასეულობათა სისტემის შინაარსი და გამოვლინება შესაძლებელია განსხვავებული იყოს სხვადასხვა ისტორიულ, კულტურულ, გეოგრაფიულ, თემურ და სხვ. პირობებში (როგორც მოცემულ სეგმენტებს შორის, ასევე ერთეულების შიგნით), რაც სადავოს ხდის არა-ცივილური ასოციაციათა ერთობლიობის კონცეფციას , სამოქალაქო საზოგადოების ანალიტიკოსების მიერ ტერმინი uncivil society გამოიყენება იმ შემთხვევაში, როცა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის დეფინიციას „მორგებული“ ასოციაცია ეწინააღმდეგება ლიბერალურ დემოკრატიულ ღირებულებებს და უგულებელყოფს კანონს .

შეკითხვები მასალის გასააზრებალად:

- როგორია სამოქალაქო სექტორის ექო-სისტემა და სად ხდება გადაკვეთები ხელისუფლებასა და ბიზნეს საზოგადოებებთან?
- როგორი ფორმ(ებ)ითაა შესაძლებელია ფუნქციონირებდეს სამოქალაქო ორგანიზაცია?
- შესაძლებელია თუ არა არა-მომგებიან ორგანიზაციას ქონდეს მოგება და რა პირობით?
- რას წარმოადგენს არა-ცივილური ასოციაციები და რა არის გადამწყვეტი პირობა ამ სტატუსის მისანიჭებლად?

4. თემა მეოთხე: სამოქალაქო საზოგადოების ზეგავლენა და წვლილი

4.1. სამოქალაქო საზოგადოება და დემოკრატია

ოქსფორდის ინგლისური ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, დემოკრატია წარმოადგენს „მმართველობას ხალხის უმრავლესობის მიერ; მმართველობა, რომელშიც უზენაესი ძალაუფლება ჩადებულია ხალხში და ხორციელდება მათ მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ, წარმომადგენლობითი სისტემის საშუალებით (2010, ციტ. კობერიძე 2017ა). ამერიკელი პოლიტიკური მეცნიერის Diamond -ის მიხედვით, დემოკრატია შედგება ოთხი ძირითადი ელემენტისგან: 1) თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების საშუალებით მთავრობის არჩევისა და გამოცვლის პოლიტიკური სისტემა, 2) ხალხის, როგორც მოქალაქეების პოლიტიკურ და სამოქალაქო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა, 3) ყველა მოქალაქის ადამიანის უფლებათა დაცვა და 4) სამართლის უზენაესობა, რომელშიც კანონი და პროცედურები თანაბრად ეხება ყველა მოქალაქეს (2004) (კობერიძე 2017ა).

როგორც აღინიშნა, წარმომადგენლობითი სისტემა, რომელიც „მთავრობის არჩევასა და გამოცვლას“ არჩევნების საშულებით გულისხმობს, ფართოდაა აღიარებული, როგორც დემოკრატიის უმთავრესი კომპონენტი. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების „თავისუფლება და სამართლიანობა“ არათანაბარია სხვადასხვა ქვეყნებში, ქვეყანაში არჩევნების არსებობა პოლიტიკური ცხოვრების დიდ უპირატესობად ითვლება. ფართოდაა აღიარებული, რომ დანარჩენი სამი კომპონენტის არსებობისთვის აუცილებელია ქვეყანაში ძალაუფლების დაყოფა აღმასრულებელ, სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლებად, რაც, ძველი საბერძნეთიდან მოყოლებული, სახელმწიფოს მმართველობის მეტად მისაღებ ფორმად ითვლება (კობერიძე 2017ა).

მიუხედავად ამისა, ისტორიის მანძილზე ხშირად ისმის კითხვა: არის კი ლიბერალური დემოკრატიისთვის დამახასიათებელი წარმომადგენლობითობა და ძალაუფლების გაყოფა საკმარისი იმისთვის, რომ ქვეყანაში „ხალხმა იბატონოს“ [24] , „დაცული იყოს ყველა ადამიანის უფლება“ და „ყველა მოქალაქესთვის თანაბარი სამართლის უზენაესობა“? და რაც მეტად მნიშვნელოვანია, როგორ უნდა იქნას უზრუნველყოფილი „ხალხის, როგორც მოქალაქეების პოლიტიკურ და სამოქალაქო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა? (კობერიძე 2017ა)

როგორც მე-17-18-ე საუკუნეების ამერიკული დემოკრატიის მამები, ასევე მე-19-21-ე საუკუნის მეცნიერები, პოლიტიკოსები და ანალიტიკოსები წარმომადგენლობითი (არჩევითი) დემოკრატიის

[24] ბერძნული: δημοκρατία (*dēmokratía*) "ხალხის ბატონობა“

მექანიზმს აკრიტიკებდნენ „უმრავლესობის ტირანიის“ საშიშროების გამო[25]. ცხადია, რომ წარმომადგენლობითი დემოკრატიის პირობებში მოსახლეობის უმრავლესობით არჩეული წარმომადგენლები მართავენ არა მარტო საკუთარ ელექტორატს, არამედ იმათაც, ვინც ხმა სხვა პოლიტიკურ პარტიას მისცა. ამ შემთხვევაში, უმრავლესობის მიერ არჩეული ხელისუფლება და მათი გადაწყვეტილებები/საქმიანობა უპირატესად ასახავს იმ ხალხის ნებას, ვინც ისინი აირჩია. ამასთან, ყურადღების მიღმა რჩებიან არა მხოლოდ მოქალაქეები, რომლებმაც ხმა მისცეს სხვა პოლიტიკურ პარტიას, არამედ საზოგადოების შიგნით არსებული „ვიწრო“ ჯგუფები (განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური, რასობრივი, სექსუალური ან სხვა უმცირესობები). შესაბამისად, უმრავლესობის ინტერესები უპირატესია უმცირესობების ინტერესებისა (კობერიძე 2017ა). ზემოხსენებულთან ერთად, მე-20 საუკუნის ბოლოდან დღემდე მრავალმა ახლად დემოკრატიულმა ქვეყანამ დანერგა კონკურენტული არჩევნების სისტემა, თუმცა ვერ მოახერხეს წარმომადგენლობითი და ხალხის საჭიროებებზე რეაგირებად მთავრობების ჩამოყალიბება, რაც აისახა მოქალაქეების მხრიდან უნდობლობასა და უკმაყოფილებაში (Warren, ed. Edwards 2011).

იმის გაანალიზებისას თუ რა უნდა გაკეთდეს, რათა დაცულ იქნას ლიბერალური დემოკრატიის უმთავრესი პირობის- „ხალხის, როგორც მოქალაქეების პოლიტიკურ და სამოქალაქო ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის“ უზრუნველყოფა (კობერიძე 2017), მნიშვნელოვანია იმის გააზრება თუ როგორ უნდა მოახერხონ ადამიანებმა თვით ორგანიზება, რათა ჩამოაყალიბონ საკუთარი ინტერესები და აზრები და მიაწვდინონ ხელისუფლებას, აიძულონ მთავრობა იყოს ანგარიშვალდებული და გაერთიანდნენ საერთო სიკეთის მისაღწევად (Warren, ed. Edwards 2011).

მოცემულ კონტექსტში ცხადი ხდება, რომ დემოკრატიისთვის არჩევნები მნიშვნელოვანია, თუმცა არჩევითი სისტემის დემოკრატიული ფუნქციონირებისთვის საკვანძოა ქმედითი სამოქალაქო საზოგადოების არსებობა (Dahl 2000, ციტ. Warren, ed. Edwards 2011). მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაცია Freedom House[26], რომელიც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იკვლევს სამოქალაქო-პოლიტიკური თავისუფლებებსა და უფლებებს, ქვეყნების შეფასებისას, განსხვავებულ კრიტერიუმებს უყენებს და განასხვავებს „არჩევით დემოკრატიას“ და „თავისუფალ ქვეყანას“. 2010 წლის ანგარიშის მიხედვით, 26 ქვეყანა კვალიფიცირებულია Freedom House-ის მიერ, როგორც „არჩევითი დემოკრატიის“, თუმცა არა „თავისუფალ“ ქვეყანად, რადგან ისინი საკმარისად ვერ უზრუნველყოფენ დემოკრატიული ინსტიტუტების უკეთესად ფუნქციონირებისთვის მოქალაქეთა თვით-ორგანიზების შესაბამის სასიკეთო გარემოს. ამასთან, დემოკრატიისა და სამოქალაქო

[25] ტერმინი „უმრავლესობის ტირანია“ პირველად ამერიკის შეერთებული შტატების მეორე პრეზიდენტმა, ჯონ ადამსმა 1788 წელს გამოიყენა. ტერმინი ფართოდ დამკვიდრდა მას შემდეგ, რაც ალექსის თოქვილმა 1835 წელს ამ ტერმინით დაასათაურა წიგნის თავის ნაშრომში „დემოკრატია ამერიკაში“ . დამატებითი ინფორმაცია იხ. ტერმინთა განმარტებაში

[26] დაარსდა 1947 წელს აშშ-ში,. ფინანსდება ძირითადად აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და აშშ-ის საინფორმაციო სააგენტოს (USIA), ასევე სხვადასხვა კერძო ფონდების მიერ (მაგ. „Soros Foundations“, „Ford Foundation“, „National Endowment for Democracy“, „Eurasia Foundation“ და სხვ.)

საზოგადოების ურთიერთ ზეგავლენის კუთხით მნიშვნელოვანია ითქვას, რომ მხოლოდ ქმედით დემოკრატიას შეუძლია წარმოშვას ეფექტური სამოქალაქო საზოგადოება და მხოლოდ დემოკრატიულ საზოგადოებას შეუძლია უზრუნველყოს ქმედითი დემოკრატია (Walzer 1998, ციტ. Howard 1995; Edwards 2009; კობერიძე 2017ა).

დემოკრატიის ინსტიტუციები, ორგანიზაციები და პრაქტიკა მხოლოდ მაშინ ითვლება დემოკრატიულად, თუკი მათზე შესაძლებელია ზეგავლენის მოხდენა ხალხის მხრიდან. დემოკრატია არ ნიშნავს არჩევნებზე ხმის მიცემის შედეგად, პოლიტიკური პროდუქტის „შესყიდვას", არამედ გულისხმობს პოლიტიკურ დისკუსიასა და პროცესში ჩაბმას ისეთი გზებითა და ფორმებით, რაც დამახასიათებელია და შესაძლებელია კომპლექსურ საზოგადოებაში (Ferrara n.d, ციტ. კობერიძე 2017ა).

სამოქალაქო საზოგადოების როლის დანახვა პოლიტიკურ დისკუსიასა და პროცესში ჩართულობის უზრუნველსაყოფად რამდენიმე მიმართულებითაა შესაძლებელი (Warren, ed. Edwards 2011). კერძოდ:

- დემოკრატია დამოკიდებულია ინდივიდუალურ ადამიანებზე, რომელთაც (არჩევნებში მონაწილეობასთან ერთად) აქვთ დემოკრატიული მოქალაქეობის შესაძლებლობები. ადამიანების უნდა შეეძლოთ გაათვითცნობიერონ და ფორმულირება გაუკეთონ საკუთარ ინტერესებსა და ფასეულობებს; ქონდეთ საკმარისი ინფორმაცია და განათლება, რათა საკუთარი ინტერესები და ფასეულობები შეუფარდონ კოლექტიურ გადაწყვეტილებასა და ორგანიზაციას; ქონდეთ პოლიტიკური უნარები, რათა მონაწილეობა მიიღონ კოლექტიურ გადაწყვეტილებაში დემოკრატიისთვის დასაშვები საშუალებებით. ამასთან, სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს „დემოკრატიის სკოლას" (Tocqueville 1969), სადაც შესაძლებელია ადამიანთა ინფორმირება, განათლება, პოლიტიკური აქტიურობის წახალისება, მოლაპარაკების კულტურის აღზრდა და ასევე სამოქალაქო ღირსების (ტოლერანტობა, ნდობა, სხვისი პატივისცემა, ნაცვალგებითობა და სხვ.) თვისებების განვითარება;
- ქვეყანაში არსებული კანონები და გადაწყვეტილებები ზეგავლენას ახდენენ საზოგადოებაზე. ამ შემთხვევაში სამოქალაქო საზოგადოება ფუნქციონირებს, როგორც სოციალური ინფრასტრუქტურა, სადაც ხდება საჯარო გადაწყვეტილებების განხილვა და ლეგიტიმურობით აღჭურვა. ეს უკანასკნელი გამომდინარეობს ორი წყაროდან. პირველი გულისხმობს საზოგადოების ჩართვას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამ შემთხვევაში სამოქალაქო საზოგადოების ასოციაციები არიან საზოგადოებრივი (მათ შორის დაინტერესებული მოქალაქეთა სეგმენტის) აზრის „გამტარები", ინტერესებისა და ფასეულობების ფორმულირებისა და ადვოკატირების საშუალებით. ამასთან, ლეგიტიმაციის მეორე წყაროს წარმოადგენს თავად საჯარო განხილვა, რომლის საშუალებით ყალიბდება საზოგადოებრივი აზრი. ამ შემთხვევაში, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები გარანტირებულად

უზრუნველყოფენ განხილვებს საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებით, საჯარო განხილვების პროვოცირებით და საჯარო მოხელეებისა და ინსტიტუციების მონიტორინგით;

- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს აქვთ ინსტიტუციური ფუნქცია, რაც მნიშვნელოვანია დემოკრატიის ფუნქციონირებისთვის. სექტორის ორგანიზაციები საკუთარ თავზე იღებენ წარმომადგენლობით ფუნქციებს და არჩევნებიდან არჩევნებამდე პერიოდებში აკავშირებენ საჯარო მოხელეებს ამომრჩეველთან. უფრო მეტიც, ორგანიზაციები აძლევენ ტრიბუნას ალტერნატიულ აზრებსა და ოპოზიციას და, ხშირად, თავად აყალიბებენ ამომრჩეველს.

4.2. სამოქალაქო საზოგადოება და სიღარიბე

იმის გასაანალიზებლად თუ რა როლს ასრულებენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები სიღარიბის დაძლევაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვრებს გარეთ- მნიშვნელოვანია შეთანხმება იმაზე, თუ რას გულისხმობს „სიღარიბე“. გლობალური სიღარიბის დეფინიციები მოიცავენ სოციალური უთანასწორობის მრავალ ასპექტებს, როგორებიცაა შემოსავლის ნაკლებობა (მაგ. „აშშ დოლარი/დღე“ კონცეფცია), საბაზისო მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობა, შესაძლებლობების და შესაძლებლობების განვითარების ნაკლოვანება მრავალი მიმართულებით (განათლება, დასაქმება, სოციალური მონაწილეობა, ჯანმრთელობა, სხვ.), ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაუცველობას და მრავალი სხვა (International Encyclopedia… 2010; Ibrahim & Hulme, ed. Edwards 2011). მაგალითად, მსოფლიო ბანკისა (World Bank)[27] და საერთაშორისო სავალუტო ფონდის (International Monetary Fund[28]) ინიცირებით, 1999 წელს შემუშავებული სიღარიბის შემცირების სტრატეგიის ჩარჩო, რომელიც გამოიყენება მონაწილე ქვეყნების მიერ მოიცავს მოცემული ქვეყნის მაკროეკონომიკურ, სტრუქტურულ და სოციალურ პოლიტიკასა და პროგრამებს, რამაც შესაძლებელია ხელი შეუწყოს განვითარებას და შეამციროს სიღარიბე.

მიუხედავად იმისა რომ, გლობალიზაციის პირობებში, საერთაშორისო დახმარების სააგენტოები მეტ ყურადღებას უთმობენ სიღარიბის დაძლევას, ვიდრე თვით-ორგანიზებად ასოციაციები და მოძრაობები, 1990-ნი წლებიდან დღემდე არსებობს გლობალური კონსესუსი იმის თაობაზე, რომ (ა) უცილებელია სიღარიბის დაძლევა და (ბ) როგორც საერთაშორისომ, ასევე ადგილობრივმა სამოქალაქო საზოგადოებამ გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს სიღარიბის დაძლევაში, თემების

---

[27] მსოფლიო ბანკი (World Bank) საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაცია, რომლის შექმნის მიზანია განვითარებადი ქვეყნების ფინანსური და ტექნიკური დახმარება.

[28] საერთაშორისო სავალუტო ფონდი (International Monetary Fund) — საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებული დაწესებულების სტატუსი აქვს მინიჭებული. ორგანიზაცია მიზნად ისახავს გლობალური ფინანსური სისტემის უზრუნველყოფას უცხოური გადაცვლის კურსების და საგადამხდელო ბალანსის მონიტორინგის მეშვეობით. ის ასევე საჭიროებისამებრ სთავაზობს ტექნიკურ და ფინანსურ დახმარებას განვითარებად ქვეყნებს.

მობილიზების, მომსახურების მიწოდებისა და საჯარო პოლიტიკის დახვეწის საშუალებებით. ამასთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შეუძლიათ წვლილი შეიტანონ სიღარიბის შემცირებაში მაკრო (გლობალურ) დონეზე სტრუქტურული ცვლილებების ადვოკატირების, ეროვნულ დონეზე პოლიტიკის ცვლილების ლობირებისა და ადგილობრივ დონეზე ღარიბთა ეფექტური დახმარებითა და მომსახურების მიწოდებით.

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები დღემდე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ჰუმანიტარული დახმარების საქმეში, ჰუმანიტარული დახმარება, თავისი შინაარსით, წარმოადგენს მოკლევადიან ჰუმანიტარულ საქმიანობას, რაც გამიზნულია უშუალოდ ბენეფიციარების „სიცოცხლის გადარჩენაზე, ტანჯვის შემსუბუქებაზე და ადამიანთა ღირსების შენარჩუნებაზე ადამიანების მიერ შექმნილ კრიზისისა და ბუნებრივი კატასტროფების დროს და შემდგომ“ (Development Initiatives n/d). ამის საპირისპიროდ, ადვოკატირება, ლობირება პოლიტიკის ცვლილებისთვის და მომსახურება წარმოადგენენ სიღარიბის დაძლევის მეტად მდგრად მექანიზმებს[29].

4.3. სამოქალაქო საზოგადოება და მშვიდობა

სამოქალაქო საზოგადოების (civil society) მშვიდობაზე (peace ან peace-building) ზეგავლენის გასააზრებლად მნიშვნელოვანია, როგორც ერთი, ასევე მეორე კონცეფციის დაზუსტება.

სიტყვა civil როგორც ინგლისურ, ასევე ქართულ ენებში გულისხმობს „ცივილურს“ და ასევე „სამოქალაქოს“. *ცივილურობა* მიუთითებს ზრდილობასა და თავაზიანობაზე, რაც დასავლური განმანათლებლობის დროს გაიგივდა „ცივილურობის“ იდეალებთან. ამასთან, ეს იდეალები, თავის მხრივ, განასხვავებდნენ ევროპას „არა-ცივილურ- სხვა“ სამყაროსგან, სადაც „ეპითეტი ცივილური ან დახვეწილი იყო „თანამედროვე ერის“ აღმნიშვნელი, „ბარბაროსული ან უხეში“ ერებისგან განსხვავებით, მათ მიერ ძალადობის დისკრეციული გამოყენების გამო“ (Ferguson, ციტ. Pearce, ed. Edwards 2011). „თანამედროვე ერებად“ ნაგულისხმები იყო შუა საუკუნეებში ოცწლიანი ომის დასრულების შემდეგ შექმნილი ევროპული სახელმწიფოები, სადაც თავადაზნაურობამ დაკარგა მეომარი ფუნქცია და, სახელმწიფოების გაძლიერების კონტექსტში, წარმოიშვა ეკონომიკური და სოციალური ურთიერთ დამოკიდებულება. ამ კულტურამ მოიცვა სხვა სოციალური ჯგუფებიც და სახელმწიფო ძალაუფლების ინსტიტუტების გაძლიერებიდან გამომდინარე, ამაღლდა სოციალური ცხოვრების უსაფრთხოების დონე, რამაც გამოიწვია ერთმანეთზე სოციალური დამოკიდებულება (Pearce, ed. Edwards 2011). მარტივად რომ განვმარტოთ, საზოგადოებაში ძალადობის შემცირება მხარდაჭერილი იყოს ეკონომიკური სტიმულებით და ჩამოყალიბდა „სოციალური ინსტიტუციების მიერ გამყარებული ცხოვრების წესის კულტურული მოდელი“ (Elsner 2008 , ციტ. Pearce, ed. Edwards

[29] მექანიზმების შესახებ ინფორმაცია იხ. ქვემოთ

2011). ეს ცხოვრების წესი (ცივილურობა) ასევე გულისხმობს სამართლის უზენაესობას და ისეთი მარეგულირებელი მექანიზმების არსებობას, რაც მოქალაქეებს აძლევს სრულფასოვანი ცხოვრების საშუალებას და იცავს მათ ძალის თვითნებური გამოყენებისგან. ამავე დროს, *სამოქალაქო* გულისხმობს ხელისუფლების მიღმა არსებულ „ჩვეულებრივ“ სამოქმედო არენას, რაც თავდაპირველად გულისხმობდა სამხედრო და რელიგიური ძალაუფლებისგან ავტონომიას. ტერმინის დაბადებისას, ეს იქნებოდა არენა, რომელიც დაამარცხებდა აბსოლუტიზმს და დესპოტიზმს, ხოლო მე-20 საუკუნის ბოლოს- ავტორიტარიზმს, ტოტალიტარიზმს და მილიტარისტულ სახელმწიფოებს.

სიტყვას „მშვიდობა“ Merriam-Webster ლექსიკონი განმარტავს, როგორც ა) სიმშვიდეს, რაც გულისხმობს სამოქალაქო ღელვების არ არსებობას, საზოგადოების უსაფრთხოებას ან წესრიგს, რაც გარანტირებულია კანონით ან ტრადიციით და ბ) ომის არ არსებობას (n/d).

პირველ შემთხვევაში, „მშვიდობა“ უნდა განვიხილოთ, როგორც ადამიანებისთვის ძალადობისგან თავისუფალი საცხოვრებელი პირობების შექმნის პროცესი, ხოლო მეორეში - ფაქტობრივი ომის არ არსებობა. როგორც ერთი, ასევე მეორე, შინაარსობრივად, ემსახურება საერთო სიკეთესა და კეთილდღეობას, შესაბამისად, სამოქალაქო საზოგადოებას და მშვიდობას ბევრი საერთო აქვთ. სამოქალაქო საზოგადოება შესაძლებელია განვიხილოთ იმ ფასეულობათა და საქმიანობათა კონტექსტში, რომლებიც ხელს უწყობს მშვიდობის დამყარებას, სიტყვის ორივე მნიშვნელობით.

ძალადობისგან თავისუფალი სიცოცხლის *პირობების შექმნის პროცესი (სიმშვიდე)* მოითხოვს განსხვავებულ ხედვებისა და არგუმენტების წამოწევას, ალტერნატიული ვარიანტების განხილვასა და შეთანხმებას: ყველაფერს, რასაც წვლილი შეაქვს ადამიანებს შორის მშვიდობიან თანაცხოვრებასა და ურთიერთ ქმედებაში. სამოქალაქო საზოგადოება ყურადღებას ამახვილებს ადამიანთა შორის ყველა ტიპის ძალადობის შემცირებაზე, ცივილურზე და ცივილურობისკენ მიზანმიმართულ მოქმედებაზე და ამისთვის გამოიყენებს შესაბამის მექანიზმებს[30]. შესაბამისად, სამოქალაქო საზოგადოების აქტივობები საკუთარ თავში მოიცავენ სიმშვიდისკენ სწრაფვას. გარდა ამისა, ცნობილია ისტორიული მაგალითები, როცა სამოქალაქო ორგანიზაციებმა და მოძრაობებმა ხმა აიმაღლეს ძალადობის სხვადასხვა ფორმების წინააღმდეგ. ასეთებია, მაგალითად, მე-19 საუკუნეში მონობის გაუქმების კამპანიები, მე-20 საუკუნეში და შემდგომ ოჯახური და ბავშვებზე ძალადობის წინააღმდეგ კამპანიები და სხვა. ამ შემთხვევაში, ცივილურობა გულისხმობს „ყველას“ ინტერესის დაკმაყოფილებას და ამით ცხოვრების პირობების შექმნას, სადაც ადამინები უარს იტყვიან ძალადობაზე. ხსენებულთან ერთად, სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია დამაკავშირებელი სოციალური კაპიტალის განვითარების გზით, ძალადობის შემცირება და საზოგადოებაში ისეთი ნდობის განვითარება, რაც დადებით ზეგავლენას მოახდენს მშვიდობიანი საზოგადოების აშენებაზე

[30] დეტალური ინფორმაცია იხ. ქვემოთ

(სოციალური ურთიერთქმედების არა-ძალადობრივი ფორმების წახალისება, საერთო სიკეთისა და კეთილდღეობისთვის პროცესების ხელშეწყობა და სხვა). ზემოხსენებულთან ერთად, ცივილურ და არა-ძალადობრივ ფასეულობები მნიშვნელოვანია „მშვიდობის შენებაში“ (peace-building), სადაც სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს ინტელექტუალურ და ნორმატიულ იარაღს. ეს იარაღი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც ცდილობს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დათრგუნვას ან/და რეპრესიას. ამ შემთხვევაში, სამოქალაქო საზოგადოება წინ აღუდგება სახელმწიფოს და გაწევს წინააღმდეგობას, რაც გამართლებულად ითვლება.

მშვიდობის საქმეში სამოქალაქო საზოგადოების როლი გამოიხატება მშვიდობის ხელშეწყობაში: ძალისხმევა, რომ არ მოხდეს ომი ან ომის შემდგომ შემცირდეს ომით მიყენებული ზარალი. 1992 წლიდან, ცივი ომის დასრულების შემდეგ, პოსტ-კონფლიქტების სამშვიდობო ინიციატივები გამოიკვეთა საერთაშორისო დახმარების ინიციატივების ძირითად მიმართულებად. ამ პერიოდში, საერთაშორისო დონორთა დაფინანსებით წახალისებული, მნიშვნელოვნად გაიზარდა სამოქალაქო ორგანიზაციების რაოდენობა, რომელთა დეკლარირებული მანდატი წარმოადგენდა სამშვიდობო ინიციატივებს. სამშვიდობო ინიციატივების ფარგლებში, დონორთა პროგრამები არ ითვალისწინებდა „ახალი სივრცეების აღმოჩენას, საზოგადოების შიგნით ან მათ გადასწვრივ ურთიერთობების გაბმას ან სახელმწიფოზე მიმართულ ადვოკატირებას“(Pearce, ed. Edwards 2011). შესაბამისად, დონორთა დახმარებით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ჩაერთვნენ „მშვიდობის მოდელების“ პროგრამების განხორციელებაში. სამშვიდობო მოდელები მოიცავდა რამდენიმე მიმართულებას, როგორებიცაა დაცვა, მონიტორინგი, ადვოკატირება, სოციალიზაცია, სოციალური ერთობა, ფასილიტაცია და მომსახურების მიწოდება (Paffenholz 2016). ამ შემთხვევაში, მოდელები ცალ-ცალკე ან რამდენიმეს კომბინაციით გულისხმობდნენ უსაფრთხოების უზრუნველყოფას: „სამშვიდობო ზონებზე“ შეთანხმება, განაიარაღება, ადამიანის უფლებების დაცვა, სამშვიდობო შეთანხმებების რეკომენდაციები და შესრულების მონიტორინგი და კონტროლი, მოლაპარაკებების ხელშეწყობა, არა-ფორმალური დიალოგისა და კავშირების წახალისება, სოციალური მედია-კამპანიებისა და პეტიციების მხარდაჭერა, ადგილობრივი ასოციაციების საშუალებით ტოლერანტულობისა და მშვიდობის ფასეულობების წახალისება, სოციალური, ჰუმანიტარული, სამედიცინო დახმარება და სხვა. ამ ტიპის სამშვიდობო ინიციატივები, მეტ წილად, ხორციელდება დიდ მასშტაბიანი ორგანიზებული ძალადობის (ომის) შემდგომ 5-დან 10 წლამდე პერიოდში.

4.4. სამოქალაქო საზოგადოების ზეგავლენის ბერკეტები

როგროც დემოკრატიაში, ასევე მშვიდობასა და სიღარიბის შემცირებაში წვლილის შესატანად სამოქალაქო ორგანიზაციები იყენებენ სხვადასხვა ბერკეტებს, რომლთა შორის გამოვყოფთ ადვოკატირებას, ლობირებასა და მომსახურებას.

4.4.1. ადვოკატირება სტრუქტურული და სოციალური ცვლილებისთვის

ადვოკატირება ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფ(ებ)ის მიერ წარმოებული პოლიტიკური პროცესია, რაც მიზნად ისახავს ზეგავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებებზე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სისტემებს შიგნით. ადვოკატირების პროცესი შესაძლებელია შეიცავდეს მრავალი ტიპის საქმიანობას, როგორიცაა კვლევების ჩატარება, ცნობიერების ამაღლება, სათემო მობილიზება, სათემო ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარება, პოლიტიკური ალტერნატივის შემუშავება, მედია კამპანია, საჯარო გამოსვლები, სასამართლო დავა, პეტიციების შემუშავება და წარდგენა, ლობირება და სხვა. ითვლება, რომ ადვოკატირებას პირველ რიგში უნდა ამოძრავებდეს მიზანი შეცვალოს საზოგადოების დამოკიდებულება კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში, რაც გულისხმობს კულტურულ/სოციალურ ნორმათა ცვლილებას. მიზანმიმართული ქმედების შედეგად სოციალურ ნორმათა ცვლილება ხანგრძლივ პერსპექტივაში გამოიწვევს პოლიტიკურ ან სოციალურ ცვლილებას. ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, გამორიცხული არაა, რომ პოლიტიკურმა ცვლილებამ სოციალურ ცვლილებასთან ერთად გამოიწვიოს სოციალურ ნორმათა ცვლილება (კობერიძე 2017ა).

დემოკრატიზაციისა და სიღარიბის შემცირების საქმეში ადვოკატირება წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების საკვანძო ბერკეტს. უკანასკნელ წლებში, სხვადასხვა ეფექტურად მობილიზებული კამპანიების წარმატებამ ვალების გაუქმებასთან[31] და სამართლიან ვაჭრობასთან[32] დაკავშირებით დემონსტრირება გაუკეთეს ადვოკატირების შესაძლებლობას წვლილი შეიტანოს სიღარიბის შემცირების საქმეში (Ibrahim & Hulme 2010). ადვოკატირების ყველა დონეზე გამოყენება განპირობებულია აღიარებით, რომ სოციალური ცვლილებისთვის მრავალწლიანი ძალისხმევის მიუხედავად, არსებობს საკითხები, რომელთა გადაწყვეტა შეუძლებელია ადგილობრივ (ან/და ბენეფიციარის) დონეზე და მოითხოვს ეროვნულ - საჯარო პოლიტიკაზე დონეზე ზეგავლენის

---

[31] Jubilee 2000 წარმოადგენდა გლობალურ კამპანიას, რომლის ადვოკატირების შედეგად 35 ყველაზე ღარიბ ქვეყანას გაუუქმდა 100 მილიარდზე მეტი აშშ დოლარის ოდენობით ვალი. კამპანია განხორციელდა მსოფლიოს 62 ქვეყანაში (Advocacy International n/d)

[32] სამართლიანი ვაჭრობის კამპანიები (Fair Trade Campaigns) წარმოადგენს სახალხო მოძრაობას აშშ-ში, რომელიც ახდენს თავისუფალი ვაჭრობის მომხმარებლებს და მთელს ქვეყანაში ატარებს ადვოკატირების კამპანიას თავისუფალი ვაჭრობის პროდუქტის ხელმისაწვდომობის გასაზრდელად (Fair Trade Campaigns n/d). დამატებითი ინფორმაცია იხ. ტერმინთა განმარტებაში.

მოხდენას. ადვოკატირების მიზანი შესაძლებელია იყოს როგორც ადამიანის უფლებების (მაგ. საკუთრების ან ქონების უფლებების) დაცვა, ასევე სიღარიბის შესამცირებლად ადგილობრივ ხელისუფლებაზე ზეწოლა ადექვატური ინფრასტრუქტურის ან მომსახურების უზრუნველსაყოფად.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმატებული კამპანიების არსებობის მიუხედავად, ხშირად ისმება კითხვა: მოკლევადიანი მიზნების წარმატებით აღსრულების მიუხედავად, ახდენენ თუ არა ადვოკატირების კამპანიები რეალურ დადებით ზეგავლენას სოციალურ ცვლილებაზე. გამომდინარე იქიდან, რომ ადვოკატირების შედეგები, მეტ წილად, ხელშესახებია გრძელვადიან პერსპექტივაში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, დონორები და ექსპერტები მსჯელობენ გაწეული საქმიანობის ხარჯთ-ეფექტურობაზე და მისიის აღსრულებაზე მიმართულ საქმიანობის ეფექტურობაზე.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ადვოკატირების მრავალმხრივი საშუალებებისა და ბერკეტების გამოყენებას მნიშვნელოვანი როლი აკისრია ღარიბთა ინსპირირებისა და მობილიზაციისთვის საკუთარი უფლებების დასაცავად. სამოქალაქო ადვოკატირების საშუალებით შესაძლებელია საჭირბოროტო საკითხის მიმართ საზოგადოების ყურადღების მიქცევა, „იმედის პოლიტიკის“ გავრცელება და ღარიბებისთვის, სხვა მარგინალიზებული ჯგუფებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის ჩვენება, რომ ცვლილება შესაძლებელია (Ibrahim & Hulme 2010).

სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის, სოციალურ ცვლილებაზე მიმართული ადვოკატირების კამპანიის ერთერთი გამოწვევაა მასში უშუალო ბენეფიციარების ჩართულობის ნაკლებობა. ზოგიერთ ქვეყანაში ეს გამოწვეულია ბენეფიციართა დაბალი ენთუზიაზმით, ზოგში კი სამოქალაქო ორგანიზაციის არასაკმარისი ძალისხმევით, რადგან თვლიან, რომ საკითხის გადაწყვეტას ესაჭიროება მეტად კვალიფიცირებული ჩარევა. იმ შემთხვევაში, თუკი სამოქალაქო ორგანიზაციები საკუთარ როლს მოიაზრებენ, როგორც ბენეფიციართა პრობლემების წინ წამოწევის მხარდამჭერებად და ფასილიტატორებად და არა მთავარ მოთამაშეებად, ადვოკატირების კამპანია მეტად წარმატებულია.

ადვოკატირების ზემოხსენებულ მექანიზმებთან ერთად, კამპანია შესაძლებელია მოითხოვდეს და, შესაბამისად, მოიცავდეს ლობირებას. ეს ხდება იმ შემთხვევაში, თუკი მოცემული საკითხის გადაწყვეტას ესაჭიროება არა მხოლოდ პოლიტიკის ან პრაქტიკის, არამედ საკანონმდებლო ცვლილება.

4.4.2. ღარიბთა დასახმარებლად რეფორმების (პოლიტიკის) ლობირება

ლობირება მოიცავს იმ საქმიანობას, რომელიც პოლიტიკის შემქმნელებისგან მოითხოვს შესაბამისი პოზიცია დაიკავონ კონკრეტულ კანონმდებლობასთან დაკავშირებით, რაც ემსახურება ხალხის

მცირე ჯგუფის ინტერესებს. ეს შესაძლებელია იყოს როგორც კანონის მიღება, ასევე შეცვლა ან გაუქმება.

ლობირება კომპლექსური და მგრძნობიარე ამოცანაა და მოითხოვს მნიშვნელოვან მომზადებას ლობისტების (ამ შემთხვევაში, სამოქალაქო აქტივისტების) მხრიდან. ლობირება მიზანმიმართული პროცესია, რომელიც გამიზნულია გადაწყვეტილების მიმღებთა ზეგავლენაზე. როგორც აღინიშნა, სოციალური ცვლილების მოსახდენად სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ადვოკატირებასთან ერთად (ან მის ფარგლებში) უხმობენ ლობირებას, თუკი საკითხის მოსაწესრიგებლად აუცილებელია სპეციფიკური რეფორმის განხორციელება, რასაც ესაჭიროება საკანონმდებლო ცვლილება.

კანონის (და შესაბამისი პოლიტიკის) შესაცვლელად, სამოქალაქო ორგანიზაციები იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიებს. პირველ რიგში, ისინი ახდენენ მთავრობისა და რესურსების გადანაწილების მონიტორინგს, რათა შეამოწმონ და დაასაბუთონ ინტერესის საკითხის სასარგებლოდ ბიუჯეტის გადანაწილების საჭიროება. ამ პროცესს მოსდევს უშუალოდ გადაწყვეტილებების მიმღებზე ზეგავლენა, რამაც, შესაძლებელია მიიღოს როგორც „დახურული მოლაპარაკების“, ასევე „ღია დარწმუნების“ ფორმა.

ლობირება, თავისი შინაარსით, შესაძლებელია არ მოითხოვდეს პროცესში ხალხის დიდი მასების ჩართულობას, რადგან მოლაპარაკების, დარწმუნების, გადაწყვეტილების მიმღებთა დაახლოვებული ინტერესთა ჯგუფების და ჩართულობის, ასევე პროფესიონალი ლობისტების დახმარებით, შესაძლებელია საკითხის არა-კონფრონტაციული მიდგომებით- „დახურულ კარს მიღმა“ გადაწყვეტა. „დარწმუნება“ შესაძლებელია მოიცავდეს საპილოტო პროექტის განხორციელებას, რათა ნაჩვენები იქნას „საკითხის გადაწყვეტის ალტერნატიული გზა“ (Ibrahim & Hulme 2010), ასევე „დიალოგის წამოწყებას საპილოტო პროექტის ირგვლივ ხელისუფლებასა და ბენეფიციარებს შორის“ (Mitlin and Satterthwaite, 2004, ციტ. (Ibrahim & Hulme 2010). ცხადია, რომ ეს პრაგმატული მიდგომა მოიცავს დაინტერესებულ პოლიტიკურ პარტიებთან და სახელმწიფო უწყებებთან საქმიან ურთიერთობებს და თანამშრომლობას, საკითხის გადასაწყვეტად სასიკეთო ინსტიტუციური გარემოს შესაქმნელად. იმ შემთხვევაში, თუკი „დახურულ კარს მიღმა“ ლობირების მცდელობები წარუმატებელია, სამოქალაქო საზოგადოება მიმართავს საკითხის აქტუალიზების ზომებს, რაც სხვასთან ერთად, მოიცავს საჯარო დებატებს მოცემულ პრობლემასთან დაკავშირებით, სხვა ორგანიზაციებთან ახალი ალიანსების შექმნას, ახალი მხარდამჭერების მოზიდვას და სხვ., რათა ზეგავლენა მოახდინონ პოლიტიკის შემქმნელებზე.

ლობირების ორივე მიდგომის შემთხვევაში გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს სამოქალაქო ორგანიზაციების კვალიფიკაცია, რადგან მათ უნდა ესმოდეთ როგორია პოლიტიკის პროცესი,

ქონდეთ ხელმისაწვდომობა ინფორმაციაზე და უნდა ფლობდნენ ადვოკატირების, მონიტორინგისა და შეფასების უნარებს.

4.4.3. საბაზისო საჭიროებების უზრუნველყოფა (მომსახურება)

არსებობენ სამოქალაქო ორგანიზაციები, რომელთა მანდატი სრულად მოიცავს ბენეფიციართა მომსახურებას. ასეთი ორგანიზაციები არ ცდილობენ მოახდინონ ზეგავლენა საჯარო პოლიტიკაზე ადვოკატირების ან/და ლობირების გზით. ამასთან, არსებობენ „კომპლექსური" ორგანიზაციები, რომლებიც, ერთის მხრივ უწევენ მომსახურებას ბენეფიციარებს, ხოლო საკითხის გრძელვადიან პერსპექტივაში მოსაწესრიგებლად, პარალელურად წამოიწყენებ ადვოკატორებას ან/და ლობირებას.

მომსახურების მიწოდებით, სამოქალაქო ორგანიზაციას წვლილი შეაქვს სიღარიბის შემცირების საქმეში, ხშირად, ხელისუფლების როლისა და ფუნქციების საკუთარ თავზე აღებით (Mitlin and Satterthwaite, 2004, ციტ. Ibrahim & Hulme 2010). ამგვარი საქმიანობა შესაძლებელია მოიცავდეს ნარჩენების გატანას, ჯანდაცვას, ქუჩის ბავშვებისა და სხვა ვიწრო ჯგუფების დამხმარე ცენტრების მოწყობას, ნიადაგის განახლებას, სესხების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად უნარების გაძლიერებას და სხვა. მიუხედავად თავისი მნიშვნელობისა, ამგვარი საქმიანობა შესაძლებელია იყოს არა მდგრადი, რადგან მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული „გარე" დაფინანსებაზე. მომსახურების ეფექტური მიწოდება მოითხოვს ინტეგრირებულ მიდგომას, სადაც სამოქალაქო ორგანიზაცია სახელმწიფო დახმარებასთან ერთად ახდენს ფინანსურ მობილიზაციას სხვა წყაროებიდან, მოცემული თემის ჩათვლით.

ზემოხსენებულთან ერთად, სამოქალაქო ორგანიზაციის მომსახურება შესაძლებელია მოიცავდეს გარკვეულ რისკებს, რადგან თუკი სამოქალაქო ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფს ადექვატური და ეფექტური მომსახურების მიწოდებას, პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება გადადის სამოქალაქო და არა საჯარო სექტორზე. Collier-ის (2000, ციტ. Ibrahim & Hulme 2010) მიხედვით, „ არასამთავრობო სექტორის მიერ საქონლისა და მომსახურების უზრუნველყოფამ არ უნდა გამოიწვიოს ღარიბი ან სხვა მიზნობრივი მოსახლეობის ნაკლები მოლოდინები მთავრობისგან და პირიქით- არასამთავრობო სექტორის საქმიანობამ უნდა ხელი შეუწყოს მოსახლეობის საჭიროებების (მათ შორის, ღარიბთა) შესაძლებლობების წინ წამოწევას და ზრდას, რათა დაიცვან საკუთარი უფლებების სახელმწიფო რესურსების ხელმისაწვდომობასა და ხელისუფლების ანგარიშვალდებულებასთან მიმართებაში. შესაბამისად, ბენეფიციართა მომსახურების საქმეში, სამოქალაქო საზოგადოებას ეკისრება ხელისუფლების დამხმარე როლი.

შეკითხვები მასალის გასააზრებლად:

- სამოქალაქო საზოგადოებას რა გზებით შეუძლია წვლილი შეიტანოს ქვეყნის დემოკრატიულად ფუნქციონირებაში?
- რას გულისხმობს მშვიდობა და რა კავშირი აქვს სამოქალაქო საზოგადებასთან?
- როგორ ხასიათდება სიღარიბე და რა როლი აქვს სამოქალაქო ორგანიზაციებს სიღარიბის შემცირების კუთხით?
- რა მეთოდებითა და რა ბერეტების გამოყენებით იცავენ სამოქალაქო ორგანიზაციები ადამიანის უფლებებს?

5. თემა მეხუთე: სამოქალაქო საზოგადოების ისტორია

5.1. სამოქალაქო საზოგადოების სოციალური წარმოშობის თეორია

როგორ და რატომ წარმოიშვა ამა თუ იმ ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოება? ან რატომ ჩამოყალიბდა ამა თუ იმ ფორმით? რა როლისა და ფუნქციების მატარებელია მოცემულ ქვეყანაში და რატომ და რით განსხვავდება ერთი ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოება მეორე ქვეყნის ასოციაციური ცხოვრებისგან? ზემოხსენებული კითხვების გააზრებისა და პასუხის გაცემის პროცესში წარმოიშვა სამოქალაქო სექტორის სოციალური წარმოშობის თეორია. Salmon-ისა და Anheier-ის სოციალური წარმოშობის თეორია ფოკუსირებას ახდენს ისტორიულ პროცესებზე, რათა ახსნას სხვადასხვა ქვეყნების არა-მომგებიანი სექტორის განსხვავებულობა, ზომა და შემადგენლობა. თავის ნაშრომში „არა-მომგებიანი სექტორის სოციალური წარმოშობა: წარსული, აწმყო და მომავალი“ ავტორები ახდენენ ჩრდილოეთ ამერიკისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების იმ სპეციფიკური ისტორიული მოვლენების ილუსტრირებას, რომლებმაც მძლავრი ზეგავლენა იქონიეს ამა თუ იმ ქვეყნის დღევანდელი არა-მომგებიანი სექტორის მახასიათებლებზე და მის ურთიერთ დამოკიდებულებაზე სახელმწიფოსთან (Anheier & Salamon 1998, ციტ. Wagner 2000). მოგვიანებით გამოჩნდნენ ანალიტიკოსები, რომლებმაც, Anheier-სა და Salmon- ის თეორიაზე დაყრდნობით, გააფართოვეს შესწავლის გეოგრაფიული არეალი და გააღრმავეს სამოქალაქო საზოგადოების წარმოშობის კვლევა. შესაბამისად, ზეგავლენის ფაქტორებს შეემატა მოცემული ქვეყნის რელიგია, ინდივიდუალური და კორპორაციული ქველმოქმედების კულტურა, ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო, გლობალიზაცია და სხვა, რაც ზეგავლენას ახდენს სამოქალაქო საზოგადოების შინაარსსა და როლზე და ასევე მის ურთიერთობაზე საჯარო სექტორთან.

5.2. სამოქალაქო საზოგადოება ამერიკის შეერთებულ შტატებში

დიდი ხნის მანძილზე, მსოფლიოს დიდი ნაწილისთვის ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატია წარმოადგენდა აღფრთოვანების საგანს, არა მხოლოდ კონსტიტუციური თავისუფლებებისა და მონაწილეობითი არჩევნების (Howard 2011), არამედ სამოქალაქო და პოლიტიკური ასოციაციების სიმრავლისა და აქტიურობის გამო. ითვლება, რომ ამერიკის ისტორიის ადრეული წლებიდან ასოციაციები ხელს უწყობენ „საზოგადოების მიერ (უმრავლესობის) ტირანიის რისკების თავიდან აცილებას... და მათი მეშვეობით იქმნება საჯარო სიკეთე, რაც, საერთო ჯამში, აძლიერებს დემოკრატიის ხარისხს და ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებას“ (Tocqueville 1830, 1945). მეცნიერები განმარტავენ, რომ ამერიკის საზოგადოებამ, თავისი მოხალისეთა გაერთიანებებით, ეკლესიისა და სახელმწიფოს გაყოფით, ფედერალიზმითა და პირადი თავისუფლებებით მოძებნა უნიკალური ბალანსი საზოგადოებრივსა და პირადს შორის, რაც სამოქალაქო საზოგადოების შინაარსს წარმოადგენს. Sampson განმარტავს, რომ „ამერიკანიზმი

ამერიკელისთვის არც ტრადიციაა და არც ტერიტორია, როგორც საფრანგეთი ფრანგისთვის ან ინგლისი ინგლისელისთვის, არამედ დემოკრატიის, თავისუფლებისა და შესაძლებლობების დოქტრინა, რომელსაც ამერიკელები რაციონალისტურად უდგებიან"(1974, ციტ. Seligman1992).

ამერიკულ საზოგადოებაში არსებულმა პროტესტანტულ იდეოლოგიაზე დაფუძნებულმა სოციალურმა კაპიტალმა განაპირობა მე-18-19 საუკუნისთვის სამოქალაქო საზოგადოების მოქალაქეობის უნივერსალური ფორმით ჩამოყალიბება ერი-სახელმწიფოს შიგნით. აქ სამოქალაქო საზოგადოება ეფუძნება როგორც ინდივიდუალიზმს, ასევე ადამიანების საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის პრინციპებს, რასაც საფუძველში უდევს ადამიანებს შორის ნაცვალგებითი შეთანხმებები და მორალური, ეკონომიკური, სოციალური, და პოლიტიკური კავშირები (Seligman 1992, ციტ. კობერიძე 2017).

მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში ამერიკელების სოციალური (და, შესაბამისად, ასოციაციური) ცხოვრება აგებული იყო გეოგრაფიული ნიშნით გაერთიანებული თემების ირგვლივ. თემებში შექმნილი ასოციაციები (როგორც ეკონომიკური, ასევე სამოქალაქო) წარმოადგენდნენ ადგილობრივი ცხოვრების ძირითად მამოძრავებელ ძალას.

არა-ფორმალური პოლიტიკური, რელიგიური და "სამეგობრო" ასოციაციები ფუნქციონირებდნენ ადამიანებს შორის არსებული მძლავრი სოციალური კავშირების(ქსელების) მეშვეობით. შესაბამისად, ამერიკელების პირადი სოციალური ცხოვრება ეფუძნებოდა მყარ ურთიერთობებს, რაც გამომდინარეობდა ოჯახებიდან, ეთნიკური იდენტობიდან და რეზიდენტობიდან (International Encyclopedia… 2010) იმ პერიოდში, ადგილობრივი ასოციაციების (კლუბების) საშუალებით, ამერიკელები ჩართულნი იყვნენ გასართობ ღონისძიებებში. ეს მოხალისეობრივი სოციალური ჯგუფები მოიცავდნენ მამაკაცთა და ქალთა, სამკითხაო და სპორტულ, ასევე სხვა ჰობების კლუბებსა და კავშირებს. კლუბებთან და კავშირებთან ერთად, აქტიურად ფუნქციონირებდნენ ადგილობრივი სამოქალაქო საბჭოები და ასოციაციები, სადაც მიიღებოდა გადაწყვეტილებები მოცემული თემის სოციალურ პროცესებთან დაკავშირებით.

ქვეყნის სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში მოქმედი მცირე თემების ასოციაციები ერთობლიობაში ქმნიდნენ ქვეყნის სისტემას, რომლის ერთეულები იღებდნენ ერთმანეთისგან ინფორმაციას და იზიარებდნენ გამოცდილებას. მცირე თემების (სოფლების/ქალაქების) ლიდერები მონაწილეობას იღებდნენ საერთო რეგიონულ და ეროვნულ შეკრებებში და ამ საშუალებით იღებდნენ სამოქალაქო ლიდერობის ცოდნასა და გამოცდილებას. ამ გზით ლიდერები ასევე უზრუნველყოფდნენ და აფართოებდნენ როგორც საინფორმაციო არხებს, ასევე აძლიერებდნენ გავლენიანობას. რეგიონულ და ეროვნულ ლიდერებს ქონდათ საშუალება, ადგილობრივი ლიდერების მეშვეობით, მცირე თემების წარმომადგენლებისთვის მიეწოდებინათ ინფორმაცია მნიშვნელოვანი სოციალური და პოლიტიკური მოვლენების შესახებ. ადგილობრივი ლიდერები კი, თავის მხივ, ქონდათ საშუალება

„ზევით“ მიეწვდინათ ინფორმაცია ადგილობრივი პრობლემების შესახებ, მოეპოვებინათ ავტორიტეტი და, შესაბამისად, უზრუნველყოთ დამატებითი რესურსი ადგილობრივი პრობლემების მოსაგვარებლად.

მე-20 საუკუნის 1930-ან წლებამდე მრავალი ინდუსტრია ადგილობრივ მფლობელობაში იმყოფებოდა, შესაბამისად, ზემოხსენებული კავშირები არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ გართობითა და სოციალური პროცესების მართვით, არამედ მნიშვნელოვნად იყო დაკავშირებული ეკონომიკურ შესაძლებლობებთან (ეთნიკური კლუბებისა და ეკლესიების მეშვეობით). 1930-1070-ან წლებში მომხდარმა მაკრო-ეკონომიკური ცვლილებების რამდენიმე ტალღამ ზეგავლენა მოახდინა სათემო სისტემაზე. მულტი-ნაციონალური კომპანიების აღმოცენებამ და როგორც პროდუქტის გაყიდვების, ასევე შრომის ბაზრის გლობალიზაციამ ნელ-ნელა გამოიწვია ქალაქებისა და სოფლების მძიმე ინდუსტრიების დაცემა. შესაბამისად, ადგილობრივი ბიზნესები თანმიმდევრულად შესყიდულ იქნა ნაციონალური კორპორაციების მიერ (International Encyclopedia…2010; Edwards 2011; Ehrenberg 1999).

ამ გარემოებას თან დაერთო დამქირავებლების მიერ ვიწრო სპეციალიზაციის განათლების/კვალიფიკაციის მოთხოვა და ახალგაზრდა თაობა იძულებული გახდა კარიერული შესაძლებლობები ეძია განათლება-კვალიფიკაციისა და არა პირად (ასოციაციურ-ქსელურ) კავშირებზე დაყრდნობით. დასაქმების ძიებაში, ხალხი გახდა გეოგრაფიულად მობილური და თემური ასოციაციები, თითქოს და, შესუსტდა, თუმცა ასოციაციური სოციალური ცხოვრების გამოცდილება გადაიზარდა ინტეგრირებულ ნაციონალურ სისტემაში (International Encyclopedia… 2010). აღნიშნულ მიზეზებთან ერთად, ახალ სისტემაზე გადასვლა განპირობებული იყო ისეთი ფაქტორებით, როგორებიცაა ქვეყნის შტატებს შორის ავტო-ბანების მოწყობა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ტელევიზიისა და კომპიუტერის „როლის“ გაძლიერება, საჰაერო ტრანსპორტის გაფართოვება და სხვა (Putnam 1997, 2000). შესაბამისად, ამერიკელების ცხოვრება ნაკლებად გახდა განპირობებული მძლავრი ადგილობრივი ორგანზაციების (სოციალური ჯგუფების) წევრობით და მეტად ინდივიდუალური არჩევანით (როგორც გართობის, ასევე სოციალურ კონტექსტში).

ინდივიდუალური არჩევანი, ბუნებრივია კეთდებოდა რაიმე კერძო ან საზოგადო საკითხის მიმართ ინტერესიდან ან/და პრობლემის სიმწვავიდან გამომდინარე. ამასთან მიმართებაში, საინტერესოა ე.წ. „საძმოების“ (fellowship associations) მაგალითი, როგორებიცაა პროფესიული გაერთიანებები, შრომითი კავშირები და ინტერესთა ჯგუფები. ამ უკანასკნელებმა თავი იჩინეს 1870-1920 წლებში და 1950-ანი წლებისთვის საკმაოდ დიდი გავლენა მოიპოვეს. იმ პერიოდისთვის არსებული ოცი ყველაზე დიდი და მძლავრი ასოციაციების დიდი ნაწილი (მაგ. American Federation of Labor-Congress of Industrial Organizations (AFL-CIO), Farm Bureau Federation, Parent-Teacher Association

(PTA)[33], General Federation of Women's Clubs, The Fraternal Order of Eagles[34], American Legion[35] და სხვ.) პირდაპირ იყო ჩართული კანონმდებლობისა და საჯარო პოლიტიკის საკითხების მოსაგვარებლად სხვადასხვა ტიპის კამპანიებსა და საპროტესტო მსვლელობებში (Edwards 2011) და წარმატებასაც აღწევდნენ.

გეოგრაფიული ნიშნით შექმნილი მძლავრი ადგილობრივი ორგანიზაციების სისტემის შემცირება და ფართო ნაციონალურ (არა ადგილობრივ, არამედ პირად ინტერესებზე დაფუძნებულ) სისტემაზე გადასვლა, პირველ რიგში, შეეხო ამერიკელების მიერ „თემის" აღქმას და ამ თემის შიგნით მოქმედებას, რაც მნიშვნელოვნად აისახა დახმარების გაწევაზე და სოციალური მომსახურების უზრუნველყოფაზე. თუკი ადრე "მეგობრული თემი" მხარში ედგა თემის წევრ - შეჭირვებულ ადამიანს და უზრუნველყოფდა სოციალურ-ეკონომიკურ დახმარებას (International Encyclopedia.. 2010), თემების შემცირებას შესაძლებელია გამოეწვია შეზღუდულ შესაძლებლობების მქონე, ღარიბი და სხვა მოწყვლადი ადამიანებისადმი სოციალური დახმარებისა და მხარდაჭერის გაქრობა. 1960-ან წლებისთვის სახელმწიფოს მიერ მოხდა ამ პრობლემის აღიარება და პრეზიდენტ ლინდონ ჯონსონის ადმინისტრაციის მიერ ინიცირებულმა „ომი სიღარიბესთან" (The War on Poverty) კანონმდებლობამ და შესაბამისმა პროგრამებმა სავალდებულო გახადეს მმართველ სტრუქტურებში საზოგადოების წარმომადგენლების ჩართვა. პროგრამები შემუშავდა და დაფინანსდა ფულადი სახსრების გადანაწილების ახალი მეთოდის გამოყენებით, რაც გულისხმობდა გრანტების გაცემას სპეციფიკური კატეგორიების მიხედვით. სოციალური მომსახურების წინა მიდგომისგან განსხვავებით, სადაც სოციალური მომსახურება უზრუნველყოფილი იყო მნიშვნელოვანი ავტონომიის მქონე დიდი ბიუროკრატიული ორგანიზაციების მიერ (და რომლებიც პოლიტიკურად დაკავშირებულნი იყვნენ ადგილობრივ მმართველობასთან)- ახალი პროგრამების ინიცირება მოხდა ფედერალურ დონეზე და მიზნად ისახავდა კონკრეტული ადგილობრივი პრობლემის მოგვარებას (International Encyclopedia.. 2010; Encyclopedia Britannica n/d). პროგრამა არა სრული ხუთი წელი გაგრძელდა, თუმცა მისი განხორციელების შედეგად ქვეყანას შემორჩა მექანიზმი, რაც პოლიტიკის შემქმნელებს აძლევს საშუალებას „დისტანციურად" მოაგვარონ პრობლემა ადგილობრივ დონეზე, განახორციელონ ეს დამოუკიდებელი ორგანიზაციის დაფინანსების საშულებით და მკაცრად გააკონტროლონ პრაქტიკა. როგორც ფედერალურმა მთავრობებმა, ასევე საგრანტო ფონდებმა დანერგეს ეს პროგრამული მოდელი ყველა ტიპის პროგრამების დასაფინანსებლად. ადგილობრივმა

---

[33] PTA და Women's Club Federation ცნობილები არიან თავისი აქტიურობით განათლებისა და ოჯახური საკითხების მარეგულირებელი კანონმდებლობის შექმნა-გაუმჯობესების კამპანიებში (Skocpol 1992, ციტ. Edwards 2011)

[34] ორგანიზაცია ცნობილია სოციალური უსაფრთხოებისა და სხვა ფედერალური სოციალური პროგრამების წარმატებული ადვოკატირებით (Davis 1948, ციტ. Edwards 2011)

[35] ორგანიზაციამ მომზადა კანონპროექტი და წარმატებული ლობირება გაუკეთა 1944 წლის კანონს II მსოფლიო ომის ვეტერანთა მხარდასაჭერად (G.I Bill of Rights). კანონის მიღების შედეგად, ვეტერანებს მიეცათ იაფი კრედიტების, დასაქმების პრივილეგიების, დაუსაქმებლობის დახმარების, სასწავლო გრანტებისა და სტიპენდიების საშუალება. შემდგომი საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, განისაზღვრა შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის ჯანდაცვის მომსახურების სრულად დაფარვას და ახალი ვეტერანთა სავადმყოფოების აშენებას. მოგვიანებით, კანონმდებლობამ მოიცვა ყველა, ვისაც უმსახურია შეიარაღებულ ძალებში (Encyclopedia Britannica n/d)

მეწარმეებმა გამოიყენეს ეს შესაძლებლობები: საქმიანობაში ჩართეს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და მათი საქმიანობის დასაფინანსებლად მოიპოვეს გრანტი. ქვეყნის ყველა დონეზე დაფინანსების ამ მოდელის გააქტიურებამ (პროგრამული, დელეგირებული და გაკონტროლებული) მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია 1960-1980 წლებში არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობის ზრდაზე (300,000 და 900,000-ზე მეტი, შესაბამისად) (Weisbrod 1988, ციტ. International Encyclopedia.. 2010).

ცხადია, რომ შეერთებულ შტატებში გეოგრაფიული ნიშნით შექმნილი მძლავრი ადგილობრივი ორგანიზაციების სისტემის შემცირება და ფართო ნაციონალურ (არა ადგილობრივ, არამედ პირად ინტერესებზე დაფუძნებულ) სისტემაზე გადასვლა არცერთ შემთხვევაში გულისხმობდა ან გულისხმობს ადგილობრივი ასოციაციების გაქრობას. სამოქალაქო მოხალისეობის პრე-ინდუსტრიულმა მოდელმა გააგრძელა არსებობა დასაქმებისა და კლასის ნიშნით გაერთიანებული ასოციაციების ფორმით და ასევე შეინარჩუნა ძველი (კლას-შორისო) ფედერაციები. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ მე-20 საუკუნის შუა წლებში სათემო ცხოვრების დაღმავლობამ აშკარად შეცვალა ამერიკელების სამეზობლო და ოჯახური ცხოვრების სტილი, ეს იყო „ცვლილების“ და არა სამოქალაქო აქტივობის „შემცირების“ პროცესი (International Encyclopedia.. 2010). დღევანდელ დღეს, სხვა დემოკრატიული ქვეყნების მსგავსად, შეერთებული შტატების მთავრობა უშუალოდ აღარ აწვდის მომსახურებას. ეს, ტრადიციულად სამთავრობო ფუნქცია, დელეგირებულია არასამთავრობო ორგანიზაციებზე. არასამთავრობო ორგანიზაციების ამ სეგმენტის დაფინანსების 40-60%-მდე მომდინარეობს უშუალოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ზემოხსენებული გარემოების გამო, არასამთავრობო სექტორი, ხშირად, კრიტიკის საგანი ხდება. კრიტიკოსების აზრით, „არასამთავრობო სექტორის ზრდამ დააზარალა არაფორმალური ასოციაციების სტრუქტურა, რაც სამოქალაქო საზოგადოების შემადგენელი ნაწილია“ (Ehrenberg 1999). საპირისპირო აზრით კი, არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარებამ გამოიწვია და ხელი შეუწყო პოლიტიკური მონაწილეობისა და ადვოკატირების ახალ მოდელებსა და მიდგომებს, რაც მეტად გამოცდილი და პროფესიონალი ადამიანებით დაკომპლექტებულ ინსტიტუციების ხელშია.

5.3. სამოქალაქო საზოგადოება დასავლეთ ევროპასა და პოსტ-საბჭოთა სივრცეში

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუციებმა მნიშვნელოვანი ისტორიული ზეგავლენა იქონიეს დასავლეთ ევროპის თანამედროვე ერების ფორმირებაზე და ეროვნულ იდენტობაზე, ასევე საზოგადოების მიერ მოქალაქეობრივი უფლებებისა და დემოკრატიული კულტურის აღქმაზე. „ევროპულ სოციალურ მოდელის“ განხილვისას, იქვე ხაზი ესმევა სოციალურ დაცვასა და სამოქალაქო საზოგადობის მნიშვნელოვან როლს ევროპის ერი-სახელმწიფოს, როგორც დემოკრატიული სოციალური სახელმწიფოს ფორმირებაში (International Encyclopedia.. 2010).

მაგალითად, მე-17-18 საუკუნის ინგლისის ადრეული ინდუსტრიალიზაციის პერიოდში სოფლებიდან ჩამოსული მუშები დასახლდნენ გაპარტახებულ ქალაქებში და შექმნეს კოოპერატიული მოძრაობები, სავაჭრო კავშირები და ადგილობრივი ეკლესიები, იმისთვის, რომ დაესტაბილურებინათ საკუთარი არსებობა და გაეწიათ ურთიერთდახმარება (Hirst 2002, ციტ. კობერიძე 2017 ა). გვხვდება ასევე მე-19 საუკუნის დანიის მაგალითი, როცა, ამერიკიდან იაფი ხორბლის შემოტანის შედეგად, სოფლის მეურნეობამ კრიზისი განიცადა და გლეხთა სოფლის მეურნეობის აღზევება მოხდა კოოპერატივებისა და ისეთი ახალი კულტურული ინსტიტუციების მეშვეობით, როგორიცაა Folk High Schools მოძრაობა. სკოლის შექმნის მიზანი იყო განათლების ალტერნატიული საშუალების შექმნით დახმარებოდნენ გაუნათლებელ და ღარიბ გლეხებს, რომელთაც არ ჰქონდათ დრო და ფული ესწავლათ უნივერსიტეტებში (Skandinavianseminar.org n.d, ციტ. კობერიძე 2017).

დასავლური ევროპული სამოქალაქო საზოგადოებისა და მისი ინსტიტუციების განვითარება მჭიდროდ უკავშირდება მოქალაქეობის ევროპულ უფლებებს. ამერიკის შეერთებული შტატებისგან განსხვავებით, ევროპის ისტორია დაკავშირებულია ფეოდალიზმთან. შესაბამისად, ევროპისთვის დამახასიათებელია ტერიტორიული და არა ინდივიდუალური წარმომადგენლობითობა, სოციალური ფენებისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა ფაქტორების (მიწის ღირებულება ან კაპიტალის მოცულობა, განათლება, საცხოვრებელი ადგილი და სხვ.) გათვალისწინებით (კობერიძე 2017 ა). სწორედ ფეოდალური მემკვიდრეობით იყო გამოწვეული მე-18-19 საუკუნის ევროპაში მუშათა კლასის გამიჯვნა საზოგადოებრივი ცხოვრებიდან. ამასთან, ცნობილია, რომ მე-19 საუკუნის ბოლოს- მე-20 საუკუნის დასაწყისში სამოქალაქო აქტივიზმი ევროპაში, მეტ წილად, განპირობებული იყო არა ეკონომიკური სიდუხჭირით, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინდივიდუალური უფლების მოპოვების სურვილით. სამოქალაქო მოძრაობები მიზნად ისახავდნენ წევრობის გაფართოვებას, ასოციაციის უფლებას, პროფკავშირის შექმნის უფლებას, ერი-სახელმწიფოს შიგნით გადაადგილების უფლებას, სიტყვის თავისუფლებას, პრესის თავისუფლებას, პოლიტიკური პარტიის შექმნისა და არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებას. შესაბამისად, არა ეკონომიკურმა უთანასწორობამ, როგორც ასეთი, არამედ პოლიტიკური, სამოქალაქო და სოციალური მონაწილეობის შეზღუდვის ხანგრძლივმა ტრადიციამ განაპირობა მე-19 საუკუნის ევროპაში ასოციაციების შექმნა და, შესაბამის კონტექსტში, სოციალისტური მოძრაობებისა და სოციალიზმის გავრცელება (კობერიძე 2017 ა).

სამოქალაქო საზოგადოების ე.წ. ამერიკული მოდელისგან განსხვავებით, სადაც, მოხალისეობის მძლავრი კულტურის, სასიკეთო საკანონმდებლო გარემოს არსებობისა და ფილანტროპიის მიუხედავად, სამოქალაქო ორგანიზაციები მეტად განიხილებიან ხელისუფლების საპირწონე

სეგმენტად, დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში[36] სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო ერთმანეთს ეხიდებიან სოციალური მომსახურების უზრუნველყოფაში. სოციალური სახელმწიფოების პირობებში, ე.წ. „სუბსიდირების პრინციპზე" დაყრდნობით, სამოქალაქო ორგანიზაციები საბაზისო სოციალური მომსახურების (სოც. მომსახურება, ჯანდაცვა, განათლება) უზრუნველყოფის ძირითადი მიმწოდებლები არიან, თუმცა ინარჩუნებენ მნიშვნელოვან ავტონომიას სახელმწიფოსგან. ბუნებრივია, სუბსიდირების პრინციპზე დაფუძნებული პრაქტიკა არ გამორიცხავს ასოციაციურ ცხოვრებას და პირადი საქველმოქმედო ინიციატივები -მოხალისეობის ჩათვლით -კულტურის ნაწილია.

მიუხედავად გავრცელებული აზრისა, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის სამოქალაქო საზოგადოებას არა მე-20- საუკუნის 90-ან წლებში, არამედ გაცილებით ადრე ჩაეყარა საფუძველი. II მსოფლიო ომის დაწყებამდე იგი დასავლურის მსგავსად ვითარდებოდა, თუმცა ომის დასრულების შემდგომ პოლიტიკური ზეგავლენის გადანაწილებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სექტორის ფორმირებაზე.

ცნობილია, რომ 1940-ან წლებში საბჭოთა ბლოკში გაერთიანების შემდეგ საბჭოთა ტოტალიტარულმა სისტემამ არ დატოვა პირადი ინიციატივის ადგილი საერთო სიკეთის შესაქმნელად. მრავალი ე.წ. „სამოქალაქო" ორგანიზაცია, რომელიც არსებობდა საბჭოთა დროს რეალობაში წარმოადგენდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის იმიტაციას და კონტროლირდებოდა სახელმწიფოს მიერ. მიუხედავად ამისა, საბჭოთა რეჟიმის დასუსტებასთან ერთად სამოქალაქო საზოგადოებამ თავი იჩინა განსხვავებული ფორმებით, გაცილებით ადრე, ვიდრე ქვეყნებში შემოვიდა საერთაშორისო დონორთა დახმარება (კობერიძე 2017ა).

ნიშანდობლივია, რომ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში მრავალმხრივი და ინსტიტუციურად მძლავრი ასოციაციური სფერო უკვე 1950 წლებში მეტად გაფართოვდა, ჯერ კიდევ კომუნისტური სახელმწიფოს ზეგავლენის საზღვრებში. მაგალითად უნგრეთსა და პოლონეთში ასეთი ორგანიზაციები უკვე 1960-ანების ბოლოს ნაკლებად ემსახურებოდნენ იდეოლოგიას და თავის თავზე აიღეს „ინტერესთა ჯგუფების" ფუნქცია და პარტია-სახელმწიფოს უყენებდნენ ეკონომიკური შეღავათების მოთხოვნებს. 1980 წლისთვის კი ძლიერმა სავაჭრო კავშირებმა, პროფესიულ ასოციაციებმა, ეკლესიებმა და ახალგაზრდების, ფერმერთა, მომხმარებელთა, ქალთა, ეკოლოგიის დამცველ ინტერესთა ჯგუფებმა მოახერხეს პოლიტიკური კრიზისის შედეგად მასობრივი მობილიზაცია, რაც სოლიდარობის მოძრაობაში გადაიზარდა (Ekiert & Kubik 2014, ციტ. კობერიძე 2017). ამან გამოიწვია ორგანიზაციული შესაძლებლობების გაძლიერება და ზრდა სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ჩარჩოს მიღმა.

---

[36] გარკვეული გამონაკლისია დიდი ბრიტანეთი, სადაც მეტად ვლინდება ე.წ. ამერიკული (ანგლო-საქსონური) მოდელი

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუციური ფორმების მიუხედავად, თავისი გამოვლენით ცენტრალური დ აღმოსავლეთ ევროპის სამოქალაქო საზოგადოებების აქტივობა მეტად სამოქალაქო აქტივიზმის და/ან სოციალური მოძრაობების საშუალებით ვლინდებოდა. საბჭოთა რეჟიმის მოსუსტებასთან ერთად, იმ პოლიტიკურმა ცვლილებებმა, რომელთა კულმინაცია გახლდათ 1989 წელს ბერლინის კედლის დანგრევა საშუალება მისცა ეროვნული შეგნების გაღვიძებას, ასევე ახალი ტიპის- ლიბერალურ-დემოკრატიული ნორმების სახელმწიფოს ჩამოყალიბებისკენ სწრაფვას, რამაც ბუნებრივად განაპირობა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ინტერესი. ამ პერიოდში სამოქალაქო საზოგადოება იქცა მიტინგების პლატფორმად დისიდენტთათვის და მიზნის მისაღწევად იარაღად იყენებდნენ მძლავრ სოციალურ მოძრაობებს.

1989 წელს ბერლინის კედლის დანგრევამ ახალ ეტაპზე წამოწია პოსტ-საბჭოთა სივრცის სამოქალაქო საზოგადოების იდეა. ანალიტიკოსები წერდნენ, რომ „სამოქალაქო საზოგადოებისკენ დაბრუნების მოთხოვნა წარმოადგენდა სოციალური ცხოვრების მართვადი სასწორისკენ დაბრუნებას“, სადაც „განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოხალისეობრივ ასოციაციებს, ეკლესიებს და თემებს. აუცილებელია, რომ გადაწყვეტილება იქნას მიღებული ადგილზე და არ უნდა იყოს კონტროლირებადი სახელმწიფოსა ან ბიუროკრატიების მიერ“ (Bell 1989; Seligman 1992, ციტ. კობერიძე 2017ა). შესაბამისად, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის სამოქალაქო საზოგადოებას ხშირად „1989 წლის მემკვიდრეობად“ მოიხსენიებენ.

მე-17-მე-18 საუკუნეების მსგავსად, მე-20 საუკუნეში ევროპის სამოქალაქო საზოგადოების იდეის განახლება დაკავშირებულია სახელმწიფოს მოწყობის არსებული წესრიგის რღვევასთან. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ, მე-19 საუკუნეებისგან განსხვავებით, მე-20 საუკუნეში სამოქალაქო საზოგადოების იდეამ დააკავშირა „ქმედება“ „მიზანთან“ (Seligman 1992, ციტ. კობერიძე 2017ა). უკვე მე-20 საუკუნის ბოლოს, 1990-ან წლებში, სახელმწიფოსა და/ან ბაზრის დომინირების საპირწონედ და ამავდროულად სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად გაჩნდა ახალი მიდგომა - „მესამე გზა“, რომლის ძირითადი არსია პარტნიორობა საზოგადოების სამ ძირითად - საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორებს შორის. სამოქალაქო საზოგადოებას და ასოციაციურ ცხოვრებას მიენიჭა გადამწყვეტი მნიშვნელობა და იგულისხმება, რომ ეს არის სოციალური პროგრესის გზა და გაიგივებულია „ცივილური საზოგადოების“ მშენებლობასთან.

საბჭოთა რეჟიმისგან განთავისუფლების შემდეგ აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში მრავალმა ასოციაციამ, რომელიც მანამდე კომუნისტური კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა თვით რეფორმირება განახორციელა, ახალი დემოკრატიული პირობების გათვალისწინებით. მრავალმა დაკარგა წევრები და რესურსები, დაიყო მცირე ჯგუფებად, გადაირქვა სახელები, შეცვალა ლიდერები და დღის წესრიგი, მიუხედავად ამისა, მრავალი გადარჩა და შეინარჩუნა იმ რესურსების დიდი ნაწილი, რასაც ფლობდა 1989 წლამდე. მნიშვნელოვანი საერთაშორისო დახმარების წყალობით, სექტორს ასევე შეემატა არასამთავრობო ორგანიზაციები, საქველმოქმედო

ორგანიზაციები და ფონდები, რომელთა რიცხვი დღემდე იზრდება (Edwards 2004, Ekiert & Foa 2011, ციტ. კობერიძე 2017).

მიუხედავად იმ მნიშვნელოვანი როლისა, რომელსაც ასრულებენ დასავლური ტიპის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, ბოლო ოცი წლის განმავლობაში სხვადასხვა დისციპლინების მეცნიერები დავობენ, რომ პოსტ-საბჭოთა ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოებები არ პასუხობენ მოთხოვნებს და ვერ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. მრავალი ავტორი აღნიშნავს, რომ დასავლეთის პარტნიორების მხრიდან ვერტიკალურმა ჩარევამ, ჭარბმა დაფინანსებამ, სამართლებრივ და სხვა უპირატესობების არსებობამ გამოიწვია, რომ ამ ორგანიზაციებმა, დიდი უმრავლესობით, ვერ შეასრულეს მათზე დაკისრებული პასუხისმგებლობა. შემფასებლების აზრით, ე.წ. არა-მომგებიანი ორგანიზაციები ა) წარმოადგენენ ე.წ. არასამთავრობო ელიტას და ბ) გაუცხოებულნი არიან საზოგადოების რეალური პრობლემებისგან, შესაბამისად ვერ უზრუნველყოფენ პლატფორმას ფართომასშტაბიანი მონაწილეობისთვის.

ახალი დემოკრატიული სახელმწიფოების სამოქალაქო სექტორის არაეფექტურობის მიზეზად ხშირად სახელდება როგორც თავად სახელმწიფოების უუნარობა განავითარონ და გააძლიერონ სამოქალაქო ინიციატივები და მმართველობაში მონაწილეობა, ასევე მოხალისეობრივი ორგანიზაციული წევრობის დაბალი დონე და სამოქალაქო მონაწილეობის ნაკლებობა. ამას კი ხშირად უკავშირებენ საზოგადოებაში „ფართო ნდობის“ (დამაკავშირებელი სოციალური კაპიტალის) არ არსებობას ან „ნდობის განზოგადების უუნარობას, მოქალაქეობის ყველა მნიშვნელობით (Howard 2003, Bernhard & Karakoç 2007, ციტ. კობერიძე 2017ა).

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სოციალური კაპიტალის ადრეული კვლევები აღნიშნავენ სოციალური ნდობის, სათემო ჩართულობისა და სოციალურ და პოლიტიკურ ინსტიტუტების მიმართ რწმენის დაბალ მაჩვენებელს. მონაწილეობის ფაქტობრივ მონაცემებთან ერთად, მკვლევარები ასევე ასახელებენ დაბალი მონაწილეობის მიზეზებს. მაგალითად Howard (2003, ციტ. კობერიძე 2017ა) ამტკიცებს, რომ ადამიანის ქცევაში განმსაზღვრელია მოტივაცია. ამასთან, ადამიანები იღებენ გადაწყვეტილებას გამოცდილებაზე დაყრდნობით და ამ გამოცდილებების დღევანდელობასთან შედარებით. კერძოდ: ადამიანის ქცევა სტაბილურია ცხოვრების მანძილზე და იგი რეაგირებს ცვლილებაზე გავლილ დროსთან ერთად. ახალი გარემოებებით მოტანილი ცვლილებები მხოლოდ ნაწილობრივი და დროებითია და თუკი ახალი გარემოება არ შეესაბამება ვარაუდებს ქცევის ცვლილება ვერ იქნება მდგრადი. პოსტ-საბჭოთა ქვეყნების მოქალაქეთა ისტორიულმა გამოცდილებამ მათში ჩამოაყალიბა კომუნისტური ორგანიზაციებისადმი უნდობლობა, რაც ზოგადად ორგანიზაციული წევრობის უნდობლობას უტოლდება. ამასთან, საბჭოთა პერიოდში მეგობრული ქსელების დომინირებამ განაპირობა ადამიანური ურთიერთობების ვიწრო წრეში „ჩაკეტვა“, რაც ასევე ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს „უცხო“ ადამიანებთან ერთად ინიციატივებში მონაწილეობაზე. მესამე და არა ნაკლებ მნიშვნელოვან

ფაქტორად Howard (2003) ასახელებს პოსტ-კომუნიზმით იმედგაცრუებას, რაც პირველ რიგში დაკავშირებულია ეკონომიკური მდგომარეობის ნაკლოვანებებთან და ხალხის მაღალი მოლოდინებით დამოუკიდებლობის მოპოვებამდე.

ზოგადად, ანალიტიკური ნაშრომებიდან და ანგარიშებიდან იკვეთება სურათი, სადაც პოსტ-საბჭოთა სივრცე შეფასებულია, როგორც „დემოკრატია მოქალაქეების გარეშე"(Ekiert & Foa 2011, ციტ. კობერიძე 2017). საუბარია, რომ პოლიტიკურმა ელიტებმა მოახერხეს სამოქალაქო უფლებების საბაზისო დაცვა, დემოკრატული პროცედურების განხორციელება და სამართლის უზენაესობის მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა, მაგრამ ვერ უზრუნველყვეს მოხალისეობრივი გააქტიურება ან ადგილობრივ დონეზე სამოქალაქო ჩართულობის გაზრდა. საერთო ჯამში ვარაუდობენ, რომ პოსტ-საბჭოთა სივრცეში ვერ მოხდა ხალხის მიერ წარმომადგენლობითი დემოკრატიის ინსტიტუციების მხარდაჭერა და, შესაბამისად, ითვლება, რომ ვერც დონორთა დახმარებით შექმნილი პოსტ-საბჭოთა სამოქალაქო საზოგადოება დგას თავის სიმაღლეზე, ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს და პასუხობს საზოგადოების დაკვეთას. ამის საპირისპიროდ ამტკიცებენ, რომ სამოქალაქო საზოგადოება ჩამოყალიბდა როგორც მაღალანაზღაურებადი „ელიტარული" კლასი, რომელიც მოწყვეტილია ხალხს.

ნათელია, რომ სამოქალაქო საზოგადოების შეფასებისას, ექსპერტები საუბრობენ არა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფართო სპექტრზე, არამედ მხოლოდ ე.წ. დონორთა მიერ წახალისებულ არასამთავრობო ორგანიზაციებზე. დღევანდელ დღეს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დიდი უმრავლესობა შეუერთდა ან უერთდება ევროკავშირის ბანაკს და მიუხედავად იმისა, რომ დონორთა დახმარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების პირველ ეტაპზე, დღესდღეობით საერთაშორისო განვითარების ინსტიტუტები არიან არა დონორები, არამედ სტრატეგიული და საინვესტიციო პარტნიორები სხვადასხვა მასშტაბითა და ფორმით კონკრეტულ ქვეყანასთან მიმართებით. ამასთან, განვითარების პროცესში, სხვადასხვა წამახალისებელი მექანიზმების ამოქმედებით, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში მეტად გააქტიურდა მოხალისეობა და ზოგადად ასოციაციური ცხოვრება ე.წ. არასამთავრობო სექტორის მიღმა. შესაბამისად, მცდარი იქნება, რომ აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის სამოქალაქო საზოგადოების შეფასებისას, არ გავითვალისწინოთ ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა და შემოვიფარგლოთ მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციებით.

შეკითხვები მასალის გასააზრებლად:

- რა საერთო აქვს და რით განსხვავდება ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპული სამოქალაქო საზოგადოების წარმოშვება-განვითარების ისტორია?
- რატომ აკრიტიკებენ პოსტ-საბჭოთა ბლოკის სამოქალაქო საზოგადოებას?

- რის გათვალისწინებაა მნიშვნელოვანი მოცემული ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოების შეფასებისას?

6. თემა მეექვსე: სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში

6.1. სამოქალაქო საზოგადოებისა და ქველმოქმედების ისტორიული ექსკურსი

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას გაცილებით ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილება ახლავს, საქართველოს პრე-სოციალისტურ წარსულშიც მოიძებნება სამოქალაქო საზოგადოების წარმოშობის ელემენტები. მაგალითად, შუა საუკუნეების თბილისში არსებობდა ხელოსანთა და ვაჭართა გილდიებსა, რომელთა არსებობა მიჩნეულია შედარებით მაღალი სამოქალაქო მონაწილეობის წინაპირობად მე-19 საუკუნის საქართველოში (Nodia 2005, ციტ. კობერიძე 2017).

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გააქტიურდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დაარსება, რომელნიც მიზნად ისახავდნენ ქართული კულტურისა და განათლების აღორძინებას და ერის თავისთავადობის გადარჩენას.

ამას ხელი შეუწყო როგორც რუსეთის იმპერიის მასშტაბით გატარებულმა რეფორმებმა[37] , ასევე საქართველოში ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებამ. ამ კუთხით მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა „თერგდალეოლების“, ასევე ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და ქართული საქველმოქმედო საზოგადოების საქმიანობას. ორგანიზაციები თბილისში დაფუძნდნენ, თუმცა მთელს საქართველოში ხსნიდნენ ფილიალებსა და წარმომადგენლობებს და ხელს უწყობდნენ ცოდნის შეტანასა და ეთნოკულტურული ტრადიციების აღორძინებას.

საინტერესოა, რომ წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (რეგიონული განყოფილებების ჩათვლით) ყოველთვიური შენატანი თანხები, სხვასთან ერთად, მოიცავდა სასტიპენდიო თანხებს, სასკოლო ნაგებობებისა და სხვადასხვა საიუბილეო ღონისძიებებისთვის განკუთვნილ თანხებს. ამასთან, საზოგადოებას ქონდა წიგნების მაღაზია, საიდანაც მიღებული შემოსავალი იხარჯებოდა საქველმოქმედო მიზნებისთვის (მაისურაძე 2011; Nodia 2005, ციტ. კობერიძე 2017)

საზოგადოებების ხელშეწყობით გაიზარდა სასულიერო და კერძო სკოლების ქსელი. სკოლების მეურვეებად, ხშირად, ინიშნებოდნენ ქველმოქმედი ადამიანები, შეძლებული თავადები ან ვაჭრები და მათი ძირითადი შემოსავალი იყო ქველმოქმედთა შესაწირი (სამღვდელოების კეთილისმყოფელი 1883, ციტ. მაისურაძე 2011). მთელს ქვეყანაში გროვდებოდა წიგნები სკოლებისა და ბიბლიოთეკებისთვის, ხელი ეწყობოდა ადგილობრივი კულტურული ცენტრების (მათ შორის

[37] ბატონყმობის გაუქმება და გლეხებისადმი სამოქალაქო ფუნქციების მინიჭება; შემდგომი სასამართლო და ადგილობრივი რეფორმები და სხვა.

თეატრის) შექმნას. იმავე პერიოდს უკავშირდება ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ეკატერინე გაბაშვილის მიერ, ილია ჭავჭავაძის თანადგომით, ქალთა პირველი პროფესიული სასწავლებლის წამოწყება და ქალთა უფლებებისთვის მებრძოლი გაერთიანებების შექმნა. აქვე საფუძველი ჩაეყარა თავისუფალ ბეჭდურს მედიას, რომლის მეშვეობით გაჩნდა საჯარო საკითხების ირგვლივ განხილვისა და დისკუსიების შესაძლებლობა და დაიწყო პოლიტიკური ორგანიზაციების განვითარება. ლადო აღნიაშვილისა და დავით სარაჯიშვილის თაოსნობით ხდებოდა მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშების შეგროვება და ჩაწერა, რითიც დავიწყებას გადაურჩა ბევრი ქართული ხალხური სიმღერა. ამასთან, საინტერესოა, რომ როგორც ქალაქების, ასევე სოფლების ბიბლიოთეკები ატარებდნენ არა მხოლოდ „წიგნის არქივის“ ან „სამკითხაოს“ ფუნქციას, არამედ ჩამოყალიბდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებად, სადაც იმართებოდა საქველმოქმედო ლიტერატურული და მუსიკალური საღამოები, კითხულობდნენ ლექციებს საინტერესო საკითხებზე, იკრიბებოდნენ საჭირბოროტო საკითხების განსახილველად და სხვა.

ზემოხსენებულთან ერთად, მთელს საქართველოში ამოქმედდნენ საქველმოქმედო დაწესებულებები, დამხმარე კომიტეტები და ამხანაგობები, როგორებიცაა საქართველოს ეთნოგრაფიული საზოგადოება, ილიას ფონდი, ომში დაჭრილთა და დაღუპულთა ოჯახების დამხმარე კომიტეტი, ქალთა ამხანაგობა და სხვა. გავრცელებული იყო ასევე საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა სკოლებისა და სცენის მოყვარულთა ჯგუფების მიერ. ხშირად ეს ღონისძიებები ეძღვნებოდა თავად სკოლების პრობლემების მოგვარებას, სოფელში მომხდარი ტრაგედიის გამოსწორებას[38], შეჭირვებული ოჯახებიდან ბავშვების როგორც სამკურნალო ხარჯების დაფარვას, ასევე საშიში ინფექციების პრევენციის ღონისძიებების დაფინანსებას, ასევე სხვა საქველმოქმედო საზოგადოების ფონდში შესატანი თანხის მოგროვებას („ივერია“ 1893, №39, 1; „დროება“, 1884, №66, 1, ციტ. მაისურაძე 2011).

ნათელია, რომ მე-19 საუკუნის ბოლოდან ბოლშევიკების მიერ საქართველოს დაპყრობამდე ქვეყანაში წარმატებულად ვითარდებოდა ფილანტროპიისა და ქველმოქმედების კულტურა. კერძო ქველმოქმედები არა მარტო ფონდებში წირავდნენ ფულს, არამედ ეხმარებოდნენ რეგიონებს. ცნობილია მდიდარი ადამინების ქველმოქმედების ფაქტები, როგორიცაა ხელმოკლე ნიჭიერი ახალგაზრდების სწავლის ანაზღაურება რუსეთისა და ევროპის უნივერსიტეტებში, სოფლებში სარწყავი არხების და გზების გაყვანა, უპოვართა სასადილოების მოწყობა და სხვა. მაგალითად, წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთერთი წევრის ივანე პაატაშვილი აღნიშნავს, რომ თელავის საზოგადოების ქველმოქმედება „გავრცელდა მანამდეც, სანამ ამ ტიპის ოფიციალური დაწესებულებები შეიქმნებოდა. „ბედნიერ დღეებში“ (შობა, ახალი წელი, აღდგომა) ქვრივ-ობლებს

[38] მაგ.: გურჯაანში 1884 წ. 11 მარტს ჩატარებულა საქველმოქმედო წარმოდგენა ერთი დამწვარი ოჯახის სასარგებლოდ („დროება“, 1884, №66, 1, ციტ. მაისურაძე 2011)

და ღარიბ ოჯახებს ეხმარებოდნენ ტანსაცმლით, ფულით, საგზლით და სხვა. ავადმყოფობის ან რაიმე უბედურების დროს (მაგ. სიკვდილი) ყველა მზად იყო, თავისი წვლილი გაეღო“ (თელავის მუზეუმის პაატაშვილის ფონდი 4315, ფ. 4, ციტ. მაისურაძე 2011).

სავარაუდოა, რომ თუკი ქართული სამოქალაქო საზოგადოების განვითარება მოხდებოდა ამ ტიპის ინსტიტუციების ტრადიციების გათვალისწინებით, იგი მეტად ახლო იქნებოდა დასავლური ტიპის სამოქალაქო საზოგადოებასთან (Nodia 2005, ციტ. კობერიძე 2017). ამის საპირისპიროდ, ისტორიული წინაპირობიდან გამომდინარე, ქართული სამოქალაქო საზოგადოება კლასიკური დასავლურის, ან დღევანდელი აღმოსავლეთ ევროპის მოდელების მიღმა ჩამოყალიბდა. თავისი შინაარსითა და ავტორიტეტით იგი მეტად ახლოა არა „ეკონომიკური ინტერესის ირგვლივ გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფების, არამედ პროგრესული ლიბერალური იდეების მატარებელ მოდელთან“ (Nodia 2005, ციტ. კობერიძე 2017ა).

1921 წელს საქართველოში რუსეთის შემოჭრის შემდეგ და ბოლშევიზმის დამკვიდრების შედეგად, იმ პერიოდისთვის არსებული საქველმოქმედო ფონდები, თავისუფალი ჟურნალ–გაზეთები და საზოგადოებრივ–კულტურული დანიშნულების ორგანიზაციები აიკრძალა. მათ მაგივრად, სახელმწიფოს ხელდასმით, ჩამოყალიბდა და განვითარდა quasi -სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, როგორებიცაა მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა და სხვა პროფესიული და კულტურული კავშირები. საბჭოთა იდეოლოგიისგან განსხვავებული ორგანიზაციები ღიად იდევნებოდნენ, ხოლო სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული, დაფინანსებული და „მოკავშირე“ სტრუქტურებად ჩამოყალიბებული კავშირები მკაცრად კონტროლდებოდნენ. ცხადია, რომ , საბჭოთა ეპოქაში ე.წ. სამოქალაქო გაერთიანებები ხელისუფლების მიერ კერძო პირებზე ზეგავლენის მოხდენისა და დამორჩილების ერთგვარი საშუალება იყო , რომლებიც ჩანასახშივე ბადებდნენ საბჭოთა იდეოლოგიის მსახურებს (ბუროუსი და სხვ. 2011). კომუნისტური რეჟიმის შედეგად, „სამოქალაქო საზოგადოება გადაიქცა მოსახლეობის სეგმენტად, რომელსაც არ ქონდა უნარი წვლილი შეეტანა დემოკრატიის ან ბაზრის განვითარებაში, ან შეწინააღმდეგებოდა ავტორიტარიზმს“ (Ekiert & Kubik 2014, ციტ. კობერიძე 2017).

1989 წლისთვის , რეჟიმის მოსუსტებასთან ერთად, ქვეყნებში იმძლავრა ანტი-სოციალისტურმა განწყობებმა და დაიწყო ლიბერალური ღირებულებების გავრცელება. აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოს კონტროლირებად ე.წ. „სამოქალაქო“ ორგანიზაციებმა სრული დისკრედიტაცია განიცადეს და დამოუკიდებლობის შემდეგ გაუქმდნენ. დღესაც- ისეთი ჯგუფები, როგორიცაა პოლიტიკური ორგანიზაციები, პროფესიული ასოციაციები ან სავაჭრო კავშირები საქართველოში არ განიხილებიან სამოქალაქო საზოგადოების ნაწილად საზოგადოების დიდი უმრავლესობის მიერ და აღიქმებიან საბჭოთა წარსულის გადმონაშთად.

6.2. სოციალური კაპიტალი და ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების ფენომენი

საქართველოში სოციალური კაპიტალის კვლევების ჩატარება შედარებით გვიან - 21-ე საუკუნის დასაწყისში დაიწყო. ამ კვლევების მიხედვით, სოციალური ნდობა, სათემო ჩართულობა და სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ რწმენა დაბალია. მთლიანობაში, ქვეყნის სოციალური კაპიტალი შეფასებულია, როგორც „შემაკავებელი". მაგალითად, კავკასიის კვლევითი რესურს ცენტრის (CRRC) 2011 წლის მონაცემით, საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 9% ადასტურებს რომელიმე კლუბის ან ასოციაციის წევრობას და მხოლოდ 5% ამბობს, რომ გაუწევია მოხალისეობრივი საქმიანობა. ამასთან, ნდობა არასამთავრობო სექტორის მიმართ არაერთგვაროვანია. მაგალითად, CRRC-ს 2008 წლის მონაცემით, საქართველოს მოსახლეობის 46% ენდობოდა არასამთავრობო სექტორს, 2011 წელს ეს მონაცემი 18%-მდე შემცირდა, ხოლო 2014 წლისთვის ისევ გაიზარდა 29%-მდე გაიზარდა.[39]

CRRC-ს 2011 წლის მონაცემით, საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 27% სრულიად ენდობა სამეზობლოს, 65% ნაწილობრივ ენდობა და მხოლოდ 1% საერთოდ არ ენდობა. ამავე დროს, 2008 წლის World Values Survey ანგარიშის მიხედვით, საქართველოში მხოლოდ 18% ამბობს, რომ ადამიანთა უმეტესობის ნდობა შეიძლება (ნორვეგიასა და შვედეთში იგივე კითხვაზე დადებითად პასუხობს მოსახლეობის 65%). მიუხედავად ამისა, კვლევის მიხედვით, საქართველოში ნათლად გამოიკვეთება გარკვეული ფორმალური და არაფორმალური ასოციაციების ნიშნები (მაგ. ბიზნეს ლობირების ჯგუფებისა და პროფესიული კავშირების თანამშრომლობა).

მიუხედავად ზოგადად დაბალი ნდობისა საზოგადოებაში, იგივე წყარო (2011) ხაზს უსვამს ქართველთა დიდსულოვნებას ერთმანეთის მიმართ სოლიდარობის კუთხით, რომლის შედეგად ხალხი ხშირად აყენებს სხვის საჭიროებებს საკუთარზე წინ. მაგალითად, ასევე, 2013 წლის კავკასიის ბარომეტრის მონაცემით, საქართველოს მოსახლეობის 50% ამბობს, რომ ბოლო 6 თვის მანძილზე დაეხმარა მეზობელს ან მეგობარს საშინაო საქმის მოგვარებაში. ამასთან, ქვეყანაში არსებობენ მძლავრი „შიდა-ჯგუფური" სოციალური ქსელები, რომლებიც იშვიათად იღებენ ინსტიტუციონალურ ფორმას.

ცხადია, რომ სოციალური კაპიტალის დღეს არსებული მდგომარეობა საქართველოს ისტორიულ მემკვიდრეობას წარმოადგენს. შესაბამისად, იგი ზეგავლენას ახდენს ქართული ასოციაციური ცხოვრების შინაარსსა და მოქმედებაზე.

---

[39] 16% არ ენდობა, 41% არც ენდობა და არც არ ენდობა, ხოლო 20% არ იცის (Caucasus Barometer 2014, CRRC, http://caucasusbarometer.org/en/cb2013ge/TRUNGOS/

თუკი მე-20 საუკუნის 70-ან წლების საქართველოში სამოქალაქო და პოლიტიკური აქტიურობა მჭიდრო იყო გადაჯაჭვული[40], საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მკვეთრად გაიმიჯნა სამოქალაქო ორგანიზაცია პოლიტიკური მოძრაობისგან და, სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნების მსგავსად, ქვეყანაში გაცოცხლება დაიწყო ასოციაციურმა ცხოვრებამ, ე.წ. არა-მომგებიანი არასამთავრობო ორგანიზაციების სახით (კობერიძე 2017ა)

მრავალი პოსტ-საბჭოთა ქვეყნის მსგავსად, საქართველოში ტერმინის „სამოქალაქო საზოგადოება", როგორც სახელმწიფოსა და ბიზნესისგან დამოუკიდებელი ქცევითი და ინსტიტუციური ერთეულის აღმნიშვნელის გამოყენება შედარებით გვიან- მე-20 საუკუნის ბოლოს დაიწყო. 1991 წლიდან, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყნის ევროპელმა და ამერიკელმა პარტნიორებმა მიზნად დაისახეს ახალი- დასავლური ტიპის სამოქალაქო საზოგადოების შექმნა-განვითარება, რაც წინ აღუდგებოდა ძალაუფლების მონოპოლიას, დააბალანსებდა სახელმწიფო ინსტიტუტებს, ან შეავსებდა მათ მიერ განხორციელებულ საჯარო პოლიტიკას (კობერიძე 2017). სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროცესი გულისხმობდა ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების დაფუძნებისა და განვითარების ხელშეწყობას და მიზნად ისახავდა, ერთის მხრივ, მოქალაქეთა ხმით აღჭურვილ ასოციაციების შექმნა-წახალისებას და მეორეს კი თათბირობითი (მონაწილეობით) დემოკრატიის პრინციპების გავრცელებას, რაც უზრუნველყოფდა სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის დიალოგსა და თანამშრომლობას. ნიშანდობლივია, რომ ეს მიდგომები გულისხმობდა წარმომადგენლობითი დემოკრატიის შევსებას და არა ჩანაცვლებას. მრავალი საერთაშორისო დონორი, როგორიცაა შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), გაეროს განვითარების ფონდი (UNDP), გერმანიისა და შვედეთის მთავრობები და სხვა შემოვიდნენ ინიციატივებით, რათა „გაეერთიანებინათ ადამიანები, რომელნიც თავად ვერ ერთიანდებოდნენ" ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში წვლილის შესატანად (Fukuyama 1999, ციტ. კობერიძე 2017).

საერთაშორისო პარტნიორები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სამოქალაქო საზოგადოების განვითარების კუთხით „განვითარების დახმარების" (development aid) ფარგლებში. თუმცა ცხადია, რომ სექტორის დახმარება გულისხმობს არასამთავრობო ორგანიზაციების ხელშეწყობას და იმთავითვე ვარაუდობს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების სხვა ფორმების არ არსებობას. შესაბამისად, ქართულ სამოქალაქო საზოგადოებას (არასამთავრობო ორგანიზაციებს) საერთაშორისო პარტნიორების (დონორების) მიერ დაეკისრა მეტად მნიშვნელოვანი როლი „ფართო საზოგადოებაში ლიბერალური ღირებულებების გავრცელებისა, თემების აღორძინებისა, ეფექტური მოქალაქეობის გამოზრდისა, პატივისცემისა და თანამშრომლობის პრაქტიკის დამკვიდრებისა, თვით-ინტერესის მორალური ალტერნატივის უზრუნველყოფისა, საჯარო ცხოვრების

[40] დამატებითი ინფორმაცია იხ. ქვე-თავში „სამოქალაქო აქტივიზმი და სოციალური მოძრაობები საქართველოში"

გამოცოცხლებისა და სხვა“ (Seligman 1992, ციტ. კობერიძე 2017). ამასთან, იგულისხმება, რომ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა ხელი უნდა შეუწყონ სამოქალაქო მონაწილეობასა და ჩართულობას, სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ინფორმაციის სრულფასოვან გაცვლას და ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში წვლილის შეტანას (კობერიძე 2017). მთავრობისა და მოქალაქეების თანამშრომლობის მრავალი ფორმის წახალისებასთან ერთად, დასავლელი პარტნიორების დახმარებით , ხელი ეწყობოდა და იხვეწებოდა სამოქალაქო საზოგადოების საკანონმდებლო ბაზა, რომლიც, მრავალი წყაროს მიხედვით, ტრადიციულად, მომხიბვლელია[41].

საქართველოში ახალი რესურსების ხელმისაწვდომობამ წაახალისა აქტიური მოქალაქეები და დროის მცირე მონაკვეთში (1992-1995) არამომგებიანი ორგანიზაციების რიცხვმა რამდენიმე ათასს მიაღწია (Nodia 2005. ციტ. კობერიძე 2017) და ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მონაცემით 2013 წლის დეკემბერში საქართველოში რეგისტრირებული იყო 18,733 ა(ა)იპ[42], ხოლო საჯარო რეესტრის 2015 წლის ივნისის მონაცემით ეს რაოდენობა 21,097-მე გაიზარდა. იმის გამო, რომ 2011 წლიდან ა(ა)იპ სტატუსი ასევე შეეძინა ხელისუფლების მიერ მართულ ორგანიზაციებს, როგორიცაა საბავშვო ბაღები, საჯარო უნივერსიტეტები და სხვა, სამოქალაქო ორგანიზაციების რეალური რაოდენობის დადგენა შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა კვლევების მიხედვით, რეგისტრირებული სამოქალაქო ორგანიზაციების მხოლოდ 10% რეალურად ოპერირებს. ამასთან, მარტივად იდენტიფიცირებადი და ხელმისაწვდომია დაახლოებით 150 ორგანიზაცია, რომლიდანაც საქმიანობის შედარებითი უწყვეტობა აქვს დაახლოებით 50 ორგანიზაციას (კობერიძე 2017ა). 2014 წლის მონაცემით კი, საქართველოს მოსახლეობა სწორად ახდენს 5-დან 10-მე არასამთავრობო ორგანიზაციის იდენტიფიცირებას (CRRC 2014, ციტ. კობერიძე 2017ა). თბილისში არსებული სამოქალაქო ორგანიზაციების რიცხვი ორჯერ აღემატება რეგიონებში არსებულებს.[43] სამოქალაქო ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა აცხადებს, რომ ფარავს საქმიანობათა ფართო სპექტრსა და დარგებს, რაც დასტურდება მათი წესდებით (Nodia 2005, CIVICUS 2010, ციტ. კობერიძე 2017ა).

მიღებულია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები განვითარების პოლიტიკის ერთერთი მთავარი მოთამაშეები არიან. დაფუძნების დღიდან მათ მიერ განხორციელებული პროგრამების პრიორიტეტები ფართო სპექტრისაა: დასავლური ტიპის ლიბერალური ღირებულებების

---

[41] საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, არა-მომგებიანი არაკომერციული იურიდიული პირის (ა(ა)იპ) რეგისტრაცია იოლი და არა-ბიუროკრატული პროცესია და არ არსებობს არანაირი ადმინისტრაციული დაბრკოლება მათი ფუნქციონირებისთვის. კვლევები ადასტურებენ, რომ პოლიტიკური და ინსტიტუციური გარემოებები მესამე სექტორის როლის გასაზრდელად საჯარო პოლიტიკის დიალოგში მთლიანობაში ხელის შემწყობია (USAID 2004-2014, WV 2008, CSI 2013, CIVICUS 2010, ციტ. კობერიძე 2017ა).

[42] არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების ოფიციალური სტატუსი საქართველოში

[43] თბილისის მოსახლეობა შეადგენს საქართველოს პოპულაციის 30%-ს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ოსეთის გამოკლებით (Nodia 2005)

გავრცელება, სიღარიბის შემცირება, ადამიანის უფლებების დაცვა, სამოქალაქო განათლება, გარემოს დაცვა, სახელმწიფო პოლიტიკის მონიტორინგი, სამოქალაქო ადვოკატირება, ეფექტური მმართველობის უზრუნველყოფა და სხვა. არასამთავრობო ორგანიზაციები მომსახურებას უწევს დონორებს და, სადაც შესაძლებელია, ხელისუფლებას (მაგ: ჯანდაცვა, ამომრჩეველთა განათლება, ყოფილი პატიმრების რეინტეგრაცია და სხვ.). ისინი შეისწავლიან და აფასებენ საჯარო პოლიტიკის საკითხებს, წერენ ანგარიშებს, მართავენ ტრეინინგებს როგორც საზოგადოების, ასევე ხელისუფლების წარმომადგენელთათვის, აწყობენ სხვადასხვა ტიპის თემატურ კონფერენციებს, მონაწილეობენ ეროვნულსა და საერთაშორისო ღონისძიებებში და სხვა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ქართული არასამთავრობო სექტორი, ხშირად კრიტიკის საგანი ხდება. მაგალითად, საერთაშორისო გამოკითხვები და მრავალეროვნული კვლევები (მაგ. USAID -ის „არასამთავრობო ორგანიზაციების მდგრადობის ინდექსი“ 2005-2014, World Values Survey 2008 და სხვ.), ქართულ სამოქალაქო საზოგადოებას ახასიათებენ როგორც არასრულფასოვანს, სუსტსა და ფრაგმენტულს და აღნიშნავენ, რომ ორგანიზაციებს უჭირთ თანამშრომლობა და მათი ცნობადობა და/ან ავტორიტეტი დაბალია. ასევე აღინიშნება ამ ტიპის ორგანიზაციების სისუსტე საჯარო პოლიტიკის საფუძვლიანი ანალიზის კუთხით, რაც აფერხებს ხალხის პრობლემებზე რეაგირების პროცესს და ხელს უშლის საჯარო პოლიტიკაზე რეალური ზეგავლენის მოხდენას. არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებისას, ექსპერტები ასევე ხშირად მთავარ გამოწვევად ასახელებენ ორგანიზაციების მოხალისეობრივ შინაარსს და კერძო მოხალისეების ჩართვას არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობაში.

ნათელია, რომ საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების ფენომენი არაა მოხალისეობრივი, ამ ცნების კლასიკური განმარტებით. 1990-ან წლებში, სექტორის შესაქმნელად და წასახალისებლად გამოყენებული ვერტიკალური („დონორი-სექტორი“) მოდელი ამის ძირითად მიზეზს წარმოადგენს. იგივე მოდელმა ზეგავლენა მოახდინა ინდივიდუალურ მოხალისეობაზე, რადგან სექტორი დასაქმების (სტაჟირების) მიმზიდველ საშუალებად აღიქმება (კობერიძე 2017ა).

2016-2017 წწ. ჩატარებული კვლევის „სამოქალაქო ადვოკატირების ზეგავლენა საჯარო პოლიტიკაზე, სოციალურ ცვლილებაზე და სოციალურ კაპიტალზე“, ფარგლებში გამოკითხულმა საქართველოს მასშტაბით 30-მდე სხვადასხვა ტიპის სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელთა უმრავლესობამ აღიარა, რომ ეპატიჟებიან და იზიდავენ კერძო მოხალისეებს, თუმცა მათთვის, როგორც წესი, უცნობია ორგანიზაციის სოციალური მისია და პროექტში მოხალისედ ჩართვის ძირითადი მოტივი შემდგომი დასაქმებაა. მიუხედავად ამისა, კვლევის ფარგლებში შესწავლილ სამოქალაქო ორგანიზაციების თანამშრომლების უმეტესობა საკუთარ თავზე იღებს და ახორციელებს აქტივობებს, რომელიც არაა გათვალისწინებული დაფინანსებული პროგრამებით, მოხალისეობრივ საწყისებზე (კობერიძე 2017ა).

ზემოხსენებულთან ერთად, დონორთა მიერ მხარდაჭერილი არასამთავრობო ორგანიზაციები ხელმძღვანელობენ რეალურო პრობლემებით, ამყარებენ ურთიერთობებს გადაწყვეტილებების მიმღებთან და ზრდიან ბენეფიციართა შესაძლებლობებს. მათი „კვალიფიცირებული ჩარევა“ ზეგავლენას ახდენს გადაწყვეტილებების მიმღებზე და ზეგავლენას ახდენენ საზოგადოების ფასეულობათა სისტემაზე, ლიბერალურ დემოკრატიული განვითარების კონტექსტში (კობერიძე 2017ა).

6.3. სოციალური მოძრაობები და სხვა სამოქალაქო აქტივიზმი საქართველოში

საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციისა და სამოქალაქო საზოგადოების გაიგივების გამო, სამოქალაქო საზოგადოების კლასიკურ განმარტებაში შემავალი ერთეულები და სამოქალაქო აქტივობების და ჩართულობის არა-ინსტიტუციური ფორმები, როგორებიცაა საინიციატივო ჯგუფები, ქუჩაში საპროტესტოდ გამოსული „აქტიური მოქალაქე“ ან სოციალური მოძრაობა, ჩვეულებრივ, განიხილებიან სამოქალაქო საზოგადოების ნაწილად მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტებისა და ანალიტიკოსების მიერ[44].

სამოქალაქო აქტივიზმი, როგორც სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობის ერთერთი ფორმა საკმაოდ ხშირად გვხვდება საქართველოს ისტორიაში. ცნობილია როგროც მე-19 საუკუნის ბოლოს, ასევე მე-20 საუკუნის დასაწყისის, 1970-ან, 1990-ან და 2003-2012 წლების სამოქალაქო აქტივიზმის მაგალითები.

მაგალითად, 1960-80-ანი წლების საქართველოში ეროვნული დამოუკიდებლობის იდეით განმსჭვალული დისიდენტური მოძრაობები და საჯარო პროტესტების კასკადი მიზნად ისახავდა საჯარო პოლიტიკის საკითხების მოგვარებას. ამ ტიპის სამოქალაქო აქტივიზმის ძირითადი მოტივაცია იყო მასობრივი მობილიზაცია საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ. თავისი შინაარსით ინიციატივები „ადგილობრივ“ ხასიათს ატარებდნენ, თუმცა გადაწყვეტილებები ტოტალიტარული სახელმწიფოს სათავეში მიიღებოდა. ამ პერიოდში პოლიტიკურ პარტიებსა და სამოქალაქო სექტორებს შორის მკვეთრი გამიჯვნა არ ხდებოდა. აღსანიშნავია სამოქალაქო აქტივიზმის ისეთი მაგალითები, როგორიცაა 1978 წლის პროტესტი ქართული ენის სახელმწიფო ენად შენარჩუნებისთვის, 1980-ების პროტესტები ტრანს-კავკასიური რკინიგზის და ხუდონის ელექტრო სადგურის აშენების წინააღმდეგ, ან 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“.

მნიშვნელოვანია, რომ ქართული სამოქალაქო აქტივიზმი, მეტ წილად, დემონსტრაციებისა და ბარიკადებზე დგომის ფორმას და პოლიტიკური პროტესტის ხასიათს ატარებდა და დღესაც

[44] იგივე ეხება გარკვეულ რელიგიურ ორგანიზაციებს, პროფესიული კავშირებს, პოლიტიკური პარტიების წევრებს და სხვ.

ატარებს[45] . ამასთან, საინტერესოა, რომ აქტივიზმი წარმოადგენს საჯარო სივრცის პლატფორმას, სადაც ხალხი ხვდება ერთმანეთს, ახდენს სოციალიზაციას და, პროტესტთან ერთად, ერთობა (კობერიძე 2017ა).

ზემოხსენებულთან ერთად, ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ქართულ სამოქალაქო საზოგადოებას შეემატნენ ინტერესთა და საინიციატივო ჯგუფები, სოციალური მოძრაობები და სხვა სამოქალაქო აქტივიზმის ჯგუფები და

გაჩნდა მაგალითები, როცა სამოქალაქო აქტივიზმი ატარებს არა ძალადობრივ, არამედ მეტად თანამშრომლობით და კრეატიულ ხასიათს და მისი გამოყენებით ხელი ეწყობა ხალხის ჩართულობას ქვეყნის სოციალური, პოლიტიკური ან ეკონომიკური პრობლემის მოგვარებაში. ამ ტიპის ორგანიზაციებისა და მათი წევრების საქმიანობა მეტად მოხალისეობრივია, ამ ცნების კლასიკური განმარტებით. ამ ორგანიზაციების ნაწილი (დონორთა რჩევით, რათა შესაძლებელი გამხდარიყო დონორის საგრანტო პროექტში მონაწილეობის მიღება[46]) გაიარა რეგისტრაცია და დაფუძნდა როგორც ა(ა)იპ, ნაწილი კი, საზოგადოებრივი სტატუსისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების, ასევე ინსტიტუციური ანგარიშვალდებულების თავიდან აცილების გამო, შეგნებულად არ რეგისტრირდება და უარს ამბობს დონორთა დაფინანსებაზე.

ამ ორგანიზაციების ძირითადი საქმიანობა ხალხის მობილიზაცია, ქუჩის პროტესტები და სამოქალაქო ატავიზმისთვის დამახასიათებელი სხვა საქმიანობაა. მიუხედავად ამისა, ამ ტიპის ორგანიზაციებმა შეითავსეს დონორთა მიერ წახალისებული ე.წ. უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა და, საჭიროების შემთხვევაში, აწარმოებენ საჯარო პოლიტიკის ცვლილებაზე მიზანმიმართულ მოლაპარაკებებს და მიმართავენ სასამართლო დავებს. საერთო ჯამში, ასეთი ტიპის ორგანიზაციების საქმიანობა განიხილება, როგორც პოლიტიკის ადვოკატირება. სამოქალაქო აქტივისტი ორგანიზაციებისთვის საკმარისია მათი რწმენის საპირისპიროდ შექმნილი ერთი ადამიანის მდგომარეობა ან საზოგადო ვითარება, რაც გადაიზრდება ხანგრძლივ ადვოკატირებაში, ინდივიდუალურად ან/და თანამოაზრეებთან ერთად, სამოქალაქო აქტივიზმის მეთოდების გამოყენებით (კობერიძე 2017ა). საქართველოში ასეთი ორგანიზაციების მაგალითებია ქალთა მოძრაობა, wehelp.ge, თეთრი ხმაურის მოძრაობა, თბილისის ჰამქარი და სხვა.

---

[45] მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში ქალთა უფლებების დასაცავად სამოქალაქო აქტივიზმი, ძირითადად, პუბლიცისტური წერილების გამოქვეყნებით ხორციელდებოდა. მიუხედავად ამისა, ამგვარ საქმიანობამ, ქალთა ორგანიზაციების შექმნა- გააქტიურებამ შედეგი გამოიღო და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის არჩევნებში ქალებს მიეცათ ხმის უფლება და 130 დეპუტატიდან 5 ქალი აირჩა (კიკნაძე & დონაძე n/d)

[46] დონორთა „განვითარების დახმარების“ პოლიტიკა არ ითვალისწინებს ფიზიკური პირების დაფინანსებას საგრანტო პროექტის ფარგლებში. დღემდე არსებული იშვიათი გამონაკლისების (მაგ. EWMI G-PAC პროეტი) შემთხვევაში ფიზიკურ პირზე საგრანტო ფულის ანგარიშგება გართულდა ქართული საკანონმდებლო ბაზის შეუსაბამობის გამო

Chatham House-ის 2013 წლის ანალიტიკური გამოცემის მიხედვით, „ახალი სამოქალაქო აქტიორები (საქართველოში) მეტად იყენებენ სამოქალაქო აქტივიზმის მობილიზაციის სტრატეგიებს და სოციალურ მედიას, და მეტად ჩანან საჯარო სივრცეში. სავარაუდოა, რომ ისინი მეტად ეფექტურნი არიან სახელმწოფოსა და საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენის კუთხით, ვიდრე დასავლეთის მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები (კობერიძე 2017ა).

6.4. ფილანტროპია და მოხალისეობა დღეს

საქართველოში სოციალური პასუხისმგებლობის ისტორიაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა სოციალისტურმა სისტემამ და მის მემკვიდრეობამ, რაც გამოვლინდა როგორც ეკონომიკურ ვარდნაში, ასევე ადამიანების მოხალისეობისა და ქველმოქმედების (ფართო გაგებით) კულტურის მივიწყებაში. დღევანდელ დღეს არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა საქართველოში საქველმოქმედო დონაციების შესახებ, თუმცა, კვლევები ადასტურებენ, რომ იგი მეტად ვრცელდება ოჯახისა და მეგობრების/მეზობლების წრეზე, ასევე რელიგიურ ორგანიზაციაზე, ვიდრე ფართო წრეებზე -უცხო ორგანიზაციებსა და პირებზე.

მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის კვლევის რესურს ცენტრის 2017 წლის მონაცემით, საქართველოში გამოკითხულთა 57% აცხადებს, რომ კარგი მოქალაქეობისთვის მნიშვნელოვანია მოხალისეობა და 75%- გაჭირვებულთა დახმარება- მათგან 60% აცხადებს, რომ გასული 6 თვის განმავლობაში დაეხმარა მეზობელს/მეგობარს რაიმე საოჯახო საქმის მოგვარებაში, ხოლო 23% -მა გაწია მოხალისეობრივი საქმიანობა, ყოველგვარი ანაზღაურების მოლოდინის გარეშე (caucasusbarometer.org).

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში საკმაოდ აქტიურად გასცემენ ფულს ცალკეული შეჭირვებული ბავშვების დასახმარებლად სოციალური ქსელებისა და სიტყვური შეტყობინებების საშუალებით და ასევე რელიგიური ორგანიზაციის სასარგებლოდ. საქველმოქმედოთ სახსრების გაცემის კუთხით, საზოგადოების ყურადღებას ასევე იქცევენ პოპულარული ადამიანების მიერ მოწყობილი საქველმოქმედო ღონისძიებები. კავკასიის ბარომეტრის მიხედვით, ხსენებულ შემთხვევებს ადასტურებს გამოკითხულთა 52% პროცენტი. ამასთან, 55% აცხადებს, რომ გასული 6 თვის განმავლობაში შესწირა ფული ეკლესიას/მეჩეტს და 34%, რომ მონაწილეობა მიიღო საჯარო სივრცის დასუფთავებაში (CRRC, caucasusbarometer.org 2017).

ზემოხსენებულისგან განსხვავებით, საქართველოში ადმიანები ნაკლებად ან არ სწირავენ ფულს ადგილობრივ საქველმოქმედო ან არასამთავრობო ორგანიზაციებს, რაც ექსპერტების აზრით, განპირობებულია არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ დაბალი ნდობით[47], რაც თავის მხრივ,

[47] სრულად ენდობა ან ნაწილობრივ ენდობა გამოკითხული მოსახლეობის 23% (CRRC, caucasusbarometer.org 2017)

გამოწვეულია ორგანიზაციების საქმიანობის შინაარსისა და სპექტრის შესახებ დაბალი ინფორმირებულობით და სექტორის ცნობადი სახეების განცხადებების პოლიტიკური ელფერით (კობერიძე 2017ა).

იგივე გარემოებები ზეგავლენას ახდენენ ქართული ბიზნესების მხრიდან საქველმოქმედო და არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების ნაკლებობაზე. ინდივიდუალური მოქალაქეების მსგავსად, კერძო ბიზნესი მეტად გასცემს ფულს ინდივიდუალური შეჭირვებული ადამიანების დასახმარებლად, ვიდრე მიმართავს სახსრებს რაიმე ფონდსა ან/და ორგანიზაციაში, რომელიც საკუთარ თავზე იღებს რაიმე სოციალურ პრობლემაზე დადებით ზეგავლენის მოხდენას. შესაბამისად, ქართული არასამთავრობო სექტორის საქმიანობის 95% დამოკიდებულია საერთაშორისო დონორების გრანტებზე (USAID 2001-2017) და არა მოსახლეობასა და ადგილობრივ ბიზნესებზე.

კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა, როგორც ფილანტროპიის განუყოფელი ნაწილი[48], საქართველოში ჯერჯერობით განვითარების პროცესშია. როგორც მოხალისეობისა და ინდივიდუალური ქველმოქმედების შემთხვევაში, ამაზე ზეგავლენა მოახდინა სოციალისტური სისტემის მემკვიდრეობამ და საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდგომმა სერიოზულმა ეკონომიკურმა კრიზისმა. ამ უკანასკნელიდან გამომდინარე, როგორც მცირე და საშუალო, ასევე მსხვილ კომპანიებს არ ქონდათ არც დრო და არც რესურსი, რათა დაენერგათ კომპანიებს გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირებული მიდგომები და აეღოთ დამატებითი ვალდებულებები სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებზე საზრუნავად. ამას თან ერთვოდა კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაციისა და ცოდნის ნაკლებობა (სამაგლიშვილი & ქართველიშვილი 2016).

უკანასკნელ წლებში საქართველოში განხორციელებულმა რეფორმებმა (ბიზნესის წარმოების დამაბრკოლებელი ადმინისტრაციული ბარიერების შემცირება, გადასახადების სახეობებისა და განაკვეთების შემცირება, შრომის კანონმდებლობის გაუმჯობესება და სხვ.) და ევროინტეგრაციის პროცესმა, მნიშვნელოვნად გააჯანსაღა და დაასტაბილურა ბიზნეს გარემო, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ქართული კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის მაგალითების წარმოჩენას. მაგალითად, ცნობილია სასტუმრო შერატონ მეტეხი პალასის, საქართველოს ბანკის, ელიტ ელექტრონიკსის, კორპორაციების RMG Copper და RMG Gold, ვისსოლ ჯგიუფის, თი-ბი-სი ბანკის, გუდვილის და სხვ. ისეთი ეკოლოგიური და სოციალური პროექტების დაფინანსება, როგორებიცაა, „დედამიწის საათი", პარკებისა და ეროვნული პარკების ტერიტორიები დასუფთავების აქცია, ხანდაზმულთათვის და ბავშვებისთვის საახალწლო ღონისძიების მოწყობა,

[48] დამატებითი ინფორმაცია კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ფორმებზე, პრინციპებსა და ხელშემწყობ კანონმდებლობაზე იხ. თავებში 8 და 9

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ერთჯერადი დახმარება, სამედიცინო პროცედურების დაფინანსება და საცხოვრებლით უზრუნველყოფა, მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური და საკვები პროდუქტებით დახმარება, Race for the Cure[49] და სხვა სპორტული ღონისძიების დაფინანსება, შშმ პირების დახმარება და სხვ.(Forbes.ge 2013).

როგორც ვხედავთ, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ზემო მაგალითები, მეტ-წილად, ერთჯერად ხასიათს ატარებენ, თუმცა გვხვდება ისეთებიც, როგორებიცაა, მაგალითად, ელიტ ელექტრონიკსის ბენეფიციართა დახმარების პროექტი (12 სრულწლოვანი მიუსაფარი და მზრუნველობამოკლებული მოქალაქის ტრენინგი და შემდგომი დასაქმება მაღაზიათა ქსელში); RMG Copper-ისა და RMG Gold-ის მიერ რაგბის ეროვნული გუნდისა და ბოლნისის რაიონში მოხუცთა თავშესაფრის მხარდაჭერა, ასევე განსაკუთრებული სტიპენდიის დაწესება და შემდგომი დასაქმება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის წარმოჩენილი სტუდენტთათვის; საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის მიერ საქართველოს ტექნიკური უნივერისტეტის ლაბორატორიული სესიებისთვის მატერიალურ- ტექნიკური ბაზის შექმნა ; ვისსოლ ჯგიფის მიერ საფეხბურთო კლუბის „ტორპედო ქუთაისი", ბავშვთა საფეხბურთო სკოლის „ავაზა", თბილისსა და ქუთაისში სპორტული კომპლექსების, ასევე ბავშვთა საფეხბურთო აკადემიის განვითარებისა მხარდაჭერა და სხვა.

გვხვდება ასევე მწვანე ტექნოლოგიების განვითარებისა და პოპულარიზაციაზე გამიზნული გრძელვადიანი ღონისძიებების მხარდაჭერის მაგალითები პარტნიორი კორპორაციების მხრიდან (Forbes.ge 2013).

შეკითხვები მასალის გასააზრებლად:

- რა ეტაპები განვლო ქართული სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებამ?
- როგორ ფიქრობთ, დასრულდა თუ არა ზემოხსენებული პროცესი?
- რა განასხვავებს მე-20 საუკუნის დასაწყისის სამოქალაქო საზოგადოებას დღევანდელისგან? რა ფაქტორებმა განაპირობა განსხვავება?
- საქართველოს ისტორიის გათვალისწინებით, რა საერთო აქვს და რით განსხვავდება ქართული სამოქალაქო საზოგადოება სხვა ქვეყნების სამოქალაქო საზოგადოებებისგან?

[49] Susan Komen Foundation -ის მიერ 1983 წლიდან მიმდინარე ძუძუს კიბოს დასამარცხებლად კამპანიის ერთერთი ღონისძიება, რომელიც უკვე 10 წელზე მეტია საქართველოშიც ტარდება

7. თემა მეშვიდე: სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო

7.1. სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ურთიერთობების ფორმები

მთელს მსოფლიოში სამოქალაქო საზოგადოებასა და ხელისუფლების ურთიერთობა კომპლექსური და დინამიურია, რომელთა შინაარსი და მოცულობა გამომდინარეობს მოცემული ქვეყნის სამოქალაქო ორგანიზაციის ტიპიდან (დიდი საერთაშორისო თუ მცირე ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია), საქმიანობის სფეროდან (ადგილობრივი პრობლემების მოგვარება თუ საერთაშორისო განვითარება) და მთავრობის ჩართულობის დონიდან. ურთიერთობა მოიცავს განსხვავებულ ასპექტებს, როგორებიცაა დაფინანსება (გრანტი, საკონტრაქტო მომსახურების ანაზღაურება, იაფი სესხი და სხვა), არა-ფინანსური დახმარება (საქონელი და მომსახურება), მანდატით აღჭურვა (საკანონმდებლო ბაზა, რაც უზრუნველყოფს სამოქალაქო ორგანიზაციების პოლიტიკის პროცესში ჩართულობას), სექტორის რეგულირება და ანგარიშვალდებულება.

ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების თანამშრომლობის განსხვავებული ასპექტების ფარგლებში იკვეთება სამოქალაქო საზოგადოების სამი ძირითადი როლო, როგორებიცაა (1) ჩანაცვლება, (2) „შევსება“ და (3) ოპონენტი (მოწინააღმდეგე) (Anheier 2017).

ჩანაცვლება გულისხმობს საზოგადოებრივი სიკეთეების უზრუნველყოფას ხელისუფლების სანაცვლოდ. ეს საჭიროება დგება იმ შემთხვევაში, თუკი ხელისუფლება სათანადოდ არ ან ვერ უზრუნველყოფს მოცემულ მომსახურებას. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია აქ გვევლინება მომსახურების ალტერნატიულ მომწოდებლად იმ სექტორებში, სადაც საჭიროება სპეციფიკურია (მაგ. უსახლკარო ბავშვების დახმარება, შშმ პირების ჯგუფების რეაბილიტაცია, პატიმართა რეაბილიტაცია და სხვა) და რაც არ წარმოადგენს ამომრჩეველთა უმრავლესობის პრიორიტეტებს. ამ მოდელის შემთხვევაში, სამოქალაქო ორგანიზაცია მოქმედებს, როგორც დამოუკიდებელი ერთეული და სახელმწიფოსთან თანამშრომლობის სტიმული ნაკლებია.

ხელისუფლების საქმიანობის „შემავსებელი“ როლი გულისხმობს ე.წ. „მესამე პირის მმართველობას“, სადაც სამოქალაქო ორგანიზაცია მოქმედებს, როგროც საჯარო პოლიტიკის განმახორციელებელი აგენტი. ამ როლის აღსასრულებლად სახელმწიფო ა) აფინანსებს ან ბ) ანაზღაურებას უხდის სამოქალაქო ორგანიზაციას. ითვლება, რომ მთავრობის მიერ მომსახურების

დელეგირება არა-მომგებიან სექტორზე ხარჯთეფექტურია. პირველ შემთხვევაში, ქვეყნებში[50], სადაც არა-მოგებიანი ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავებულია სოციალური კეთილდღეობის მომსახურებით (განათლება, ჯანდაცვა, სოციალური მომსახურება) - მექანიზმი დაფუძნებულია სახელმწიფო სუბსიდირების (დელეგირების) პრინციპზე და საჯარო პოლიტიკის განხორციელების ისტორიულად აპრობირებულ გზას წარმოადგენს. ამასთან, იმ ქვეყნებისთვის, სადაც სუბსიდირების პრინციპი ჯერ განვითარების პროცესშია- მექანიზმი წარმოადგენს ახალი საჯარო მმართველობის (New Public Management) ფარგლებში საჯარო სექტორის მოდერნიზაციის საკვანძო ელემენტს Kramer (1994, ციტ. Anheier 2017). საჯარო სექტორისთვის ეს მექანიზმი მომგებიანია, რადგან თავიდანაა აცილებული საწყისი ხარჯები და საჯარო მოხელეების დამატებითი რესურსი. ამასთან, ხარჯების გადანაწილება ხდება მეტი სიზუსტით და მარტივდება პროგრამების გაუმჯობესების, შეცვლისა და შეჩერების პროცესი. სახელმწიფო სუბსიდირების მაგალითები მრავალი ფორმისა და სპექტრისაა. ეს შეიძლება იყოს ნარკო-დამოკიდებულთა სარეაბილიტაციო ცენტრები, უსახლკაროთა განსახლება, უნივერსიტეტი, სოციალური მომსახურება და სხვა. მეორე- მომსახურების შესყიდვის (ანაზღაურებადი კონტრაქტის) შემთხვევაში ხელისუფლება „უკვეთავს“ მომსახურებას სამოქალაქო ორგანიზაციას გამოსასწორებელი დაწესებულების მომსახურების გასაწევად, სოციალური მომსახურების უზრუნველსაყოფად, ასევე საბაზისო საჯარო მომსახურების ან გადაუდებელი დახმარებისა და სამხედრო და ლოჯისტიკური ტრეინინგების ჩასატარებლად და სხვა (Minow 2009, ციტ. Rosenblum & Lesch, ed. Edwards 2011). მიუხედავად იმისა, რომ სახელდება ასევე მექანიზმის ნაკლოვანებები (მაგ. თანაბარი სტანდარტების შენარჩუნების სირთულე, სახელმწიფო კონტროლისა და ანგარიშვალდებულების შემცირება, მონიტორინგის ხარჯები) ორივე მხარეს აქვს თანამშრომლობის სტიმული.

სამოქალაქო სექტორის *მოწინააღმდეგეს (ოპონენტის)* როლი იკვეთება იმ შემთხვევაში, თუკი საჯარო პოლიტიკა მართებულად ვერ ასახავს უმცირესობის შეხედულებებს[51]. შესაბამისად, უმცირესობების თვით-ორგანიზებული ჯგუფები (სოციალური მოძრაობები, ანალიტიკური ორგანიზაციები და სხვა), კონფრონტაციაში შედიან ხელისუფლებასთან. ამ შემთხვევაში, თუკი სამოქალაქო ორგანიზაცია იცავს და გამოხატავს უმცირესობის პოზიციას, ხელისუფლება ეცდება დაიცვას უმრავლესობის „ხედვა“, რაც, პოტენციურად, კონფლიქტის შემცველია. ასეთი ჯგუფებია, მაგალითად, გარემოს, შრომის, ღარიბთა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების უფლებათა დამცველი ორგანიზაციები, რომლებიც ზეწოლას ახდენენ ხელისუფლებაზე ადვოკატირებისა

[50] მაგ. გერმანია, ნიდერლანდები, აშშ და სხვ.
[51] იგულისხმება არა მხოლოდ ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური ან სხვა „უმცირესობა“, არამედ იმ ადამიანთა ერთობა, რომლებმაც არჩევნებში ხმა მისცეს პოლიტიკურ ძალას/ებს, რომლიც ვერ მოვიდა ხელისუფლებაში. ასევე იგულისხმება „თემატური უმცირესობა“- ადამიანთა ჯგუფი, რომლებსაც პრობლემად მიაჩნიათ საკითხი, რაც არ წარმოადგენს ფართო ინტერესის საგანს (მაგ. კულტურული მემკვიდრეობა, ეკოლოგია, ლგბტ თემის უფლებები და სხვ.)

და სხვა საშუალებებით. მე-19 საუკუნიდან დღემდე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ჭარბად იყენებენ „ოპოზიციონერთა“ ბერკეტებს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა თუ რას წარმოადგენს მათი ძირითადი მანდატი (ადამიანის უფლებების დაცვა, მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობა, საქველმოქმედო თანხების მობილიზება, მოწყვლადი ჯგუფების დაცვა, საჯარო პოლიტიკის გაუმჯობესება თუ სხვა) საზოგადოებისა და ხელისუფლების თვალში მათ უნარჩუნდებათ ოპოზიციური იმიჯი.

7.2. ურთიერთგავლენა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საარსებო გარემო

სამოქალაქო საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის გამყოფი ხაზი არაა სტატიკური. ხაზის გადანაცვლება ან გარდაქმნა მნიშვნელოვნადაა განპირობებული მოცემული ქვეყნის კულტურული, სოციალური და პოლიტიკური განვითარებით.

ხელისუფლების პერსპექტივიდან, სახელმწიფო უმაღლესი ყოვლისმომცველი და მაკონტროლებელი ინსტიტუციაა, სადაც მთავრობა უფლებამოსილია მოქალაქეების კრებით ხმით (არჩევნების შედეგით). კანონისა და საჯარო პოლიტიკის საშუალებით, ხელისუფლება ქმნის ინსტიტუციურ ჩარჩოს- იმ სივრცეს, სადაც სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფები და ასოციაციები ყალიბდებიან და საქმიანობენ. ხელისუფლება განსაზღვრავს სამოქალაქო საზოგადოების სამართლებრივი სტატუსის, უფლებებისა და მოვალეობების ელემენტებს, ასევე კანონგარეშე აცხადებს ზოგიერთ ჯგუფებსა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას უფარდებს ზოგიერთ საქმიანობას. საჯარო სამართალი განსაზღვრავს სამოქალაქო ჯგუფებისა და ასოციაციების შიდა ურთიერთობებისა და მათ შორის თანამშრომლობისა და დავების პირობებს. როგორც იძულებით, ასევე წამახალისებელი საშუალებებით.

პირდაპირი და არა-პირდაპირი ფინანსური დახმარებით (გრანტები, სუბსიდირება, გარკვეული გადასახადებისგან განთავისუფლება, სამოქალაქო ორგანიზაციის სასარგებლოდ საქველმოქმედო შესაწირებისთვის საგადასახადო შეღავათების დადგენა და სხვა) ხელისუფლება ანვითარებს ან აკავებს, არეგულირებს, მიმართულებას აძლევს და მხარს უჭერს ასოციაციებისა და სხვა სამოქალაქო ინსტიტუციების ფართო სპექტრს. დემოკრატიულ სახელმწიფოს შეუძლია მნიშვნელოვნად არეგულიროს სამოქალაქო საზოგადოება ისეთი საქმიანობის ჩათვლით, როგორიცაა, სექტორის (ან ცალკეული ჯგუფების) სოციალური და პოლიტიკური ადვოკატირების საქმიანობის ზღვარი ან რა დოზით შეუძლია ორგანიზაციას ჩაერთოს (საშეღავათო საგადასახადო ვალდებულებების მქონე) ბიზნეს საქმიანობაში. შესაბამისად, ხელისუფლების გადმოსახედიდან მთავრობა „უპირატესია“ სამოქალაქო საზოგადოებაზე (Rawls 1993, ციტ. Lesch & Rosenblum, ed. Edwards 2011). ამასთან, იგულისხმება, რომ ხელისუფლება ვალდებულია უზრუნველყოს სამოქალაქო საზოგადოების ერთეულების

შესაბამისობა სტაბილური დემოკრატიის მოთხოვნებთან, რათა საფრთხეში არ ჩააგდოს დემოკრატია. ამ მიზნით, ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს კანონის თანაბარი დაცვა და სათანადო სამართლებრივი პროცედურები სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების დასაცავად ან (საჭიროების შემთხვევაში) მათ საწინააღმდეგოდ (Rosenblum 2000, ციტ. Lesch & Rosenblum, ed. Edwards 2011).

სამოქალაქო საზოგადოების პერსპექტივიდან, ასოციაციური ცხოვრება მოიცავს იმდენად ფართო საქმიანობასა და ვალდებულებებს რამდენადაც ფართოა ადამიანის საჭიროებები და ფანტაზია (Post & Rosenblum 2002, ციტ. Lesch & Rosenblum, ed. Edwards 2011). სამოქალაქო ორგანიზაციების წევრების გადმოსახედიდან, მოხალისეობრივი ასოციაციები (ასევე რელიგიური, კულტურული ან ეთნიკური ჯგუფები) იგივე მთავრობაა (უპირატესია მთავრობაზე), რადგან თვითრეგულირების შედეგად, ადგენენ შიდა სტრუქტურებს, კანონებსა და ვალდებულებებს, წევრთა უფლებებსა და პრივილეგიებს, იღებენ გადაწყვეტილებებს კოლექტიურ მიზნებზე (Rosenblum 1998, Galston 2002, ციტ. Lesch & Rosenblum, ed. Edwards 2011). ამასთან, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები იქმნებიან არა ფინანსური მოგების, არამედ სოციალური მიზნების მისაღწევად და წარმოადგენენ საჯარო სივრცეს, საზოგადოებრივი ინტერესის საკითხების გადასაჭრელად. მოცემული ქვეყნის კანონმდებლობიდან გამომდინარე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მოიცავენ არა მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციებს, არამედ ბევრად მეტ ორგანიზაციულ ფორმებს (ფონდი, ასოციაცია, კოოპერატივი, სოციალური საწარმო და სხვა[52]) როგორც მოცემული ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ[53]. მათი საქმიანობა მოიცავს სოციალური მომსახურებას განათლების, ჯანდაცვისა და სხვა სოციალურ საკითხებში, საერთაშორისო დახმარებას, პოლიტიკის ადვოკატირებას და სხვა. ამასთან, სამოქალაქო საზოგადოება ხელს უწყობს საჯარო დისკუსიასა და პოლიტიკურ მონაწილეობას, საზოგადოებაში დემოკრატიული ფასეულობების ჩამოყალიბებას და განსაზღვრავს სივრცეს, სადაც შესაძლებელი ხდება „პოლიტიკის, საჭირბოროტო საკითხებისა და იდეალების დადასტურება ან გადახედვა“ (Lesch & Rosenblum, ed. Edwards 2011).

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საზოგადოებისა და ხელისუფლების შორის ხაზის არსებობა, ისევე როგორც გადაკვეთის (ან ჩარევის) ადგილები ასახავს მოცემული საზოგადოების მორალურ ნორმებსა და პოლიტიკურ იდეოლოგიას, რაც, თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენს კანონსა და საჯარო პოლიტიკაზე[54] (Lesch & Rosenblum, ed. Edwards 2011).

---

[52] დამატებითი ინფორმაცია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციული ფორმების შესახებ იხ. თავში 1 „სამოქალაქო საზოგადოების მიმოხილვა. მაგალითები და ტერმინები“

[53] საერთაშორისო ფუნქციის მატარებელი სამოქალაქო ორგანიზაციების შესახებ ინფორმაცია იხ, თავში 10 „გლობალური სამოქალაქო საზოგადოება“

[54] დეტალური ინფორმაცია სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუციური ფორმით გადაკვეთაზე სახელმწიფო და ბიზნეს სექტორებთან იხ. თავში 3 „სამოქალაქო საზოგადოების ფორმები და შემადგენლობა“

ცხადია, რომ მოცემულ ქვეყანაში არსებული „პოლიტიკური სისტემები მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ როგორც სამოქალაქო საზოგადოების იერსახეს, ასევე სოციალური კაპიტალის გამოყენების ტენდენციებს“ (Foley & Edwards 1996; Sanders 2015, ციტ. კობერიძე 2017ა). პოლიტიკურ სისტემების ერთობლიობას, რაც ზეგავლენას ახდენს სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონირებაზე უწოდებენ სამოქალაქო საზოგადოების საარსებო გარემოს (enabling environment). საარსებო გარემოს შესაფასებლად, ჩვეულებრივ, გამოიყენებენ სახელმწიფო კონტროლის ისეთ (ფორმალურ და არა-ფორმალურ) განზომილებებს, როგორებიცაა ორგანიზაციის ფორმირება, ორგანიზაციის საქმიანობა, რესურსების ხელმისაწვდომობა, გამოხატვის თავისუფლება, მშვიდობიანი ასოციაციის თავისუფლება, ხელისუფლებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების ურთიერთობები, საგადასახადო სისტემა და სხვ. (CIVICUS & ICNL n/d; Anheier at al 2018).

7.2.1. ორგანიზაციის ფორმირება

ორგანიზაციის ფორმირება და კონტროლი გულისხმობს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის ამოქმედებისა და საქმიანობის შეწყვეტის კონტროლის დონეს. იგულისხმება სამართლებრივი ჩარჩოს ან მარეგულირებელი მექანიზმების არსებობა/არ არსებობა, ლოიალობა და სხვა, რასაც, ჩვეულებრივ, განსაზღვრავენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შექმნის სიმრავლით, აღიარებით, საჯარო პოლიტიკის პროცესებში ჩართულობით და სხვა. მაგ., სამოქალაქო ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსის მოპოვების/დაფუძნების რთული ან ზედმეტად ბიუროკრატიული პროცედურა, (დაფუძნების ეტაპზე) ჭარბი ფინანსური ვალდებულებები, საქმიანობის დაუსაბუთებელი შეჩერება-აკრძალვა და სხვ. განიხილება ხარვეზად.

7.2.2. ორგანიზაციის საქმიანობის კონტროლი

ორგანიზაციის საქმიანობის კონტროლი გულისხმობს ხელისუფლების მცდელობებს შეავიწროვოს ან დათრგუნოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის საქმიანობა. აქ იგულისხმება, როგორც კონსტიტუციითა და სხვა მარეგულირებელი მექანიზმებით გათვალისწინებული ასოციაციისა და ფუნქციონირების უფლება, ასევე ხელისუფლების არა-მართლზომიერი ჩარევა ორგანიზაციის საქმიანობაში (ადმინისტრაციული ჩარევისა და არა-მართლზომიერი გამონათქვამების ჩათვლით).

7.2.3. რესურსების ხელმისაწვდომობა და კონტროლი

რესურსების ხელმისაწვდომობა გულისხმობს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფინანსური და არა ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის ფართო ალტერნატივებს, როგორებიცაა სახელმწიფო დაფინანსების შესაძლებლობა, კერძო და საჯარო რესურსების

არსებობა, ეკონომიკური საქმიანობის შესაძლებლობა, საერთაშორისო და ფილანტროპული რესურსების ხელმისაწვდომობა და სხვა. უკანასკნელთან მიმართებაში მნიშვნელოვანია ასევე სახელმწიფოს მიერ ფილანტროპიისა და ქველმოქმედების წამახალისებელი მექანიზმების შემოღება, რაც, ჩვეულებრივ, გულისხმობს საგადასახადო შეღავათების დაწესებას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის (ან/და საზოგადოებრივი სარგებლის საქმიანობის) დახმარების წასახალისებლად. ამასთან, ფინანსური კონტროლი მიჩნეულია დასაშვებად, თუკი სამოქალაქო ორგანიზაცია სარგებლობს სახელწმიფოს მიერ დაწესებული საგადასახადო შეღავათებით, სუბსიდირებულია ან მომსახურებას უწევს ხელისუფლებას და სხვა, რაც დაკავშირებულია სამოქალაქო ორგანიზაციის გამჭვირვალობასთან. ამის საპირისპიროდ, ნეგატიურ კონტექსტში ფინანსური კონტროლი გულისხმობს სახელმწიფოს მცდელობებს, მაგალითად, ფინანსურ შუამავლად იქცეს დონორსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის შორის[55].

7.2.4. გამოხატვის თავისუფლება

გამოხატვის თავისუფლების კონტროლი გულისხმობს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების შესაძლებლობას თავისუფლად გამოხატონ საკუთარი აზრი, რაც მოიცავს როგორც კანონით ძალით გარანტირებულ უფლებას, ასევე საკომუნიკაციო პლატფორმების (ინტერნეტის ჩათვლით) ხელმისაწვდომობას. საკანონმდებლო გარანტიები გულისხმობს როგორც სიტყვის თავისუფლების შესახებ კანონმდებლობას, ასევე ისეთი კანონის არ არსებობას, რომელიც სახელმწიფოს მისცემს მანიპულირების საშუალებას, რათა შეზღუდოს მისთვის „არა სასურველი“ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის საქმიანობა.

7.2.5. სამოქალაქო სივრცის შეზღუდვა

სამოქალაქო სივრცის შეზღუდვა წარმოადგენს ზემოხსენებული კომპონენტების სრულად ან სხვადასხვა კომბინაციით ერთობლიობას.

დემოკრატიულ ქვეყნებში არა-მომგებიანი ორგანიზაციების შექმნა-განვითარება ბუნებრივი პროცესია[56]. საუკუნეების მანძილზე ასევე ბუნებრივად ვითარდებოდა სამართლებრივი რეგულაციების ბაზა, რაც პოსტ-საბჭოთა სივრცეში არსებულ მექანიზმებსა და რეგულაციებთან შედარებით მარტივია (კობერიძე 2017ბ). მაგალითად, დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში საგადასახადო შეღავათები ეხება ყველას (მიუხედავად სამართლებრივი სტატუსისა, მომგებიანი ორგანიზაციის ჩათვლით), ვინც განახორციელებს ან მხარს დაუჭერს საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობას.

---

[55] მაგ. 1990-ანების ბოლოს საქართველოს ხელისუფლებას ქონდა მცდელობა მიეღო კანონი, რომლიც მიხედვით საერთაშორისო დონორთა ფულის გაცემა მომხდარიო სახელმწიფო ბიუჯეტის გავლით

[56] დამატებითი ინფორმაცია დემოკრატიულ ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოების წარმოშობისა და განვითარების შესახებ იხ. თავში 5

ამასთან, დემოკრატიულ სახელმწიფოებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სოციალური და პოლიტიკური ადვოკატირების პირდაპირი და მკვეთრად მაკონტროლებელი შეზღუდვები იშვიათია და, არსებობის შემთხვევაში, როგორც წესი, ვრცელდება მთლიანად საზოგადოების წევრებსა და ჯგუფებზე და არა მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სეგმენტზე (Sidel, ed. Edwards 2011).

მიუხედავად ამისა, არის შემთხვევები, როცა სამოქალაქო საზოგადოების სივრცე, უფლებები და თავისუფლებები პირდაპირი საფრთხის ქვეშაა, რამაც შესაძლებელია სერიოზული ზეგავლენა მოახდინოს სექტორზე როგორც ახლო, ასევე შორეულ პერსპექტივაში. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში 1950-ანი წლების მაკკარტიზმი[57] ხასიათდება, როგორც არა-მომგებიანი ორგანიზაციების დესტრუქციისა და არა-ძალადობრივი ადვოკატირების დახშობის პერიოდი. იმ წლებში ასობით ადამიანს დაუსაბუთებლად ბრალი დაედო „ტოტალიტარულ, ფაშისტურ, კომუნისტურ ან დივერსიულ“ ორგანიზაციასთან კავშირში ან „არაკონსტიტუციური საშუალებებით შეერთებული შტატების მმართველობის ფორმის შესაცვლელად“ ადვოკატირებაში (History n/d). ეს პერიოდი გამოირჩევა განსაკუთრებული სირთულეებით არა მხოლოდ თავდასხმის ქვეშ მყოფი ორგანიზაციებისთვის, არამედ ამერიკის საზოგადოების სამოქალაქო სექტორის ფართო სპექტრის წარმომადგენლებისთვის (არა-მომგებიანი და საქველმოქმედო ორგანიზაციები, აკადემიური, საადვოკატო და სხვა ჯგუფები), ვიზეც განხორციელებულმა პოლიტიკამ შემაკავებელი ეფექტი მოახდინა (Cole 2003, ციტ. Sidel, ed. Edwards 2011).

21-ე საუკუნის სახეცვლილმა გეოპოლიტიკამ გამოიწვია მეტი შეზღუდვების დაწესება სამოქალაქო ორგანიზაციების როგორც შიდა, ასევე საზღვრებს გარე ოპერაციებზე. საერთაშორისო საქმიანობის ფარგლებში, საზღვრებს გარე ოპერაციებსა და გადარიცხვებზე შეზღუდვები გამკაცრდა 2011 წლის 9 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ. ამ პერიოდიდან მთელს მსოფლიოში განხორციელებულმა ანტი-ტერორისტულმა ზომებმა ზეგავლენა იქონიეს სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობაზე. შემოღებულ იქნა კანონები, რომლებიც ტერორიზმის დაფინანსების რისკების შესამცირებლად, მეტ რეგულაციებს უყენებენ საერთაშორისო დახმარებას, ასევე სისხლის სამართლის კვალიფიკაციას ანიჭებენ მთავრობის მიერ განსაზღვრული „ტეროსისტული“ ჯგუფის დახმარებას ან ჯგუფის სახელით მოქმედებას. ამ გარემოებებმა გამოიწვია ფართო შეზღუდვების დაწესების ტენდენცია ორგანიზაციების მთელ სპექტრზე (Sidel, ed. Edwards 2011). მაგალითად, დიდი ოცეულის[58] ზოგიერთ ქვეყანაში რეგულაციების

[57] ტერმინი მაკკარტიზმი წარმოიშვა იმ პოლიტიკის საილუსტრაციოდ, რომლიც ცივი ომის დროს განხორციელდა აშშ-ში 1950-ან წლებში რესპუბლიკელი სენატორის ჯოზეფ მაკკარტი-ს (Joseph McCarthy 1908 – 1957) ინიციატივით. დამატებითი ინფორმაცია იხ. ტერმინთა განმარტებაში

[58] დიდი ოცეული (Group of Twenty, ან G20) წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის მთავარ სტრატეგიულ ეკონომიკურ ფორუმს და აერთიანებს მსოფლიოში ეკონომიკურად წამყვან და სწრაფად განვითარებად ქვეყნებს. ოცეულის წევრები

გამკაცრებამ გაზარდა როგორც ორგანიზაციის დაფუძნების, ასევე ტრანზაქციების, მარეგულირებელი და შესაბამისობის ხარჯები (Anheier 2017).

ორგანიზაციის The International Center for Not-for-profit Law (ICNL)[59] მიხედვით, ბოლო ათი წლის განმავლობაში მრავალმა ქვეყანამ მეტად გაამკაცრა, ან აპირებს, რომ ასევე გაამკაცროს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მარეგულირებელი შიდა საკანონმდებლო ბაზა გადასახადებისგან განთავისუფლებასთან, დაფინანსებასთან, რელიგიურ ინსტიტუციებთან და ადვოკატირებასთან მიმართებაში (2017). საქველმოქმედო ორგანიზაციის Carnegie Endowment for International Peace მიხედვით, 2014-2016 წლებში 60-ზე მეტმა ქვეყანამ შეზღუდა შეკრების თავისუფლება და სამოქალაქო საზოგადოების დაფინანსების ხელმისაწვდომობა. ამგვარი გამკაცრება, ჩვეულებრივ, ინიღბება ეროვნული სუვერენიტეტის დაცვის აუცილებლობით და ხელისუფლებას ეძლევა შესაძლებლობა სისხლის სამართლის კვალიფიკაცია მიანიჭოს სამოქალაქო აქტივიზმის განსხვავებულ აზრს. მაგალითად, 2017 წელს რუსეთის იუსტიციის სამინისტრომ „უცხოურ აგენტად“ გამოაცხადა გარემოსდამცველთა ორგანიზაცია მურმანსკის რაიონიდან, რადგან ორგანიზაცია წევდა ადვოკატირებას ადგილობრივ ხელისუფლებასთან ატომური ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით, ეწინააღმდეგებოდა ადგილობრივი ატომური ქარხნის ექსპლუატაციის ვადის გახანგრძლივებას და, რაც მთავარია, წარსულში სარგებლობდა ნორვეგიის მთავრობის დაფინანსებით, საგრანტო პროგრამის ფარგლებში. 2018 წლისთვის, უცხოურ აგენტად გამოცხადების გამო 150-ზე მეტმა რუსულმა სამოქალაქო ორგანიზაციამ გადაიხადა მძიმე ჯარიმები, გაიარა დამამძიმებელი სასამართლო დავები და, ზოგ შემთხვევაში, მოუწია ლიკვიდაცია. ასევე ეგვიპტეში- 2014 წელს მიღებული კანონის შესაბამისად, ქვეყნის 41 ყველაზე გამორჩეულ ადამიანის უფლებათა დამცველ სამოქალაქო ორგანიზაციას ბრალი დაედო სავარაუდო ფინანსურ დარღვევებში; ხოლო ეთიოპიაში 2009 წლის ანტი-ტერორისტული კანონი სელექციურად იქნა გამოყენებული ჟურნალისტების, ადვოკატებისა და სამოქალაქო საზოგადოების ლიდერების წინააღმდეგ (Brechenmacher 2017).

ზემოხსენებული ტენდენციები განპირობებულია ისეთი ფაქტორით, როგორებიცაა (ა) 1990-ან წლებში მკვეთრი დემოკრატიული პროგრესის შეჩერება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, სადაც ახლად მოსული არა-ლიბერალური ხელისუფლებები ცდილობს ხელახლა დაამკვიდრონ სუვერენიტეტის ნორმები და უარს ამბობენ უცხოურ პოლიტიკურ დახმარებაზე; (ბ) ფესვებ გადგმულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ელიტებს სულ მეტად ეშინიათ სამოქალაქო

არიან აშშ, კანადა, ავსტრალია, არგენტინა, ბრაზილია, მექსიკა, რუსეთი, ჩინეთი, იაპონია, სამხრეთი კორეა, სამხრეთი აფრიკა, თურქეთი, საუდის არაბეთი, ინდოეთი, ინდონეზია, იტალია, ბრიტანეთი, გერმანია და საფრანგეთი. სხვასთან ერთად, საქმიანობის მანდატი მოიცავს ეკონომიკურ კრიზისებს, კლიმატის ცვლილებასა და ანტი-ტერორიზმს (The Balance n/d)

[59] აშშ-ში დაფუძნებული სამოქალაქო ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს მთელს მსოფლიოში სამართლებრივი გარემოს შემუშავებაზე, რაც გააძლიერებს სამოქალაქო საზოგადოებას, გაუმჯობესებს ასოციირებისა და შეკრების თავისუფლებას, ხელს შეუწყობს ფილანტროპიას და ხალხის მონაწილეობას (ICNL n/d).

აქტივიზმის და შემაკავებელი ზომები გამოიყენება ხალხის სამომავლო მობილიზაციის პრევენციის მიზნით (Brechenmacher 2017).

ცხადია, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოებში სამოქალაქო საზოგადოებას აქვს საშუალება წინ აღუდგეს სახელმწიფოს მხრიდან შევიწროვებას, სამართლებრივი და პოლიტიკის პროცესის მეშვეობით. ამასთან, არა დემოკრატიულ საზოგადოებაში ზარალი მეტად მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეს, რადგან ამგვარ ქვეყნებში ხელისუფლებას აქვს საშუალება თავისი ნებით ცვალოს შეზღუდვები და მოარგოს საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტებს, ხელისუფლების შესანარჩუნებლად.

შეკითხვები წაკითხული მასალის გასააზრებლად:

- რა ურთიერთობის ფორმების შესაძლებელია სახელმწიფო ინსტიტუტებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის?
- რა გავლენის მოხდენა შეუძლია სახელმწიფოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებზე და რა ფორმებით?
- რა პირობების სასიკეთო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ეფექტური ფუნქციონირებისთვის?
- რა ფორმითაა შესაძლებელია სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობის შეზღუდვა?

8. თემა მერვე: სამოქალაქო საზოგადოება და ბიზნესი

8.1. დაპირისპირება-ოპონირებიდან თანამშრომლობისკენ

თითქმის სამი საუკუნეა ისტორია იცნობს, აფასებს და იაზრებს სამოქალაქო საზოგადოებასა და ბაზრის (ბიზნესის) გადაკვეთების გზებსა და ფორმებს. ზოგიერთი ანალიტიკოსი ბაზარსა და სამოქალაქო საზოგადოებას განიხილავს ბუნებრივ პარტნიორებად, რომლებიც ერთმანეთზე არიან დამოკიდებულნი და ერთად მუშაობენ სოციალური პრობლემების მოსაგვარებლად. ამასთან, მეორე ნაწილი ხაზს უსვამს სექტორთა შორის დაპირისპირება-ოპონირებას და აღნიშნავს, რომ ეს დაპირისპირება აუცილებელია საზოგადოებისთვის, რადგან განსხვავებული ძლიერი მხარეებისა და ფასეულობების კონფლიქტის შედეგად წარმოიშვება დადებითი ცვლილება.

ითვლება, რომ სამოქალაქო საზოგადოება ყოველთვის ზემოქმედებდა ბაზრებზე და აძლიერებდა ან ასუსტებდა ბაზრის ზეგავლენას. (Korten 1995, ციტ. Zadek, ed. Edwards 2011). ამასთან, თუკი მე-20 საუკუნის შუა წლებამდე, ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობები მეტად ერთმანეთისგან დამოკიდებულ ან კონფრონტაციულ ხასიათს ატარებდა, 1980-ანი წლების ბოლოდან ამ ურთიერთობებმა მეტად კომპლექსური სახე მიიღო. გარდა იმისა, რომ დასავლეთის ქვეყნებში ფეხის მოკიდება დაიწყო სოციალური მისიის მატარებელი ორგანიზაციების (სოციალური საწარმო, კოოპერატივი, შპს და სხვ.) კომერციონალიზაციამ[60], ბევრად მეტი და ფართო სპექტრის სამოქალაქო ორგანიზაციები მეტად აქტიურ და ახლო ურთიერთობებში შევიდნენ ბიზნეს ორგანიზაციებთან.

ასევე განვითარდა და მეტად კომლექსური სახე მიიღო სამოქალაქო ორგანიზაციების სტრატეგიებმა და ტაქტიკამ დადებითი სოციალური ცვლილების მოსახდენად. დღეს იშვიათი აღარაა ბიზნესის, როგორც ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი ძალისა და სამოქალაქო სექტორის, როგორც სოციალური კეთილდღეობის ხელშემწყობი და გარემოს დამცველის ერთმანეთთან დაკავშირება (კობერიძე 2017ბ). შესაბამისად, ბიზნესზე ტრადიციულ სამოქალაქო ზეწოლასთან ერთად, ბიზნესისა და სამოქალაქო სექტორის ურთიერთობები გამდიდრდა საერთო პროგრამებით, ერთობლივი პროდუქციითა და ინოვაციური პროექტების კო-ინვესტირებით მეტი სოციალური ზეგავლენის მოსახდენად (Zadek, ed. Edwards 2011).

8.1.1. სამოქალაქო რეგულირება

ცხადია, რომ ბიზნესის მისიიდან გამომდინარე, გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული მისი დარწმუნება ითანამშრომლოს სამოქალაქო სექტორთან, პასუხისმგებლობით მოეკიდოს ადამიანებსა და

[60] ინფორმაცია ეკონომიკური საქმიანობით დაკავებული სოციალური ორგანიზაციების თაობაზე იხ. თავში 1

გარემოს, ან რომ მათ ინტერესშია სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინება, მიუხედავად იმისა სავალდებულოა ეს თუ არა მოცემული ქვეყნის კანონმდებლობით.

ე.წ. დარწმუნების, ან ვერ დარწმუნების შემდგომ პროცესს მოიხსენებენ „სამოქალაქო რეგულირებად". სამოქალაქო რეგულირება განსხვავდება სახელმწიფო რეგულირებისგან და კორპორაციული თვით-რეგულირებისგან და წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების უნარს და შესაძლებლობას შეცვალოს ბაზრის წესები, პირდაპირი ზეწოლის საშუალებით (და არა ტრადიციული საკანონმდებლო ლობირებით).

სამოქალაქო რეგულირება მნიშვნელოვნად იყენებს კორპორაციის მგრძნობელობას საკუთარი ბრენდის მიმართ. 1990-ნი წლების მეორე ნახევარში ბიზნესი, იმიჯის შელახვისა და შესაბამისი ფინანსური ზარალის გამო ბიზნესები მზარდად ემორჩილებოდნენ სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნებს. ზეწოლის კლასიკური მაგალითებია Greenpeace -ის კამპანიის შედეგად კორპორაცია Shell-ის მიერ ჩრდილოეთის ზღვის ნავთობის მოპოვების პლატფორმის დაძირვის გადაწყვეტილებაზე უკან დახევა; კორპორაციის Nike მიერ შრომითი პირობების გაუმჯობესება, გლობალური კამპანიის პასუხად, რაც მიზნად ისახავდა განვითარებადი ქვეყნების საწარმო ზონებში შრომითი პირობებისა და ბავშვთა შრომის შესახებ საზოგადოების ცნობიერების გაზრდას და სხვა(CCCE n/d; Zadek, ed. Edwards 2011). ამ ჩამონათვალში ხვდებიან ასევე Nestle, McDonalds და სხვა გლობალური კორპორაციები, რომლებმაც დათმეს ან შეცვალეს საკუთარი პრაქტიკა რეპუტაციისა და იმიჯის პოტენციური შელახვის გამო, სათემო ჯგუფების, გარემოდამცველი და ადამიანი უფლებათა დამცველი ორგანიზაციებისა და პროფესიული კავშირების ზეწოლის შედეგად (Zadek, ed. Edwards 2011). ცალკეულ შემთხვევებში, მსგავსი ქმედებები სერიოზული ზიანის მომტანი აღმოჩნდა, რადგან გარკვეული პერიოდით გაამყარა შეხედულებები, რომ ნებისმიერი ტიპის კამპანია, პოტენციურად, ლეტალური შედეგის მომტანია. ამასთან, სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის შედეგად, კორპორაციების საქმიანობა გახდა მეტად გამჭვირვალე, შემუშავდა ეთიკისა და სხვა ქცევის კოდექსები, გაჩნდა სოციალური აუდიტის პროფესია და შემუშავდა ფართო სპექტრის სტანდარტები. ამ სტანდარტების არსებობამ დახვეწა კორპორაციების პრაქტიკა და მთელს მსოფლიოში გააუმჯობესა დასაქმებულთა სამუშაო და მომპოვებელთა წარმოების ირგვლივ მცხოვრები თემების საცხოვრებელი პირობები, გადაარჩინა ენდემური ჯიშები და გადაშენების პირას მყოფი სახეობები. დღევანდელ დღეს შეუძლებელია იყო ძირითადი მოხმარების საგნების დასავლური მწარმოებელი და არ დაიცვა შრომისა და გარემოს დაცვის სტანდარტები.

ცხადია, რომ გარკვეული სტანდარტების დაცვა, პრაქტიკულად, ბიზნეს-კულტურად ჩამოყალიბდა. მიუხედავად ამისა, წლების განმავლობაში კორპორაციებმა უკეთ გაიაზრეს რა მოქმედებს კომპანიის იმიჯზე, სადაა იმიჯის რეალური დამაზიანებლები და როგორ დაიცვან თავი სამოქალაქო საზოგადოების ზეწოლისგან. ამის დასტურია, მაგალითად კორპორაცია Nike, რომელიც დღემდე განიცდის ზეწოლას

სამოქალაქო სექტორიდან[61], თუმცა აღარ რეაგირებს იგივე ენთუზიაზმით. იგივე შესაძლებელია ითქვას კორპორაციაზე BP[62]: დიდი ხნის მანძილზე მდგრადი განვითარების დამცველთა მოწინავე რიგებში მდგარი კორპორაცია დღეს გეგმავს გასვლას სამოქალაქო ორგანიზაციებთან ერთად შექმნილ კოალიციებიდან (მაგ. The U.S. Climate Action Partnership) (Zadek, ed. Edwards 2011). ზემოხსენებულთან ერთად, გლობალიზაციამ, ეკონომიკურმა კრიზისმა და ბაზარზე ისეთი მოთამაშეების გაჩენამ, ვინც ნაკლებად მგრძნობიარეა სამოქალაქო კამპანიების მიმართ გაზარდა კონკურენცია და არასახარბიელო პირობებში ჩააყენა კორპორაციები.

ზემოხსენებულმა გარემოებებმა გააჩინა საჭიროება სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნესის ურთიერთობის ახალი ფორმების გამონახვისა. შესაბამისად, 1990-ნი წლების ბოლოდან წამოწყებულ იქნა პროცესი, რომელიც მოიცავს სექტორთა შორის თანამშრომლობის მოდელების ახალ ფორმებს, თანამშრომლობითი მმართველობის ჩათვლით. დღევანდელ დღეს, დემოკრატიულ ქვეყნებში ჩამოყალიბებული ბიზნეს კულტურა და სტანდარტები არა მარტო სამოქალაქო კამპანიების ზეწოლის, არამედ თანამშრომლობის ახალი ფორმების გააზრებისა და სახელმწიფოს მხრიდან წახალისების დამსახურებაა[63].

8.2. ბიზნესისა და სამოქალაქო სექტორის თანამშრომლობის ფორმები

8.2.1. ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა

ევროპის კომისიის მიხედვით, ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა გულისხმობს კომპანიების მიერ პასუხისმგებლობის აღებას იმ ზეგავლენაზე, რასაც ახდენენ საზოგადოებაზე (EC n/d). ამგვარი პრაქტიკა, ჩვეულებრივ ცნობილია, როგორც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (Corporate Social Responsibility-CSR[64]), რომლის კონცეფციის თანახმად, კორპორაცია ნებაყოფლობით და შეგნებულად სცდება მოგების მიღების თავდაპირველ ფუნქციას და დადებით ზეგავლენას ახდენს მის სამუშაო, სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე (საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი, 2007). კორპორაციის CSR პოლიტიკა ბიზნესში ინტეგრირებული თვით-რეგულირების მექანიზმია, რომლის მეშვეობით ბიზნესი მონიტორინგს უწევს და უზრუნველყოფს შესაბამისობას სოციალურ და გეოგრაფიულ ასპექტებთან, ეთიკურ სტანდარტებთან და საერთაშორისო ნორმებთან. საზოგადოებაზე ზეგავლენა (და საქმიანობის შესაბამისი პასუხისმგებლობის აღება) გულისხმობს დადებითი ზეგავლენის ხელშეწყობას გარემოზე, მომხმარებელზე, თანამშრომლებზე, თემებზე, დაინტერესებულ მხარეებსა და

---

[61] განვითარებად ქვეყნებში დაბალი ხელფასების, სამუშაო ადგილების შემცირების, დამოუკიდებელი მონიტორების მიერ ქარხნების შემოწმებაზე უარის თქმის და სხვ. მიზეზებით (Brain 2017)

[62] BP- 2001 წლის მაისამდე British Petrolium (BP). სახელწოდება შეცვალა სახელწოდების ნავთობთან პირდაპირი ასოციირების გამო

[63] საგადასახადო შეღავათებისა და სხვა აღიარების ფორმებით

[64] გვხვდება ასევე სხვა სახელწოდებით, როგორიცაა კორპორაციული შეგნება (corporate conscience), კორპორატიული მოქალაქეობა (corporate citizenship) ბიზნესის სოციალური საქმიანობა (social performance) ან მდგრადი და პასუხისმგებლობიანი ბიზნესი (sustainable responsible business) (Fontaine 2013)

საჯარო სივრცის სხვა წევრებზე. ამასთან, CSR-ზე ფოკუსირებული ბიზნესები პროაქტიულად ითვალისწინებენ საზოგადოებრივ ინტერესებს და ნებაყოფლობით აღკვეთენ პრაქტიკას, რაც აზიანებს საჯარო სივრცეს. ამგვარი დაცვა და საზოგადოების ზრდისა და განვითარების ხელშეწყობა არაა დამოკიდებული კანონის არსებობაზე. საერთო ჯამში, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ეყრდნობა სამ ძირითად ფასეულობას: ხალხი, პლანეტა და მოგება, მხოლოდ ამ თანმიმდევრობით (Fontaine 2013).

არსებობს ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის შიდა და გარე მიმართულებები. ბიზნესის სოციალური შიდა პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კორპორაციულ დახმარებებს: შრომის უსაფრთხოების დაცვას, ანაზღაურებით წახალისებას, თანამშრომელთა სტიმულირებას და გადამზადებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, კრიტიკულ სიტუაციებში მუშაკებისთვის დახმარების გაწევას, თანამშრომელთა დაზღვევის დაფინანსებას და დამატებითი სამედიცინო ხარჯების დაფარვას (საძაგლიშვილი & ქართველიშვილი 2016). ამასთან, გარე სოციალურ პასუხისმგებლობას მიეკუთვნება სოციალური პროექტების დაფინანსება და განხორციელება, ქველმოქმედება და გარემოს დაცვა, საყოველთაო კრიზისულ სიტუაციებზე რეაგირება, საზოგადოების სხვა სეგმენტებთან (სამოქალაქო და სამთავრობო სექტორები) თანამშრომლობა და სხვა.

სოციალურ პასუხისმგებლობას კორპორაციები ანხორციელებენ კორპორაციული ფილანტროპიის (corporate philanthropy), სოციალური მარკეტინგისა (cause-related marketing) და სპონსორობის (sponsorship) საშუალებით.

კორპორაციული ფილანტროპია (ან კორპორაციული გაცემა) წარმოადგენს კორპორაციის მხრიდან მისი მოგების ნაწილის ან რესურსების დონაციას არა-მომგებიან ორგანიზაციაზე. კორპორაციული გაცემა შესაძლებელია ხორციელდებოდეს უშუალოდ კორპორაციის, ან მის მიერ დაფუძნებული ფონდის საშუალებით.

ფონდების მიერ ფულადი სახსრების გაცემა ხდება კლასიკური საგრანტო სქემების საშუალებებით. დასავლეთის ქვეყნებში გრანტი, როგორც კერძო ინსტიტუციონალიზებული გაცემის ერთ-ერთი მექანიზმი, 50 წელზე მეტია ფართოდ გამოიყენება მდიდარი ფონდების მიერ. კერძო სექტორისგან მიღებული გრანტი განიმარტება, როგორც სამოქალაქო სექტორზე „ფულის, საქონლის ან მომსახურების უსასყიდლო გადაცემა“. (OECD n/d, ციტ. კობერიძე 2017ა). გრანტი, როგორც დონაცია, რომელიც არ ვარაუდობს ფულადი ერთეულის მოგებას, განიხილება, როგორც სოციალური მისიის მატარებელ ორგანიზაციაზე „ზეგავლენის სტრატეგია“ და არა თავად მდგრადი სოციალური ცვლილების ბერკეტი (კობერიძე, 2017ბ). ფულადი სახსრების გადაცემასთან ერთად, კორპორაციის მიერ სამოქალაქო ორგანიზაციის მხარდაჭერა შესაძლებელია გამოიხატოს სამუშაო სივრცის ან ქონების დათმობაში სამოქალაქო სექტორის საქმიანობისთვის, ასევე რაიმე ტიპის მომსახურებაში .

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის ნაწილია ასევე კორპორაციულ მოხალისეობა,. რომელიც ლიტერატურაში აღწერილია, როგროც „კომპანიის მოხალისეობრივი პროგრამა“ ან „თანამშრომელთა ჩართულობის ხელშეწყობა“. მექანიზმი გულისხმობს კერძო კომპანიის ადამიანური რესურსების გამოყენებას არა-მოგებიანი მიზნებისთვის, რაც სცდება ბიზნესის ძირითად საქმიანობას. ასეთი შესაძლებელია იყოს თანამშრომელთა დასაქმება კომპანიის არა-მოგებიან პროექტებში ან/და თანამშრომელთა არსებული მოხალისეობრივი სწრაფვების წახალისება (Backhaus-Maul 2004, ციტ. კობერიძე 2017ბ). დროის ან გამოცდილების დონაცია კომპანიების ხელმძღვანელებისა და დაქირავებული თანამშრომლების მხრიდან ფართო სპექტრისაა. შესაძლებელია ეს იყოს ერთჯერადი რამდენიმე ინიციატივა (მაგალითად, „სოციალური დღეები“), როგორებიცაა სკოლის საკლასო ოთახების შეღებვა ან სპორტული მოედნის შერემონტება, რაც ხელით სამუშაოს გულისხმობს. ამასთან, შესაძლებელია ხანმოკლე (მაგ. იურიდიული დახმარება, ვებ-ტექნოლოგიების აწყობა) ან ხანგრძლივი კვალიფიცირებული დახმარება (დროებითი სამსახური არა-მოგებიან ორგანიზაციაში, მენტორობა), რაც კომპანიის ხელმძღვანელისგან ან თანამშრომლებისგან უსასყიდლო დახმარებას გულისხმობს (კობერიძე 2017ბ).

21-ე საუკუნის ეკონომიკური კლიმატიდან გამომდინარე, სადაც იზრდება გლობალური კონკურენცია და მოგება მცირდება- კომპანიები მეტად იკავებენ თავს არა-მომგებიანი ორგანიზაციის დახმარებაზე ან კონკრეტული სოციალური მისიით თანხების გაღებაზე. მიუხედავად ამისა, კორპორაციული სტრატეგიული ფილანტროპიის ისეთი მექანიზმი, როგორიცაა სტრატეგიული ფილანტროპია საშულებას აძლევს კომპანიას არა მარტო დაეხმაროს სოციალური მისიის მატარებელ ორგანიზაციას/საქმეს, არამედ ივარაუდოს მოგება. სტრატეგიული ფილანტროპია გულისხმობს კომპანიის მიერ ისეთი საქველმოქმედო და ფილანტროპული საქმიანობის განხორციელება, რომელიც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მოცემული ბიზნესის (ეკონომიკური) მიზნების განხორციელებას (მაგ. სასტუმროს ქსელი აფინანსებს არა-მომგებიან ტურიზმის სკოლას, შერჩეულ კურსდამთავრებულთა საკუთარ ქსელში შემდგომი დასაქმებისთვის)(Frechette 2010).

სოციალური მარკეტინგი , ჩვეულებრივ, გულისხმობს ბიზნესის და არა-მომგებიანი ორგანიზაციის შორის შეთანხმებას მოიზიდონ ფული რაიმე კონკრეტული სოციალური მიზნისთვის. ამ შეთანხმების შედეგად, ბიზნესი ვარაუდობს მეტი პროდუქტის გაყიდვას, მაღალი რეპუტაციის მქონე არა-მომგებიან ორგანიზაციასთან ან სოციალურ საკითხთან ასოცირებით. სოციალური მარკეტინგის პროგრამა არ წარმოადგენს არა-მომგებიანი ორგანიზაციის დახმარების ანონიმურ (ან თავმდაბალ) დახმარებას. სოციალური მარკეტინგი დეკლარირებაა, რომ კორპორაციას გააჩნია სოციალურად პასუხისმგებლობა და მას აწუხებს იგივე, რაც მის მომხმარებელს. სოციალური მარკეტინგის საშუალებით, არა-მომგებიანი ორგანიზაცია, თავის მხრივ, იღებს როგორც ფინანსურ სარგებელს, ასევე იბყრობს საზოგადოების ყურადღებას. სოციალური მარკეტინგის ერთერთი პირველი მაგალითია 1980-ან წლებში ამერიკან ექსპრესს პროექტი, როცა იგი შეუერთდა არა-მომგებიანი ორგანიზაციებს თავისუფლების ქანდაკების სარეაბილიტაციო თანხების შესაგროვებლად. ამერიკან ექსპრესმა რეაბილიტაციის ფონდში შეიტანა მათი

საკრედიტო ბარათის გამოყენებით შესყიდვების ღირებულების გარკვეული ნაწილი და ასევე წამოიწყო $ 4 მილიონიანი სარეკლამო კამპანია. სამი თვის მანძილზე სარეაბილიტაციო ფონდმა საერთო ჯამში მოიზიდა $ 1.7 მილიონი. თავის მხრივ, ამერიკან ექსპრესის გამოყენება გაიზარდა 27%-ით, ხოლო მომხმარებლების რაოდენობა 45%-ით წინა წელთან შედარებით (Saget n/d). სოციალური მარკეტინგის პროექტები შესაძლებელია მოიცავდნენ სუპერმარკეტის მიერ- სალაროსთან -კონკრეტული სოციალური საკითხის რეკლამირებას და ფულის შეგროვებას (მომხმარებელთან შეთანხმებით, შესყიდულ საქონელზე მცირედი თანხის დამატებით); არა-მომგებიანი ორგანიზაციის მიერ ბიზნესის ბრენდის პოპულარიზაციას; ღონისძიებისა და პროგრამის კო-ბრენდინგს; რაიმე საზოგადო საკითხის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლის მიზნით, სოციალური მომსახურების მარკეტინგულ პროგრამას და სხვა.

სპონსორობა მეტად ახლოა სოციალურ მარკეტინგთან, რადგან ამ შემთხვევაში კორპორაცია აძლევს ფულს არა-მომგებიან ორგანიზაციას რაიმე ერთჯერადი ღონისძიების (კონფერენცია, გამოფენა, თეატრალური წარმოდგენა და სხვ.) ან დროში ლიმიტირებული აქტივობისთვის (სოციალური კამპანია, სპორტული ჩემპიონატი და სხვ.). ამ დახმარების სანაცვლოდ, ბიზნესი ვარაუდობს საჯაროობას, შეთანხმებული მექანიზმების გამოყენებით (ვიდეო რგოლი, სააგიტაციო მასალები და სხვა).

ფინანსური (და არა ფინანსური) რესურსების გაცემის ძირითადი მოტივი კომპანიის ცნობადობის გაზრდა და მისთვის პოზიტიური იმიჯის შექმნაა, რაც, საბოლოო ჯამში, აისახება კომპანიის მოგებაზე. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მექანიზმების მართებულ ფუნქციონირებას ესაჭიროება განვითარებული ბიზნეს სექტორი, საზოგადოებრივი ცნობიერების მაღალი დონე და სახელმწიფოს მხრიდან წახალისება. ეს პირობები აუცილებელია, რადგან ა) რეპუტაციის შექმნას შესაძლებელია გარკვეული დრო დასჭირდეს და ბიზნესის გაზრდილი მოგება არ იყოს მომენტალური და ბ) იმისათვის, რომ რეპუტაციის ფაქტორმა ზეგავლენა იქონიონ მომხმარებლის არჩევანზე აუცილებელია საზოგადოების მიერ არასამთავრობო სექტორისა და ზოგადად სოციალური საკითხების გულშემატკივრობა, გ) სახელწმიფო ფლობს იმ აუცილებელ ბერკეტებს, რაც შესაძლებელს ხდის დამკვიდრდეს და განვითარდეს საზოგადოებრივი კულტურა.

დასავლეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა ბევრად უფრო ფართოდ არის დანერგილი და განვითარებული, ვიდრე ყოფილი სოციალისტური ბანაკისა და სხვა განვითარებად ქვეყნები. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ, მრავალ განვითარებულ და ასევე განვითარებად ქვეყანაში კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა წახალისებულია პირდაპირი და არა-პირდაპირი სახელმწიფო მექანიზმებით, როგორებიცაა სოციალური მისიის მატარებელი ორგანიზაციის ან/და საქმიანობის დახმარებისთვის საგადასახადო შეღავათების არსებობა, ქველმოქმედი კორპორაციების გამოვლენა და დაჯილდოება, სამოქალაქო ორგანიზაციისა და ბიზნესის თანამშრომლობის წახალისება სახელმწიფო ფინანსური მექანიზმების საშულებით და სხვა.

8.3. სტრატეგიული თანამშრომლობა და პარტნიორობა

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ბაზარზე დაფუძნებული სტრატეგიების განვითარებასთან ერთად, გამოიკვეთა ბიზნესისა და სამოქალაქო სექტორის პარტნიორობის მრავალი მექანიზმი, რაც, ერთის მხივ, საშუალებას აძლევს სამოქალაქო ორგანიზაციას უზრუნველყოს საქმიანობისთვის აუცილებელი ფინანსური რესურსები, ხოლო ბიზნესს კი ა)წვლილი შეიტანოს სოციალური საკითხის მოგვარებაში, ბ) გაიმყაროს რეპუტაცია, ბ) მიიღოს დამატებითი შემოსავალი. სხვასთან ერთად, ასეთი მექანიზმია ზეგავლენის ინვესტიცია .

ზეგავლენის ინვესტიცია (impact investment), ან „შედეგებზე ორიენტირებული ინვესტიცია“ წარმოადგენს კომპანიებში, ორგანიზაციებსა და ფონდებში გაკეთებულ ინვესტიციას (კაპიტალდაბანდებას), რაც ფინანსურ მოგებასთან ერთად მიზნად ისახავს დადებითი ზეგავლენის მოხდენას სოციალურ და გარემოსდაცვით საკითხებზე (GIIN, n/d, ციტ. კობერიძე, 2017ბ).ზეგავლენის ინვესტიცია ეჭვის ქვეშ აყენებს დამკვიდრებულ შეხედულებას, რომ სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხები უნდა მოგვარებული იქნას მხოლოდ ფილანთროპიული დონაციების საშულებით, ხოლო საბაზრო ინვესტიცია მხოლოდ ფინანსურ მოგებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. ბოლო წლებში ევროპის მრავალი და განსხვავებული ტიპის ინვესტორი (ბანკები, საპენსიო ფონდები, სოციალური მომსახურების მენეჯერები, ინსტიტუციური და ოჯახური ფონდები, სამთავრობო ინვესტორები, განვითარების ფინანსური ინსტიტუციები და სხვ.) შეუერთდა ზეგავლენის ინვესტიციის ბაზარს. ზეგავლენის ინვესტიციას ინვესტორები ხშირად ისეთი დარგებისკენ მიმართავენ, როგორებიცაა: მდგრადი სოფლის მეურნეობა, ხელმისაწვდომი საცხოვრებელი, ჯანდაცვა, ენერგეტიკა, სუფთა ტექნოლოგიები, ღარიბთათვის ფინანსური მომსახურება და სხვ.

ჩართული მხარეები. ზეგავლენის ინვესტორი შეიძლება იყოს როგორც მოგებიანი, ასევე არა-მომგებიანი ორგანიზაცია და მდიდარი ინდივიდი. ზეგავლენის კაპიტალის მოზიდვა ძირითადად ხორციელდება ბანკებიდან, საპენსიო ფონდებიდან და მსხვილი და მიკრო- საფინანსო ინსტიტუტებიდან. ზეგავლენი ინვესტიციის განხორციელების კუთხით მსოფლიოში ცნობილია ისეთი ფონდები, როგორებიცაა: Bill & Melinda Gates Foundation და Gatsby Charitable Foundation. ზეგავლენის ინვესტიცია ასევე ხორციელდება საპენსიო ფონდების, შესაწირი ფონდების, სადაზღვევო კომპანიების, კომერციული ბანკების, ჰეჩფონდებისა და სხვა ინსტიტუციური ინვესტორების[65] (მაგ., JP Morgan, South Africa PIC) მიერ. არსებობენ ასევე მცირე ინვესტორები, რომლებიც ინვესტიციას პირდაპირ სოციალურ საწარმოსა და ზეგავლენის ინვესტირების ფონდში დებენ (მაგ. Acumen Fund, Bridges Ventures, Elevar Equity, Ariya Capital).

ინვესტირებული (კაპიტალის მიმღები) შესაძლებელია იყოს როგორც არა-მოგებიანი (თუკი შეუძლია უზრუნველყოს ფინანსური მოგება), ასევე მოგებიანი (თუკი მოგებიან ბიზნესთან ერთად შეუძლია

[65]ინსტიტუციურ ინვესტორს უწოდებენ ორგანიზაციას, რომელიც აკეთებს ინვესტიციას ორგანიზაციის წევრების სახელით (მაგ., საპენსიო ფონდი, სადაზღვევო კომპანია და სხვ.)

დადებითი ზეგავლენა იქონიოს სოციალურ მდგომარეობასა და გარემოზე) ორგანიზაცია. კაპიტალის მიმღები შეიძლება იყოს სოციალური საწარმო, მიკროსაფინანსო ინსტიტუცია, მცირე და საშუალო ბიზნესი, კოოპერატივი და სხვ.

ზეგავლენის ინვესტორსა და ინვესტირებულს შორის შესაძლებელია იყოს სხვადასხვა ტიპის *შუამავალი,* როგორიცაა დამაკავშირებელი ინვესტორი ან სხვა ინსტიტუცია, რომელიც მორგებულია დაინტერესებული მხარეების საჭიროებებზე. შუამავლებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ სტრუქტურირებული დაფინანსების ემისიას და ზეგავლენის ინვესტიციის ღირებულების შემცირებას. ასევე შესწევთ უნარი უზრუნველყონ ფონდების მართვასთან დაკავშირებული რჩევა, კონსულტაცია, ჩაატარონ კვლევა, განახორციელონ ფანდრაიზინგი, სერტიფიცირება, გასწიონ იურიდიული დახმარება, განსაზღვრონ ზეგავლენა, მოაწყონ ბიზნესინკუბატორი და სხვ. შუამავალი შეიძლება იყოს კომერციული ბანკი, საინვესტიციო ბანკი, დამოუკიდებელი ფინანსური მრჩეველი, ბროკერი, დილერი, საერთაშორისო ორგანიზაცია, საკონსულტაციო ფირმა და სხვ.

ზეგავლენის ინვესტირების ბენეფიციარია ყველა დაინტერესებული მხარე, რომელიც იღებს სარგებელს ინვესტიციიდან გაუმჯობესებული გარემოსა და სოციალური პირობების საშუალებით. ამასთან, ზეგავლენის ინვესტიციას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სოციალური საწარმოს შექმნაში, საქმიანობის წამოწყების ადრეულ ეტაპზე საქმიანობის გამოსაცდელად და მოგებიანი ბიზნეს მოდელის შესამუშავებლად, რათა ორგანიზაცია უფრო მეტად გახდეს მომხიბვლელი არა-ფილანთროპიული ინვესტორებისთვის.

ზეგავლენის ინვესტიციისთვის აუცილებელია ხელშემწყობი გარემო, რასაც უზრუნველყოფენ ქვეყნის მთავრობები და საფინანსო ინსტიტუტები. ზეგავლენის ინვესტირების ხელშესაწყობად ხელისუფლება უზრუნველყოფს შესაბამის მარეგულირებელ გარემოს და ქმნის პირდაპირ ან არაპირდაპირ მასტიმულირებელ მექანიზმებს. კაპიტალის ღირებულება შესაძლებელია შემცირდეს გადასახადისგან განთავისუფლებით ან/და შეღავათებით, ასევე სახელმწიფო პროგრამებისა და პრიორიტეტების შესაბამისი სახელმწიფო გარანტიებითა და სუბსიდიებით. ამასთან, აუცილებელია იმ რეგულაციების ამოქმედება, რომლებიც უზრუნველყოფს ზეგავლენის ინვესტორების აღიარებას, გამჭვირვალობას, ინფორმაციის საჯაროობას და სხვ.

შეკითხვები მასალის გასააზრებლად:

- რა თეორიები არსებობს ბიზნესსა და სამოქალაქო სექტორებს ურთიერთობის ირგვლივ?
- რა იწვევს სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნესის დაპირისპირებას და რა მექანიზმები არსებობს ამ ორი სექტორის თანამშრომლობის წასახალისებლად?
- რას გულისხმობს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა და რა ფორმებით ხორციელდება?

9. თემა მეცხრე: სამოქალაქო საზოგადოება და რელიგიური ინსტიტუტები

9.1. სამოქალაქო საზოგადოებისა და რელიგიის ურთიერთდამოკიდებულება

სამოქალაქო საზოგადოებასა და რელიგიურ თემებს შორის ურთიერთობები საკმაოდ არაერთგვაროვანია. ანალიტიკოსთა ნაწილი ამტკიცებს, რომ რელიგიური ინსტიტუციები არ წარმოადგენენ სამოქალაქო საზოგადოების ნაწილს და ამას ხსნიან იმით, რომ ა) სამოქალაქო საზოგადოების კლასიკური დეფინიცია მოიცავს მხოლოდ მოხალისეობრივ სამოქალაქო ასოციაციებს, ბ) მოქალაქეობის ცნება განცალკევებულია სახელმწიფოსა და ბაზრის სავალდებულო (ან გარდაუვალი) ზეგავლენისგან და გ) რელიგიურ ორგანიზაციებს, უმეტეს წილად, უსიტყვო შეთანხმება აქვთ სახელმწიფოსთან და დგანან სახელმწიფო ძალაუფლების მხარეზე.

სამოქალაქო საზოგადოებისა და რელიგიის შორის არაერთგვაროვანი დამოკიდებულება და კონცეფციების ირგვლივ დავა, ნაწილობრივ, გამოწვეულია ტერმინების „რელიგია“ და „სამოქალაქო საზოგადოება“ აღქმებით, ასევე სახელმწიფოებსა და რელიგიური ორგანიზაციების ურთიერთობების (მათ შორის ფინანსური) ფართო სპექტრით. მაგალითად, „რელიგია“ შესაძლებელია ნიშნავდეს რომელიმე სპეციფიკური ორგანიზებული თემის რწმენის გამოხატულებას, თუმცა იგი ასევე შესაძლებელია მოიცავდეს ზოგადი მორალურობისა და სულიერების გაზიარებას. ამასთან, როგორც ვიცით, „სამოქალაქო საზოგადოება“ შესაძლებელია გულისხმობდეს არა მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციებს, არამედ მოქალაქეობის მეტად ფართო გამოხატულებას, როგორც მოცემული ქვეყნის შიგნით, ასევე გლობალურად.

სოციოლოგიური თეორიების ისტორიის მანძილზე რელიგიისა და მისი საზოგადოებრივი როლი განსხვავებული ნორმატიული შეფასებებისაა. მაგალითად, კარლ მარქსი[66] რელიგიას უწოდებდა ოპიუმს, რომელიც ადუნებს სიღარიბისა და უთანასწორობის განცდებს, აკავებს რევოლუციურ ცვლილებებს და, შესაბამისად, სოციალურად რეგრესიულია. გვხვდება ასევე როგორც ნაკლებად რადიკალური ან კრიტიკული, ასევე მეტად კომპლექსური ხედვები სამოქალაქო საზოგადოებაზე რელიგიის ზეგავლენის კუთხით, რომლებიც აღიარებენ რელიგიის კონსერვატულ და იდეოლოგიურ როლს და, ამავდროულად, აღნიშნავენ მის პოტენციალს ხელი შეუწყოს დადებით სოციალურ ცვლილებას.

[66] კრალ მარქსი (Karl Marx 1818 – 1883), გერმანელი ფილოსოფოსი, ეკონომისტი, ისტორიკოსი, სოციოლოგი და პოლიტიკის თეორეტიკოსი. მარქსის თეორიებს კოლექტიურად უწოდებენ მარქსიზმს, რაც გულისხმობს, რომ საზოგადოება ვითარდება კლასების შორის ბრძოლის შედეგად.

ისტორია იცნობს შემთხვევებს, როცა რელიგიური მოძრაობები, სოციალურ კაპიტალზე დაყრდნობით, ხმას იმაღლებდნენ (მათი აღქმით) უსამართლო ავტორიტარული რეჟიმების, ან სახელმწიფო პოლიტიკის წინააღმდეგ და ახდენდნენ მოქალაქეთა მობილიზებას. მაგალითად, შეერთებულ შტატებში მე-19 საუკუნეში რელიგიურმა ინსტიტუტებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს სოციალური რეფორმების წამოწყების საქმეში, ხოლო მე-20-ში ჩაერთნენ ალკოჰოლის აკრძალვის, ქალთა უფლებებისა და სამოქალაქო უფლებების დაცვის კამპანიებში (International Encyclopedia… 2010).

სამოქალაქო ცხოვრებასა და სოციალურ მდგომარეობაზე დადებით ზეგავლენასთან ერთად, რელიგიას ასევე შეუძლია მიაყენოს ზიანი, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, თუკი იგი იქცევა სახელმწიფოს ინსტრუმენტად ან კორპორაციის ან რაიმე სხვა ვიწრო ჯგუფის ინტერესების უპირობო დამცველად. მაგალითად, ისტორიაში გვხვდება მაგალითები, როცა სასულიერო პირები ღიად მხარს უჭერდნენ გენოციდს ან ტოტალიტარულ ლიდერებს, რასაც ამართლებდნენ სოციალური ელიტის პრივილეგირებული მდგომარეობით (Gourevitch 1999, ცირ. Miller, ed. Edwards 2011).

ანალიტიკური ორგანიზაციის Pew Research Center 2017 წლის კვლევის მიხედვით, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მოქალაქეების აზრით, ეკლესიას და სხვა რელიგიურ ინსტიტუციებს დადებითი ზეგავლენა აქვთ საზოგადოებაზე. პოსტ-საბჭოთა ბლოკის ქვეყნებში, სადაც მრავალწლიანი „მალვის“ შემდეგ რელიგია დაბრუნდა საჯარო სივრცეში, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ კონფესიების საქმიანობა სასარგებლოა სოციალური კავშირების გაღრმავებისა და ღარიბთა დახმარების კუთხით. ამასთან, იგივე კვლევის მიხედვით, ბევრ ქვეყანაში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ფიქრობს, რომ კონფესიები ზედმეტად არიან ფოკუსირებულნი წესებზე, ფულსა და ძალაუფლებაზე და ჭარბად არინ ჩართულნი პოლიტიკაში. რესპონდენტთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ ისურვებდნენ რელიგიის მეტად გამიჯვნას სამთავრობო პოლიტიკისგან (2017).

ცხადია, რომ რელიგია ასრულებს მნიშვნელოვან, თუმცა გასაგებად რთულ როლს ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების ეკოსისტემაში. ასევე ითვლება, რომ იმისთვის, რომ რელიგიამ დადებითი როლი შეასრულოს სამოქალაქო საზოგადოების შენებისა და განვითარების კუთხით, მისი წარმომადგენლები ანგარიშვალდებულნი უნდა იყვნენ არა სახელმწიფოს, არამედ მეტად „უმაღლესი ძალების“ წინაშე იმ ფასეულობების დაცვით, რაც ემსახურება არა კერძო, არამედ საყოველთაო ჰუმანურ ინტერესებსა და ფასეულობებს (Miller, ed. Edwards 2011).

ისტორიული და კულტურული პირობებიდან და მემკვიდრეობიდან, ასევე რელიგიური გამოხატულებების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, რელიგიას შეუძლია მიიღოს ადამიანებზე ზეგავლენის მრავალი განსხვავებული ფორმა. შესაბამისად, ერთმნიშვნელოვანი ახსნა ან პასუხები სამოქალაქო საზოგადოებისა და რელიგიის ურთიერთობაზე არ არსებობს. მიუხედავად ამისა,

ანალიტიკოსები გამოყოფენ საერთო მახასიათებლებს და აყალიბებენ სამოქალაქო საზოგადოებისა და რელიგიის ურთიერთობების მოდელებს, რომელთა ნაწილი ხელს უწყობს დინამიური სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას, ნაწილი კი საკმაოდ დამაზიანებელია.

9.2. რელიგიის სოციალური როლი და განვითარების ხელშეწყობა

რელიგიური ინსტიტუტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ როგორც ბავშვების სოციალიზაციისა და მორალური ფასეულობების განვითარების, ასევე გაჭირვებულ ადამიანთა სოციალური მომსახურების კუთხით (Fowler 1981; Marsh 2005 ; Harper 1999 ; Elliott 2004, ციტ. Miller, ed. Edwards 2011). დემოკრატიულ ქვეყნებში გვხვდება შემთხვევები, როცა რელიგიური ორგანიზაციის სოციალური მომსახურება მხარდაჭერილია სახელმწიფოს მხრიდან პირდაპირი დაფინანსებით. მაგალითად, შეერთებულ შტატებში, თუკი რელიგიური ორგანიზაცია ეწევა საგანმანათლებლო, ჯანდაცვის ან სხვა სოციალურ მომსახურებას იგი (სხვა მიზნობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მსგავსად) იღებს პირდაპირ დაფინანსებას (გრანტებს) ფედერალური მთავრობისგან. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში თანხები გაიცემა მხოლოდ არა-რელიგიურ სოციალურ მომსახურებაზე და აკრძალულია მათი დახარჯვა წმინდა რელიგიურ საქმიანობაზე (რელიგიური სემინარი, ინსტრუქციები ან პროზელიტიზმი)[67] (U.S. Department of Health and Human Services n/d).

ცხადია, რომ როცა რელიგია დანახულია სამოქალაქო საზოგადოების ნაწილად, იგულისხმება მისი ინსტიტუციური ფორმა (სპეციფიკური რწმენა, რიტუალები და ორგანიზაციული ფორმა) და არა ადამიანის პირადი სულიერება. ამ შემთხვევაში, სოციალური როლის მატარებელი რელიგია (რელიგიური ორგანიზაცია) და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობა რამდენიმე მიმართულებითაა საინტერესო (Miller, ed. Edwards 2011):

- რელიგია სივრცეა, სადაც წახალისებულია საუბრები სულიერებაზე, სადაც ხალხი განიხილავს სახელმწიფო იდეებსა და პრინციპებს და უყალიბდებათ წარმოდგენები იმაზე თუ რა არის კარგი და რა ცუდი;
- დინამიური რელიგიური ინსტიტუტები შთააგონებენ საკუთარ წევრებს იმოქმედონ თავისი შეხედულებების შესაბამისად, იქნება ეს არჩევნებში ხმის მიცემა, საჯარო დემონსტრაციები თუ სხვა პოლიტიკური მოქმედება;

[67] ამერიკის შეერთებულ შტატებში ის რელიგიური ორგანიზაციები, რომლებიც იღებენ პირდაპირ დაფინანსებას სახელმწიფოსგან იძულებულნი არიან დროის ან ადგილმდებარეობის თვალსაზრისით გამიჯნონ საკუთარი რელიგიური საქმიანობა მთავრობის მიერ დაფინანსებულ მომსახურებისგან. იმ პროგრამების გასამიჯნად, რაც ფინანსდება სახელწმიფოსგან ზოგიერთი რწმენაზე დაფუძნებული ორგანიზაცია ცალკე აფუძნებს საქველმოქმედო ორგანიზაციას, რაც აშშ-ს კანონმდებლობით ათანაბრებს მას არა-მომგებიან ორგანიზაციასთან (U.S. Department of Health and Human Services n/d)

- რელიგიური ინსტიტუციები აფუძნებენ სკოლებსა და სოციალური მომსახურების სააგენტოებს, ასევე, ტრადიციულად, გვერდში უდგანან მოქალაქეებს კრიზისების დროს (მიწისძვრა, წყალდიდობა და სხვ.);
- რელიგიური ინსტიტუტები ანვითარებენ „ჯგუფურ კულტურას", რაც მოქალაქეებში ნერგავს ერთმანეთზე ზრუნვისა და გვერდში დგომის კულტურას ერთობლივი აქტივობების, მუსიკის, ხელოვნებისა და სხვ. საშუალებებით;
- რელიგიურ ინსტიტუციები ატარებენ ადამიანის დაბადების, ქორწილის, ნათლობის, გარდაცვალებისა და სხვა რიტუალებს.

სხვადასხვა სეკულარული ინსტიტუცია ასევე ასრულებს ზოგიერთ ზემო ფუნქციას. კლუბებს, პროფესიულ კავშირებსა და სხვა სამოქალაქო ორგანიზაციებს ასევე შესაძლებელია ქონდეთ რიტუალები, რწმენები და ორგანიზაციული სტრუქტურა, თუმცა რელიგიურ ორგანიზაციას აქვს მორალური ავტორიტეტის პრეტენზია არა მარტო საკუთარი წევრების, არამედ მათ მიღმა. ამასთან, თუკი (არა-რელიგიურ) სამოქალაქო ორგანიზაციას გაუჩნდება რაიმე აბსოლუტური ჭეშმარიტების „ქადაგების" პრეტენზია - მას ბრალს დებენ რელიგიის „ტერიტორიაზე" შეჭრაში (Gustafson 2008, ციტ. Miller, ed. Edwards 2011).

რელიგიური ინსტიტუციის (კონფესიის) და სამოქალაქო საზოგადოების სოციალური ფუნქციის დემონსტრირების ნათელი მაგალითია *რწმენაზე დაფუძნებული ორგანიზაციის* (faith-based organization) საქმიანობა. რწმენაზე დაფუძნებული ორგანიზაცია არაა რელიგიური ორგანიზაცია (კონფესია). ასეთი ტიპის ორგანიზაცია შესაძლებელია დააფუძნოს რომელიმე (ქრისტიანულმა, მუსლიმურმა და სხვა) კონფესიამ ან ადამიანთა ჯგუფმა, რომლის წევრები ერთიანდებიან მათი რელიგიური ან სულიერი რწმენის საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ თავის დროზე მსგავსი ორგანიზაციების შექმნა განპირობებული იყო მხოლოდ ჯგუფის წევრების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, დღევანდელ დღეს რწმენაზე დაფუძნებული ორგანიზაცის მიზნებმა ასევე მოიცვეს სოციალური პრობლემების მოგვარება ჯგუფის წევრებს მიღმა. ასეთი მიმართულებებია დასაქმებულთა საკადრისი ანაზღაურება, დაბალ შემოსავლიანი უბნების/თემების მაცხოვრებელთათვის გაუმჯობესებული ხარისხის სკოლების ადვოკატირება, ხელმისაწვდომი საცხოვრებლის აშენების ხელშეწყობა, სამეზობლო უსაფრთხოება და სხვა. ამ მიზნების მისაღწევად ორგანიზაციები პირისპირ ესაუბრებიან მოსახლეობას, ავლენენ მათ საჭიროებებს, აბამენ მჭიდრო კავშირებს, იბრძვიან საკანონდებლო ცვლილებებისთვის, ახდენენ ხალხის მობილიზებას საპროტესტო კამპანიებში მონაწილეობის მისაღებად და სხვა. მსგავსი საქმიანობით რწმენაზე დაფუძნებული სამოქალაქო ორგანიზაციები დემონსტრირებას უკეთებენ საკუთარ კოლექტიურ სამოქალაქო და პოლიტიკურ ძალაუფლებას.

9.2.1. რელიგია და განვითარება

რელიგიური ინსტიტუტებისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთ დამოკიდებულებისა და განვითარების კონტექსტში საინტერესოა ასევე ისეთი მახასიათებლების გაანალიზება, როგორებიცაა ლიბერალური და კონსერვატიული, პროგრესული და ორთოდოქსული, მოდერნისტული და ფუნდამენტალური (Hunter 1991, ციტ. Miller, ed. Edwards 2011).

ლიბერალების, პროგრესულებისა და მოდერნისტების აზრით, რელიგიამ ფეხი უნდა აუწყოს საზოგადოებასა და კულტურაში მიმდინარე ცვლილებებს. ესენი არ აიგივებენ რელიგიას რაიმე ტიპის კულტურასთან და ტრადიციასთან და ცდილობენ შექმნან საზოგადოება, რომელიც შეითავსებს რელიგიის იდეებსა და პრინციპებს და, ამავდროულად, გაითვალისწინებს მეცნიერულ ინფორმაციას, ახალ ტექნოლოგიებსა და ცვლილებებს მმართველობით სისტემაში. ამათგან საპირისპიროდ, კონსერვატორები, ორთოდოქსები და ფუნდამენტალისტები, ჩვეულებრივ, მკაცრად ეჭიდებიან წარსულის სიკეთეებს, რაც აღქმულია, როგორც საუკეთესო, ნაკლებად გახრწნილი და მეტად წმინდა იდეალების ტრადიცია. კონსერვატორების მიზანია საზოგადოება დაუბრუნდეს „იდეალურ“ მდგომარეობას და, შესაბამისად, ისინი უარყოფენ მოდერნიზებასთან დაკავშირებულ კულტურულ ელემენტებს.

ზემოხსენებული ორი ორიენტაცია განსხვავებულ დღის წესრიგს ქმნის სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობის კონტექსტში. კონსერვატორები, ჩვეულებრივ, ფოკუსირებას ახდენენ ისეთი ინსტიტუციების დაცვაზე, როგორიცაა ოჯახი და ხშირად ცდილობენ შვილები აარიდონ სახელმწიფოს მიერ „თავზე მოხვეულ“ ნორმებსა და იდეოლოგიას. ნაციონალისტური განწყობებიდან გამომდინარე, ამგვარი ჯგუფები საფრთხეს ხედავენ უცხოურ ძალებსა და/ან იმიგრანტებში. ამათგან განსხვავებით, პროგრესულები, ჩვეულებრივ ფოკუსირებას ახდენენ სიღარიბეზე, უსამართლობასა და რასიზმზე, რასაც აღიქვამენ მთავრობის მოსაგვარებელ სისტემურ პრობლემად.

ნიშანდობლივია, რომ ზემოხსენებული განსხვავებები არაა რაიმე ორი ან მეტი სხვადასხვა აღმსარებლობის წარმომადგენლების მახასიათებელი, რადგან ხშირია შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე აღმსარებლობის ჯგუფში გვხვდებიან როგორც კონსერვატორები, ასევე პროგრესულები. პროგრესულ მუსლიმებს, ებრაელებს, ქრისტინებსა და ბუდისტებს გაცილებით მეტი საერთო შეიძლება ქონდეთ ერთმანეთთან, ვიდრე საკუთარი ჯგუფების და კონფესიების კონსერვატულ ან ფუნდამენტალისტურ წარმომადგენლებთან. მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციური რელიგიური ბანაკები ხშირად ახდენენ ერთმანეთის დემონიზებას, დინამიური სამოქალაქო საზოგადოების პირობებში უზრუნველყოფილია აზრთა სხვადასხვაობა. ამასთან, სამოქალაქო საზოგადოება უზრუნველყოფს სივრცეს, სადაც საჯარო პოლიტიკის განხილვები წარიმართება ზნეობრივი და თეოლოგიური პოზიციების გათვალისწინებით. ამასთან, ცხადია, რომ დადებითი როლის

შესასრულებლად სამოქალაქო საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია რელიგიური თავისუფლება (Hunter 1991, ციტ. Miller, ed. Edwards 2011).

განვითარების კონტექსტში სამოქალაქო საზოგადოებისა და კონფესიის გადაკვეთა-თანხვედრა აისახება რწმენაზე დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში (faith-based organizations) ისეთი ორგანიზაციები, როგორებიცაა World Vision, Catholic Relief Services, Lutheran Social Services, Adventist Relief and Development Agency, Food for the Hungry, Compassion International წარმოადგენენ კონფესიების მიერ დაფუძნებულ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომელთა საქმიანობა მოიცავს ჰუმანიტარულ დახმარებასა, სამედიცინო დახმარებას და დემოკრატიულ განვითარებას მთელს მსოფლიოში. მათი დიდი უმრავლესობა თანამშრომლობს შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (USAID), დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტთან (DFID) და სხვა სამთავრობო საერთაშორისო განვითარების სააგენტოებთან და წარმომადგენლობებთან. საინტერესოა, რომ ამ ტიპის საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობენ არ მხოლოდ დამფუძნებელი კონფესიის, არამედ სხვა აღმსარებლობების წარმომადგენლები და ათეისტები. იმ შემთხვევაში, თუკი რწმენაზე დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობა სცდება მოცემული კონფესიის ჯგუფებს, აკავშირებს სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანებს, და ხელს უწყობს ღია და თვით-კრიტიკული კულტურის განვითარებას, იგი ხელს უწყობს დამაკავშირებელი სოციალური კაპიტალის განვითარებას, ამცირებს ძალადობის რისკებს და ხელს უწყობს განსხვავებული თემებისა და საზოგადოებების ჩართულობას[68].

საერთო ჯამში, საზოგადოებაში, სადაც გარანტირებულია რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლება და ნებადართულია განსხვავებული რელიგიური ხედვების გამოხატვა, რელიგიურ ინსტიტუტებს აქვს პოტენციალი წარმოადგენდეს ასოციაციური ეკოსისტემის ჯანსაღ ნაწილს. ჯანსაღ ფორმებში რელიგია ტოლერანტულია და მისთვის მიუღებელია ფანატიზმი და სხვა ჯგუფებისა და ხალხის დემონიზება. წინააღმდეგ შემთხვევაში, საერთო სიკეთის შექმნის ხარჯზე, რელიგია იყენებს შემაკავებელ სოციალურ კაპიტალს ძლიერი შიდა ინსტიტუციის შესაქმნელად (Hunter 1991, ციტ. Miller, ed. Edwards 2011).

რელიგიას შეუძლია მოახდინოს ძლიერი ზეგავლენა როგორც პოლიტიკურ, ასევე სოციალურ ცხოვრებაზე. იგი ზეგავლენას ახდენს ადამიანთა ცხოვრების სტილზე და იმაზე თუ როგორ აღიქვამენ ადამიანები მსოფლიოს. როგორც ცხოვრების სტილი, ასევე აღქმები მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონირების კონტექსტში. ამასთან, რელიგიას შეუძლია ხელი

[68] მაგალითად, განვითარების პროგრამის ფარგლებში საერთაშორისი რელიგიური ორგანიზაცია აფინანსებს პროექტს, რომელშიც მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა სარწმუნოების წარმომადგენლები

შეუწყოს სამოქალაქო ჩართულობას, გააერთიანოს ხალხი ფასეულობების გარშემო, ხელი შეუწყოს არა მხოლოდ მოქალაქეთა ვიწყო ინტერესების დაკმაყოფილებას, არამედ საერთო სიკეთის შექმნას.

შეკითხვები წაკითხული მასალის გასააზრებლად:

- არის თუ არა რელიგიური ორგანიზაცია სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი?
- რა ზეგავლენა აქვს რელიგიას სამოქალაქო სექტორის ფუნქციონირებაზე?
- რა ფაქტორები განაპირობებენ რელიგიისა და სამოქალაქო საზოგადოების ეფექტურ ფუნქციონირებას ქვეყნის განვითარების კონტექსტში?

10. თემა მეათე: გლობალიზაცია და სამოქალაქო საზოგადოება

10.1. გლობალიზაციის იდეა

ტერმინი გლობალიზაცია გულისხმობს საერთაშორისო ვაჭრობის, ინვესტირების, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კულტურის გლობალურ ინტეგრაციას. გლობალიზაციის პირობებში, როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო პოლიტიკა მთელს მსოფლიოში მიზნად ისახავს ღარიბ ქვეყნებში განვითარების ხელშეწყობას და ხალხის საცხოვრებელი სტანდარტების გაუმჯობესებას (Investopedia n/d). გლობალიზაცია წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნების ხალხის, ბიზნესებისა და მთავრობების ურთიერთობისა და ინტეგრაციის პროცესს, რომელსაც, თავის მხრივ, ზეგავლენა აქვს გარემოზე, კულტურაზე, პოლიტიკურ სისტემებზე, ეკონომიკურ განვითარებაზე და კეთილდღეობაზე მთელს მსოფლიოში (Levin Institute n/d).

გლობალიზაციის ირგვლივ დისკუსიები, ძირითადად, ხუთი ფართო მიმართულებით გვხვდება (Scholte 1999):

- გლობალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის გაიგივება. ამ თვალსაზრისით „გლობალური“ ვითარება ხასიათდება სახელმწიფოებს შორის ინტენსიური ურთიერთობითა და ურთიერთ დამოკიდებულებით;
- გლობალიზაციის ლიბერალიზაციასთან გაიგივება. მოცემულ კონტექსტში გლობალიზაცია გულისხმობს “ღია“ მსოფლიოს, სადაც სახელმწიფო შეზღუდვების (სავაჭრო ბარიერები, კაპიტალისა და სავიზო შეზღუდვები) არ არსებობის პირობებში, შესაძლებელია რესურსების თავისუფალი გადაადგილება;
- „უნივერსალიზაცია“ (საყოველთაოობა), როგორც გლობალიზაციის შედეგი. ამ შემთხვევაში მსოფლიოს ყველა კუთხე „გლობალურის“ ნაწილია.
- „გლობალიზაცია“, როგორც „დასავლეთიზაციის“ ან „ამერიკანიზაციის“ სინონიმი. ამ კონტექსტში გლობალურობა გულისხმობს თანამდეროვე სამომხმარებლო სტრუქტურების (ნებით ან თავზე მოხვევით) დანერგვას მთელს მსოფლიოში;
- „გლობალიზაცია“, როგორც „დეტერიტორიზაცია“. ამ შემთხვევაში „გლობალური“ ურთიერთობები ფარავენ სოციალურ სივრცეს, რომლებიც სცდებიან მოცემული ტერიტორიების გეოგრაფიულ საზღვრებს.

საერთო ჯამში, გლობალური ურთიერთობები სოციალურ კავშირებია, რაზეც ზეგავლენას არ ახდენს ტერიტორიული ადგილმდებარეობა, მანძილი და საზღვარი. ცხადია, რომ იმ მოძრაობებისა და ორგანიზაციების საქმიანობა, რომელიც სცდება მოცემული ქვეყნის საზღვრებს გაიგივდა

გლობალურობასთან (Jordan, ed. Edwards 2011; International Encyclopedia… 2010). გლობალური სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ხელმძღვანელობენ *გლობალური მოქალაქეობის* პრინციპებით. ამ უკანასკნელზე დაყრდნობით, გლობალური სამოქალაქო საზოგადოება საკუთარ თავზე იღებს (სხვა ქვეყნის/ების) მოქალაქეთა უფლებებსა და პასუხისმგებლობებს, რაც შესაძლებელია აისახოს ეროვნული საზღვრების მიღმა განხორციელებული ადვოკატირების კამპანიებსა და პროტესტებში. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ გლობალური სამოქალაქო საზოგადოება ვერავის აიძულებს ფორმალური დემოკრატიული სტრუქტურების დაფუძნებას, მისი ქსელები, მოძრაობები და ორგანიზაციები ხელს უწყობენ გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებასა და მონაწილოებას. ამ კუთხით, გლობალური სამოქალაქო საზოგადოება ხელს უწყობს ნაცვალგებითობას ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და გლობალურ პოლიტიკურ არენებს შორის და ამით გლობალურ მმართველობას აახლოებს „მართულებთან". ასე, მაგალითად, გლობალური სამოქალაქო საზოგადოების ძალისხმევის შედეგად, ინსტიტუციებმა მრავალ ქვეყანაში აღიარეს, რომ პასუხს აგებენ ხალხის წინაშე საკუთარ გადაწყვეტილებებსა და საქმიანობაზე (Jordan, ed. Edwards 2011).

სიტყვა „გლობალური" ტერმინს „სამოქალაქო საზოგადოება" 1990-ან წლებში დაერთო, საერთაშორისო ორგანიზაციების გამრავლება და განვითარებასთან ერთად. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი მკვლევარი ეჭვქვეშ აყენებს გლობალური სამოქალაქო საზოგადოების არსებობას, რადგან მიიჩნევენ, რომ სამოქალაქო საზოგადოებას მხოლოდ მოცემული სახელმწიფოს შიგნით და მოცემულ სახელმწიფოსთან მიმართებაში შეუძლია არსებობა. ამასთან, ზოგიერთი ანალიტიკოსი საერთაშორისო ინსტიტუტებს, როგორებიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (UNDP) და სხვ. ათანაბრებს გლობალურ სამოქალაქო საზოგადოებასთან, რაც მოწინააღმდეგეების აზრით, შეუსაბამოა სამოქალაქო საზოგადოების ცნებასთან[69].

ბუნებრივია, რომ გლობალური სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობა კავშირშია, ზოგადად, სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობასთან. ამასთან, თუკი გავიხსენებთ სამოქალაქო საზოგადოების საყოველთაოდ აღიარებულ განზომილებებს *(ფორმები, ნორმები და საჯარო სივრცე)*- გლობალური სამოქალაქო საზოგადოების ირგვლივ დისკუსიისას, მართებულია ამ განზომილებების გათვალისწინება.

გლობალური სამოქალაქო საზოგადოება, როგორც ასოციაციური ცხოვრების ფორმა მოიცავს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ქსელებს, სოციალურ მოძრაობებსა და კამპანიებს; ეკლესიის საერთაშორისო ფედერაციებსა და კონფედერაციებს; პროფესიულ და ბიზნეს

[69] მოცემული სახელმძღვანელოს ავტორები მსგავსი ტიპის ორგანიზაციებს (OSCE, UNDP და სხვ.) განიხილავენ, როგორც გლობალური მმართველობის და არა როგორც გლობალური სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს

ასოციაციებს, ასევე წევრობაზე დაფუძნებულ ასოციაციებს, რომლებიც მიზნად ისახავენ გლობალური სოციალური პრობლემებისა და სხვა საკითხების მოგვარებას. აქ იგულისხმება ისეთი კამპანიები და მოძრაობების, როგორებიცაა, მაგალითად, 1999 წლის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წინააღმდეგ განხორციელებული კამპანია70, Make Poverty History71 და Jubilee 2000 სოციალურ მოძრაობები და ასევე მოწინავე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორებიცაა Amnesty International, Greenpeace, Oxfam და სხვა.

ემპირიული აღწერა ან დასაბუთება ყველა ტიპის ან ფორმის ორგანიზაციის მასშტაბისა და აქტიურობის შესახებ არ არსებობს და, მიუხედავად იმისა, რომ ცნობილია ცალკეული გლობალური ადვოკატირების კამპანიები, რუტინულად არსებობენ და ფუნქციონირებენ თუ არა ინტერნაციონალური ასოციაციები და სოციალური მოძრაობები რჩება ანალიტიკოსების დავების საგნად (Jordan, ed. Edwards 2011). ამის საპირისპიროდ, ცნობილია, რომ საერთაშორისო ასპარეზზე საქმიანობს 60,000-ზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია და სამოქალაქო ქსელი, რომლის 90% 1970-ანი წლების შემდგომ დაფუძნდა (Edwards 2009, ციტ. Jordan, ed. Edwards 2011).

გლობალური სამოქალაქო საზოგადოების *ნორმებს* განაპირობებს კარგი საზოგადოების ნორმები და ფასეულობები, როგორიცაა „თანამშრომლობა, არა-ძალადობა და ტოლერანტულობა“ (Keane 2003, ციტ. Jordan, ed. Edwards 2011). შესაბამისად, საერთაშირისო ურთიერთობებში გლობალური სამოქალაქო საზოგადოება ეყრდნობა „ცივილურობის“ პრინციპებს, როგორც შინაარსობრივი, ასევე მექანიზმების გამოყენების თვალსაზრისით. ამ ფასეულობებზე დაყრდნობით, ორგანიზაციების საქმიანობა მოიცავს ადამიანის უნივერსალური უფლებების დაცვას, გლობალური პრობლემების (მაგ. კლიმატის ცვლილება და სიღარიბე) აღმოფხვრას, გლობალურ დონეზე ეროვნული უთანხმოებების მშვიდობიანად გადაწყვეტას და სხვა. მე-20 საუკუნის ბოლოს გლობალური სამოქალაქო საზოგადოების ზრდამ და განვითარებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა გლობალური პოლიტიკის ფორმირება-ცვლილებაში (Scholte 1999). მრავალი წყარო აღწერს ორგანიზაციების დადებითი ზეგავლენის მაგალითებს სპეციფიკური სოციალური თუ გარემოსდაცვითი პრობლემების გადაჭრისა თუ მოგვარების ხელშეწყობის კუთხით. ამ შემთხვევაში, საერთაშორისო

---

[70] Seattle World Trade Organization (WTO) protests of 1999-კამპანია, რომელიც განხორციელდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წინააღმდეგ აპროტესტებდა როგორც WTO-ს პოლიტიკის სპეციფიკურ საკითხებს, ასევე ზოგადად თავისუფალ ვაჭრობას და გლობალიზაციის წარუმატებლობას ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში. კამპანია ისტორიაში შევიდა, როგორც ანტი-გლობალიზაციის კამპანია. კამპანია მოიცავდა საპროტესტო მარშებს, პროტესტს, ინტერნეტ მობილიზაციის კამპანიას და სხვ, 1999 წლის ნოემბერ-დეკემბერში. კამპანიაში მონაწილებას იღებდნენ სავაჭრო და პროფესიული კავშირები, სტუდენტთა ჯგუფები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საერთაშორისო ფერმერთა და ინდუსტრიული კავშირების მუშაკები და სხვა (Casey-Sawicki K, n/d)

[71] Make Poverty History - ორგანიზაციის სახელწოდებაა, რომელიც რამდენიმე ქვეყანაში მოღვაწეობს. ორგანიზაციასაქმიანობის ფოკუსირებას ახდენს მილენიუმის განვითარების მიზნებთან დაკავშირებულ საკითხებზე (Millennium Development Goal), როგორიცაა დახმარება, ვაჭრობა და სამართალი. ჩვეულებრივ, ორგანიზაცია ქმნის დახმარებისა და განვითარების კოალიციებს გლობალური სიღარიბის შესახებ შემეცნების ასამაღლებლად და მთავრობების მიერ პოლიტიკის შესაცვლელად. მოძრაობა აქტიურობდა ან აქტიურობს ავსტრიაში, კანადაში, დანიაში, ფინეთში, ახალ ზელანდიაში, ნიგერიაში, ნორვეგიაში, რუმინეთში, სამხრეთ აფრიკაში, ირლანდიაში, გაერთიანებულ ემირატებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში და დიდ ბრიტანეთში (Make Poverty History n/d)

ორგანიზაციები და მოძრაობები (Oxfam, Greenpeace, Via Campesina, ნაღმების საწინააღმდეგო საერთაშორისო კამპანია, სიღარიბის წინააღმდეგ გლობალური კამპანია და სხვ.) ცდილობენ ზეგავლენა მოახდინონ საჯარო პოლიტიკაზე და, გარკვეულ შემთხვევებში, აღწევენ წარმატებას.

ზემოხსენებულთან ერთად, მეტად ფართო კონტექსტში გლობალური სამოქალაქო საზოგადოება განიხილება დემოკრატიული ცვლილების მამოძრავებელ ძალად, გლობალური მოქალაქეობის პრინციპების გათვალისწინებით (Jordan, ed. Edwards 2011). ამ შემთხვევაში, გლობალური სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტები ხელმძღვანელობენ ვარაუდებით, რომ ა) წარმომადგენლობითი ეროვნული ხელისუფლება შესაძლებელია არ იყოს საკმარისად ეფექტური ადგილობრივი და საერთაშორისო სოციალური პრობლემების მოგვარების კუთხით, ბ) წარმომადგენლობითი მმართველობა ბუნებრივად არ ვრცელდება გლობალურ დონეზე და გ) იმისათვის, რომ გადაიჭრას ადგილობრივი პრობლემა შესაძლებელია აუცილებელი გახდეს ადამიანების გლობალური გაერთიანება.

ცნობილია, რომ გლობალური სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტების საქმიანობის შედეგად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ხელი შეეწყო დემოკრატიული პრინციპებისა და საოპერაციო პროცედურების განვითარებას. ასეთებად მიიჩნევა ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაზრდა, საჯარო პოლიტიკის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და პოლიტიკის პროცესში მონაწილეობის გაუმჯობესება. ამასთან, გლობალური სამოქალაქო საზოგადოების ძალისხმევის შედეგად, გაფართოვდა იდენტობაზე დაფუძნებული ჯგუფები[72] მოქალაქეობრივი უფლებებით სარგებლობის დონე და ხარისხი, რაც პირდაპირ დადებითად აისახება ადამიანების სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. (Scholte 2011, ციტ. Jordan, ed. Edwards 2011),

გლობალური სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის პროცესში გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს *საჯარო სივრცეების* არსებობა. ავტონომიური სივრცე - უკეთესად, ვიდრე სახელმწიფო ან ბაზარი - იძლევა შესაძლებლობას კონფლიქტური გლობალური ნორმები იქნას განხილული და, საუკეთესო შემთხვევაში, მიღწეულ იქნას შეთანხმება. ასეთ ავტონომიურ სივრცეებად მოიაზრებიან გლობალური კონფერენციები და ფორუმები (მაგ. The World Economic Forum და the World Social Forum), სხვადასხვა გლობალური ღონისძიებები და ფესტივალები (მაგ. the Fez Festival of Sacred Music), ასევე ღია ელექტრონული პლატფორმები (მაგ. Wikipedia ან openDemocracy) და სხვა.

[72] იდენტობაზე დაფუძნებული ჯგუფები მოიცავენ რაიმე იდენტობის ნიშნით (ლგბტ, ასაკოვანი, ახალგაზრდა, ქალი, თეთრკანიანი, შავკანიანი, ეთნიკური წარმოშვება, შეზღუდული შესაძლებლობები და სხვ.) გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფებს (Civil Society Futures n/d)

10.2. გლობალური მმართველობა და გლობალური სამოქალაქო საზოგადოება

გლობალური მმართველობა ან მსოფლიო მმართველობა წარმოადგენს ტრანსნაციონალური აქტორების პოლიტიკურ თანამშრომლობას, რაც მიზნად ისახავს იმ პრობლემების ირგვლივ დისკუსიის გამართვასა და გადაწყვეტას, რაც აწუხებს ერთზე მეტ სახელმწიფოს ან რეგიონს. გლობალური მმართველობის ინსტიტუტებია გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (United Nation), სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო (International Criminal Court), მსოფლიო ბანკი (World Bank), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) და სხვა. გლობალური მმართველობა არ გულისხმობს *გლობალურ მთავრობას,* რომელსაც ესაჭიროება გარკვეული იერარქია, უფლებამოსილება და ძალაუფლება, დადგენილი კანონისა და სტანდარტების შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ამისგან განსხვავებით, გლობალური მმართველობას ძალაუფლება ლიმიტირებულია და შესაბამისობის უზრუნველსაყოფად იყენებს სოციალური და ეკონომიკური განვითარების დემოკრატიულ მექანიზმებს (Florini 2009).

მსოფლიო მმართველობის ირგვლივ კითხვები გაჩნდა გლობალიზაციის კონტექსტში, რადგან განსხვავებული ქვეყნების ერთმანეთზე დამოკიდებულების გაღრმავებასთან ერთად, გლობალურ მმართველობას გაუჩნდა საშუალება დაეწესებინა კანონები, წესები და რეგულაციები, როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში. გლობალური მმართველობის არსებობა საშუალებას აძლევს გლობალურ სამოქალაქო საზოგადოებას მოითხოვოს მისგან გლობალურ პრობლემებზე რეაგირება, რაც დადებითად აისახება ცალკეულ ქვეყნებზე.

ორგანიზაცია The World Federalist Movement 1937 წლიდან აცხადებდა, რომ საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველსაყოფად და გლობალურ დონეზე დემოკრატიის მშენებლობას ესაჭიროება გლობალური მმართველობა. გლობალური ხასიათისაა ასევე გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება. ნიშანდობლივია ამ კუთხით მსოფლიოს გარემოს დამცველი ორგანიზაციების მაგალითი, როცა ისინი გაერთიანდნენ ერთიანი პოლიტიკის ჩარჩოს შესაქმნელად. 1960-ან წლებში დაწყებულმა მოძრაობამ 1990-ანი წლებისთვის შედეგი გამოიღო და გაეროს ეგიდით ჩატარდა გარემოს დეგრადაციასა და დისკრიმინაციას მიძღვნილი გლობალური სამიტების სერია. ასევე გლობალური სამოქალაქო საზოგადოების ძალისხმევის შედეგად და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეშვეობით, 30 წლიანი მცდელობების შემდეგ 2007 წელს მოხდა „მკვიდრი მოსახლეობის“ ცნების აღიარება და განსაზღვრა და გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო დეკლარაცია მკვიდრი მოსახლეობის უფლებების შესახებ[73] (UN n/d). ცხადია, რომ

[73] დეკლარაცია მკვიდრი მოსახლეობის უფლებების შესახებ (The United Nations Declaration on the Rights of Indigenous Peoples (UNDRIP) წარმოადგენს საერთაშორისო ინსტრუმენტს მკვიდრი მოსახლეობის უფლებების დასაცავად. იგი აწესებს უნივერსალურ ჩარჩოს მინიმალური სტანდარტების დასაცავად მთელს მსოფლიოში მკვიდრი მოსახლეობის გადარჩენის,

დღევანდელ დღეს გლობალური სამოქალაქო საზოგადოება საკმარისადაა დახელოვნებული გლობალური მმართველობის ინსტიტუციებთან პოზიცირების თვალსაზრისით, რომლის შედეგად, მრავალი საკითხი, რაც ადრე ეროვნულ დონეზე წყდებოდა- მსოფლიო რეგულირების საკითხებად იქცა. ზემოხსენებულთა ერთად, ასეთი საკითხებია, სოციალური სამართლიანობა, მშვიდობა, მალარია, შიდსი, ტუბერკულოზი და სხვა.

გლობალური სამოქალაქო საზოგადოებისა და გლობალური მმართველობის ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების ურთიერთობა რამდენიმე გარემოებით ხასიათდება (Jordan, ed. Edwards 2011):

- პირველ რიგში, გლობალური სამოქალაქო აქტორების მხრიდან მოქმედება ვარაუდობს, რომ მთავრობათაშორისო ორგანიზაციები წარმოადგენენ მმართველობით ორგანოებს. ცხადია, რომ მოქმედებების ხასიათით მთავრობათშორისი ორგანიზაციები მმართველობითი ორგანოებია. სწორედ მათი ძალისხმევის შედეგად შეიცვალა რიგი გლობალური ინსტიტუტის მოქმედება და პრაქტიკა საერთაშორისო არენაზე. საერთაშორისო სავაჭრო ექსპერტები, ეკონომისტები და ბანკირები არ აღიქვამენ თავს მმართველებად ფორმალური გაგებით, თუმცა დაწესებულებები, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ ქმნიან საზოგადოებრივი დანიშნულების საკონსულტაციო მექანიზმებს. შესაბამისად, ისეთი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, როგორებიცაა მსოფლიო სავალუტო ფონდი (IMF), მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO) და სხვ. ყველა შემთხვევაში უხდებათ მმართველობითი ვალდებულებების თავზე აღება;
- გლობალური ინსტიტუტები ვალდებულნი არიან რეაგირება მოახდინონ იმ სუბიექტების მოთხოვნებზე, რომლებზეც ახდენენ ზეგავლენას მიღებული გადაწყვეტილებებითა და მოქმედებით. აქედან გამომდინარე, იშვიათი გამონაკლისების გარდა, მთავრობათშორისი ორგანიზაციათა უმრავლესობა კისრულობს ვალდებულებას განსაზღვროს და დანერგოს საზოგადოებასთან კონსულტირების ოფიციალური პოლიტიკა. უფრო მეტიც, ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორიცაა, მაგალითად მალარიის, ტუბერკულოზისა და შიდსის გლობალური ფონდი საკუთარ გამგეობაში შეიყვანეს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლები;
- ზოგიერთ შემთხვევაში, გლობალური აქტივისტები მოითხოვენ, რომ მათი და გლობალური მმართველობის ინსტიტუციებს შორის ურთიერთობა დაემსგავსოს გადასახადის გადამხდელსა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობას, რაც მოიაზრებს მეტ გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას. ეს განსაკუთრებით ეხება საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს, რადგან საშუალო შემოსავლიანობის ქვეყნებში როგორებიცაა, მაგალითად, ბრაზილია და

ღირსებისა და კეთილდღეობისთვის და ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებათა სტანდარტების ჭრილში განიხილავს მკვიდრი მოსახლეობის სპეციფიკურ სიტუაციებს (UN n/d)

ჩინეთი- მოქალაქეების სესხების გადასახადების ნაწილით იფარება გლობალური ფინანსური ინსტიტუციების ოპერაციები;

- გლობალური სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტები დაჟინებით მოითხოვენ, რომ გადაწყვეტილებების მიღების პროცესი უნდა იყოს ღია და საჯარო, რათა უზრუნველყოფილ იქნას ყველა დაინტერესებული მხარის ხელმისაწვდომობა. ამ მოთხოვნებმა გამოიწვია გლობალური მმართველობის ინსტიტუციების დიდ უმრავლესობაში გამჭვირვალობის პოლიტიკის დანერგვა;
- იმ შემთხვევაშიც კი, როცა საერთაშორისო ინსტიტუტების საქმიანობა არ ახდენს ზეგავლენას მოცემულ ჯგუფზე ან თემზე, გლობალიზაციის პირობებში, ამ უკანასკნელებმა შესაძლებელია მაინც ჩათვალონ, რომ აქვთ განხილვებში მონაწილოების მიღების უფლება, რათა შეძლონ გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარება;
- მნიშვნელოვანია გლობალური მმართველობის ინსტიტუციების საქმიანობაში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობა არა მხოლოდ აზრის გამოთქმის, არამედ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ხმის ფორმალური უფლებით. დემოკრატიის პრინციპების გათვალისწინებით, არა-დემოკრატიული მმართველობა სერიოზულ ზიანს აყენებს ინსტიტუციების ლეგიტიმურობას, ანგარიშვალდებულებას და წარმომადგენლობითობას (Peruzzoti 2006; Charnovitz 2006; Jordan, ed. Edwards 2011).

შეკითხვები წაკითხული მასალის გასააზრებლად:

- რას გულისხმობს ტერმინი გლობალური და რა კავშირი აქვს მას გლობალურ მოქალაქეობასთან?
- რა როლი ეკისრებათ გლობალური სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს და რა როგორ ეხმიანება მოცემული ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობას?
- რა განსხვავებაა გლობალური სამოქალაქო საზოგადოებისა და გლობალური მმართველობის ორგანიზაციებს შორის?
- რა როლი აქვს გლობალურ სამოქალაქო საზოგადოებას სოციალური პრობლემების მოგვარებისა და დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობასთან მიმართებაში?
- რა ფორმის ურთიერთობებია გლობალური მმართველობის ორგანიზაციებსა და გლობალურ სამოქალაქო სექტორს შორის?

11. თემა თერთმეტი: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციული ასპექტები

11.1. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის დაფუძნების წინაპირობა და მართვა

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია ფორმირდება მაშინ, როცა ადამიანები გადაწყვეტენ გაერთიანებას რაიმე მათთვის მნიშვნელოვანი საკითხის ირგვლივ. საკითხის მნიშვნელობის აღიარება შესაძლებელია გამომდინარეობდეს ინდივიდუალური პრობლემ(ებ)იდან, ან საყოველთაო პრობლემის იდენტიფიცირების უნარიდან გამომდინარე. მაგალითისთვის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები მოცემული მიმართულებით პრობლემებს ყოველდღიურობიდან გამომდინარე აწყდებიან. ამასთან, არსებობენ ადამიანები, რომლებიც აღიარებენ და ცდილობენ გამოასწორონ არსებული ნაკლოვანებები, მიუხედავად იმისა, რომ თავად არ წარმოადგენენ ბენეფიციარებს. როგორც ვიცით, ეს „მნიშველოვანი“ საკითხი შესაძლებელია იყოს არა მხოლოდ სოციალური მდგომარეობა ან შეზღუდული შესაძლებლობები, არამედ მუსიკის მოსმენა, ფეხბურთის თამაში, საკუთარი საჭიროებების დაკმაყოფილება, ქველმოქმედება, საჯარო პოლიტიკა და სხვა.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ეფუძნებიან როგორც თავისუფალი ასოციაციის, ასევე პასუხისმგებლობის პრინციპებს. საქმიანობის განხორციელების შედეგად, სამოქალაქო ორგანიზაციებს წვლილი შეაქვთ მთლიანად საზოგადოების, ან მოცემული თემის საჭიროებების მოგვარებაში. მიუხედავად იმისა თუ რას წარმოადგენს სამოქალაქო ორგანიზაციის მისია, ეს უკანასკნელი სწრაფად არ მიიღწევა. შესაბამისად, სამოქალაქო ორგანიზაციის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია როგორც ორგანიზაციის მართვის, ასევე ორგანიზაციის მდგრადობის გააზრება.

სამოქალაქო ორგანიზაციის მართვის თავისებურებები ვლინდება ორგანიზაციის ხედვაში თუ რა უნდა გაკეთდეს, არსებულ რესურსებში და ურთიერთობებში დაინტერესებულ მხარეებთან. შიდა (მაგ. ადამიანური, ფინანსური, ტექნიკური) რესურსების მართვასთან ერთად, სამოქალაქო ორგანიზაციებს აქვთ აღებული ვალდებულება იმ საზოგადოების/თემის წინაშე, სადაც საქმიანობენ, იმ დონორებისა და პარტნიორების მიმართ, ვინც მხარს უჭერს საქმიანობას და ასევე საკუთარი ფასეულობებისა და მიზნების მიმართ.

მიუხედავად იმ მრავალფეროვნებისა, რაც მოიცავს სამოქალაქო სექტორს, მართვის თვალსაზრისით შესაძლებელია რამდენიმე საერთო მახასიათებლის გამოყოფა (International Encyclopedia…2010):

- სამოქალაქო ორგანიზაციისთვის პირველი მოთხოვნაა „კარგი საქმიანობა“, რაც გულისხმობს, რომ მოცემული ორგანიზაცია მაღალ დონეზეა შეფასებული წევრებისა და მხარდამჭერების მიერ. თუკი სამოქალაქო ორგანიზაცია არაფერს აკეთებს დაინტერესებული მხარეების მხრიდან საქმიანობის მოსაწონებლად, ორგანიზაციის საქმიანობა ვერ იქნება ვერც წარმატებული და ვერც მდგრადი. ამის

საპირისპიროდ, თუკი სამოქალაქო ორგანიზაციას ხშირი კომუნიკაცია აქვს დაინტერესებულ მხარეებთან, უთანხმებს და რთავს საქმიანობის განხორციელების პროცესში, ასევე ანგარიშს აბარებს შედეგების თაობაზე- წევრებისა და დაინტერესებული მხარეების მხარდაჭერით, ორგანიზაცია მეტად ეფექტურად ფუნქციონირებს და უზრუნველყოფილია მისი მდგრადობა;

- მეორე მოთხოვნას *კარგი მენეჯმენტი* წარმოადგენს, რაც გულისხმობს გამართული და გამჭვირვალე შიდა სისტემების არსებობას და ფუნქციონირებას. ასეთ სისტემებს მიეკუთვნება, მაგალითად, შიდა კონტროლის-პოლიტიკისა და პროცედურების ფორმალური დოკუმენტები ან შეთანხმება (მაგ. შინა განაწესი, საკადრო პოლიტიკა, ეთიკის კოდექსი, ინტერესთა კონფლიქტის დოკუმენტი, საკადრო და საბუღალტრო პოლიტიკა და სხვ.). ამასთან მიმართებაში, ასევე მნიშვნელოვანია პროგრამის სტრატეგიული დაგეგმა და მისი ეფექტურობის შეფასება და ამისთვის საქმიანობისა და პრაქტიკის სტანდარტიზებული (მოკლევადიანი და გრძელვადიანი) ინდიკატორების შემუშავება, დანერგვა და აღსრულება. ასევე არა ნაკლებ მნიშვნელოვანია სამოქალაქო ორგანიზაციის ეფექტურობის დემონსტრირება წლიური ანგარიშების, წარმატების ისტორიებისა და სხვ. შემუშავებასა და გავრცელებით;
- მმართველობითი ან საკონსულტაციო ორგანოს- *გამგეობის* არსებობა, სხვასთან ერთად, ის მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაც განსაზღვრავს არა-მომგებიანი ორგანიზაციის საქმიანობას. სამოქალაქო ორგანიზაციის მმართველობაზე პასუხისმგებლობა შესაძლებელია დაკისრებულ იქნას დამფუძნებლებზე (სრულად ან სხვებთან ერთად), სამთავრობო წარმომადგენლებზე (წარმომადგენლის ფორმით, თუკი სამოქალაქო ორგანიზაციის მნიშვნელოვანი შემოსავალი მომდინარეობს სახელმწიფო ბიუჯეტიდან) და პროფესიონალ (კონკურსის სახით შერჩეულ) მენეჯერებზე. ამასთან, მმართველობა მეტად ეფექტურია, თუკი საზოგადოებრივ ორგანიზაციას მართავს განსხვავებული გამოცდილების მქონე მოხალისეობრივ საწყისებზე შეკრებილი გამგეობა. ამ ტიპის გამგეობის წევრები წარმოადგენენ სამოქალაქო ორგანიზაციის მნიშვნელოვან რესურს, სადაც მათი განსხვავებული გამოცდილება და ექსპერტიზა (სამართლის მცოდნე, ბიზნესმენი, ბანკირი, ყოფილი ელჩი, საერთაშორისო ან დონორ ორგანიზაციაში მომუშავე პირი, ჟურნალისტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, პროფესიონალი ფანდრაიზერი და სხვ.) გამოყენებულია ორგანიზაციის სასარგებლოდ. გამგეობის საქმიანობა და ორგანიზაციაში „ჩარევის“ დონე დამოკიდებულია ორგანიზაციის წესდებაზე და სხვა შიდა რეგულაციებზე. გამგეობას შესაძლებელია ქონდეს მმართველობითი ფუნქცია, რას, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების, თანამშრომელთა აყვანისა და სხვ. ფუნქციებთან ერთად, შესაძლებელია, გულისხმობდეს ფინანსურ კონტროლს[74]. ამასთან, გამგეობას შესაძლებელია ქონდეს მხოლოდ მრჩევლის ფუნქცია, რაც

[74] მაგ. გამგეობის დასტურის გარეშე ორგანიზაცია ვერ დახარჯავს $5000 მეტს

გულისხმობს ორგანიზაციის მენეჯმენტში ნაკლებ ჩარევას, თუმცა მაინც ვარაუდობს ორგანიზაციის აწმყოზე და მომავალზე ზრუნვას.

- მოხალისეების მოზიდვა. გარდა იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოება თავად განიხილება მოხალისეობრივ საწყისებზე გაერთიანებულ ადამიანთა ერთობად[75], სოციალური მისიის აღსასრულებლად სამოქალაქო ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანია მოხალისეთა მოზიდვა, რომლებიც ა) მუშაობენ საზოგადოებრივი სარგებლისთვის, ბ) მუშაობენ საკუთარი თანხმობით და თავისუფალ დროს. ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტურობისთვის, მოხალისეებს ესაჭიროება ისეთივე მართვა, როგორც მუდმივ თანამშრომლებს მოხალისე შესაძლებელია იყოს ნებისმიერ პროფესიის, გამოცდილებისა და ასაკის ადამიანი.
- სამოქალაქო ორგანიზაციას ესაჭიროება ფინანსური რესურსები. მიუხედავად იმისა, რომ ბევრია სამოქალაქო ორგანიზაცია, რომელიც არსებობს და არ წყვეტს საქმიანობას დამფუძნებლების, წევრებისა და მხარდამჭერების დროისა და ენერგიის ძალისხმევით, სამოქალაქო ორგანიზაციების დიდ უმრავლესობას ესაჭიროება განსხავებული წყაროებიდან მოზიდული ფინანსური რესურსები. რაც მეტად ფართო ფინანსური რესურსების სპექტრი მეტი ალბათობაა, რომ სამოქალაქო ორგანიზაცია აღასრულებს მისიას და იქნება მდგრადი[76];
- მხარდამჭერების მოზიდვა/გაფართოვება წარმოადგენს სამოქალაქო ორგანიზაციის საქმიანობის წარმატებისა და მდგრადობის ერთერთ საკვანძო ელემენტს. საზოგადოებრივი მხარდაჭერა ის ძალაა, რომელიც ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცნობიერებაზე, ხელისუფლებისა და ბიზნესის ჩათვლით, იცავს ორგანიზაციას ხელისუფლების ან სხვა მხრიდან ზეწოლისგან, უზრუნველყოფს ორგანიზაციის დაფინანსების ალტერნატივებს და ხელს უწყობს ორგანიზაციის მდგრადობას. სოციალური საკითხის ან მისიის მნიშვნელობის მიუხედავად, ადგილობრივი მხარდაჭერის გარეშე სამოქალაქო ორგანიზაცია შესაძლებელია დამარცხდეს ან/და შეწყვიტოს საქმიანობა. „კარგი პროგრამის“ განხორციელება მნიშვნელოვანია, თუმცა არა საკმარისი პირობაა მხარდამჭერთა ველის გასაფართოებლად. მხარდაჭერების მოსაზიდად სამოქალაქო ორგანიზაცია, ჩვეულებრივ, იყენებს მარკეტინგისა და კომუნიკაციის სტრატეგიებს (Moser 2014).

11.2. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის სამართლებრივი სტატუსი და შეღავათები

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსი განპირობებულია მოცემული ქვეყნის კანონმდებლობით.

---

[75] აუცილებელი არაა გულისხმობდეს ანაზღაურების გარეშე საქმიანობას. მოხალისეობრივი ჩართულობა აქ გულისხმობს გაწევრიანებისა და წევრობიდან გასვლის თავისუფლებას (განსხავებით სახელმწიფო სამსახურისგან და ბიზნესისგან)
[76] დამატებითი ინფორმაცია სამოქალაქო ორგანიზაციის დაფინანსების წყაროებზე იხ. ქვემოთ

ევროპის ქვეყნებში არასამთავრობო და არა-მოგებიანი ორგანიზაციების სამართლებრივი ჩარჩო იძლევა საშუალებას ორგანიზაცია დაფუძნდეს სხვადასხვა სამართლებრივი ფორმით და ორიენტირებული იყოს ნებისმიერ ლეგიტიმურ მიზანზე, ურთიერთსარგებლისა და საზოგადოებრივი სარგებლის ჩათვლით. უმეტეს შემთხვევაში, სამოქალაქო ორგანიზაცია ფუძნდება, როგორც ფონდი ან ასოციაცია[77], თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში შესაძლებელია ასევე შეზღუდული შესაძლებლობის საწარმოს სტატუსით დაფუძნება. განსხვავებულია ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითი, სადაც მოქმედებს არასამთავრობო ორგანიზაციის სტატუსი.

ფონდი წარმოადგენს რაიმე ფულადი და არა-ფულადი სახსრების აკუმულირებისთვის ინსტიტუციას, რომლის დაფუძნება შესაძლებელია როგორც კერძო პირის, ასევე ბიზნეს კორპორაციის მიერ. ფონდები, ჩვეულებრივ, გასცემენ გრანტებს კერძო პირებსა და სამოქალაქო ორგანიზაციებზე[78]. ამათგან განსხვავებით, ასოციაცია წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ ორგანიზაციას, რომლიც, ჩვეულებრივ თავად ახორციელებს საზოგადოებრივი სარგებლის საქმიანობას.

ნიშანდობლივია, რომ ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში სახელმწიფო საშეღავათო პირობები უქმნის არასამთავრობო ორგანიზაციებს მხოლოდ გამომდინარე მათი მიზნებიდან და საქმიანობიდან. საშეღავათო პირობების უზრუნველყოფით სახელმწიფოს სურს ხელი შეუწყოს გარკვეულ საზოგადოებრივ სარგებელზე მიმართულ საქმიანობას. არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებენ საზოგადოებრივ სარგებელზე ორიენტირებულ საქმიანობას, ხშირად მოიხსენებენ „ქველმოქმედებად“ ან „საზოგადოებრივი სარგებლის ორგანიზაციად“ (კობერიძე 2017ბ). ევროპის ზოგიერთი ქვეყანა (მაგალითად, პოლონეთი, უნგრეთი, ბოსნია, რუმინეთი და სხვ.) სამართლებრივად განსაზღვრავს და ორგანიზაციებს ანიჭებს საზოგადოებრივი სარგებლიანობის სტატუსს („საზოგადოებრივი სარგებლიანობის ორგანიზაცია“). ზოგიერთი კი (მაგ., გერმანია, ნიდერლანდები) ასეთ სტატუსს არ განსაზღვრავს, თუმცა საგადასახადო კანონმდებლობა მოიცავს საზოგადოებრივი სარგებლის აქტივობებს და აწესებს ფისკალურ პრივილეგიებს ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ახორციელებენ ამ აქტივობებს (Moore et al 2008, ციტ. კობერიძე 2017ბ).არსებობს განსხვავებული მიდგომებიც. მაგალითად, ესტონეთში განისაზღვრება საგადასახადო შეღავათებით მოსარგებლე სტატუსი, ხოლო სლოვაკეთში მოქმედებს საპროცენტო მექანიზმი, რომელიც ამცირებს საგადასახადო ბაზას, თუკი დონაცია გაკეთდა ოფიციალურ სიაში მოხვედრილი არა-მოგებიანი ორგანიზაციის სასარგებლოდ.

11.3. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის დაფინანსების წყაროები

როგორც ითქვა, ორგანიზაციის ეფექტური საქმიანობა და მდგრადობა ვერ იქნება უზრუნველყოფილი, თუკი სამოქალაქო ორგანიზაციის დაფინანსება მხოლოდ ერთი წყაროდანაა. საერთაშორისო

---

[77] საქართველოში ყველა ტიპის სამოქალაქო ორგანიზაცია ატარებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის (ა(ა)იპ) სტატუსს

[78] დამატებითი ინფორმაცია იხ. თავში 8 „სამოქალაქო საზოგადოება და ბიზნესი“

ორგანიზაციისგან/დონორისგან მიღებული გრანტი მნიშვნელოვანია, თუმცა ა) სამოქალაქო ორგანიზაცია რჩება შემოსავლის გარეშე თუკი ქვეყნა ვითარდება და დონორები ამცირებენ დახმარებას, გადიან ქვეყნიდან, ან ცვლიან დაფინანსების სქემებს; ბ) იშვიათი არაა, როცა საერთაშორისო დონორებზე სრული დამოკიდებულების შემთხვევებში, სამოქალაქო ორგანიზაციებს განიხილავენ უცხოური ძალაუფლების მძევლებად. ორგანიზაციის მართებული ფუნქციონირებისა და მდგრადობის სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია ადგილობრივი ხალხის, ბიზნესისა და ხელისუფლების ფინანსური მხარდაჭერა, რაც სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა საჭიროებებით დააბალანსებს სამოქალაქო ორგანიზაციის შემოსავლებს. ამ უკანასკნელისთვის, სამოქალაქო ორგანიზაციის ფინანსური ალტერნატივები რამდენიმე ფართო კატეგორიით განისაზღვრება. კერძოდ (International Encyclopedia.. 2010):

11.3.1. საჩუქრის ეკონომიკა

ე.წ. საჩუქრის ეკონომიკა წამოადგენს სამოქალაქო ორგანიზაციის შემოსავლის ერთერთ უძველეს წყაროს. ამ შემთხვევაში სამოქალაქო ორგანიზაცია სთხოვს ხალხს ფინანსური დახმარების შესახებ, ორგანიზაციის საქმიანობის მხარდასაჭერად. იმ შემთხვევაში, თუკი ორგანიზაციის საქმიანობა ან კონკრეტული პროექტი მიმზიდველია, მენეჯმენტი გამართულია, კანონი ხელშემწყობია და, რაც მთავარია, ორგანიზაციამ კარგად იცის თუ როგორ დაარწმუნოს მოქალაქეები - ამ ტიპის შემოსავალი იქცევა მნიშვნელოვან წყაროდ. მრავალ ქვეყანაში სამოქალაქო ორგანიზაციებმა გამონახეს ადამიანთა დარწმუნების მრავალი ფორმა. ამ შემთხვევაში აუცილებელია არაა ფინანსური დახმარების მოზიდვის პროცესი პირდაპირ იყოს ასოცირებული ორგანიზაციის მისიასთან, რადგან ფანდრაიზინგის მრავალი ფორმა უშუალოდ ფულის შეგროვებასთან ერთად მოიცავს გართობას.

საჩუქრის ეკონომიკის ერთერთი გავრცელებული ფორმაა *ქრაუდფანდინგი, რაც* წარმოადგენს მცირე რაოდენობის კაპიტალის შეგროვებას ბევრი ადამიანისაგან (ასევე კორპორაციებისგან). პრაქტიკულად, ეს ღია მოწვევაა ისეთი რესურსების შესაგროვებლად, როგორებიცაა: ფული, ფონდები, საქონელი და მოხალისეობრივი დრო. მიუხედავად იმისა, რომ ქრაუდფანდინგის საბაზისო იდეა არაა ახალი და დღემდე გამოიყენება ისეთი ფორმები, როგორებიცაა ფანდრაიზინგის აქციებისა და საქველმოქმედო ღონისძიებების საშუალებით თანხების შეგროვება, ტექნოლოგიური ინოვაციების განვითარებასთან ერთად მეტი ყურადღება დაეთმო ინტერნეტ პლატფორმების გამოყენებას (კობერიძე 2017ბ).

ზემოხსენებულთან ერთად, საჩუქრის ეკონომიკა შესაძლებელია იყოს *ინსტიტუციონალიზებული.* გაცემის ინსტიტუციონალიზაცია გულისხმობს როგორც ცალკეული ადამიანების „გაცემის“ მოთხოვნა-ხელშეწყობას (მაგ. უნივერსიტეტების მიერ დაწესებული კრედიტები მოხალისეობისთვის, ან რომელიმე კონფესიის მიერ მრევლის წახალისება-მოთხოვნა გასცენ შემოსავლიდან გარკვეული ნაწილი ქველმოქმედებაზე), ასევე რაიმე ორგანიზაციის საქველმოქმედო საქმიანობას. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, ბიზნესი ან მდიდარი ადამიანი პირდაპირ ან ფილანტროპული ფონდის საშულებით გასცემს ფულს სოციალური მიზნების ხელშესაწყობად.

როგორც კერძო, ასევე ინსტიტუციური გაცემა, შესაძლებელია, წახალისებულ იქნას ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობის მიერ[79].

11.3.2. ბაზარი

საბაზრო ურთიერთობებში შესვლა წარმოადგენს სამოქალაქო ორგანიზაციის შემოსავლის შედარებით ახალ წყაროს. აქ სამოქალაქო ორგანიზაციამ შესაძლებელია თავად განახორციელოს ეკონომიკური საქმიანობა, სოციალური მიზნების ხარჯების დასაფარად, ასევე მოიზიდოს ფული, ან თანამშრომლობით ურთიერთობაში შევიდნენ ბიზნესთან.[80] მსოფლიოს მრავალმა სამოქალაქო ორგანიზაციამ მოახერხა საჩუქრის ეკონომიკისა და ბაზრის მექანიზმების კომბინირებული გამოყენება. მაგალითად, სთხოვენ ხალხს საქონლის დონაციას, რომელიც შემდგომ იყიდება ორგანიზაციის სოციალური მიზნების მისაღწევად. ზოგიერთი სამოქალაქო ორგანიზაცია წარმატებით ეწევა კომერციულ საქმიანობას, თუმცა მრავალი კვლევა ადასტურებს, რომ სამოქალაქო ორგანიზაცია მეტ წარმატებას აღწევს ეკონომიკური შემოსავლების კუთხით, თუკი მას მფლობელობაში აქვს გასაქირავებელი საქონელი (მიწა, შენობა). სამოქალაქო სექტორის კომერციონალიზაცია მთელს მსოფლიოში ნელ-ნელა იკიდებს ფეხს, თუმცა ანალიტიკოსები საუბრობენ გარკვეულ რისკებზე, რაც უკავშირდება ა) სრულფასოვანი ბიზნესის მმართველობის სირთულეებს სოციალური მისიის მატარებელი ორგანიზაციის მხრიდან, რომელსაც, ჩვეულებრივ, ამის ნაკლები ცოდნა და გამოცდილება აქვს, ბ)გარკვეული დროის შემდეგ ეკონომიკური შემოსავლის დომინირებას სოციალურ მისიაზე, გ) განვითარებად ქვეყნებში სამოქალაქო ორგანიზაციების რეპუტაციის შელახვას, გამომდინარე საზოგადოების არა საკმარისი ცნობიერებიდან სამოქალაქო ორგანიზაციის შემოსავლის წყაროებზე და ვარაუდიდან, რომ დაუშვებელია სექტორი ეწეოდეს ეკონომიკურ საქმიანობას.

11.3.3. ხახელმწიფო[81]

სახელწმიფოს მიერ სამოქალაქო ორგანიზაციების დაფინანსება შესაძლებელია ხორციელდებოდეს პირდაპირი და არა პირდაპირი[82] ფორმებით. დაფინანსების პირდაპირი მექანიზმები მოიცავს გრანტებს, სუბსიდიებს, სახელმწიფო შესყიდვებსა და ვაუჩერს. მექანიზმის შერჩევა გამომდინარეობს სახელმწიფოს მიზნებიდან და სასურველი შედეგებიდან და, ჩვეულებრივ, ხორციელდება სხვადასხვა სამთავრობო

---

[79] დამატებითი ინფორმაცია იხ. თავში 7 „სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო“

[80] დამატებითი ინფორმაცია სახელმწიფოს როლის შესახებ იხ. თავში 7, ხოლო ბიზნესთან ურთიერთობის შესახებ იხ. თავში 8

[81] აღწერილი მექანიზმები გამოიყენება ევროპის ქვეყნებში. საქართველოში გამოიყენება მხოლოდ საგრანტო და შესყიდვების მექანიზმი

[82] ინფორმაცია სახელმწიფო დაფინანსების არა პირდაპირ მექანიზმების (საგადასახადო შეღავათების) შესახებ იხ. თავში 7

სააგენტოების, ფონდებისა და სამინისტროების მეშვეობით როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეებზე (CSI 2017), კერძოდ:

- *გრანტი* წარმოადგენს სამოქალაქო ორგანიზაციის სახელმწიფო დაფინანსების ფართო მასშტაბიან ფორმას. რაიმე სამთავრობო უწყების მიერ გამოცხადებული საგრანტო პროგრამა, უმეტეს შემთხვევაში, გულისხმობს სამოქალაქო ორგანიზაციების მონაწილეობას კონკურსში. საგრანტო კონკურსი შესაძლებელია მოიცავდეს საჯარო პოლიტიკის მრავალ სფეროს, როგორებიცაა განათლება, ადამიანის უფლებები, კეთილდღეობა, ახალგაზრდები, რეგიონული განვითარება, ეკონომიკური განვითარება, სპორტი, ხელოვნება, კულტურა, ჯანმრთელობა, გარემოს დაცვა, ცხოველთა დაცვა, ენერგეტიკა და სხვა;
- *სუბსიდირება* მიზნად ისახავს კონკრეტული სამოქალაქო ორგანიზაციის ინსტიტუციურ მხარდაჭერას, რაც არაა დაკავშირებული რომელიმე სპეციფიკურ პროექტთან. ამ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, კონკურსი სამოქალაქო ორგანიზაციებს შორის არ ცხადდება და მიმღები სამოქალაქო ორგანიზაციის მხარდაჭერა განსაზღვრულია კანონით. ევროპის მრავალ ქვეყანაში სუბსიდირება გაიცემა სხვადასხვა ტიპის სოციალური ჯგუფების წარმომადგენელ სამოქალაქო ორგანიზაციებზე;
- მომსახურების (სახელმწიფო) შესყიდვების შემთხვევაში, სახელმწიფო ახდენს საქონლის ან მომსახურების შესყიდვას სამოქალაქო ორგანიზაციისგან. ჩვეულებრივ, ამ პროცესის ყველა პოტენციური მონაწილესათვის დადგენილია სამართლებრივი მექანიზმი. გრანტისგან განსხვავებით, ამ მექანიზმის გამოყენების მიზანია სახელმწიფოსადმი კონკრეტული მომსახურების გაწევა. ამ შემთხვევაში სახელმწიფომ ზუსტად იცის რა უნდა გაკეთდეს და ეძებს ინსტიტუციას, რომელიც უზრუნველყოფს საუკეთესო მომსახურებას საუკეთესო ფასად;
- ვაუჩერის მექანიზმი გულისხმობს მესამე მხარის ანაზღაურების მეთოდს. ამ სისტემის მეშვეობით, პოტენციური ბენეფიციარები იღებენ ვაუჩერებს, რაც აძლევს მათ საშუალებას მიიღონ უფასო მომსახურება. ბენეფიციარებს აქვთ მომსახურების თავისუფალი არჩევანი. მომსახურების მიმწოდებელი სამოქალაქო ორგანიზაცია აგროვებს ვაუჩერებს და სახელმწიფო უნაზღაურებს მათ ფიქსირებულ თანხას თითო კლიენტზე. ვაუჩერის მიმღები შესაძლებელია იყოს სპეციფიკური საჭიროების ნებისმიერი მოქალაქე ან ჯგუფი და გამოიყენება განათლების, სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვთა მოვლის, მოხუცთა შინ მოვლის და სხვა მსგავსი მიმართულებით.

შეკითხვები წაკითხული მასალის გასააზრებლად:

- რა ფაქტორების გათვალისწინებაა საჭირო სამოქალაქო ორგანიზაციის დაფუძნებისას?
- რა ფაქტორებია მნიშვნელოვანი სამოქალაქო საზოგადოების მმართველობის კუთხით?
- რა განასხვავებს სამოქალაქო ორგანიზაციის მმართველობას სახელმწიფო ან ბიზნეს მმართველობისგან?

- რა ფორმით შესაძლებელია სამოქალაქო ორგანიზაციის დაფუძნება ევროპის ქვეყნებში და როგორი კავშირი აქვს სტატუსს საგადასახადო შეღავათებთან?
- რა წყაროებიდან შესაძლებელია სამოქალაქო საზოგადოებამ მოიზიდოს დაფინანსება?

12. ტერმინთა განმარტება

ანტი-ტერორისტული ფინანსური ზომები. 1989 წელს დაფუძნდა მთავრობათაშორისო ერთეული The Financial Action Task Force (FATF), რომელშიც შედიან 37 წევრი ქვეყნის შესაბამისი სამინისტროების წარმომადგენლები. მთავრობათაშორისო უწყების მიზანია ფულის გათეთრებასთან, ტერორიზმის დაფინანსებასთან და სხვა მსგავს საფრთხეებთან ბრძოლა, საერთაშორისო საფინანსო სისტემის ინტეგრირებულობის უზრუნველსაყოფად. ამ მიზნის მისაღწევად უწყება შეიმუშავებს სტანდარტებს და ხელს უწყობს სამართლებრივი, მარეგულირებელი და საოპერაციო ზომების განხორციელებას. შესაბამისად, FATF პოლიტიკის შემქმნელი ერთეულია, რომელიც ხელს უწყობს ეროვნული საკანონმდებლო ბაზებისა და რეგულაციების შესაბამისობაში მოყვანისთვის პოლიტიკური ნების გაღვიძებას.

ახალი საჯარო მმართველობა (New Public Management) გულისხმობს მთავრობის მიერ ბიუროკრატიის შემცირებას და კერძო სექტორის მმართველობის პრაქტიკის დანერგვას. ახალი საჯარო მენეჯმენტი სახელმწიფოში ვარაუდობს ისეთ ორგანიზაციულ ცვლილებების უზრუნველყოფას, როგორებიცაა პრივატიზება, კორპორაციული მმართველობა, დეცენტრალიზაცია და სხვა.

განვითარების დახმარება (development assistance ან development aid) გულისხმობს იმ საქმიანობას, რასაც ანხორციელებენ უცხოური დონორები და პარტნიორები მოცემული ქვეყნის განსავითარებლად, რაც, ჩვეულებრივ, სხვადასხვა პროგრამებისა და პროექტების განხორციელების შედეგად ხდება.

გლობალური მოქალაქე (global citizen) წარმოადგენს პირს, ვინც ფართოდ აღიარებს მსოფლიო დინამიკას და მის ადგილს მსოფლიოში. გლობალური მოქალაქეები აქტიურ როლს ასრულებენ საკუთარ თემებში და ასევე თანამშრომლობენ სხვებთან მთელს პლანეტაზე მეტი სამართლიანობის, მდგრადობისა და თანასწორობის უზრუნველსაყოფად.

გრანტი არის გრანტის გამცემის (დონორის) მიერ გრანტის მიმღებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატურალური ფორმით, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული ჰუმანიტარული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური და სოციალური პროექტების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისათვის. გრანტის გამცემი სუბიექტი შესაძლებელია იყოს სახელმწიფო, ასევე კერძო პირი ან ინსტიტუცია.

თანამშრომლობითი მმართველობა (collaborative governance) მოიცავს მთავრობის, თემისა და კერძო სექტორის კომუნიკაციასა და თანამშრომლობას ისეთი მიზნების მისაღწევად, რაც ვერ მიიღწევა მხოლოდ ერთი სექტორის ძალისხმევით.

კარგი მმართველობა (Good Governance) . ტერმინი გამოიყენება საერთაშორისო განვითარების კონტექსტში და აღწერს საჯარო ინსტიტუციების საქმიანობას, რაც ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივ ურთიერთობებზე , რესურსების გადანაწილების ჩათვლით.

კომუნიკაცია და მარკეტინგი. კომუნიკაცია ფოკუსირებას ახდენს მესიჯების შემუშავებაზე, რათა „სხვადასხვა კონტექსტში და კულტურებში მივაწვდინოთ ხმა საზოგადოებას განსხვავებული წყაროებისა და არხების საშუალებით“, როცა მარკეტინგი წარმოადგენს „მომხმარებლის, კლიენტის, პარტნიორისა და ზოგადად საზოგადოებისთვის ფასეული შეთავაზებების გაცვლას“ (Moser 2014). მიუხედავად იმისა, რომ მარკეტინგი, ჩვეულებრივ, ბიზნეს ორგანიზაციის ბერკეტად ითვლება, თანამედროვე სამყაროში მნიშვნელოვანია სამოქალაქო ორგანიზაციამ კომუნიკაციასთან ერთად, ფართოდ გამოიყენოს მარკეტინგული სტრატეგიები. ამ შემთხვევაში, მომხმარებელი, კლიენტი და პარტნიორი შესაძლებელია იყოს, როგორც თავად ბენეფიციარი და საზოგადოება, ასევე დამფინანსებელი პირი ან ინსტიტუცია.

მაკკარტიზმი (McCarthysm). ტერმინი მაკკარტიზმი წარმოიშვა იმ პოლიტიკის საილუსტრაციოდ, რომელსაც ქონდა ადგილი 1950 წლებში ცივი ომის დროს, ამერიკის შეერთებულ შტატებში რესპუბლიკელი სენატორის ჯოზეფ მაკკარტი-ს (Joseph McCarthy 1908 – 1957) ინიციატივით. იმ პერიოდში სენატორი მაკკარტი ცნობილი გახდა იმ ხედვებისა და გამონათქვამების წყალობით, რაც მიზნად ისახავდა ამერიკაში კომუნისტური გავლენების შემცირებასა და პრევენციას. მაკკარტი ცნობილია განცხადებებით, რომ შეერთებული შტატების ფედერალური მთავრობა, უნივერსიტეტები, კინო ინდუსტრია და ყველა სხვა სფერო სავსეა კომუნისტურ და საბჭოთა შპიონებით. დღევანდელ დღეს მაკკარტიზმს უწოდებენ ნებისმიერ დემაგოგიურ, უპასუხისმგებლო და დაუსაბუთებელ ბრალდებებს და ასევე იყენებენ პოლიტიკური ოპონენტის პატრიოტიზმის დასაცინად (History n/d)

მდგრადი განვითარება (sustainable development) წარმოადგენს სახელმწიფოს (და მსოფლიოს) მოწყობის პრინციპს, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ადამიანის განვითარების მიზნები და ამავდროულად შენარჩუნებულ იქნას ბუნებრივი რესურსებისა და ეკოსისტემის შესაძლებლობები, რომელზეც დამოკიდებულია ეკონომიკა და სრულად საზოგადოება.

პროზელიტიზმი გულისხმობს მოქმედებას, რაც მიზნად ისახავს ხალხის მიერ განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობის გაზიარებასა და მიღებას.

რელიგიური ინსტიტუცია (religious institution) წარმოადგენს რელიგიური რწმენის ფორმალურ განაცხადს, გამოხატულებას და პრაქტიკას, სადაც კონფესია (confession) საერთო სარწმუნოების ადამიანთა ორგანიზებული რელიგიური ერთეულია.

რწმენაზე დაფუძნებული ორგანიზაცია (faith-based organization) არ წარმოადგენს რელიგიურ ინსტიტუციას/კონფესიას, არამედ ერთი რელიგიური რწმენით გაერთიანებულ ადამიანთა მიერ სოციალური მისიის აღსასრულებლად შექმნილი სამოქალაქო ორგანიზაციაა

სამოქალაქო კულტურა (Civic culture) პოლიტიკური კულტურის ნაწილია და ვლინდება ადამიანთა მისწრაფებაში დემოკრატიულ პილიტიკურ პროცესებისადმი, რაზეც დამოკიდებულია სტაბილური და ეფექტური დემოკრატია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დემოკრატიულ სისტემას ესაჭიროება პოლიტიკური კულტურა, რაც ხელს შეუწყობს მოქალაქეთა ჩართულობასა და მონაწილეობას, ხოლო სამოქალაქო კულტურა ის თვისებები და მოქმედებაა, რაც კვებავს მოქალაქეთა აქტიურობას: პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა, თავდადებულობა, ლოიალურობა, ტოლერანტულობა, სოლიდარობა, კანონმორჩილება, აქტივიზმი და სხვა. ამასთან, ითვლება, რომ სტაბილური დემოკრატიისთვის აუცილებელია დინამიური სამოქალაქო კულტურა: აქტიური და პასიური სამოქალაქო კულტურების ნაზავი (International Encyclopedia…2010).

სამოქალაქო მონაწილეობა (civic Participation) წარმოადგენს მოქალაქეთა ინდივიდუალურ ან კოლექტიურ ჩართულობას იმ საკითხების გადაწყვეტა-მოგვარებაში, რომელნიც ზეგავლენას ახდენენ მათ ცხოვრებაზე (International Encyclopedia…2010).

სამოქალაქო საზოგადოების საარსებო გარემო (Enabling Environment for civil society) წარმოადგენს მოცემულ ქვეყანაში პოლიტიკური სისტემების ერთობლიობას, რაც ზეგავლენას ახდენს სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონირებაზე.

სამოქალაქო ქმედება (civic action) გულისხმობს ხალხის ორგანიზებას, კამპანიის გამართვას, მოხალისეობას და ქველმოქმედებას რომელიმე ჯგუფის უთანასწორობის შესამცირებლად, ან რაიმე საზოგადო პრობლემის მოსაგვარებლად.

სოციალური აგენტი (social agent) თავისი შინაარსით შუამავალია საზოგადოების განსხვავებულ აქტორებს შორის - ადამიანთა, ერთა, ორგანიზაციათა, კულტურათა და იდეოლოგიათა სისტემებში.

სოციალური კონტრაქტი (social contract). სოციალური კონტრაქტის თეორია წარმოადგენს ხედვას, რომლის მიხედვით, ადამიანთა მორალური ან/და პოლიტიკური ვალდებულებები დამოკიდებულია მათ შორის დადებულ (ფორმალურ ან არა-ფორმალურ) კონტრაქტზე ან შეთანხმებაზე, რომ შექმნან საზოგადოება, რომელშიც თავად ცხოვრობენ (Internet Encyclopedia on Philosophy n/d).

სოციალური კონფლიქტი წარმოადგენს საზოგადოებაში ძალაუფლებისთვის ბრძოლას. სოციალური კონფლიქტი წარმოიქმნება, როცა ორი ან მეტი აქტორი ოპონირებას უწევს ერთმანეთს სოციალური ინტერაქციის პროცესში და ავლენენ სოციალურ ძალაუფლებას, რაც ზეგავლენას ახდენს ყველა მხარეზე.

სოციალური სახელმწიფო (welfare state) კონცეფციაა, რომლის მიხედვით სახელმწიფო თამაშობს ძირითად როლს მოქალაქეების ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის დაცვასა და განვითარებაში. სოციალური სახელმწიფო დაფუძნებულია თანაბარი შესაძლებლობებისა და კეთილდღეობის თანაბარი გადანაწილების პრინციპებზე და საზოგადოების პასუხისმგებლობაზე იმათ მიმართ, ვინც თავისით ვერ უზრუნველყოფენ საკადრის საცხოვრებელ მინიმუმს. ევროპის სოციალური მოდელი გულისხმობს

ეკონომიკურისა და სოციალური მიმართულებების ბალანსს და სთავაზობს ეკონომიკურ დონეს, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის დასაქმებასა და შემოსავალს. სოციალური სახელმწიფოების მაგალითებია გერმანია, საფრანგეთი, ბელგია, ნიდერლანდები და სხვა (Britannica.com n/d).

სოციალური ცვლილება (social change) გულისხმობს დროის გარკვეული პერიოდის შემდეგ მნიშვნელოვან ცვლილებას საზოგადოების ქცევითი მოდელების, კულტურული ფასეულობებისა და ნორმების მნიშნელოვან ცვლილებას, რაც, საბოლოო ჯამში, იწვევს დადებით სოციალურ მდგომარეობას.

სოციალური წესრიგი (social order). ტერმინი გამოიყენება ორი მიმართულებით. პირველ რიგში, სოციალური წესრიგი გულისხმობს სოციალური სტრუქტურების, ინსტიტუციების, ურთიერთობების, წესების, ფასეულობებისა და პრაქტიკის სისტემათა ერთობლიობას, რაც საზოგადოებაში აყალიბებს ურთიერთობებისა და საქციელების მოდელებს. მაგალითად შესაძლებელია მოვიყვანოთ ანტიკური, ფეოდალური, კაპიტალისტური და სხვ. სოციალური წესრიგი. მეორე განმარტებით, სოციალური წესრიგი განსხვავდება სოციალური ქაოსისგან და უწესრიგობისგან და გულისხმობს საზოგადოების სტაბილურ მდგომარეობას, სადაც არსებული სოციალური სტრუქტურები აღქმული და მართულია თავად საზოგადოების წევრთა მიერ.

ტექნიკური დახმარება (technical assistance) ტერმინი გულისხმობს არა-ფინანსურ დახმარებას. ტექნიკურმა დახმარებამ შესაძლებელია მიიღოს ინფორმაციისა და ექსპერტიზის გაზიარების, ინსტრუქციების, უნარების განვითარების, სამუშაო ცოდნის გაზიარების, საკონსულტაციო მომსახურების, ტექნიკური მონაცემების გადაცემისა და სხვა ფორმა.

უმრავლესობის ტირანია (tyranny of majority) . ტერმინი „უმრავლესობის ტირანია“ პირველად ამერიკის შეერთებული შტატების მეორე პრეზიდენტმა, ჯონ ადამსმა 1788 წელს გამოიყენა. ტერმინი ფართოდ დამკვიდრდა მას შემდეგ, რაც ალექსის თოქვილმა 1835 წელს ამ ტერმინით დაასათაურა წიგნის თავის ნაშრომში „დემოკრატია ამერიკაში“. თოკვილი დემოკრატიას ორი მიმართულებით განმარტავს: პოლიტიკურ კონტექსტში, დემოკრატია ნიშნავს წარმომადგენლობით სისტემას, გაფართოებული ხმის უფლებაზე დაყრდნობით. მეორე მეტად მნიშვნელოვან კონტექსტში კი იგი საუბრობს სოციალურ დემოკრატიაზე, რაც გულისხმობს საზოგადოებას, რომელშიც თანასწორობა ფართოდაა აღიარებული, როგორც უმთავრესი სოციალური ფასეულობა. თოქვილი საუბრობს თანასწორობის შედეგად დამდგარ „ინდივიდუალიზმზე“ საზოგადოების ყველა ფენაში, რაც წარმოშობს ისეთ „ინდივიდუალიზმს, რომლის ორი ძირითადი ასპექტია კერძო მიზეზი, როგორც შეხედულებისა და რწმენის ერთადერთი საფუძველი და თვით-ცენტრისტული, თვით-დაინტერესებული კონცენტრაცია საკუთარ საჭიროებებზე“. თოქვილი კერძო ინტერესებს აკავშირებს ნებისმიერი საზოგადოებისთვის დამახასიათებელ საჭიროებასთან ყავდეს ინტელექტუალი ავტორიტეტი და ერთობის რაიმე წყარო, და ასკვნის, რომ იმის გამო, რომ საზოგადოება ანდობს გადაწყვეტილებების მიღებას უმრავლესობის მიერ არჩეულ წარმომადგენლებს, წარმოიშვება „უმრავლესობის ტირანია“ (1835).

ფონდი სამართლიანი ვაჭრობა (Fair Trade foundation) წარმოადგენს სამოქალაქო ორგანიზაციას, რომლის განცხადებული მიზანია განვითარებადი ქვეყნებისთვის უკეთესი სავაჭრო პირობების შექმნა. მოძრაობის წევრები იბრძვიან, რათა ექსპორტიორებს გადაეხადოთ მეტი და ასევე გაუმჯობესდეს სოციალური და გარემოსდაცვით სტანდარტები. მოძრაობა ფოკუსირებას ახდენს კონკრეტულ საქონელზე ან პროდუქტზე, რაც, ჩვეულებრივ, ექსპორტირებულია განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულ ქვეყნებში.

ქველმოქმედება და ფილანტროპია გულისხმობს იმათ დახმარებას (ადამიანი ან ორგანიზაცია), ვისაც ეს ყველაზე მეტად ესაჭიროება, ან ვინც, ქველმოქმედის აზრით, ამას მეტად იმსახურებს. ითვლება, რომ ქველმოქმედება, პირველ რიგში, „ოჯახური“ ფენომენია. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერ საზოგადოებაში ქველმოქმედებას წევდნენ ვიწრო წრეში მყოფი ადამიანების მიმართ და მხოლოდ საზოგადობის სრულყოფა-განვითარებასთან ერთად ას „გაცემის კულტურა“ გაფართოვდა და მოიცვა „უცხო“ პირებიც, ესე იგი განვითარდა სოციალური პასუხისმგებლობა.

გამოყენებული მასალა და წყაროები

თვალსაჩინო მასალა, რომელიც გამოყენებულ იქნა ტექსტში.

Advocacy International (n/d), History, Jubilee 2000, ხელმისაწვდომია: https://www.advocacyinternational.co.uk/?pagename=contact

Afridi A. (n/d), Identity-based forms of organising in civil society: good or bad?

Anheier H. & Themudo N. (2002), Organizational Forms of Global Civil Society: Implications of Going Global, in Glasius, Marlies and Kaldor, Mary and Anheier, Helmut K., (eds.) Global Civil Society 2002. Oxford University Press, Oxford, UK, pp. 191-216. ISBN 9780199251681, ხელმისაწვდომია: http://gcsknowledgebase.org/wp-content/uploads/2002chapter81.pdf

Anheier H. (2017), Civil society challenged: Towards an enabling policy environment, Economics: The Open-Access, Open-Assessment E-Journal, ISSN 1864-6042, Kiel Institute for the World Economy (IfW), Kiel, Vol. 11, Iss. 2017-29, ხელმისაწვდომია: http://dx.doi.org/10.5018/economics-ejournal.ja.2017-29

Arora S. (n/d), How Marketing and Communication Strategies can help NGOs achieve Fundraising Success, ხელმისაწვდომია: https://www.fundsforngos.org/civil-society-2/how-can-marketing-communications-strategies-help-ngos-achieve-fundraising-success.

Artiles A. M. (2005), Universitat Autònoma de Barcelona, What is the European Social Model? An Approximation Based on the Spanish Case, ხელმისაწვდომია: https://www.icps.cat/archivos/WorkingPapers/wp237.pdf?noga=1

Bernan Sh. (1997), Civil Society and the Collapse of the Weimar Republic, World Politics, Vol. 49, No. 3, Cambridge University Press, ხელმისაწვდომია: https://www.jstor.org/stable/25054008

Brain M. (August 1, 2017), Quartz, "Nike is facing a new wave of anti-sweatshop protests", ხელმისაწვდომია: https://qz.com/1042298/nike-is-facing-a-new-wave-of-anti-sweatshop-protests/

Brechenmacher S. (2017), Reshaping Civic Space Around the World, Carnegie Endowment for International Peace, ხელმისაწვდომია: http://carnegieendowment.org/2017/05/22/how-state-restrictions-are-reshaping-civic-space-around-world-pub-70049

Britannica.com (n/d), Welfare State, ხელმისაწვდომია: https://www.britannica.com/topic/welfare-state

Casey-Sawicki K. (Nov 21, 2018) Seattle WTO protests of 1999, ხელმისაწვდომია: https://www.britannica.com/event/Seattle-WTO-protests-of-1999

Castro C. & Cordourier C. (n/d), Centro Mexicano para la Filantropía (Cemefi), CIVICUS, ICNL, Assessment of the Enabling Environment for Civil Society Organizations in Mexico, ხელმისაწვდომია: http://www.civicus.org/images/Mexico%20Assessment%20of%20the%20Enabling%20FINAL%20ENGLISH%20(2).pdf

Caucasus Research Resource Centers (CRRC) (2011). An Assessment of Social Capital in Georgia 2011. http://www.crrccenters.org/20547/Assessment-of-Social-Capital-in-Georgia

Caucasus Research Resource Centers (CRRC) (2013), კავკასიის ბარომეტრი 2013, საქართველო, ხელმისაწვდომია: www.crrccenters.org

Center for Communication and Civil Engagement (CCCE), (n/d), Nike Campaign, ხელმისაწვდომია: https://depts.washington.edu/ccce/polcommcampaigns/Nike.htm

Civil Society Futures, ხელმისაწვდომია: https://civilsocietyfutures.org/identity-based-forms-organising-civil-society-good-bad/

Cooley A. (n/d), War on Poverty, United States History, ხელმისაწვდომია: https://www.britannica.com/topic/War-on-Poverty

Development Initiatives (n/d), Defining humanitarian assistance, ხელმისაწვდომია: http://devinit.org/defining-humanitarian-assistance/#

Edwards M.(ed) (2011), The Oxford Handbook of Civil Society

Edwards, M. (2004). Civil Society. Polity Press in Association with Blackwell Publishing Ltd

Ehrenberg, J. (1999). Civil Society – The Critical History of An Idea. New York University Press

Eisele G. (2005), European Civil Society- A glance at recent literature, NEZ, ხელმისაწვდომია: http://nez.uni-muenster.de/download/eisele_-_european_civil_society.pdf

Encyclopedia Britannica (n/d), G.I. Bill (of Rights), ხელმისაწვდომია: https://www.britannica.com/topic/GI-Bill-of-Rights

Enterprising Oxford (n/d), Social Entrepreneurship? Enterprise? Innovation?, ხელმისაწვდომია: https://www.eship.ox.ac.uk/social-enterprise-entrepreneurship-innovation

European Commission (n/d), Corporate Social Responsibility (CSR) https://ec.europa.eu/growth/industry/corporate-social-responsibility_en

Fair Trade Campaigns (n/d), Fair Trade, ხელმისაწვდომია: https://fairtradecampaigns.org/

FATF (n/d), Terrorist Financing, ხელმისაწვდომია: http://www.fatf-gafi.org/publications/fatfgeneral/documents/terroristfinancing.html

Florini A (2009), Global Governance and What it Means, ხელმისაწვდომია: https://www.brookings.edu/on-the-record/global-governance-and-what-it-means/

Fontaine M. (2013), Corporate Social Responsibility and Sustainability: The New Bottom Line? International Journal of Business and Social Science, Vol. 4 No. 4, ხელმისაწვდომია: http://www.ijbssnet.com/journals/Vol_4_No_4_April_2013/13.pdf

Forbs.ge (2013), კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა საქართველოში, ხელმისაწვდომია: http://forbes.ge/news/149/korporaciuli-socialuri-pasuxismgebloba-saqarTveloSi

Forbs.ge (2017), ქველმოქმედების რეიტინგი და საქართველო, ხელმისაწვდომია: http://forbes.ge/news/2971/qvelmoqmedebis-reitingi-da-saqarTvelo

Fossum J. E., Schlesinger F., Kværk G.O. (eds) (2007), Public Sphere and Civil Society? Transformations of the European Union, ხელმისაწვდომია: https://www.sv.uio.no/arena/english/research/publications/arena-reports/2006-2010/2007/Report_02_07.pdf

Frechette H, (2010), Defining Strategic Philanthropy, Citizen Polity, ხელმისაწვდომია: https://citizenpolity.com/2010/09/01/defining-strategic-philanthropy/

Howard M.M. (2003), The Weakness of Civil Society in Post-Communist Europe. Cambridge University Press

Hutter B. & O'Mahony J. (2004), The Role of Civil Society Organizations in Regulating the Business, Discussion Paper #26, ESCR Center for Analysis of Risk and Regulation, London School of Economics and Political Sciences, ხელმისაწვდომია: http://www.lse.ac.uk/accounting/assets/CARR/documents/D-P/DissPaper26.pdf

Ibrahim S. & Hulme D. (2010), Creating and sharing knowledge to help end poverty, BWPI Working Paper 114, ხელმისაწვდომია: https://docplayer.net/50996743-Solava-ibrahim-1-and-david-hulme-1-march-2010.html

Infer.Org. (n/d), Civil Society, ხელმისაწვდომია: http://78.31.105.177/~infed/association/civil_society.htm

Internet Encyclopedia on Philosophy (n/d), Social Contract Theory, ხელმისაწვდომია: https://www.iep.utm.edu/soc-cont

Investopedia (n/d), Globalization, ხელისაწვდომია: https://www.investopedia.com/terms/g/globalization.asp

Koyro Ch., Lang M., Anheier H. (2018), Civil Society in Times of Change: Shrinking, Changing and Expanding Spaces Hertie School of Governance, Heritage School of Governance, ხელმისაწვდომია: https://www.g20-insights.org/policy_briefs/civil-society-in-times-of-change-shrinking-changing-and-expanding-spaces

Levin Institute (n/d), Globalization, ხელმისაწვდომია: http://www.globalization101.org.

Linz J.J. & Stepan A. (1996), Toward Consolidated Democracies, National Endowment for Democracy and the Johns Hopkins University Press. Journal of Democracy 7.2 (1996) 14-33 , ხელმისაწვდომია: http://adpm.pbworks.com/f/Democratic+Consolidation-Linz+and+Stepan-1996.pdf

London School of Economics Centre for Civil Society (LSE n/d), Civil Society, ხელმისაწვდომია: http://www.lse.ac.uk.

Make Poverty History (n/d), A World Without Poverty, ხელმისაწვდომია: http://www.makepovertyhistory.com.au.

Merriam-Webster (n/d). Peace, ხელმისაწვდომია: https://www.merriam-webster.com/dictionary/peace

Moser Sh. (2014), From The Social Shake-Up: The Marketing vs. Communications Debate, ხელმისაწვდომია: https://www.socialmediatoday.com/content/social-shake-marketing-vs-communications-debate

Organizational Research Service (ORS) (n/d), The Challenges of Assessing Civic Engagement Efforts: Towards a Useful Frameworks and Measurement Approaches. Prepared for the Annie E. Casey Foundation, ხელმისაწვდომია: http://www.racialequitytools.org/resourcefiles/challenge_of_assessing_civic_engagement_what_do_we_know.pdf.

OXFAM (n/d), What is Global Citizenship?, ხელმისაწვდომია: https://www.oxfam.org.uk/education/who-we-are/what-is-global-citizenship

Paffenholz T. (2015), Civil society and Peacebuilding, Development Dialogue 2015, Part 3, ხელმისაწვდომია: http://www.daghammarskjold.se/wp-content/uploads/2016/01/DHF_DD63_p108-118.pdf

Pew Research Center (2017), Religious Belief and National Belonging in Central and Eastern Europe, Chapter 4, View on Religion and Politics, ხელმისაწვდომია: http://www.pewforum.org/2017/05/10/views-on-religion-and-politics/

Putman R. (1997, 2000), Bowling Alone. New York: Simon & Schuster

Scholte J.A.(1999, 2018), Global Civil Society: Changing the World?, CSGR Working Paper No. 31, ხელმისაწვდომია: https://www.unicef.org/socialpolicy/files/Global_Civil_Society_Changing_the_World.pdf

Seligman, A. (1992, 1995), The Idea of Civil Society, Princeton University Press, ISBN 0-691-01081-1

The Balance (n/d), The G-20 and What it Does, ხელმისაწვდომია: https://www.thebalance.com/what-is-the-g20-3306114

Tocqueville, A. (1830, 1945). Democracy in America (Schleifer, J. trans; Nolla, E, ed). Historical-Critical Edition of De la de´mocratie en Ame´rique, pp. 410-427. http://oll.libertyfund.org/titles/tocqueville-democracy-in-america-historical-critical-edition-4-vols-lf-ed-2010

U.S. Department of Health and Human Services (n/d), What are the rules on funding religious activity with Federal money? ხელმისაწვდომია: https://www.hhs.gov/answers/grants-and-contracts/what-are-the-rules-on-funding-religious-activity-with-federal-money/index.html

United Nations (n/d), United Nations Declaration on the Rights of Indigenous Peoples, ხელმისაწვდომია: https://www.un.org/development/desa/indigenouspeoples/declaration-on-the-rights-of-indigenous-peoples.html

Wagner A. (2000), Reframing "Social Origins" Theory: The Structural Transformation of the Public Sphere, New School University, International Society for Third Sector Research, ხელმისაწვდომია: https://journals.sagepub.com/doi/pdf/10.1177/0899764000294004

Walzer M. (1998), The Idea of Civil Society: A Path to Social Reconstruction, in E.J. Dionne, Jr., ed., Community Works: The Revival of Civil Society in America, Washington, DC: Brookings Institutional Press

ბუროუსი გ., რუხაძე ზ., კვაჭაძე მ,. გაფრინდაშვილი ლ., იზორია ლ. (2011), დემოკრატია და განათლება, ISBN 978-9941-0-3667-5, ხელმისაწვდომია: http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/9809

კიკნაძე თ. & დონაძე ნ. (n/d), გენდერი- სოციალური და პოლიტიკური სწავლებები, CSS, ხელმისაწვდომია: http://www.nplg.gov.ge

კობერიძე თ. (2017ა), სამოქალაქო ადვოკატირების ზეგავლენა საჯარო პოლიტიკაზე: საქართველოს მაგალითი, ხელმისაწვდომია: http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/198138

კობერიძე თ. (2017ბ), საზოგადოებრივი ორგანიზაციების არასახელმწიფო დაფინანსების მექანიზმებისა და მათი გამოყენების პრაქტიკის საერთაშორისო გამოცდილება, ევროკავშირის საქართველოს სამოქალაქო

საზოგადოების განვითარების ინიციატივა, 2017, Georgian Civil Society Sustainability Initiative (CSSI), ENI/2016/151568/1

მაისურაძე მ. (2011), განათლება და კულტურა კახეთში ცარიზმის პერიოდში (1801-1917 წლებში) , ხელმისაწვდომია: http://tesau.edu.ge/failebi/xarisxi%20uzrunvelyofa/samecniero%20kvleviti%20ganyofileba/mia%20mausuradze%20disertacia.pdf

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI) (2017), State Funding for Civil Society Organizations, Best practice Research, Georgian Civil Society Sustainable Initiative, supported by the European Union

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG) (2007), თბილისის მსხვილი ბიზნესი და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა (დამოკიდებულება და არსებული გამოცდილება), თბილისი

საძაგლიშვილი შ. & ქართველიშვილი მ. (2016), ბიზნესისა და არასამთავრობო ორგანიზაციების კოორდინაცია ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში, ხელმისაწვდომია: http://eprints.iliauni.edu.ge/3941/

სოვლაბ (n/d), ინოვაცია ცვლილებებისთვის, თემის თვითორგანიზებისა და თანამშრომლობის გამოცდილება საქართველოში საბჭოთა ოკუპაციამდე, წიგნი მეორე, ხელმისაწვდომია: http://droa.ge